ბორის დარჩია

ბაგრატ ბატონიშვილი

(მწერლის თხზულებითურთ)



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2011

წიგნში მონოგრაფიულად გახილულია XVI საუკუნის პირველი ნახევრის მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის, მუხრანბატონთა ფეოდალური სამთავროსა და ქართლის ბაგრატიონთა სამეფო გვარის მუხრანბატონთა შტოს დამაარსებლის, ბაგრატ ბატონიშვილის (მუხრანბატონის), ცხოვრება და შემოქმედება. აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ რამდენიმე ცალკეულ საკითხზეა მსჯელობა. მისი თხზულებაც დღემდე გამოუქვეყნებელი იყო და აქ პირველად იბეჭდება.

ნაშრომი მეცნიერულია და განკუთვნილია ქართული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და რელიგიის მკვლევართა, აგრეთვე ჩვენი წარსულით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

წიგნი იბეჭდება სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული კონკურსის შედეგად მიღებული ჰრეშიის ნაწილით, რომელიც 2011 წელს ერგო 2009 წელს გამოსულ ჩემს მონოგრაფიას *„იაკობ შემოქმედელი“* (575 გვ.).

რედაქტორი – მურმან თავდიშვილი

© ბ. დარჩია, 2011

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-335-6

წინასიტყვა

ეს არსებითად ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ნაშრომია, როცა 1960 წლის სექტემბრიდან შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად ჩავირიცხე და, თუმცა ლაბორანტებს სამეცნიერო საქმიანობა არ გვევალებოდა, იაკობ შემოქმედელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა დავიწყე. ვინაიდან იაკობის პოეტური მოღვაწეობა ბაგრატის მწერლობას უშუალოდ და ორგანულად უკავშირდება, აუცილებელი გახდა ბაგრატის ცხოვრებასა და შემოქმედებასაც გავცნობოდი და სათანადოდ წარმომედგინა. თუ რა კავშირი აქვს იაკობს ბაგრატთან, ეს ვრცლადაა ნაჩვენები ჩვენს წიგნში *„იაკობ შემოქმედელი“* (თბ., 2009).

ბაგრატს რამდენამდე დავუბრუნდით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ხსენებულ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის მასზე სტატიის დაწერა დაგვევალა. იმხანად ამ მოღვაწეზე გამოვაქვეყნეთ რამდენიმე წერილი, რომლებიც აქვე შემოვიტანეთ (სათანადოდ ვუთითებთ, სად და როდის დაიბეჭდა ისინი).

ბაგრატის ტექსტის გამოქვეყნება აქამდე ვერ მოვახერხეთ.

ვერ ვიტყვი, რომ ბაგრატის შესახებ, რაც მინდოდა, ყველაფერი დავამუშავე და გავარკვიე. ცალკეული საკითხები შესასწავლი და დასადგენი კვლავ მრჩება, მაგრამ საამისოდ ახლა არც დრო მაქვს და არც განწყობილება. ვინც ჩემს წიგნებსა და, საერთოდ, მუშაობას იცნობს, მოეხსენება, რომ 2006 წელს ე. წ. სამეცნიერო რეფორმის დროს ანტიქართულ ეროვნული ძალების მიერ აღზევებულმა და გაბატონებულმა *„მეცნიერთა ბანდამ“* ელგუჯა ხინთიბიძის, მეცნიერებაში თვალთმაქცი რევაზ სირაძის, ქართულ ლიტერატურაში

უვიცი ირმა რატიანისა და მათი ამფსონების[1] შემადგენლობით მეცნიერულ საქმიანობას ჩამომაშორეს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან გამაგდეს და ულუკმაპუროდ დამტოვეს.

იგივე გამეორდა 2010 წლის ოქტომბერში, როდესაც მონაწილეობა მივიღე ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ რუსთველოლოგიური ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში. 2008 წლის იანვარში, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტის დირექტორმა ი. რატიანმა კონკურენტი ვერ მომიძებნა, ეს ადგილი პათოლოგიური გზნებითა და თავხედობით გაიუქმა, 2010 წელს კი რ. სირაძისათვის აღადგინა. ამ კონკურსში ი. რატიანის ყურმოჭრილმა მონამ, ე. წ. *სამეცნიერო საბჭომ*[2],

---

[1] მაშინ ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ი. რატიანმა შვიდკაციან კომისიაში, გარდა ძმები აკაკი და ელგუჯა ხინთიბიძეებისა, შეიყვანა აგრეთვე უნიერსიტეტში ბატონი ელგუჯას ხელქვეითები – არაფრით გამორჩეული მკვლევარები: მაკა ელბაქიძე, თამარ შარაბიძე და ელისო კალანდარიშვილი.

[2] აი, ეს უნამუსობამდე მიყვანილი საბჭო: გაგა ლომიძე (თავმჯდომარე), მაია ნინიძე (მდივანი), მანანა კვაჭანტირაძე, თამარ ლომიძე, დარეჯან მენაბდე, რუსუდან ჩოლოყაშვილი (ამ საბჭოს წევრია რ. სირაძეც, მაგრამ ამჯერად კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია). აქედან რომელიმე არის იმ რანგის მეცნიერი (რამდენიმე, საერთოდ, არც არის მეცნიერ-მკვლევარი!), რომ ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის პრობლემებში ერკვეოდეს, მეტადრე, არბიტრობა შეეძლოს? თავიანთ დარგებშიაც ისე უილაჯონი არიან და ჯახირობენ, თუ ადამიანის ხორცი გაბია, შეგეცოდება!

სხვათა შორის, მინდოდა მეჩვენებინა, დასახელებულ საკონკურსო 2007-2010 წლებში ჩვენს მეცნიერებას რა სიახლე შემატეს ამ საბჭოს წევრებმა, რუსთველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა (სადაც მე უარი მეთქვა) და ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მაკა ელბაქიძემ, – ყველამ ერთად, დარა – მართლმართლა მე? საამისოდ ინსტიტუტის დირექტორს

გამარჯვებულად ცნო არარუსთველოლოგი დადა-ბალი „*მეცნიერული ზნეობის*“ მქონე რ. სირაძე, რომელმაც საკონკურსო 2007–2010 წლებში ახალი მხოლოდ 30 თუ 40 გვერდის სიდიდის (და ისიც ვაიმეცნიერული!) წერილები გამოაქვეყნა, დანარჩენებს, 10 და 20 წლების წინანდელ დაბეჭდილებს საზოგადოებას, როგორც ახალს, ისე აწვდიდა. მაშინ როდესაც ამ წლებში მე ახალი 500 გვერდზე მეტი, ისიც უფრო რუსთველოლოგიური, ნაშრომი შევქმენი და წიგნებად გამოვეცი. რაც შეეხება ძველ დაწერილებს, ამ წლებში კიდევ მეტი დავბეჭდე.

ყველაფერი ეს მოხდა იმის გამო, რომ ელგუჯა ხინთიბიძის უფროსმა ძმამ, აკაკიმ, ჩემი ზემორე დასახელებული ვრცელი ნაშრომის, „*იაკობ შემოქმედელის*“, მითვისება თუ თანაავტორობა მოინდომა, რაც ვერ მივართვი. ვინაიდან ი. რატიანი და რ. სირაძე მიისწრაფოდნენ ფულიანი ადგილისაკენ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შესაძრომად, რაც უმთავრესად და არსებითად ელგუჯა ხინთიბიძის ძალისხმევის გარეშე ვერ განხორციელდებოდა, სამეცნიერო საქმიანობიდან ჩემი ჩამოშორებით ბატონი ელგუჯას გული კიდეც მოინადირეს და კიდევაც მოისყიდეს. ვინც თანამედროვე გაუდაბნოებულ მეცნიერებაში ხელისუფლების მიერ საჩვენებელ ოაზისად დატოვებული დღევანდელი მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერულ უნიათობასა და უპრინციპობას იცნობს, შეიძლება გაუკვირდეს: ბატონმა ე. ხინთიბიძემ ორივესი რომ ვერა და 2010 წლის აპრილის არჩევნებისას მხოლოდ ბატონ რ. სირაძის გაყვანა (რა თქმა უნდა, იოლად, იოლად!) მოახერხა. ქალბატონი რ. რატიანი კი, ბატონი ელგუჯა კარგად ჰყავდეს, „მალე ჰჰოვებს მაღალ

საგანგებო განცხადებით მიემართე და ვთხოვე, გაეცნობოდი მათ მიერ ამ წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა სიას (ახალი ვადით არჩევისათვის თითოეულს ისინი წარდგენილი ჰქონდა), მაგრამ ი. რატიანმა და მ. ელბაქიძემ ეს ვერ გაბედეს. იცოდნენ, რა შემაძრწუნებელი სურათი დაიხატებოდა (ამაზე იხ. ჩემი წიგნი „*რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I*“, გვ. 449–452, 533–536).

ტიტულს აკადემიკოსთა...“. მანამ, მომავალ არჩევნებამდე, „დასჯირდება მოცდა“.

ეს ისტორია და შეფასებანი ვინმეს გადაჭარბებად რომ არ მოეჩვენოს, შეუძლია გაეცნოს ჩემს წიგნებს: *„უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში“* (თბ., 2008, 330 გვ.), *„იაკობ შემოქმედელი“* (გვ. 479–554) და *„რუსთველოლოგიური გამოკვლევების“* პირველი ტომი (თბ., 2010, გვ. 368–552), სადაც ეს ამბები უამრავი მაგალითის დამოწმებით ვრცლად მაქვს მოთხრობილი.

მაგრამ ამ საკითხზე თუ ისევ ვჩერდები, არა იმიტომ, როგორც მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ბრწყინვალე იუმორით ამბობდა: *ადამიანი, რომელსაც თავისი კბილის ტკივილი მსოფლიო უბედურება ჰგონია, ძლიერ აჭარბებს;* არამედ იმისთვის, მომავალმა თაობამ იცოდეს, არა იმდენად ის, თუ პიროვნულად რა თახსირები არიან ე ლ გ უ ჯ ა ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, რ ე ვ ა ზ ს ი რ ა ძ ე, ი რ მ ა რ ა ტ ი ა ნ ი, ნ ე ს ტ ა ნ ს უ ლ ა ვ ა, რამდენადაც, რაც მთავარია, ამ სითახსირეს რა ყოვლად დაუბრკოლებელი გასავალი ჰქონდა XXI საუკუნის დამდეგის დამოუკიდებელ საქართველოში.

ჰოდა, მკითხველისათვის გასაგები უნდა იყოს, რატომ არა მაქვს დრო და განწყობილება, წინამდებარე ნაშრომს კიდევ უფრო ჩავულრმავდე. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, ნაშრომები, რომლთა უმეტესობა სტატიებად მაქვს დაბეჭდილი, წიგნების სახით გამოსაცემად გამზადებული (აწყობილი და დაკაბადონებული) დავტოვო (გამოქვეყნებული მაქვს ექვსი წიგნი, წინამდებარე მეშვიდეა, გამოსაცემი დამრჩა ხუთი ჩემი წიგნი და ერთიც ჩემი ხელმძღვნელობით, უმთავრესად ჩემ მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაზე დაყრდნობით სხვებთან ერთად მომზადებული *„1966 წლის რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“*.

¤

ეს წიგნიც უსახსრობის გამო ძველ და ნათხოვარ კომპიუტერზე მე ავაწყვე და დავაკაბადონე[3]. ამ საქმეზე ბევრი ვიწვალე და ბევრი ნერვიულობაც შემხვდა. ისე, როგორც წინა წიგნის, *„რუსთველოლოგიური გამოკვლევების“* პირველი ტომის (580 გვ.), აწყობისას სიძველის გამო ნათხოვარი კომპიუტერი რამდენიმეჯერ გამიფუჭდა. ხელოსნის ფული არ მქონდა, მაგრამ ფულს ვინღა ჩიოდა – გული მისკდებოდა, ტექსტი (როგორც დასახელებული, ისე კიდევ რამდენიმე სხვა წიგნისა) ხომ არა წამეშალა–მეთქი.

ტელევიზიით ვხედავდი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, თბილისის მერი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი პერსონალურ კომპიუტერს საჩუქრად ვის არ აძლევდნენ, – გარდა მოსწავლეებისა, ინვალიდ ბავშვებსაც კი. გავბრიყვდი და თბილისის მერ გიგი უგულავას განცხადებით მივმართე: „ვარ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი წამყვანი მეცნიერ–თანაშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ვიკვლევდი და ვიკვლევ ძველი ქართული მწერლობისა და, განსაკუთრებით, რუსთველოლოგიურ საკითხებს. გამოცემული მაქვს საკმაოდ სქელტანიანი 5 წიგნი, გამოსაცემი დამრჩა 7 წიგნი. ვარ მარტოხელა, 108–ლარიანი აკადემიური სტიპენდიატი. ანდერძი მაქვს დაწერილი, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემი ბინა გაუიდონ და დარჩენილი წიგნები გამომიქვეყნონ. ამისთვის აღნიშნულ ნაშრომებს გამოსაცემად ვამზადებ, – ჩემი ხელით შემაქვს კომპიუტერში. ამჟამად ვმუშაობ *«რუსთველოლოგიური კამოკვლევების»* პირველი ტომის აწყობაზე, რომელიც 500 გვერდზე მეტია. აქამდე ვიყენებდი ძველ და ნათხოვარ «ჰენტიუმ–1» კომპიუტერს, რომელიც ახლახან გამიფუჭდა. მეხარბება, როცა

---

[3] ამ ტექნიკური საქმისათვის, როცა უამრავი რამ გამოსაკვლევი და დასაწერი მაქვს, თავი მენანება, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული ვარ, ეს უინტერესო და, ამდენად, მეცნიერისათვის გამომფიტავი საქმე მე თვითონ შევასრულო.

თქვენ მოსწავლეებსა და ვის არა, კომპიუტერებს სჩუქნით. მათხოვრობა ყოველთვის მეჯავრებოდა, მაგრამ ახლა იძულებული ვარ, გთხოვოთ, აღნიშნული საქმეების მოსაგვარებლად ერთი კომპიუტერი, თუნდაც ნახმარი, ოღონდ გამოსადეგი, მეც მიბოძოთ".

თითქმის ორი თვის შემდეგ არაერთი ძნელზე ძნელი სატელეფონო შეხსენების შედეგად მივიღე „რკინის" ლოგიკით შედგენილი პასუხი-უარი, რომელსაც ხელს აწერს მერიის *სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის* უფროსი ვინმე მამუკა ქაცარავა: „ბატონო ბორის. განვიხილეთ თქვენი განცხადება (№ 12/34227-1). გაცნობებთ, რომ ბიუჯეტი არ ითვალისწინებს კერძო პირებისათვის კომპიუტერის შეძენას. მისი გადაცემა ხდება ჯილდოს სახით რომელიმე კონკურსში ან სხვა სახის ღონისძიებაში გამარჯვების შემთხვევაში" (14. 05. 10).

დღისით, მზისით ასე ტყუის და ასე ენაღვლება ჩვენს ხელისუფლებას ადამიანი და... ეროვნული მეცნიერება!

¤

დასასრულ, უნდა შევნიშნო: გამოკვლევაში ლიტერატურა, მცირე გამონაკლისის გარდა, მითითებული გვაქვს იმ გამოცემებით, რომლებიც მისი წერისა და პირველი პუბლიკაციისას გამოვიყენეთ. ციტატებში, სადაც მითითება არ არის, დაყოფა (ხაზგასმა) ჩვენია. ავტორები წიგნში დასახელებულია სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის აღუნიშნავად.

წიგნის ნაწილ-ნაწილ და მთლიან ამობეჭდვაში მეხმარებოდა და ჩემთვის ძნელად საშოვარ ხარჯებს გადამარჩინა მერაბ ცინცაძემ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას ვუხდი.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ ძველი ქართული ენის ჩემი ლექტორისა და მასწავლებლის, ჩინებული მეცნიერის, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის უბადლო მკვლევრისა და გამომცემლის, ივანე იმნაიშვილის, ღირსეულ მეცნიერ-მემკვიდრე ვახტანგ იმნაიშ-

ვ ი ლ ს, რომელმაც თავაზიანად წაიკითხა ბაგრატის ტექსტი, მასთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური ნაწილები (გრამატიკული მიმოხილვა, ლექსიკონი...) და საჭირო რჩევები მომცა.

ნურავის გაუკვირდება, თუ ჩემი მხრივ უღრმეს მადლობას გადავუხდი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორ ბატონ ბ უ ბ ა კ უ დ ა ვ ა ს, რომელმაც გააუქმა ჩვენთან არსებული ველური კაპიტალიზმის ერთერთი პირველი და დიდი „მონაპოვარი“ – ხელნაწერთა გამოყენებისათვის დაწესებული გარკვეული (საკმაოდ მაღალი!) გადასახადი (ვითომცდა ეს საცოდავი, უსახსრო მკვლევრებისათვის ბიზნესი ყოფილიყოს და რაიმე შემოსავალს იძლეოდეს!) და ის უფასო გახადა, რამაც საშუალება მომცა, ერთხელ კიდევ გადამეხედა ჭაბუკობისას დამუშავებული ბაგრატის ხელნაწერული მემკვიდრეობისათვის და ზოგი რამ დამეზუსტებინა.

რა თქმა უნდა, უღრმეს მადლობას ვუხდი აგრეთვე ჩემს გულითად მეგობარ მ უ რ მ ა ნ თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ს ამ წიგნის რედაქტირებისას გაწეული შრომისათვის. და მარტო ამ და სხვა წიგნების რ ე დ ა ქ ტ ო რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს? იმ დროს, როდესაც – ვისთანაც ათეული წლების განმავლობაში ერთ სამსახურში ყოფნისას ვთანამშრომლობდი, გულითად მეგობრებად მიმაჩნდა და მეც მათდამი ყოველნაირად ამ გრძნობითა და საქმიანობით ვიყავი დაკავშირებული, საკმარისი გახდა, ზემორე აღნიშნულ კარიერისტებს „ჩავერეცხე“, სამსახურიდან მოვეშორებინე, – მათაც „ჩამრეცხეს“, დუმილით გვერდს უვლიან, უგულვებელყოფენ ჩემს ნაშრომებს და ამითაც უკან მეწეოდნენ და მეწევიან, ამ დროს მურმან თავდიშვილი უანგაროდ გვერდში მიდგას, მეხმარება და მამხნევებს. ამიტომ ჩემი წიგნების რედაქტორობისათვის *„რუსთველოლოგიური გამოკვლევების“* პირველ წიგნში მასზე „ვეფხისტყაოსნის“ ოდნავ გადაკეთებული სტრიქონით ვწერდი:

„ჩემისთანა რ ე დ ა ქ ტ ო რ ი, ნაძლევი ვარ, ეისმცა ჰყავსა!“.

ახლა უფრო სწორი იქნება, ეს აზრი გავაფართოვო და და კვლავ ხმამაღლა ვთქვა:

„ჩემისთანა მ ე გ ო ბ ა რ ი, ნაძლეი ვარ, ვისმცა ჰყავსა!“.

¤

ყდაზე გამოსახულია: ქსნის ციხე, რომელიც ბაგრატმა ააგო და შემდეგ, 1746 წელს, ძლიერ დაზიანებული, მნიშვნელოვნად განაახლა კონსტანტინე მუხრანბატონმა. სურათები ამოღებულია წიგნიდან: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990.

პირველი ნაწილი

ბაგრატის ცხოვრება და მოღვაწეობა

ბაგრატ ბატონიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობა და მისი სახელით ცნობილი ანტიმაჰმადიანური, თეოლოგიური, პოლემიკური ნაშრომი *„მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყვს-გება ქრისტიანეთა მიერ, თქმული ბატონისშვილის ბაგრატისა“* აქამდე საგანგებო და მონოგრაფიული სისრულით შესწავლის საგანი არ ყოფილა. განხილულია მათი მხოლოდ ზოგიერთი, ცალკეული საკითხი.

ბიოგრაფიული მასალები[1]

ბაგრატისა და მისი თხზულების შესახებ[2] ძველი ბიბლიოგრაფიული ცნობები, გარდა იმისა, რაც ამ ნაწარმოების სათაურსა და ბოლოსიტყვაობაშია[3] აღნიშნული, არ მოგვე-

---

[1] გამოქვეყნებული იყო კრებულში: ქართული მწერლობის საკითხები, ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის დაბადების 90-ე წლისთავს, თბ., 1993, გვ. 228-250.

[2] ადრინდელი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: Н. Я. Марр, Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести "Дареджаниани", Известия императорской Академии Наук, т. X, № 2, Февраль, 1899, გვ. 233-246; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 337-338; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი I, 1962, გვ. 251-253; მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1982, გვ. 4-17.

[3] ბოლოსიტყვაობა-ანდერძშიც ავტორი ბაგრატის (ზოგიერთ ნუსხაში - ბაგრატ ბატონიშვილის) სახელით არის მოხსენიებული: „ვინცა იკითხვიდეთ და ჩემ ცოდვილისა და

პოვება[4]. საქართველოს ისტორიიდან კი მრავალი ბაგრატ ბატონიშვილია ცნობილი. თანამედროვე მეცნიერული ტრადიციით, იგი უნდა იყოს XVI საუკუნის პირველი ნახევრის სახელმწიფო მოღვაწე, ქართლის მეფეების კოსტანტინე II-ის ძე და დავით X-ისა და გიორგი IX-ის ძმა, მუხრანბატონთა ფეოდალური სამთავროსა და ბაგრატიონების სამეფო გვარის მუხრანბატონთა შტოს დამაარსებელი ბაგრატ მუხრანბატონი.

ამ ვარაუდს მხარს უჭერს რამდენიმე მონაცემი. უპირველესად ის, რომ ეს ბაგრატი მწიგნობარი და ლიტერატურის მოყვარული კაცი ყოფილა, მაშინ როდესაც სხვა, ძველ, იაკობ შემოქმედელამდე ცნობილ ბაგრატ ბატონიშვილთა შორის ამგვარი მიდრეკილებისა არავინ ჩანს. ბაგრატ მუხრანბატონის დაკვეთითა და ხარჯით გადაწერილია „*თუენის*“ ვეებერთელა ნუსხა (ხელნაწერთა ინსტიტუტის H-76). მასზე დართულ ანდერძში გადამწერი ბასილ წ ი ლ კ ნ ე ლ ი გვაუწყებს: „სრულ იქმნეს წმიდანი ესე და სულთა განმანათლებელნი თუენი, სექტენბერი და ოქტონბერი, მისითა სადღესასწაულოსა, საწინასწარმეტეველოთა და სამოციქულო-სახარებითა ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა და ს ა ფ ა ს ი თ ა მეფეთ-მეფისა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ძ ი ს ა ბ ა გ რ ა ტ ი ს ი თ ა სამლოცველოდ და მოსახსენებლად სულისა მათისა, საუკუნოდმცა არს კსენებაჲ მისი“[5].

ეოვლისა სასჯელისა თანამდებისა ბ ა გ რ ა ტ ი ს ა თ ჳს შენდობა ჰეოთ დღესა მას დიდსა შესაძრწუნებლისა განკითხვისასა, აღიკოცენ უფალმან ეოველი ბრალი თქუენი და ეოველთა სათნო-ეოფილთა მისთა თანა აღგრაცხენ. ხოლო უკეთუ ვინმე ბოროტისა რასმე მოხსენებითა მწეიოთ, უფალმან მოგიტეუნენ, რამეთუ არა უღირს ვარ ეოვლისა სასჯელისა და წეუისაჲ“ (გვ. A - Q 91, გვ. 19 რ.).

[4] კ. კეკელიძე წერს: „ბაგრატ ბატონიშვილი, ზ. ჯიჯინაძის ცნობით, ცხოვრობდა 1511–1573 წლებში. მატიანის სიტეუით, 1539 წელს ის ბერად აღკვეცილა. სხვა ბიოგრაფიული ცნობა მის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება“ (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 337).

[5] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგ-

ბაგრატისავე დავალებით 1519 წელს ზაქარიას გადაუწერია *„თუენის“* მეორე, ფართო ფორმატის ნუსხა, რომელიც ბაგრატს სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს. დღეს ამ ხელნაწერის მხოლოდ ერთი, ანდერძების შემცველი, ფურცელია შემორჩენილი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-5227).

ზაქარიას ანდერძში ნათქვამია: „[ეს]ე წიგნი წმიდად და უბიწო და მოუკ[ლე]ბელ მისითა სტიქარონ-წარდგომ-გალობითა [...] სადღესასწაულოთა, საწინასწარმეტყველოთა სათნ[...] ეოვლითა და [სჯ]ნაქსართა და ცხორებად სამოციქულოთა... და გათავდა ბრძანებითა ჰატრო[...] ღ(მრთ)ის მოუვარისა და ღ(მრთ)ის მსახურისა და ღ(მრთ)ისაგან ჰატივცემულისა ჰატრონისა ბაგრატის ბრძანებითა ესე წიგნი ეოვლად შემკობილი ქორონიკ[ო]ნსა ს-ზ (ე. ი. 1519. – ბ. დ.).

თავად ღმერთო და ამა შეკრებულთა მადლო, ბატონი ბაგრატ ამა სოფელსა დღეგრძელობით და გამარჯუებით და მშვდობით ამეოფე და საუკუნოდ ცხოვნებით შეეწიენით. ამინ უ~კი უ~კე!“

მეორე ანდერძში, რომელიც განსხვავებული ხელითაა შესრულებული და, ფურცლის აღმწერ თამარ ბრეგაძის ვარაუდით, იგი თავად დამკვეთს, ბაგრატს, უნდა ეკუთვნოდეს, ეკითხულობთ: „თქვენ, დიდსა და ღმრთივ აღმართებულსა და ცოდვათა მობაძავსა კათოლიკე სამოციქულოსა საედარსა სუეტსა ცხოველსა შემოგწირენ წმიდანი ესე წიგნნი თორმეტნი თუენი ეოვლითურთ სრულნი და უნაკლულონი მე, ცოდვილმან ბაგრატ, ძემან მეფეთ-მეფისა კოსტანტ[ინესმან] საპყრად სულისათჳს ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შესანდობელად...“[6].

რაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია) აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, ტ. I. დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946, გვ. 61.

[6] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა..., S კოლექცია, VII, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ.

ბაგრატის ლიტერატურულ ინტერესებსა და მწერლობასთან მის სიახლოვეზე მეტყველებს *„როსტომიანში“* ჩართული ამ თხზულების გამლექსავ სერაპიონ საბაშვილის მისდამი მიძღვნილი ლექსები სათაურით *„აქა ბაგრატ იენვი ყალა წაულო მტერთა“*. პოეტი წერს:

„კონსტანტინე გაყმაწვილდა, მათმან გვარმან გაიხარნა,
მისიმც თავი მორჭმული მყავს, მტერზე გული ვინც მაფხანა,
ილათი და ჭკეა-გონება ზაალისა მოიკმარნა.
აწ ბაგრატ მოიცალოს, სხუასაცა იქს შორით ყალნა“[7].

მეორე ადგილას, სერაპიონის, რუსთველისა და ბაგრატის გაბაასებაში ვკითხულობთ[8]:

„ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა, მუხრანს შექმნა ნადიმობა,
ხელყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა,
ძველი ტახტი განაახლა, პოვა ღვთითა მორჭმულობა,
ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემ ოდნობა (3599).

აქა ბაგრატის პასუხის შექცევა

ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახული,
მეფე უნდა ღეთის მოშიში, სიკეთითა დანერგული,
ამ სოფლისა დიდებასა მირჩევნია მცირე სული,

ქავთარიამ, ლ. ქაჯაიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჭანკიევმა ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 174.

[7] შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, I, ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტ. აბულაძემ, თბ., 1916, გვ. 411, შენიშვნა 11.

[8] შაჰ-ნამეს ქართული ვერსიები, II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და აკ. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, თბ., 1934.

არას მარგებს საუკუნოს საბრჭოთ შენი ჭირნახული“ (3601).

აქედან აშკარად ჩანს, ბაგრატსა[9] და სერაპიონს[10] შორის კეთილი, მეგობრული ურთიერთობა ყოფილა, ხოლო მათი მსჯელობა *„როსტომიანის“* თაობაზე შემთხვევითი არაა და იგი შემოქმედებითი თანამშრომლობის გამომხატველია". მეორე: საყურადღებოა, რომ ბაგრატი სასულიერო მწერლობისადმი მიდრეკილებას ამჟღავნებს და საერო მწერლობას ათ-

---

[9] ერთ დროს სარგის კაკაბაძე ამ ბაგრატს ბაგრატ მეფედ მიიჩნევდა (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტორიო მოამბე, I, თბ. 1924, გვ. 161-163; მ ი ს ი ე ე, საისტორიო ძიებანი, თბ., 1924, გვ. 88, 117). ამჟამად ეს საკითხი ცილობას არ იწვევს (კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II , თბ., 1981, გვ. 327-329; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები..., II , თბ., 1940, გვ. 72-74).

[10] იმავე სარგის კაკაბაძის აზრით, *„როსტომიანში“* ჩართული ეს სტროფები მოგვიანო ხანისაა და სერაპიონ საბაშვილს არ ეკუთვნის. ავტორი წერს: „«როსტომიანის» ტექსტს ახლო დროში მისი შედგენის (1340-1350 წწ.) შემდეგ გაუჩნდა შემდეგი მინაწერი, ლექსად დაწერილი უცნობი ავტორის მიერ 1375 წლის ახლოს თითქოს სერაჰიონის სახელით“ და დამოწმებულია სტროფები *„ბაგ-რატ ვნახე, მარანსა (!) ჯდა...“* და *„აქა რუსთველისაგან პასუხის შექცევა...“* (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966, გვ. 175-176). რა თქმა უნდა, არც ამ მოსაზრებას აქვს რაიმე საფუძველი. ტექსტში გარკვევითაა აღნიშნული, რომ მსჯელობა ეხება კონსტანტინეს შვილს ბაგრატს, მოქმედების ადგილია მუხრანი, სადაც ბაგრატმა *„დაიჭირა ბატონობა“*. ყოველივე ეს, როგორც ქვემოთ იქნება აღნიშნული, მოხდა არა XIV საუკუნეში, 1375 წლის ახლოს, არამედ – 1512 წელს.

[11] ამ გაბაასებაზე დაყრდნობით იოანე ლოლაშვილი წერს: „მას (ბაგრატს. - ბ. დ.) დაუვალებია სერაჰიონ სოგრატისძე საბაშვილისათვის «როსტომიანის» გალექსვა, რაც ამ უკანასკნელს ჰირნათლად შეუსრულებია“ (მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გვ. 11). ნამდვილად კი ამგვარი დასკვნის გამოტანის უფლებას გაბაასების დამოწმებული ტექსტი არ იძლევა.

ვალწუნებით უყურებს. დაბოლოს, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ იაკობ შემოქმედელს ამ თხზულების გალექსვას ავალებს ქართლის მეფე გიორგი XI, რომელიც ბაგრატ მუხრანბატონის შთამომავალი, მისი შვილიშვილის შვილიშვილია: ბაგრატი → ვახტანგი → თეიმურაზი → ვახტანგ V (შაჰნავაზი) → გიორგი XI.

ყოველივე ამას იქითკენ მივყავართ, რომ ხსენებული პოლემიკური თხზულების ავტორად მართლაც ბაგრატ პირველი მუხრანბატონი ვცნოთ.

მატიანეებში ბაგრატ მუხრანბატონის ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდია გადმოცემული, კერძოდ, მის მიერ მუხრანის საბატონოს დაარსება, ბრძოლები კახეთის მეფის ავ-გიორგისა და მისი მემკვიდრის წინააღმდეგ და, ბოლოს, ბერად შედგომა.

¤

ცნობილია ბაგრატის ოჯახური გარემო. მამამისი კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე II დიმიტრის ძე 1478–1505 წლებში ქართლის მეფეა[12]. ნიკორწმინდისეული ნუსხის მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანეს[13], იერუსალიმში დაცული „გარ-

---

[12] XV საუკუნის ბოლო დროისა და XVI საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის მეფეთა ქრონოლოგიისა და, საერთოდ, ამ ხანის საქარxველოს ისტორიის შესახებ იხ.: ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 191–241; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 85–113; ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV–XVIII სს.). კრებ.: რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 84–88, 99–101, 119.

[13] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში. კრებული: „დაბრუნება", მრავალტომეული, I, გ. შ ა რ ა ძ ი ს საერთო რედაქციით, თბ., 1991, გვ. 187.

დამოხსნის"[14], A-97 სვინაქსარზე გაკეთებული მინაწერის[15] ცნობებით, ბოლოს ის კ ვ რ ი ლ ე ს სახელით ბერად შემდგარა. დედას ერქვა თ ა მ ა რ ი, რომელიც, იმავე ნიკორწმინდისეული მატიანეს ცნობით, თ ე კ ლ ა ს სახელით მონაზვნად აღკვეცილა.

ბაგრატს ჰყავდა ექვსი ძმა: უფროსები – დ ა ვ ი თ ი, გ ი ო რ გ ი, უმცროსები – დ ი მ ი ტ რ ი, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი. დავითი მამამისის შემდეგ, ვახუშტის მიხედვით, 1505, სხვა ცნობებით, - 1503, 1504 წელს, ქართლის მეფე გახდა (დ ა ვ ი თ X), 1525 წელს კი დ ა მ ი ა ნ ე ს სახელით ბერად შედგა და სამეფო ტახტი მომდევნო ძმას, გიორგის, დაუთმო (გ ი ო რ გ ი XI). ბოლომდე ვერც ამ უკანასკნელმა იმეფა. 1527 წელს, სხვა ცნობებით, 1534 ან 1540 წელს, გ ე რ ა ს ი მ ე ს სახელით ისიც ბერად აღიკვეცა. მღვდელმონაზონი იყო სულ უმცროსი ძმა – მელქისედეკი, რომელიც 1538-1541 წლებში ქართლის კათალიკოსია (მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ II).

იერუსალიმური „*გარდამოხსნის*" მიხედვით, ბაგრატს ჰყოლია და – ა ს დ ა თ ა რ ი[16].

ბაგრატის მეუღლეს ერქვა ე ლ ე ნ ე. მემატიანეთა და სხვათა ცნობით, ჰყავდათ ოთხი ძე და ერთი ასული. ვაჟები: ე რ ე კ ლ ე, ა რ ჩ ი ლ ი, ა შ ო თ ა ნ და ვ ა ხ ტ ა ნ გ. მათ ამ რიგით წარმოგვიდგენს ივანე ჯავახიშვილი[17], ძველი წყაროებიდან – გიორგი IX-ის 1540 წლით დათარიღებული სიგელი (ტექსტი ქვემოთ არის მოყვანილი) და „*აბალი ქართლის*

---

[14] დ ო დ ო ლ ო მ ი ძ ე, უცხოეთიდან მიღებული ზოგიერთი მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ, მრავალთავი, XIV, თბ., 1987, გვ. 168-170.

[15] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I[1], შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბ რ ე გ ა ძ ე მ, მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა მ, ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე მ ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1973, გვ. 440.

[16] მრავალთავი, XIV, გვ. 168-170.

[17] ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 205-206.

ცხოვრების“ მესამე ტექსტი[18]. ბერი ეგნატაშვილის „*ახალი ქართლის ცხოვრების*“ პირველ ტექსტში თანამი-მდევრობა ერთგან ასეთია: *ვახტანგ, ერეკლე, არჩილ, აშოთან*[19], წინ კი – ასეთი: *ვახტანგ, აშოთან, არჩილ და ერეკლე* (გვ. 433). ამ უკანასკნელისაგან ცოტაოდენ განსხვავდება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: *ვახტანგ, არჩილ, აშოთან და ერეკლე*[20]. ასევეა ხელნაწერთა ინსტიტუტის H-2747 ნუსხით წარმოდგენილ სქემაშიაც. თუ რომელი რიგია მართალი, ძნელი სათქმელია. რაკილა მამის გარდაცვალების შემდეგ მუხრანის ბატონობა ვახტანგმა მიიღო, ვფიქრობთ, იმის მაჩვენებელია, რომ უფროსი ძე ის უნდა ყოფილიყო[21].

იური ჩიქოვანის, სოსო ბიჭიკაშვილისა და დავით ნინიძის მიერ შედგენილ „*მუხრანბატონთა გენეალოგიურ ტაბულაზე*“ ბაგრატის შვილებად დამატებით დასახელებულია: *ალექსანდრე, იონათან, გულდაფარ* და *იოთამ* (ჟურ. „არტა-

---

[18] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 494.

[19] იქვე, გვ. 355.

[20] ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 402.

[21] 1825 წელს პეტრე ტაბლიაშვილის მიერ გადაწერილ ლექსთა კრებულის ერთ მინაწერშიც ვახტანგი ბაგრატის პირმშოდ არის გამოყვანილი: „ჩამამავლობა მუხრანის ბატონისა: პირველი ბაგრატ მუხრანბატონი იყო ძე მეფის ბრძენის კოსტანტინესი, ბაგრატის ძე – ვახტანგი, ვახტანგის ძე – თეიმურაზ, თეიმურაზის ძე შანაოზ და კოსტანტინე. კოსტანტინეს შვილები – მუხრანის ბატონიშვილები, შანაოზისა შან[ა]ოზიანი“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ალ. ბარამიძის რედაქციით V, შეადგინა ლ. ქუთათელაძემ, თბ., 1955, გვ. 256).

ნუჯი“, 1996, № 5, გვ. 29). სამწუხაროდ, წყარო მითი-თებული არ არის.

ბაგრატის ასულია ქაიხოსრო II ათაბაგის მეუღლე დედისიმედი. ვახუშტი ბაგრატიონი სხვადასხვა ადგილას აღნიშნავს: „ხოლო ქაიხოსრო ათაბაგი ესიძა ვახტანგს, მუხრანის ბატონსა, და მოიყვანა დად მისი დედისიმედი და იქორწინა მისთანა“ (გვ. 714). „მაშინ მოვიდნენ ხიზნად აწუეურს მმანი დედისიმედისანი: ვახტანგ, არჩილ და აშოთან და განერნენ აქა“ (გვ. 717). „ამავე ჟამსა (ე. ი. 1582 წელს. — ბ. დ.) მოვიდა არჩილ, დიდი ხნის უნახავი დედისიმედისა, და დად თკსი ნახა და წარვიდა ოქტომბერსა შინა“ (გვ. 723).

ამასვე ადასტურებს „*ახალი ქართლის ცხოვრების*“ მესამე ტექსტი: „ხოლო ათაბაგი ქაიხოსრო დაემოურა მჭერობელსა მუხრანისასა ბაგრატს, მოიყვანა ცოლად ასული ბაგრატისი დედისიმედი და იქორწინა“ (გვ. 500).

ბერი ეგნატაშვილის მიხედვით კი, დედისიმედი არის არა ასული ბაგრატისა, არამედ — მისი შვილიშვილი, აშოთანის ქალიშვილი. ერთგან წერია: „ჟამსა ამას შიგან მესხთა ათაბაგ ყვეს ქაიხოსრო, ძე ყვარყვარეს, და დაემძახლა ჰატრონსა მუხრანისასა, და მოიყვანა ცოლად აშოთან მუხრანის ბატონისა ასული და ეწოდა სახელად დედისიმედი“ (გვ. 358–359). მეორეგან ვკითხულობთ: „და ამან ბაგრატ შვა ვახტანგ, აშოთან, მამა მოწამის ქეთევან დედოფლის და დედისიმედის, რომელი იყო ცოლი ათაბაგისა...“ (გვ. 433).

დედისიმედი რომ ნამდვილად ბაგრატის შვილია და არა შვილიშვილი[22], ამას ადასტურებს ვალეს ღვთისმშობლის ეკ-

---

[22] დედისიმედი ბაგრატის შვილიშვილად, აშოთანის შვილად, წარმოდგენილია ზოგიერთ თანამედროვე სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში, მათ შორის „*ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში*“ (ტ. 7, თბ., 1984, გვ. 230).

ლესიის წარწერა, სადაც თვით დედისიმედი გვაუწყებს: „ნებითა ღუთისათა, მე, ღუთივ გკრგკნოსნის, იესიან-დავითიან-სოლომონიან ბაგრატონიანისა, ქართველთ მეფე-მეფის კოსტანტინეს შვილისშვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ-ამირსპასალარის სახლის რძალმან, დედისიმედმან, მეორედ აღვაშენე წმიდაჲ ესე ეკლესია... ვალისა ღუთისმშობლისა, რათა მცველ-მფარველ გუქმნა... მე და თანამეცხედრესა ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსრო. და ძენი ჩუენნი: ყვარყვარე, მზეჭაბუკ, მანუჩარ, თუალშვენიერი, იყანე და თამარი დღეგრძელობით დაიცვენ, ამენ! დასა მათს ელენეს სასუფეველი დაუმკვიდრე!“[23]

ამ წარწერიდანვე ჩანს, ბაგრატს ჰყოლია მეორე ასული თეოდორა, რომელიც აქ გარდაცვლილად იხსენიება. დედისიმედი ღმერთსა სთხოვს: „დასა ჩემსა თეოდორას შეუნდოს ღმერთმან, ამენ!“

ბაგრატ მუხრანბატონის შვილიშვილია (აშოთანის შვილი[24]) ქეთევან დედოფალი, წამებული, თეიმურაზ პირველის დედა. ხოლო ჩვენი დიდი მწერლებიდან მისი შთამომავლები არიან: არჩილ მეორე, ვახტანგ მეექ-ვსე, ანტონ პირველი კათალიკოსი, ისტორიკოსი – ვახუშტი ბაგრატიონი.

---

[23] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1890, გვ. XXXIX; ე. სილოგავა, სამხრეთ საქართველოს წარწერების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ, მრავალთავი, X, თბ., 1983, გვ. 280–281.

[24] გ. ლეონიძის აზრით, სულხან-საბა ორბელიანის პირველი ცოლი დარეჯანი აშოთანის შვილია (გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ, 1958, გვ. 133). ეს არსაიდან ჩანს და სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს (მ. ქავთარია, ორბელიშვილთა (ყაფლანიშვილთა) ფეოდალური სახლის ისტორია, კრებ.: მრავალთავი, XVI, თბ., 1991, გვ. 150–151).

¤

ბაგრატ მუხრანბატონის დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ძველი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. ზ. ჭიჭინაძის აზრით, იგი ცხოვრობდა 1511–1573 წლებში[25]. ამავე თარიღს იმოწმებენ კ. კეკელიძე და სხვა თანამედროვე მკვლევარები[26], რაც, ცხადია, დაუჯერებელია. დაუჯერებელია თუნდაც იმიტომ, რომ ძველი წყაროებიდან ცნობილია: XVI საუკუნის ათიან წლებში ბაგრატი აქტიურ საქმიანობას ეწევა.

ბაგრატის დაბადების თარიღის მიახლოებითი განსაზღვრისათვის რამდენიმე სანდო ცნობა არსებობს. კოსტანტინე II–ის მიერ ფანიაშვილებისადმი მიცემულ სიგელში აღნიშნულია: „ქ. სახელითა და ღ–თისათა მეფეთ–მეფისა კოსტანტინესგან და ძეთა ჩუენთა დ[ავი]თ, გ[იორ]გი, ბ ა გ რ ა ტ და დიმიტრისგან, ნებითა და შეწევნითა ღ–თისათა, აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფისა, შაბშა და შირვანშა და ეოვლისა ჩრდილოეთისა და საქარ–თველოსა მტკიცედ–კელმწიფედ მპყრობელ–მქონებელთასა, მოვი–დეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და ძალისაებრ მათისა დიდად ნამსახურნი ფანიაშვილნი აღბუღა და ძმანი მისნი ნუგზარ, სეფედაულე, ჩუბინი და კახაბერი, გუიაჯნეს და მოგუახსენეს, რათამცა ერთგულობა ნამსახურთა მათთა სამუქფოდ ჩუენცა მათთუის წუალობა გუეყო და სიგლითა ამით შეგუეწ–უალნეს“[27].

---

[25] ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა, თბ., 1885, გვ. 27.

[26] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II , გვ. 337. ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1888–1931 წწ.), გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კ ა ვ ი ლ ა ძ ე მ ა და მ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1991, გვ. 351. თუმცა იგი კორექტურული შეცდომებითაა დაბეჭდილი: 1571–1473.

[27] საქართველოს სიძველენი, III, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, ტფ., 1910, გვ. 475.

ეს საბუთი თარიღიანია. ბოლოს აღნიშნულია: „დაიწერა წიგნი ესე სიგელი ქ-კსა როთ, კელითა მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა. მეფე კოსტანტინე“ (ჩართულად, გვ. 476), რაც უდრის 1491 წელს. მაშასადამე, ამ წელს კოსტანტინე II-ს ჰყავს არა მარტო ბაგრატი (რა თქმა უნდა, უფროს შვილებთან ერთად), არამედ მომდევნო ძე – დიმიტრიც[28].

ბაგრატი დიმიტრის გარეშე იხსენიება 1488 და 1487 წლების სიგელებში. 1488 წლის სიგელი: „... განმაერთებელმან ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისამან, ორსავე სამეფოსაგან მტკიცედ და შეურეველად მჭერობელმან ძემან ჩუენმან ჰატრონმან მეფემან დავით, გ(იორ)გი და ბაგრატ რაოდენი ქება და

---

[28] თუმცა მეორე, ერთი წლით გვიან დათარიღებულ კოსტანტინე II-ის სიგელში მოხსენიებულია დავითი, გიორგი და ბაგრატი და არა დიმიტრი: „ქ. სახელითა ღ-სათა, მეფეთ-მეფისა კოსტანტინესგან და თანამეცხედრისა ჩუენისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისაგან და ძეთა ჩუენთა დავით გ(იორგ)ი და ბაგრატისაგან ნებითა და შეწევნითა ღ-სათა აფხაზთა და ქართველთა, კახთა, რანთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და შირვანშა და ეოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლით, ვიდრე დასავალადმდე თუით კელმწიფედ ფლობით მჭერობელ-მქონებელმან ესე უკუნისამდე გასათავებელი და რასაგინდამე ქამთა ქცევა-გამოცვალებათა შინა მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი მოუცით და მოგახსენეთ თქუენ, წმიდასა მეუფესა ქ-ს მიერ ქართლისა კ[ათალიკო]ზსა აბრაჰამს...“ (ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 41). ბოლოს აღნიშნულია თარიღი, 1492 წელი: „დაიწერა წიგნი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მეათხუთმეტესსა. ქ-ნსა რ-ჲ, კელითა ივანიახმისა, მცხეთის ქადაგისა მახარებლისათა“ (ეს სიგელი შემოკლებით დაბეჭდილი აქვს აგრეთვე თ. ჟორდანიას: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1897, გვ. 309-310).

მადლობა შევწიროთ თქუენდა მოძართ...“[29]. ბოლოს: „დაიწერა მტკიცე ესე კუჯარი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა მეათესა, ქ-კნსა როჟ. ხელი ფრიად ცოდვილისა ეოვლისა ადამიანის მორჩილესისა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრისა ფახრიშვილისა ანდრონიკესითა“ (გვ. 7-8).

1487 წლით დათარიღებული სიგელი: „წუალობით ღ-თისათა [...] ჰატივცემულმან მეფეთა-მეფემან კოსტანტინე და თ[ანამ]ეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩ[უენთა] ჰირშმომან დავით, გ[იორ]გი და ბაგრატ ესე წუალობა მტკიცე და შეუცვალებელი სამკუდრო და საბოლოო [წიგნი და სიგელი] დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა დიდად ერთგულსა და თაყდადებით მრავალფერად ნამსახურსა ქაჲთარისძეს საღჯნის მოლარესა ახალციხელსა და თქუენთა ძმა-თა“. თარიღიანი ნაწილი: „დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ინ-კლონსა (ინდიქტიონსა. - ბ. დ.) მეფობისა ჩუენისა მეათესა, ტ-კს როჟ, კელითა მდივნისა ჩუენისა თუმანიშვილის ზაქა-რიასითა“[30].

ამ მასალათა საფუძველზე ბაგრატ პირველი მუხ-რანბატონის დაბადების დრო XV საუკუნის 80-იანი წლებით ან მისი შუა წლებით განისაზღვრება.

მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს აგრეთვე ბაგ-რატის გარდაცვალების თარიღი. ე. თაყაიშვილი ასახელებს 1539 წელს[31], რაც, ირკვევა, სწორი არაა. 1540 წელს დაწერილ მელქისედეკ კათალიკოსისადმი მიცემულ გიორგი IX-ის სი-გელში, რომელიც ქვემოთ გვაქვს დამოწმებული, ბაგრატი ცოცხლად არის წარმოდგენილი. ზედა თარიღის დასადგენად

---

[29] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი, 1488 წლ[ისა], ტფ., 1913, გვ. 5 (იხ. აგრეთვე: თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 306).

[30] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 305-306.

[31] Надписи церкви в Вале, Известия Кавказского Отделения Московского Археологического Общества, вып. II, 1907, გვ. 75.

გვშველის *„მესხური მატიანე“* და *ვალეს ტაძრის* წარწერა. ორივეგან იგი გარდაცვლილად იხსენიება. პირველი გვაუწყებს: „მეფისა მჯნისა და ბრძოლათა შინა მიუდრეკელისა, ღთის მოყ(უა)რისა ბატონის ბაგრატ-ეოფილისა ბარნაბასი საუკუნომცა არის საკსენებელი და კურთხევად მისი“[32]. აქ გარდაცვლილად იხსენიება აგრეთვე მისი მეუღლე ელენე და შვილები – ერეკლე და აშოთანი: „დედოფლისა ბატონისა ელენესი საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევად მისი. ძეთა მათთა სამოთხის ნერგთაებრ აღმოცენებულთა, თ(უ)ალჰირ შუენიერთა, ბრძოლათა შინა მიუდრეკელთა, მეფისა ბატონის ჰ(ე)რაკლესი და ძმისა მათისა ბატონის აშოთისი საუკუნომცა სახსენებელი და კურთხევად მისი“ (გვ. 39).

ელენეს, ბაგრატის, ერეკლესა და აშოთანის გარდაცვალების შესახებ ვალეს ტაძრის წარწერაში დედისიმედი წერს: „მამასა ჩემსა – მეფესა ბაგრატს, თანამეცხედრესა მისსა დედოფალს ელენეს, შეუნდოს ღმერთმან. ძმასა ჩემსა ჰერაკლეს და აშოთანს შეუნდოს ღმერთმან!“

ვინაიდან ამ ორ წყაროში გარდაცვლილად იხსენიება ჯერ ერეკლე და შემდეგ აშოთანი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერეკლე უფრო ადრე, 1561 წლამდეა გარდაცვლილი[33].

---

[32] სამხრეთ საქართველოს ისტორიული მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 38.

[33] ვიცით დანარჩენი ძმების აღსრულების დროც. *„მესხური მატიანეს“* ცნობის თანახმად, ვახტანგი გარდაიცვალა 1580 წელს, არჩილი – 1581 წელს. აი, როგორ არის ეს იქ აღნიშნული: „ქ-კნსა სჟთ (1580 წ. – ბ. დ.) ჰატრონის ვახტანგისაგან ღ(მერთ)ი გარისხდა“ (გვ. 53). „ამავე ქორონიკონსა, მარიამობისთუჳს ოთხს ჰატრონი არჩილ მობრძანდა აწყუჳრს. დიდი ხნის უნახავნი დადძმანი შეიყარენით. ღუინობისთუჳს წაბრძანდა. ქ-კნს სჟთ (1581 წ. – ბ. დ.), გიორგობისთუჳს კე (25. – ბ. დ.) ჰატრონის ჳ(უა)რე(უა)რეს და ჰატრონის არჩილისაგან ღ(მერთ)ი გარისხდა“ (გვ. 54).

პარიზული ქრონიკისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებით, აშოთან ფხოველების ბრძოლაში დაიღუპა 1561 წელს. *„პარიზის ქრონიკა“*: „ქორონიკონსა ხ-მთ (ანუ 1561 წელს) იეო ციხედიდს ომი. თათართ გაემარჯჳა, მე კახთა მეფის ლეონისა გიორგი მოკლეს. ამავე ქორონიკონსა მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი აშოთან მოკლეს ფხოველთა“[34].

ვახუშტი ბაგრატიონი: „... შემოვიდეს ეიზილბაშთა და დაესხნენ უცრად მეფესა სჳმონს. მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი და მოსწყდნენ სპარსნი უმრავლესნი. არამედ მოკლეს გიორგი, ძე კახთ ბატონის ლევანისა, ქ-სა ჩ-ფდა, ქარ. ს-მთ და იელტოდნენ კახნი [...]. ამავ ქორონიკონსაჳე მოუკდენ ფხოველნი მუხრანს. ხოლო აშოთან, ძემან ბაგრატ მუხრანბატონისამან, ბრძოლა უეო და მოსწეკდნა იგინი და აოტნა. გარნა მოიკლა იგიცა მათ მიერ“ (გვ. 407).

ბოლოს, ნაშრომზე დართულ ქრონოლოგიურ ცხრილში, აღნიშნულია: „ქ-ს აქათი ქ-ნი 1561, ქართული ქორონიკონი სმთ. მეფე სვიმონ და ლევან მეფის ძე გიორგი, ძეგჳს შაჳერდი სულთანს შეებნენ. შაჳერდის გაემარჯჳა და მოკლეს გიორგი, ძე მ-ფის ლევანისა. და აშოთან, მ-ფის კოსტანტინეს ძის ძე, ფხოელთ მოკლეს ...“ (გვ. 900).

ვახტანგის გარდაცვალება *„ახალი ქართლის ცხოვრების“* მესამე ტექსტში ასეა გადმოცემული: „ქორონიკონსა ხ-ჲც მუხრანის ბატონის ბაგრატის შვილი, მუხრანის ბატონი ვახტანგ, მიიცვალა ივანობისთჳს დამდევ“ (გვ. 526. ეს ცნობებია გამეორებული *„პარიზის ქრონიკაშიც“* (გვ. 55–56), რომლის წყაროა *„მესხური მატიანე“* და *„ახალი ქართლის ცხოვრება“*, ოღონდ მასში ვახტანგის გარდაცვალების თარიღი შეცდომით არის აღნიშნული – ნაცელად სჲც-სა წერია სჲე.

[34] ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 44.

ვინაიდან ე. თაყაიშვილისა და ქრ. შარაშიძის ცნობით, *„მესხურ მატიანეში“* ბაგრატისა და აშოთანის, ისე, როგორც, საერთოდ, მუხრანბატონთა, მოსახსენებლები „დაწერილია ერთისა და იმავე ხელით, როგორც ჩანს, ერთდროულად“ (გვ. 38, 106), ცხადია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ 1561 წლისათვის ბაგრატ მუხრანბატონი გარდაცვლილია. უფრო მეტიც, დასაშვებია, ეს თარიღი უკან გადაიწიოს. ქრ. შარაშიძის დასკვნით, შესაძლებელია, მუხრანბატონთა მოსახსენებლები, რომლებიც ერთი ხელითაა შესრულებული, *„მესხურ მატიანეში“* მოგვიანებით, 1561-1572 წლებში ჩაიწერა[35]. და, რადგან ამ საბუთში ჯერ ცალკე ბაგრატის გარდაცვალებაა აღნიშნული, მერე ცალკე დედოფლისა და ამის შემდეგ ერეკლესი და აშოთანისა, ეს უფლებას გვაძლევს, ბაგრატი მეუღლესა და შვილზე, აშოთანზე, რამდენიმე წლით ადრე გარდაცვლილად ვცნოთ.

1561 წლისათვის რომ ბაგრატი გარდაცვლილია, ამას ადასტურებს ვალეს ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერაც. იგი ე. თაყაიშვილის დათარიღებით, შესრულებულია 1561-1564 წლებში[36].

ამ მოსაზრებას ხელს არ უშლის ნიკორწმინდის ნუსხისეული მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანეს (ხელნაწერთა ინსტიტუტი Q-964) მონაცემი. ამ ძეგლის მიხედვით,

---

[35] *„მესხური მატიანეს“* ყველაზე ძველი, გადარჩენილი ჩანაწერი 1559 წლის 23 მარტის ამბავს – ბაგრატის შვილიშვილის, არჩილის ვაჟის, ერეკლეს, დაბადებას ეხება (გვ. 36), მაგრამ, ქრ. შარაშიძის სიტყვით, „იგი (ცნობა) ბაგრატ ვახტანგის ძის ცნობის (1573 წ. იულისის 16) დაწერის შემდეგ ჩანს ჩაწერილი სტრიქონებს შუა“ (გვ. 36). „ეს გარემოება – აგრძელებს მკვლევარი, – უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოსახსენებლები (მუხრანბატონთა მოსახსენებლები – ბ. დ.) 1561-1572 წლებს შუა უნდა იყოს დაწერილი“ (გვ. 39). ამ ტექსტოლოგიურ მონაცემს უჯერებს რა აშოთანის დაღუპვის თარიღს, ქრ. შარაშიძე წინ აღნიშნავს: „ქორონიკონის ჰირველი ჩანაწერები 1560, 1561 წწ. განეკუთვნებიან“ (გვ. 39).

[36] Надписи церкви в Вале, გვ. 75-76.

კოსტანტინე II, მისი მეუღლე თამარი, შვილები დავითი და გიორგი გარდაცვლილნი არიან, ხოლო ბაგრატი, მისი მეუღლე ელენე და შვილები ერეკლე და არჩილი, აგრეთვე მელქისედეკი, ცოცხლებად იხსენიებიან:

„ღ~თივ გკრგკნოსნისა მეფეთ-მეფისა კოსტანტინე-ეოფილისა კკრილესი სკ~ნს იეავნ.

თანამეცხედრისა მათისა დედოფალთ-დედოფლისა თამარ-ეოფილისა თეკლასი სკ~ნს იეავნ.

ღ~თივ გკრგკნოსნისა მეფეთ-მეფისა დავით-ეოფილისა დამიანესი საუკუნო იეავნ კსენებაჲ.

გიორგი-ეოფილისა გერასიმესი საუ~კუნ იეავნ კ~ს.

თკთმპერობელისა ღ~თივ გკრგკნოსნისაჲ მეფეთ-მეფისა სახლი მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მისისანი.

ბატონისა ბაგრატისა მრავალმცა არიან წელნი მათნი. [მ]ისა მათისა, ჰატრონისა ერეკლესი და არჩილისი მრავალმცა არიან წელნი მათნი“[37].

ე. თაყაიშვილის გამოკვლევის თანახმად, ნიკორწმინდისეული ნუსხის პირველი ნაწილი თარიღიანია. გადაწერილია იმერეთის მეფის გიორგი II-ის დროს, 1585 წლის 15 მარტს. მეორე ნაწილიც, რომელსაც ხელის მიხედვით სულთა მატიანის ჩვენთვის საინტერესო ფურცელი ეკუთვნის, იმერეთშივე, მეფე გიორგი II-ის დროსვეა (გარდაიცვალა 1585 წ.) დაწერილი[38]. გამორიცხული არაა, ისიც 1585 წლის სიახლოვეს იყოს შესრულებული. მაგრამ, რომც ასე იყოს, „*მეს-*

---

[37] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, II, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ ი. აბულაძის რედაქციით, თბ., 1958, გვ. 375-376; ე. თაყაიშვილი, მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, გვ. 187-188.

[38] იქვე, დაბრუნება, I, გვ. 181-184.

ხური მატიანის“ თარიღს ეს ხელს არ უშლის იმიტომ, რომ, როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, ჩანს, ნიკორწმინდისეული ნუსხის მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატიანე დედანი, პირველი ჩანაწერი არ არის. იგი უცვლელად გადმოტანილია სხვა ნუსხიდან. ე. თაყაიშვილის სიტყვებია: „თუმცა ხელნაწერი, როგორც მოვიხსენიეთ, გადაწერილია იმერეთში, მეფის გიორგი მეორის დროს (1548–1585), მაგრამ მეფეთა და კათალიკოზთა მოხსენებაში არც ერთი იმერეთის მეფე და აფხაზეთის კათალიკოზი არ არის მოხსენებული, არამედ საერთო საქართველოს მეფენი და საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქნი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გადამწერს დედნად ასეთი ნუსხა ჰქონია ხელში და მას თვითონ არაფერი მიუმატებია“ (გვ. 184).

ამრიგად: ბაგრატ პირველი მუხრანბატონის ცხოვრების დრო მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს XV საუკუნის 80-იანი წლებიდან (ან შუა წლებიდან) XVI საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე[39].

---

[39] „*პირთა ანოტირებული ლექსიკონის*“ პირველ ტომში (გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991) ბაგრატს უზის 1487–1540 წლები (გვ. 237), მაგრამ, თანახმად წინასიტყვაობისა, ამგვარი განმსაზღვრელი რიცხვები აღნიშნავს „ისტორიული ჰირის მოღვაწეობის ზედა და ქვედა თარიღებს“ (გვ. 9), „რომელიც მხოლოდ დოკუმენტებით დასტურდება“ (გვ. 10).

ი. ჩიქოვანის, ს. ბიჭიკაშვილისა და დ. ნინიძის დასახელებულ გენეალოგიურ ტაბულაზე ბაგრატის გარდაცვალების თარიღად 1540 წელია დასახელებული.

ბარემ აქვე ვიტყვი: ჩვენი ეს ნარკვევი სამეცნიერო წრეებში უყურადღებოდ დარჩა. მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებ: ქართულ ენციკლოპედიაში „*საქართველო*“ (თბ., ტ. I), რომელიც ჩვენი ამ გამოკვლევის დაბეჭდვიდან ოთხი წლის შემდეგ გამოვიდა (1997 წ.), ვ. გუჩუასა და შ. ონიანის სტატია „*ბაგრატ მუხრანბატონი*“ უცვლელადაა გადმობეჭდილი (გვ. 322–323) „*ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის*“ მეორე ტომიდან (თბ., 1977, გვ. 132–133).

¤

ბაგრატი ენერგიული, ძლიერი, მებრძოლი ხასიათის პიროვნება ჩანს, რომელიც, მსგავსად მამამისისა, შეუპოვრად იღვწის ქართლის სამეფოს თავდაცვის განმტკიცებისა და დაქუცმაცებული საქართველოს შემოერთება-გაერთიანებისათვის. მემატიანეები ამ მხრივ ხაზგასმით უპირისპირებენ მას სამეფო ტახტზე მყოფ მის ძმას, დავითს. ბერი ეგნატაშვილი ამბობს: „და იყო ესე დავით კაცი ლმობიერი, მშვიდი და მოშიში ღმრთისა“ (გვ. 350). ვახუშტი ბაგრატიონიც ამასვე გადმოგვცემს: „ესე დავით მეფე იყო ლმობიერი, ბრძოლაშლილობითა და შფოთთა მოძულე და მოუყარე მშვიდობისა“ (გვ. 392). დავითის სისუსტე გამოჩნდა 1509 წელს, როდესაც ქართლს თავს დაესხა იმერეთის მეფე ალექსანდრე II და გორი აიღო. მას, თურმე, მთელი სამეფო მოუწოდებდა მომხდურთა წინააღმდეგ საომრად. მაგრამ იმ მოტივით, რომ შფოთის ამტეხთ თავისთავად მიეზღვებოდა სამაგიერო, დავითს ბრძოლისათვის თავი აურიდებია. ვახუშტის სიტყვით, „შეუმნდათ ესე ეოველთა და ეტეოდენ მეფესა დავითს ბრძოლასა მისსა. არამედ დავით მეფემან არა ინება, მეტეულმან მათმან: «რამეთუ მიეგების მეშფოთეთა შფოთი», ხოლო ალექსანდრემ აღიღო გორი“.

დავითი მსგავს უსუსურობას ამჟღავნებს ავ-გიორგის მიმართაც. როგორც ბერი ეგნატაშვილი გვიამბობს, კახეთის მეფის „ძემან... უხუცესმან, გიორგი, უღალატა მამასა თჳსსა ალექსანდრეს ... და მოკლა მამა თჳსი, და ძმასა თჳალები დას-

---

იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენი კელეის საგანია, აქ ყურადღება არ ექცევა.

დაძენ: ბაგრატი ცალკე გამოყოფილი არ არის და ძალიან მკრთალად, ორიოდე სიტყვითაა წარმოდგენილი *„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“* (აეტორ-შემდგენელნი: ენრიკო გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე, თბ., 2007, გვ. 641).

წვა, და ამიერითგან უწოდეს ავ-გიორგი, და იქმნა ჰატრონი კახეთისა". ავ-გიორგი გამუდმებით თავს ესხმის ქართლს და მთლიანად და უმოწყალოდ აოხრებს მას. „და აღდგა ავ-გიორგი დავითზედა და ვერღარა დაუდგა დავით: საზღვრამდის იმერეთისამდე მოარბევდის ქართლსა მრავალგზის". ავ-გიორგის თავხედობითა და სისასტიკით აღშფოთებული ძმები დავითს ბრძოლისაკენ მოუწოდებენ, მაგრამ ეს უკანასკნელი კვლავ თავს იკავებს: „მაშინ რქუეს ძმათა დავით მეფესა ესრეთ ვითარმედ: «მამათა ჩუენთა კახეთი მიულეს და აწ ქართლისაცა ჰნებას მიღება. აწ ჩუენცა აღვდგეთ მის ზედა და ვბრძოდეთ მათ». ხოლო მეფემან დავით არ ინება" (გვ. 350).

ამ ამბავს ზოგიერთი დეტალის დამატებით მოგვითხრობს ვახუშტი ბაგრატიონი: „წელსა ქ~სა ჩ-ფია, ქარ. რ-ჯთ (1511 წ. — ბ. დ.) მოკლა კახთ ბატონი ალექსანდრე ძემან თჳსმან გიორგიმ. ამ ჟამს იდგა დავით მეფე ატენს ტაძრეულითა და მცველითა თჳსითა, მოუკდა ავ-გიორგი ატენს მეფესა დავითს. ხოლო დავით, უსჯობით ვერღარა მბრძოლი, შევიდა ციხესა შინა ატენისასა, და მოადგა ავ-გიორგი გარს. არამედ იხილა გიორგიმ ვერ შემუსრვა ციხისა და სჯანიცა შემოკრებიდიან შემწედ მეფისა დავითისა, უკუნიქცა ავ-გიორგი და წარვიდა კახეთს. გარნა არა იკმია სიბოროტე და კუალად იწყო კირთება, რბევა და ოკრება ქართლისა, რამეთუ ჯამითი ჯამად მოვიდის და აოკრებდის... ხოლო ვითარ არა დასცხრა ავ-გიორგი ქუეყნის ოკრებად, ეტეოდნენ ძმანი მეფესა დავითს წინაალმდგომობასა გიორგისასა, ხოლო იგი მიუგებდა: სიბოროტისა თჳსისა ნაცვალი მიეგების, რად ჳეოთ ჩუენ შფოთი" (გვ. 392-393).

ჩანს, ამ ბრძოლაში და, საერთოდ, ქვეყნის მართვა-გამგეობაში ბაგრატი გვერდით უდგას თავის ძმას, დავითს. ზემორე ამბებთან დაკავშირებით ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „წელსა ქ~სა ჩ-ფიბ, ქარ. ს (1512 წ. — ბ. დ.), მოვიდა სჯა ხონთქრისა დიდძალი სამცხეს და იმერეთსა ზედა. ამასვე წელსა მოუხდა მეფე ბაგრატ იმერთა მოხისს ვახტანგს

(თავის ძმას. — ბ. დ.). სძლო ვახტანგს, არამედ დავით მეფემან ზავ ჰყო მათ შორის და წარიყვანა ბაგრატ, ძმა თჳსი, და წარვიდა იმერეთს“ (გვ. 393).

ჩანს ისიც: იმ ძმებს შორის, რომლებიც დავითს აქტიური მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ, უპირველესი ბაგრატია. თუ ბერი ეგნატაშვილი ზემოთ დამოწმებულ სიტყვებს — „მამათა ჩუენთა კახეთი მიუღეს და აწ ქართლისაცა პნებას მიღება“ — ძმათა ნათქვამად წარმოგვიდგენს, ვახუშტი ბაგრატიონი მათ ბაგრატს მიაწერს: „არამედ ბაგრატ, ძმა დავით მეფისა, მიუგებდა: «მოგვიხუნა კახეთი და აწ ნებავს ქართლისაცა»“ (გვ. 393).

აღნიშნული ძნელბედობის ჟამს, რაც მნიშვნელოვანწილად დავითის უნიათობით იყო გაპირობებული, ბაგრატმა თავად იკისრა თაოსნობა და ქვეყნის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით საკმაოდ მძლავრი პლაცდარმი შექმნა. 1512 წელს მან სამეფო მამულებიდან საუფლისწულოდ მიიღო მუხრანი და შექმნა მუხრანის სათავადო, საბატონო, რომელსაც ემორჩილებოდა ქსნისა და არაგვის ხეობები მთიულ-მოხევეებითურთ. სამოქალაქო მმართველობასთან ერთად სამუხრანბატონო[40] გახდა ქართლის ახალი სამხედრო ადმინისტრაციული ერთეული, ანუ სადროშო[41], რომლის სარდალიც

---

[40] სამუხრანბატონოს შესახებ იხ.: დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 102-108, 167-170, 191-193, 358-385; საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, თბ., 1990, გვ. 297-301, 326-327.

[41] ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, იმავე პერიოდის ქართლში წარმოიშვა სხვა სადროშოებიც: „კუალად იტყჳან, მიერ ჟამითგან იქმნა ქართლი ოთხ სადროშოდ“ (გვ. 393). მაგრამ ირკვევა, ქართლის, როგორც სამოქალაქო-ადმინისტრაციულ, ისე სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფა გაცილებით ადრე, ქართლის დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბებისთანავე, მომხდარა (აკ. კ ლ ი მ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, კრებ.: XIV-

ბაგრატი იყო. ბერი ეგნატაშვილი წერს: „მაშინ თქუა მმამან მისმან უმრწემესმან ბაგრატ: «მომეც მე მუხრანი საუფლისწულოდ ჩემდა და დროშა, დარაჯად ჩემდა იყოს ერისთავი ქსნისა და კეობა არაგვისა, და შევიწიო ძალი ქრისტესი და თემიცა მისი (ავ-გიორგის. — ბ. დ.) იაყარ ვეოთ». უსმინა მმამან მისმან, დავით მეფემან, და მისცა ყოველი თხოვილი მისი. მოვიდა ბაგრატ და აღაშენა ციხე მტკურისა, რომელ არს ციხისძირის თავსა, და დადგა მუნ“ (გვ. 350; *„ახალი ქართლის ცხოვრების“* მესამე ტექსტი, გვ. 488).

ვახუშტი ბაგრატიონიც ამასვე მოგვითხრობს: „და გამოითხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვსა და ქსნის კევნი მთიულ-მოკევითურთ თჳსსა მორჩილებასა ქუეშე, რომელი არს მიერითგან ერთ სასპასჰეტოდ, ანუ სადროშოდ... «და მე აღუდგები მტრად ავ-გიორგის». მაშინ იძულებულმან მეფემან ნება სცა ბაგრატს. წარმოვიდა ბაგრატ და აღაშენა მუხრანს ციხე მტკურისა“ (გვ. 393).

წინ, ქართლისა და, კერძოდ, მუხრანის გეოგრაფიული აღწერისას, ვახუშტი შენიშნავს: „ციხი-ძირის სამკრით არს ციხე მტკურისა,სარკინეთის მთასვე ზედა, რომელი აღაშენა ო-თ (=79) მეფის კოსტანტინეს ძემან ბაგრატ“ (გვ. 352). მუხრანი „ჰირველ იყო მეფეთა სადგური, აწ უპჳრავს, შემდგომად ბაგრატისა, მუხრანის ბატონსა, მასვე აქუს დროშა სასპასჰეტე არაგუ-კსნისა“ (გვ. 353).

ბაგრატის მიზანდასახულობა და ზრუნვა, განემტკიცებინა თავისი საბატონო და ქართლში ავ-გიორგის თარეში აღეკვეთა, ასე თუ ისე, ნაყოფიერი გამოდგა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ამ საფეოდალოს შექმნა, ისე როგორც ყოველგვარი სახელმწიფოებრივი რღვევა, საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად ადრინდელი დანაწილება,

---

XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, გე. 122-123; ზ. ხ ი დ უ რ ე ლ ი, ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1989, გვ. 66-67).

ცენტრალური ხელისუფლებისა და, ამდენად, სრულიად საქართველოს დასუსტებას, ხოლო შინაურ გამთიშველ ძალთა და გარეშე მტერთა გაძლიერებას იწვევდა.

ავ-გიორგიმ უმალვე „იკმო სჱა თჳსი (...) და მოადგა ციხესა მას შინა მყოფს ბაგრატს". ალყამ სამ თვეს გასტანა. „მაშინ ავ-გიორგიმ წარუვლინა ღუნო ლიტრითა ბაგრატს" და „შეუთჳალა, ვითარმედ: «ძე ხარ მეფისა, ნუ უკუე უღუნობითა მიგჭირდეს, და სუი ესე»". „ხოლო ბაგრატს ჰვეა ჭასა შინა ორაგული ცოცხალი, წარმოუგზავნა ავ-გიორგის იგი და მოუთხრა: «სამ თუე მყოფ კსანსა ზედა და არა გიგემებია, იგემე, რამეთუ ცოცხალ არს»". ავ-გიორგიმ იფიქრა, ალყაშემორტყმულთ საზრდო არ აკლიათო, „უკუნიქცა, მოაოხრა ქვეყანა და შთავიდა კახეთად"[41].

ბოლოს და ბოლოს, ბაგრატმა მოახერხა ავ-გიორგის ჩამოშორება. ეს მოხდა 1513 წელს, სხვა ცნობით – 1514 წელს. ყანჩეთის ჟამგულანის ისტორიული მინაწერი გვაუწყებს: „სა (=1513 წ.). აქა ქართლის მეფე დავით და კახეთის მეფე გიორგი შეიბნეს მუხრანს და გიორგი მეფე მოკლეს. ძალისს შე-

---

[41] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 350-351, 488-489; IV, გვ. 393-394.

აქ ალბათ ზედმეტი არ იქნება, თუ შევნიშნავთ: აღნიშნული მტკვრისა თუ ქსნის ციხე დღეს ხალხში უფრო უწმაწური („... *მომჯამე*") სახელითაა ცნობილი. მუხრან მაჭავარიანის ერთ ადრინდელ უსათაურო ლექსში ვკითხულობთ:

„ჩამოვიტოვეთ უწმაწური სახელის ციხე...
არაგვის პირას ელვარება გახუნდა მთვარის...
ვისროლეთ ბადე... მანქანა კი – მახლობლად – იქვე
კაცივით გვიცდის რიყეზე მდგარი".
(ლექსები და პოემა, თბ., 1962, გვ. 56).

ვფიქრობთ, ადვილი მოსალოდნელია, ციხემ ეს უწმაწური სახელი ბაგრატისა და ავ-გიორგის ბრძოლების დროსვე მიიღო.

იბნეს"[43]. იგივეა გამეორებული სხვა ნუსხის მინაწერში: „სა. აქმ (!) ქართლის მეფე დავით და კახი მეფე გიორგი შეიბნეს მუხრანს და გიორგი მეფე მოკლეს" (იქვე, გვ. 49).

პარიზის ქრონიკა: „ქორონიკონსა ს-ა ქართლის მეფე დავით და კახი მეფე გიორგი მუხრანს, ძალის[ს] შეიბნეს. ქართლის მეფეს დავითს გაემარჯვა და კელთ დარჩა მეფე გიორგი. ამ კახმა მეფემა მოკლა მამა და მმას თვალები დასთხ[ა]რა" (გვ. 40–41).

თუ ამ მოკლე ცნობათა მიხედვით გიორგის სიკვდილი დავით X-ს უკავშირდება, ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბაგრატიონი მას უშუალოდ ბაგრატს მიაწერენ. არსებითად ისინი ერთსა და იმავეს გადმოგვცემენ: ქართლის მორიგი დარბევის შემდეგ გათამამებული ავ-გიორგი მცირე თანმხლებლებით თავის ჯარს ჩამორჩენია და ნადირობით, აუჩქარებლად შინისაკენ მიემართებოდა. ძალისის ხევში ჩასაფრებულმა ბაგრატმა ისარგებლა მტრის მცირერიცხოვნებით, მოულოდნელად თავს დაესხა, ავ-გიორგი შეიპყრო და თავის აგებულ ციხესიმაგრეში მიიყვანა.

ვახუშტი წერს: „შემდგომად კუალად გამოვიდა ავ-გიორგი, ვითარცა ჩვეულ იყო, მოარბივა ქართლი და, ვითარ არვისი აქუნდა შიში, წარაჯლინა სპანი თჳსნი წინარე და თჳთ ნადირობითა და მცირედითა კაცითა მოვიდოდა. მაშინ ბაგრატ სპითა თჳსითა მზირ-ეყო კეცსა შინა ძალისისასა და მოვიდა მუნ ავ-გიორგი, იცა ჟამი მარჯუე ბაგრატ, მიეტევა და მოსრნა მისთანანი და შეიპყრა ავ-გიორგი და ჰატიმარ-ჰყო მტკუარის ციხესა შინა, ქ~ესა ჩ-ფიგ, ქარ. ს-ა (=1513), მერმე ამასვე ქორონიკონსა მოაშთვეს, ანუ მოკუდა" (გვ. 394).

ყურადღებას იპყრობს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი არშიაზე გაკეთებულ მინაწერში საგანგებოდ მიუთითებს: „ხოლო

---

[43] მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ო დ ი შ ე ლ მ ა, თბ., 1968, გვ. 39.

სხვა ქორონიკონში თვით დავით მეფისა და ავ-გიორგის შებმა სწერია" (გვ. 394, შენიშვნა 1).

ბერი ეგნატაშვილის მონათხრობითაც, ავ-გიორგის დამჭერი ბაგრატია, ხოლო დავითი საქმეში შემდეგ ებმება. გადაჭრით ვერც ეს ისტორიკოსი ამბობს, – პატიმარი მოკლეს თუ თავისი დღით აღესრულა. თუ ვახუშტისა და დამოწმებული ქრონიკების მიხედვით ეს ამბავი 1513 წელს მოხდა, *„ახალი ქართლის ცხოვრება"* მას 1514 წლით ათარიღებს. ბერი ეგნატაშვილის სიტყვებია: „და ხანსა რაოდენსამე უკანა შეიყარა სპა თჳსი ავ-გიორგი და წარმოვიდა დარბეულად ზემო ქართლისა, მოვიდა, დაარბია ზემო ქართლი და დაბრუნდა გამარჯვებული და წარმოემართა. და რა ჟამს ეხმა ბაგრატს, მჰერობელსა მუხრანისასა, შეიყარა სპა თჳსი და დაუმზირდა კევსა მას შინა, რომელ არს ძალის[ს]ა და ჯაჰურს შუა. და ლაშქარნი ავ-გიორგისანი წინა წამოვიდენ ნაშოერისა მისთჳს, რომელი წამოეღოთ, ხოლო ავ-გიორგი მცირითა კაცითა უკანა მოვიდოდა და მონადირობდა და არავისი ფიქრი ჰქონდა.

და რაჟამს დაუახლოვდა, სადა მდგომარე იყო ბაგრატ, მაშინ შეუტივა გულითა სრულითა და შეიპყრა ავ-გიორგი და სპანიცა, რომელნი მის თანა იყუნენ, ჰატიმარყო ავ-გიორგი მტუერის ციხესა, რომელ არს მუხრანს, ქრისტეს აქათ ჩ-ჟიდ (=1514).

მაშინ მიუმცნო ძმასა თჳსსა მეფესა დავითს საქმე ესე. და რა ესმა საქმე ესე, განიხარა ფრიად, და ხანსა მცირედსა მოკუდა ავ-გიორგი; და რომელიმე იტუკან დაარჩჳესო, და რომელნიმე იტუკან თავისის დღით მოკუდაო" (გვ. 351).

ასევეა გამეორებული „ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში" (გვ. 489–490). ოღონდ იქ დამატებულია ბაგრატისა და ავ-გიორგის საუბარი: „ხოლო იყო ავ-გიორგი ენითა ბრგუნილ, რქუა ავ-გიორგი ბაგრატს: «ეის ეკადრება შეპყრობა და შეკრეა მკრისა?» და რქუა ბაგრატ ავ-გიორგის: «ჯერეთ

ესე მოვაწიე შენ ზედა და აწ გამგნებ, თუ რა მოიწიოს შენ ზედა, ვინ ხარ და რა კაცი ხარ, რეგუენი და ჭკუა მცირე»" (გვ. 489).

ბერი ეგნატაშვილი სხვაგან აღნიშნავს: „და ამან ბაგრატ შეიპყრა ავ-გიორგი..." (გვ. 433).

ავ-გიორგის მოცილების შემდეგ დავითი და ბაგრატი კახეთის სამეფოს გაუქმებასა და ქართლისადმი შემოერთებას, ხოლო ავ-გიორგის მემკვიდრეთა – მეუღლისა და ერთადერთი მცირეწლოვანი ძის, ლევანის, შეპყრობას ცდილობენ. პირველი, სანამ ოსმალები შემოესეოდნენ და ხელსაყრელი პირობები იყო, მოახერხეს – 1513-1518 წლებში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იქცა; მეორის განხორციელება კი ვერ შეძლეს: კახელმა თავადებმა მეფის სახლთუხუცესის გარსევან ჩოლოყაშვილის მეთაურობითა და მოხერხებულობით ლევანი დამალეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ამ ბრძოლებს ბაგრატი წარმართავდა.

ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს: „ხოლო შემდგომად ავ-გიორგის დაჭერისა, დაიპყრო კახეთი მეფემან დავით. და დარჩა მე გიორგისა, რომელსა ეწოდა ლევან. და წარმოიეყვანა [...] ერმა იგი დედითურთ და დამალა ჰატივითა სახლსა ჩოლაყაშვილისა გარსევანისასა, რომელი იყო სახლთ-უხუცესი, რამეთუ ეოდა დედასა მისსა. და რა სცნა მეფემან დავით, წარავლინა ძმა თჳსი ბაგრატ და ერისთავი ქსნისა და ამილახორი, რათა დასჩხრიკონ კახეთს მსახლობელნი დიდით ვიდრე მცირემდი, რათა იპოვონ ერმა იგი. მაშინ წარვიდენ სამებნელად, დასდვეს შიში და ზარი ეოველთავე კაცთა ზედა და დააფიცეს, რათა არა უწეოდენ ერმა იგი, თუ სად არს, და ეოველთავე შეჰფიცეს, რომ არა ვიცით-რაო. შემდგომ მოვიდნენ სახლსა ჩოლოყაშვილის სახლთ-უხუცესისა გარსევანისასა. და მოეჰოვა გარსევანს საქმე ესე, რამეთუ მოიეყვანა ერმა იგი ლევან მონისა თჳსისა ძისა მსგავსად. და მას დღესა მეღჳნედ იმსახურებდა ერმასა მას, ვითარცა მონასა. და დღესა მეორესა შეფიცა ფიცითა საშინელითა ბაგრატს, ვითარმედ: «რაოდენიცა თქუენ ჩემსა სახლში არ იხილენით და არცა თქუენმან

თუალმან არა ნახა, იმის მეტი არა მეუანდეს, არც დიდის კაცი-შვილი და არც ცოტასი». შეიჯერა ფიცითა ამით.

და ესენი რა წამოვიდნენ, ბაგრატ და ერისთავი და ამილახორი, მაშინ ჩოლაუაშვილმან გარსეუან ვეღარა თავს იდვა სახლსა თჳსსა დაფარვა ლეუანისა და წამოიუანა და შეიუუანა ციხესა მას ოჩონისასა" (გვ. 351-352).

ეს ამბავი მოკლედ გადმოცემულია *„ახალი ქართლის ცხოვრების"* მესამე ტექსტში (გვ. 490). სხვა სიტყვებით იგივეა მოთხრობილი ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომშიც (გვ. 394).

მატიანეებში ჩვეულებრივ ყურადღება მეფეებზეა გადატანილი. ამით აიხსნება, რომ ბაგრატზე ცნობები ძალიან მწირია. მიუხედავად ამისა, აქა-იქ მაინც ჩანს: ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებში იგი ყოველთვის აქტიურად არის ჩაბმული.

როგორც ზემოთ მივუთითეთ, ბაგრატმა დავითთან ერთად 1513 წელს მონაწილეობა მიიღო იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის მემკვიდრეთა – ბაგრატ III-ესა და ვახტანგს შორის საზავო მოლაპარაკებაში. ვახუშტი გვიამბობს: „ამასუე წელსა" დავით მეფემან ზავ ჰყო მათ შორის და წარიუანა ბაგრატ, ძმა თჳსი და წარვიდა იმერეთს" (გვ. 393).

ბაგრატს თავისი ჯარით ეხედავთ აგრეთვე 1520 წლის ამბებში. ამ წელს სამცხის მთავრისა და იმერეთის მეფის თანხმობითა და ხელშეწყობით სამცხე-საათაბაგოდან გადავიდა და მუხრანს მიადგა მამია I გურიელი. იქვე მას შეუერთდა კახეთის მეფე ლევან ავ-გიორგის ძე. ეს ხდება მაშინ, როცა იმავე წელს, ცოტა ხნით ადრე, კახეთის შემომტკიცებისათვის მებრძოლმა დავით მეფემ დამარცხება იწვნია ჯერ მაღაროსთან ლევანისა და შემდეგ მოხისთან მამიას ჯარებთან შეტაკებებში. ამ მძიმე ჟამს დავითმა უმალვე უხმო ძმას, ბაგრატს. ვახუშტი

---

[44] ვახუშტი ასახელებს 1512 წელს. ირკვევა, სინამდვილეში ეს მომხდარა 1513 წელს (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 239; მცირე ქრონიკები, გვ. 38, 103).

ჰყვება: „მუნ კუალად შემოკრიბნა სჰანი, რათა მიაგოს შური მის წილ გურიელსა. ხოლო გურიელი მივიდა მუხრანს და ლევანიცა მოვიდა მის თანა და არა რას აჴნებდნენ ქუეყანათა, და დაჲით მეფეცა მოვიდა ნიჩბისს სჰითა თჳსითა და წარაგლინა ბაგრატ, ძმა თჳსი, მის ქუეშე დაწესებულითა და ამილახორით, რათა მოვიდეს მეორე დღეს ბაზალეთიდამ მათ ზედა, და თჳთ სჰითა თჳსითა მივიდეს ჰირისჰირ“ (გვ. 396).

მაშინ ბაგრატს ბრძოლა აღარ დასჭირვებია, რადგან მათი შეხვედრა მშვიდობიანი მოლაპარაკებით დამთავრდა.

შემდეგი მნიშვნელოვანი მოვლენა ბაგრატის ცხოვრებიდან, რომელიც ჩვენ ვიცით, არის მისი ბერად შედგომა ბარნაბას სახელით.

ზუსტად ასეა ის მოხსენიებული ზემოთ დამოწმებულ *„მესხურ მატიანეში“* – „ბაგრატ ეოფილისა ბარნაბასი“. ამ ფაქტის აღნიშვნას *„ქართლის ცხოვრებაში“* ჯეროვანი ადგილი ეთმობა. მაგრამ, თუ როდის მოხდა ეს, მასზე აზრთა ერთიანობა არ სუფევს. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია 1539 წელი, რომელიც მოდის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობიდან: „ამისა შემდგომად მონაზონ იქმნა ბიძა მეფისა (ლუარსაბ I. – ბ. დ.) ბაგრატ, მჴერობელი მუხრანისა, ქ~სა ჩ–ფლთ, ქარ, ს–კჱ (1539 – – ბ. დ.) და დაუტევნა ძენი: ვახტანგ, არჩილ, აშოთან და ერეკლე, ხოლო ვახტანგ იქმნა მუხრანის ბატონი“ (გვ. 402).

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობით, ეს ხდება გიორგი IX–ის ბერად აღკვეცისა და ლუარსაბ I–ის გამეფების დროს. პირველი ტექსტის მიხედვით – 1542 წელს, მესამე ტექსტის მიხედვით – 1529 წელს.

პირველ ტექსტში ვკითხულობთ: „ჟამსა ამას მონაზონ იქმნა მეფე ქართლისა გიორგი და არა დარჩა მე თჳსი, და მისცა მეფობა ძმისწულსა თჳსსა ლუარსაბს, კაცსა ღმრთის–მოეუარესა, მტერთა ურჯულოთა მომსჴრელსა და წუობათა შინა უშიშსა, ქრისტეს აქათ ჩ–ჟმბ (1542 – – ბ. დ.). და ჟამსა

ამას მონაზონ იქმნა ბაგრატ, მჭერობელი მუხრანისა და დარჩა ოთხი ძე: ვახტანგ, ერეკლე, არჩილ და აშოთან" (გვ. 355).

მესამე ტექსტი: „ამასვე დროსა[45] იმავე პატრონმან (ბაგრატ III, იმერეთის მეფე. –ბ. დ.) გააჩინა ხონელ ეპისკოპოსად მჩხეტისძე მანოელ მისვე აფხაზეთისა კათალიკოზისა კელითა საედართა შიგან ბიჭვინტისათა, ქორონიკონი იეო ს-იზ (1529 – ბ. დ.). წარვედით აფხაზეთს საკურთხევლად ივნისსა კ (20. – ბ. დ.) და მოვედით ივლისსა კ. ამასვე ჟამსა მონაზონ იქმნა გიორგი, ძმა დავით მეფისა, და უწოდეს სახელად გერასიმე. და ბაგრატცა, ძმა მეფისა დავითისა და გიორგისა, რომელი უფლებდა მუხრანს, იგიცა მონაზონი იქმნა. და უწოდეს სახელად ბარნაბე. ხოლო რაჟამს მონაზონ იქმნა ბაგრატ, მჭერობელი მუხრანისა, და ესხნეს მას ძენი ოთხნი: ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტანგ, მაშინ მტკიცედ ეჭერა ქართლი ლუარსაბს" (გვ. 494).

რომც ვიწამოთ *„ახალი ქართლის ცხოვრების"* ცნობა ბაგრატისა და გიორგი IX-ის ბერად შედგომისა და ლუარსაბ I-ის გამეფების ერთდროულობის თაობაზე, ამ თარიღის დადგენა მაინც ჭირს, რადგან მათ შესახებ სხვა მონაცემებიც ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ეს გვაქვს *„ახალი ქართლის ცხოვრების"* პირველ და მესამე ტექსტებში. შორს რომ არ წავიდეთ, აღარაფერს ვიტყვით იმ წყაროებზე, რომლებიც გიორგის ბერად შედგომას 1534 წლით, ხოლო ლუარსაბის გამეფებას 1530 ან 1534 წლებით ათარიღებენ და დავიმოწმებთ იმ საბუთებს, რომლებიც, ერთი მხრივ, 1529 წელს, მეორე მხრივ, 1539–1540 თუ 1542 წლებს უჭერენ მხარს.

ლუარსაბის მიერ ტფილელი ყმებისადმი მიცემულ 1540 წლით დათარიღებულ *სითარხნის წიგნში* მისი მეფობა მ ე ც ა მ ე ტ ე წლით არის განსაზღვრული: „მე, მსახურებელმა შვნდა მიმართ და სურვილით მონდობილმან მეოხებისა შენისამან,

[45] წინაც 1529 წლის ამბებზეა საუბარი.

იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბანგრატოანმან ეოვლისა საქართველოსამა ტახტისა და გუირგუინისა ფლობით მჴერობელმან, თქუენ მიერ გუირგუინოსანმან, მეფეთ-მეფემან ლუარსაბ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა ჰატრონმან სუიმონ და დავით, ვიგულვეთ და ვიგულისმოდგინეთ და გუენება, რათამცა ტფილის ქალაქს რანიცა თქუენნი საედრიხ შვილნი და ემანი არიან, ეოვლისა სათხოვარისაგან განგუთავისუფლებინეს...". ბოლოს: „დაიწერა სიგელი ბ[რძანე]ბა ესე ჩუენი ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ს ა მ ე ფ ო ბ ი ს ა ჩუენისასა მ ე ა თ ც ა მ ე ტ ს ა, ქკნ~სა სკჳ (1540 – ბ. დ.), კელითა მწერალ-მწიგნობარისა იორდანესითა"[46].

ამის მიხედვით გამოდის, ლუარსაბ I გამეფებულა 1527 წელს, როგორც მიღებულია ზოგიერთ ბოლოდროინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში[47], და რაც მხარს უჭერს „*ახალი ქართლის ცხოვრების*" მესამე ტექსტის ცნობას – 1529 წელს ბაგრატისა და გიორგის ბერად აღკვეცის თაობაზე: „მაშინ მტკიცედ ეჰვრა ქართლი ლუარსაბს"-ო.

მაგრამ, მეორე მხრივ, გვაქვს იმავე 1540 წელს გიორგი IX-ის მიერ ძმის, მელქისედეკ კათალიკოსისადმი გაცემული *სიგელი*, საიდანაც ჩანს, რომ იგი ბერად აღკვეცილა ამავე ან წინა წლებში: „და თქუენ საჭუთმჴერობელსა მათსა წმიდასა მეუფესა და მღდელმთავართ მთავარსა, კორციელად ძმასა ჩუენსა, ქართლისა კ~ზ-ჰატრიაქსა მელქიზედეკს, მე, მსასოებელმან თქუენდა მომართ და სურვილით მონდობილმან მეოხებისა თქუენისამან, გი[ორ]გი ბაგრატონიანმან, ნებითა ღ~თისათა ეოვლისა საქართველოსა თუით მჴერობელთა შარავანდედთა ნათესავმან, მემან ღ~თივ გუირგუინოსნისა და წარჩინებულისა

[46] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), შეადგინეს ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა და მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1962, გვ. 8-9.

[47] ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV -XVII სს.), გვ. 87-88; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 6, თბ., 1983, გვ. 301.

მეფეთ-მეფისა კოსტანტინესშან, ვცან, ვითარმედ სოფელი ესე წუთერთ და მსწრაფლ წარმავალ არს და საუკუნო იგი ცხოვრება დაუსრულებელ, ამისთუის დაუტევე ეოველივე ამაოება და დიდება მისი და შევიმოსე სა~თო მონაზონება, რომელი-იგი მიმევანებელ არს მონანულთა ცხორებად საუკუნოდ. მის მიერ აღგუძრნა ზევარდმო საღმრთომან ხურვილმან და პელქეაე თქუენდა მომართ მცირედი ესე მოსახსენებელი და შემოგწირეთ სოფლები: ზერტები და ნასოფლარი სათიბი ნებართვითა ძმისწულისა ჩუენისა, ღ~თივ გუირგუინოსანისა მეფეთ-მეფისა ლუარსაბისათა და ძეთა მათთა - ჰატრონისა სვიმეონისა და დავითისითა, ძმისა ჩუენისა ჰატრონისა ბაგრატისითა და ძეთა მათთა - ერეკლე, არჩილ, აშოთან და ვახტანგისითა, ძმისა ჩუენისა ჰატრონისა ალექსანდრესითა და ძეთა მათთა - კოსტანტინე და გორგასლისათა, ძმისწულისა ჩუენისა ჰატრონისა რამაზისითა და ჰატრონისითა დიმიტრისითა..."[48]. ბოლოს: „დაიწერა სიგელი ესე ქ~სა სკუ" (=1540).

თანახმად ამ საბუთისა, თუ გიორგი 1540 წელს ბერად აღიკვეცა, *„ახალი ქართლის ცხოვრების"* აღნიშვნა – „ჟამსა ამას" ან „ამასვე ჟამსა" ითქმის როგორც 1539, ისე 1542 წელზეც. მაგრამ, ვინაიდან ზემორე, გიორგი IX-ის მიერ მელქისედეკისადმი მიცემულ საბუთში, ბაგრატი საერო სახელითაა მოხსენიებული, უფრო სავარაუდოა მეორე თარიღი – 1542 წელი.

ერთი სიტყვით, ნაღდია, რომ ბაგრატი ბერად შედგა ბარნაბას სახელით, მაგრამ როდის – 1529, 1539 თუ 1542 წელს, როგორც მემატიანეები იუწყებიან – დაბეჯითებით თქმა ძნელია.

საკითხავია ისიც: რას უნდა გამოეწვია ამ ძლიერი, მებრძოლი კაცის საერო ცხოვრებიდან გასვლა – მის ღრმა

---

[48] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, II, ტფ., 1913, გვ. 38-40.

რელიგიურობას თუ ბრძოლაში დაღლილობას ან ხელმოცარვას? ალბათ, – ყველას ერთად! ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები მისი ოჯახური ტრადიცია: ბერად აღიკვეცნენ როგორც მისი მშობლები, ისე ძმები. ვფიქრობთ, ამასაც მნიშვნელოვნად უნდა განეპირობებია მისი ნაბიჯი.

დასასრულ, კიდევ ერთი საკითხი, რაც მის ბერობას უკავშირდება: როდის შექმნა მან თავისი ნაშრომი? სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, – ბერად შედგომის შემდეგ. ლ. მენაბდე გადაჭრით წერს: „ლუარსაბ ჰირველის (1534–1558) გამეფების ახლო ხანაში, ზოგიერთი ცნობით, 1539 წელს, ბაგრატი ბერად შედგა. მის შემდეგ მან ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას, კერძოდ, დაწერა ჰროზაული თხზულება «მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ»...“[49].

ი. ლოლაშვილი ვარაუდის სახით ამბობს: „... სერაჰიონის «ჭირნახული» (გალექსილი «როსტომიანი») ბაგრატს განსჯის ღირსად არ უცვნია, რადგანაც საგმირო-საფალავნო ეჰოსი მას საუკუნო დიდებისათვის არ მოუტანდა სარგებელს. სამაგიეროდ სიბერეში იგი მონანიების გზაზე დამდგარა და სულის საუკუნო ცხოვრებაზე დაუწყია ზრუნვა. ვფიქრობ, სწორედ ამ დროს (1539 წლის შემდეგ) დაწერა მან «მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა, რომელიც

[49] ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. I, გვ. 253. ეს მოსაზრება გამეორებულია „*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიურ ლექსიკონში*“: სტატიაში „მუხრანი“ ეკითხულობთ: „ჰირველ აქაურ მწერლად ბაგრატ მუხრანბატონი გვევლინება. ლუარსაბ I-ის (1534–1558) გამეფების ახლო ხანაში, ზოგიერთი ცნობით, 1539 წელს, ბაგრატი ბერად შედგა. ამის შემდეგ მან ხელი მიჰყო ლიტერატურულ საქმიანობას. მან დაწერა «მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაიტელთა (იხ.)»“ (გვ. 641). როგორც ვხედავთ, აქ არის მითითება: იხ, რაც ნიშნავს, ამ ნაწარმოებზე აქვეა მსჯელობაო. სინამდვილეში ამ წიგნში იგი აღარ ჩანს (შდრ.: გვ. 616).

მაჰმადიანური სარწმუნოების წინააღმდეგ არის მიმართული და მკითხველს აცნობს მის უარეოფით მხარეებს"[50].

ერთი შეხედვით, ეს მოსაზრება საკამათო არ უნდა იყოს. მართლაც შეიძლება გვეკარაუდნა, ისეთი ბიოგრაფიის კაცს, როგორიც ბაგრატია, რომელიც მუდამ ცხოვრების ორომტრიალში, ბრძოლებში იყო ჩაბმული, ადრე მწერლობისათვის ვერ მოეცალა და მისთვის ხელი ბერულ სიმყუდროეში მოეკიდა, მეტადრე, როცა საქმე თეოლოგიურ ნაშრომთან გვაქვს. მაგრამ ასეთ ვარაუდს ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ნაწარმოების სათური, სადაც ბაგრატი ბატონიშვილად არის მოხსენიებული: „თქმული ბატონიშვილის ბაგრატისა". თხზულების ბოლოს, ანდერძშიაც, იგი „ცოდვილისა და ეოვლისა სასჯელისა თანამდებისა ბაგრატის" ან ზოგიერთ ნუსხაში „ბაგრატ ბატონიშვილის" სახელით იხსენიება და არსად მისი ბერული სახელი „ბარნაბა" არ ჭაჭანებს. ბაგრატი ამგვარადვე წარმოგვიდგენს თავის თავს ზემოთ დამოწმებულ, მისი დაკვეთით 1519 წელს გადაწერილ *„თუენის"* ანდერძში: „მე, ცოდვილმან ბაგრატ, ძემან მეფეთ-მეფისა კოსტანტ[ინესმან]", მაშინ როდესაც „მესხურ მატიანეში" მისი ბერული სახელი წინ არის წამოწეული: „მეფისა მჯნისა და ბრძოლათა შინა მიუდრეკელისა, ღ~თის მოყ(უა)რისა ბატონის ბაგრატ-ეოფილისა ბარნაბასი საუკუნომცა არის საკსენებელი და კურთხევა მისი".

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, ბაგრატ მუხრანბატონს თავისი პოლემიკური ნაწარმოები ბერად აღკვეცამდე აქვს შეთხზული. იმხანად, როცა იგი, ღრმად მორწმუნე ქრისტიანი, ქართლის მეფის ძე და მუხრანის სადროშოს მთავარსარდალი, ხმლით ენერგიულად ეკვეთებოდა სხვადასხვა მომხდურ უცხო რჯულის ურდოებს, მას იმავდროულად წარმატებით მოუკიდია ხელი კალმისათვის და ისიც მძლავრად გამოუყენებია დამპყრობელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ბაგრატი ამ

[50] მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის, გვ. 11.

მხრივ ღირსეული წარმომადგენელია ქართლის ბაგრატიონებისა, რომლებიც მხედრულ შემართებასთან ერთად ყოველთვის მწიგნობრობითაც გამოირჩეოდნენ. ამ მხრივ საკმარისია დავასახელოთ მისი შთამომავალნი: გიორგი XI, არჩილი და ვახტანგ მეექვსე. თვით ვახტანგმა მწერლობის უდიდესი საბრძოლო ძალა პოეტურად ასე გამოხატა:

„კალამსა და ხმალსა მთელსა წინ ვერავინ აღუდგების!“[51]

რაც შეეხება ბაგრატის ბოლოდროინდელ ცხოვრებას, ხელთ მხოლოდ ის მასალები გვაქვს, რაც მისი გარდაცვალების თარიღის დადგენასთან დაკავშირებით ზემოთ არის დამოწმებული. იმედია, ძველი ქართული მწერლობის ხელნაწერების შემდგომი შესწავლა და გამოქვეყნება, კერძოდ, *„ისტორიული საბუთების კორპუსის“* გამოცემა ამ საინტერესო პიროვნების ცხოვრებასა და საქმიანობას ახალ შუქს მოჰფენს.

ბაგრატის ნაშრომის ლიტერატურულ-ისტორიული და რელიგიური საკითხები[1]

ბაგრატს, როგორც მწერალსა და მწიგნობარს, ქართული ლიტერატურის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ეს ადგილი მან უპირველესად დაიმკვიდრა თავისი ანტიმაჰმადიანური თეოლოგიური პოლემიკური ნაშრომით – *„მოთხრობა სჯულთა ულმრთოთა თათრისათა და სიტყჳს-გება ქრისტიანეთა მიერ“*, რომელიც XVII საუკუნეში ლექსად გარდათქვა ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ და პოეტმა იაკობ შე-

---

[51] ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ე, ლექსები და პოემები, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1975, გვ. 152, სტროფი 756,4.

[1] ეს ნაწილი ცოტაოდენი შემოკლებით გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „რელიგიაში“ (1996, № 10-11-12, გვ. 68-90).

მოქმედელ-სამებელმა, გვარად დუმბაძემ. მისი სათაურია *„უსჯულო მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასება“*[2].

ბაგრატის ნაშრომის მიზანია, მკითხველებს აუხსნას და დაასწავლოს ჭეშმარიტება ქრისტიანობისა და სიყალბე და მაცდურობა ისლამისა. ამით კი მოამზადოს ისინი მაჰმადიანთა წინააღმდეგ საკამათოდ და საბრძოლველად.

თხრობა იწყება იმის ჩვენებით, თუ როგორ ჩაისახა და ალმოცენდა ისლამური რელიგია და ვინ იყვნენ მისი ფუძემდებლები. რაღა თქმა უნდა, ყველაფერი უარყოფითად არის წარმოდგენილი, ისე, რომ მკითხველებში მათ მიმართ სიძულვილი და ზიზღი გამოიწვიოს. პირველი წინადადებიდანვე დახასიათებულია მაჰმადი, ანუ, როგორც აქ ეწოდება, მოჰამედი: „ჟამთა უკუნ ჰერაკლე მეფისათა (იგულისხმება VIII საუკუნის ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე) გამოჩნდა მოჰამედ, ვინმე ახალი მწვალებელი, უღმრთო და უსჯულო“. ის იყო „ტომით იზრისგან, ძისწულის ისმაილისა“, რომელთა წინაპრები და მოდგმა მკვიდრ იყვნენ „უდაბნოსა მადიამისისა“ და „აქლემებით ვაჭრობით“ ცხოვრობდნენ.

მოჰამედი ადრე დაობლდა. ეს უპატრონო და ღატაკი ბიჭი თავიდანვე ენერგიული და მოხერხებული იყო და მალე „შეუდგა აქლემებით მსახურებად დედაკაცსა ვისმე, თჳსსა ნათესავსა, მდიდარსა მონაგებთაგან“, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ ცოლად შეირთო. ის მასთან ერთად კვლავ სავაჭროდ დადის იერუსალიმსა და არაბეთის ქვეყნებში და სხვადასხვა რელიგიურ შეხედულებას ეცნობა. აქ მან „წვა-

---

[2] იაკობის ეს ლექსითი ვერსია დავებეჭდეთ ჟურნალ „რელიგიაში“ (1995, № 4-5-6, გვ. 70-97). მისი შემცველი ნუსხები შესწავლილი გვაქვს წერილში: *იაკობ შემოქმედელის „უსჯულო მოამადისა და ქრისტიანეთ გაბაასების“ ხელნაწერები* („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1994, № 1-4, გვ. 39-72). თვით იაკობის შესახებ იხ. ჩვენი წიგნი: *„იაკობ შემოქმედელი“* (გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009, 576 გვ.). აქ სხვადასხვა კუთხით განხილულია იაკობის ლექსითი ვერსია, მათ შორის დედანთან, ბაგრატის ნაშრომისადმი, მიმართება.

ლებისათვის“ სამშობლოდან დევნილი „მონაზონი ვინმე ნ ე ს ტ ო რ ი ა ნ ი ჰოვა“ და მას დაუახლოვდა.

მოჰამედი „სენითა შავნაღვლიანობისათა ვნებული“, ანუ ბ ნ ე დ ი ა ნ ი, იყო, რის გამო ხშირად მიწაზე ენარცხებოდა. „ცნა რად ესე ცოლმან მისმან, შეწუხნა ფრიად და იურვოდა“. მაგრამ მან მეუღლე „მზაკუარებისა მანქანებითა (ეშმაკურად) დააჯერა“, რომ „ჩვენებით იხილავს შჯაბრაილს“, ანუ გაბრიელ მთავარანგელოზს, „ვერ უძლებს ხილვასა მისსა და ქუეყანად დაეკუეთების“ (მიწაზე დავარდება). ცოლმა ეს ამბავი მოუთხრო მათ ნაცნობ ნესტორიან მონაზონს, რომელმაც დაუმოწმა – „ჭეშმარიტად ეგრეთ არსო და ანგელოზი იგი უოველთა წინაწარმეტყველთა მიიელინებისო“. თავად მოჰამედი, რომელსაც თავიდან მ უ ს ტ ა ფ ა ერქვა და სახელი მ ო ჰ ა მ ე დ, რაც ნიშნავს „*რჩეული ღმთისად*“, თვითონ დაირქვა, „ჰქადაგებდა და ცრუწინაწარმეტყუელებდა“. მალე „შეუდგა (შეუერთდა) მას სიმრავლე ისმაიტელთა“, რომლებსაც ასწავლიდა: „რომელმან მოკლას ქრისტიანე ანუ მოიკლას მიერ, ორითავე მიზეზითა ცხოვნდეს“. ისინი კი „უოველსა მოძღრებასა მისსა“ იჯერებდნენ.

მოჰამედმა „იწუო ბრძოლად უოველთა მათ გარემოთა მისთა“, მაგრამ მუდამ მარცხდებოდა, ვიდრე მისი სიძე არ გახდა ა ლ ი – „ვინმე ისმაიტელი, ახლო ნათესავივე, გმირი და ძლიერი ფრიად, რომელსა მისცა ასული თჳსი ფ ა ტ მ ა ნ“. ფიზიკურად ძლიერი ალის მეშვეობით იგი ახლა ყველგან იმარჯვებს, მაგრამ ამას სიძის დამსახურებას კი არა, გ ა ნ გ ე ბ ი ს ძალას მიაწერს: „ვითარმედ ანგელოზი იგი არს ჩემ თანა, რომელი მიიელინებოდა წინაწარმეტყუელთა მიმართო“. ერთხელ კი, როცა მოჰამედი „წარვიდა ბილწთა ჰურიათა“ წინააღმდეგ საბრძოლველად და „არა იუო ალი მის თანა, რამეთუ სტკიოდა მას თუალი ერთი“, იგი სასტიკად დამარცხდა და შეშინებული „შთაწვა გუამებსა მას შორის მკუდართასა“. ამ დროს ვიღაცამ ეს ალის აცნობა, რომელიც „ამხედრდა და მსწრაფლ უოველთა თანა სჰათა“ და სიმამრი იხსნა.

მოჰამედის სამხილებლად, იმის საჩვენებლად, რომ „ჭეშმარიტად ეოველთა წინაწარმეტყუელთა მიიელინებოდა ანგელოზი უფლისად“, მაგრამ „არავინ სენსა რასმე ბოროტსა შთაგდო, არცა ვინ დააკუდთა“ და „არავინ მათგანსა უჯერო რადმე შეამთხვივა“, – მწერალი „ბიბლიიდან“ იმოწმებს ანგელოზთა გამოცხადების ეპიზოდებს, სადაც მათ ყველგან სიკეთე მოაქვთ.

მომდევნო საუბარი „ყურანსა“ და ცალკეულ ისლამურ რელიგიურ შეხედულებათა კრიტიკას ეთმობა. მოჰამედმაო, გვიხსნის ავტორი, „ყურანი“ „სიძეთა თჳსთა ალის და უსმანს“ დააწერინა, რადგან „თვით არ უწეოდა“ წერა-კითხვაო. მათ „შეაწმასნეს ძუელთა და ახალთა ვიდრემე მოთხრობითგან და სჯულთა და ნათესავთა“, როგორც „ნესტორიანისა მისგან ბერისა“ ჰქონდათ ნასწავლიო; „შესაქმის“ გაყალბების ნიმუშად დასახელებულია ორი მაგალითი. ერთი, სამოთხიდან „ექსორიობად ადამისა და ევასი ჭამისათჳს ხუარბლისა იქმნაო, რამეთუ ხედ ცნობადად ხუარბალსა ქადაგებს“, ხოლო იქიდან (სამოთხიდან) ისინი „ამხედრებულნი ფარშამანგსა“ გამოაძევესო.

მეორეა ნებროთზე თქმულება. თითქოს ნებროთმა ფასკუნჯის ორი ბარტყი გამოზარდა, მათი საშუალებით ზეცაში ავიდა, „სტეორცნა ისარი“, რათა ღმერთი მოეკლა და თვით ღვთაებად ქმნილიყო. მანვე „განვლო თეზსა მას, რომელი მეათერთმეტად ეტლად დაწესებულ არს“, შეღება „იგი სისხლითა მისითა“ და გახარებული, ღმერთი მოვკალიო, „შთამოვიდა ქუეყანადო“. წყეულმა მოჰამედმა კი არ იცისო, დასძენს მწერალი, თეზი მეთერთმეტე ეტლის (ბურჯის, ზოდიას) ნიშანია, რომ „არა ხორციელი თეზი არს, არამედ – სახე თეზისა“.

ბაგრატი ძირ-ფესვში მიჰყვება მოჰამედს და მისი წინაპრების – ისმაიტელების, ანუ ისმაელის შთამომავლების, – წარმომავლობითვე არასრულფასოვნების დამტკიცების მიზნით იმოწმებს „ბიბლიას“, სადაც, მისი მსჯელობით, აბ-

რაჰამის შვილებიდან ღვთის მიერ ყველგან პატივით წინ დგას კანონიერი მეუღლის სარასგან ღვთისვე შეწევნით შეძენილი ისაკი, ხოლო ამ ღირსებებს მოკლებულია მხევალი ქალის აგარისაგან ადრე გაჩენილი ისმაელი.

„შესაქმის“ დებულებათა უტყუარობაზე მსჯელობისას ნაშრომში დასმულია საკითხი: ქრისტიანებში რატომ არაა მიღებული წინდაცვეთა, მაშინ როდესაც მოსეს ამ თხზულების მიხედვით, ღმერთი აბრაჰამს ამას გარკვევით ავალებს. პასუხი ასეთია: ეს იყო უფლის ერთდროული მოთხოვნა, რათა აბრაჰამის შთამომავლები წარმართობისაგან გადაერჩინა.

ბაგრატი მოკლედ, მაგრამ საგანგებოდ ეხება ქრისტიანთა და მაჰმადიანთა უმთავრეს და არსებით სამკვდროსასიცოცხლო საკითხს: ვინ არის ქრისტე და ვინ – მოჰამედი. ნაჩვენებია, რა დაუჯერებელი და წინააღმდეგობით აღსავსეა „ყურანის“ მონათხრობი.

მოჰამედმა „თავი წარმოაჩინა და სახელ იდვა წინაწარმეტეუელად და მოციქულად ღმრთისად“, ატყუებსა და რყვნის ხალხს: „არწმუნებს ეოველსა მორწმუნესა თჳსსა ჯამსა და სმასა და სიძვასა უძღებებით“ და იმედს აძლევს მათ, რომ „არავის ჩუენდა მომართ მლოცველსა უტევებთ ჯოჯოხეთად, რამეთუ კარსა სამოთხისასა მე ვჩიო“.

ბაგრატი იმოწმებს 82-ე ფსალმუნის ტექსტს და მოწინააღმდეგეს უჩვენებს, რომ აქ არათუ რაიმე მისი სასარგებლო, პირიქით, საპირისპირო წერია. ასევე მოჰამედს არაფერში ეთანხმება არც „დაბადება“ და არც „სახარებაო“, – დაასკვნის მწერალი.

ნაშრომში უკუგდებულია მაჰმადიანთა თვალსაზრისი, თითქოსდა მათი რელიგიური ცენტრი მექა იყოს ის წმინდა ადგილი, სადაც „ეჩუენა ღმერთი აბრაჰამს“ და ამ უკანასკნელმა „აღუშენა მუნ საკურთხეველი უფლისა“.

აქვე გაბიაბრუებულია მოჰამედის მიერ დაწესებული „დღითი-დღეთი ნათლისღებად წელითა, რომელსა ეწოდა «ყუსლ»“ და „წლითი-წლადი ნათლისღებად, რომელ-ა შაჰბანსა შინა“.

საბასრობლად, საკიცხველად და საცინლად არის შეფასებული მოჰამედის მონათხრობი, ვითომც ის ღვთისგან მოვლენილი უცნაური ცხენით, გაბრიელ მთავარანგელოზის წინამძღოლობით „აღვიდა ზეცად და მიიწია ვიდრე ფარდისა მის, რომელ არს წინაშე ღმრთისაჲ“, სადაც მან „იხილა კელი ერთი ფარდით გამო, რომელმან მოსცა მას ნახევარი ვაშლისა“. შემდეგ ნათქვამია, რომ ეს ხელი მისი სიძის, ალის, იყო.

მოჰამედი შინაურების წინაშეც თვალთმაქცი და მატყუარაა. რაკი მას მემკვიდრე ვაჟი არა ჰყავდა, „სიძესა თჳსსა ალის ... ეტეოდა: შემდგომად ჩემსა შენ მემკვიდრედ დაგიტევებ მსაჯულებასა ჩემსა და წინაწარმეტეველობასაო. და რაჲ იგი მცირედ განიშორის“, ამასვე „უქადის უმარს და კუალად უქადის ოსმანს“. ამიტომ იყო, რომ შემდგომ ისინი ერთმანეთს დაერივნენ და „განიეცვეს სჯული მათი და სამართალი ბევრ წილად“.

ცალკე თავში, რომლის სათაურია „წინა განწყობაჲ მართლისაჲ სარწმუნოებისა“ სხვადასხვა თვალსაჩინო მაგალითის მოხმობით დახასიათებულია ღმერთი, როგორც სამება „სამგვამოვნებით ცნობილი“. ამავე დროს, მითითებულია მისი შეუცნობლობა, ხოლო „ეოველთა, რომელთა კელეცვეს ღვთაებისა მიებად გამოწულვილით, მათ თავნი თჳსნი შთასთხინეს წარსაწუმედელსა“.

შემდეგი მსჯელობა საღვთისმეტყველო წიგნებს ეხება. მოთხრობილია „ძველი აღთქმის“ წიგნების ებრაულიდან ბერძნულად და სხვა ენებზე თარგმნის ისტორია. რომ პტოლემე მეფემ „ჰურიათა მეფის“ მიერ გამოგზავნილი 72 მთარგმნელიდან შეარჩია 10, „აღუშენა მათ სენაკები და შეაყენა ორორი თჳთოსა სენაკსა შინა“. ჯერ ერთი წიგნი მისცა „ორთა მათგანთა. და ვითარ თარგმნეს, კუალად მისცა იგივე წიგნი ორთა სხუათა“ და ა. შ. როცა საბოლოოდ მათი ნამუშევარი ერთმანეთს შეადარეს, ისინი ერთნაირი აღმოჩნდა — „ერთსა სიტეუასა ზედა იჰოვნეს თარგმანებული“.

„ახალი აღთქმის“ წიგნების შექმნის ისტორია ასეა გადმოცემული: მ ა თ ე მ თავისი „სახარება“ იერუსალიმში ებრაელთათვის ებრაულ ენაზე დაწერა, მ ა რ კ ო ზ მ ა – ალექსანდრიაში არაბთათვის ასურულ ენაზე, ლ უ კ ა მ – „ჰრომს ჰრომთა ენითა“ რომაელთათვის, ი ო ა ნ ე მ – „დიმიშჳს ბერძენთა ენითა“ ბერძნებისათვის.

იმის საპასუხოდ, თუ გკითხავენ, შენ საიდან „გაქუს წიგნები იგი, რამეთუ არა ხარ ისრაჱლი, არცა ბერძენი, არცა ჰრომი, არამედ ქართველი?“ – თავისიანებს აცნობს ძველ ქართველ მთარგმნელთა – დავით ტბელის, სტეფანე სანანოისძის, არსენის, ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების, საბა თუხარელისა და ეფრემ მცირის ღვაწლს ქრისტიანული საღვთისმეტყველო წიგნების მშობლიურ ენაზე გადმოღებაში.

თუ მაჰმადიანი მაინც გეტყვის, განაგრძობს ავტორი, „ვითარმედ წიგნიცა ჩუენი «ეურანი» მოვლინებითა და უწყებითა გაბრიელ ანგელოზისათა აღგჳწერა ჩუენ მოჰამედ, რომელსა შინა იპოვების ... ძველი და ახალი და ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ“, მას უნდა უჩვენო ის შეუსაბამობა და წინააღმდეგობანი, რომლებიც „ეურანსა“ და ქრისტიანულ წიგნებს შორის არსებობსო. ერთ ამგვარ ნიმუშად კვლავ დასახელებულია საკითხი „რაჲსა მცნებასა ღმრთისასა გარდახდა ადამ და ევა, რომელ სამოთხით ექსორია იქმნეს?“. როცა მოსესეული „ხედ ცნობადისას“ ნაცვლად იგი „ხუარბაღს“ ასახელებსო.

მომდევნო საუბრის საგანია კითხვები, რომლებიც შეიძლება მოწინააღმდეგემ წამოჭრას: „რაჲვინსა ღმერთსა თაუანისცემ?“, „იესუ ღმრთად გრწამს თუ კაცად?“, „რაჲსათჳს განკორციელდა ქრისტე ანუ ჳისსა მომართ მოივლინა?“, „ვითარცა ესვა ღმერთსა ძე?“, „რომლისა შურისათჳს ჯუარს აცჳს ქრისტე?“, „უკეთუ წმიდათა ხატთათჳს გეტეოდეს მოჰამედიანი და კერპად უწოდდეს მათ?“, „უკეთუ საღმრთოსა საიდუმლოსათჳს გეტეოდის მოჰამედიანი, ვითარმედ – რაჲ შესწირაჲთ თქუენ ჰურსა და ღჳნოსა?“, „არა ჯჳარცმული არს ქრისტე, არამედ ერთი

ვინმე მათგანიო", „თუ ღორის ჯორცის ჭამასა გაბრალებდეს", „უკეთუ ჰირად-ჰირადთა ბანათათჳს და დღითი-დღეთა ნათლის-ღებათათჳს გეტეოდის".

თითოეული ეს საკითხი ცალ-ცალკეა გამოყოფილი და განმარტებული. ზოგან ნაჩვენებია მაჰმადიანთა თვალსაზრისი, თითქმის ყველა პასუხი კი „*ბიბლიიდან*" არის მოხმობილი.

ეს არის ის ძირითადი სადავო საკითხები, წერს ბაგრატი დასასრულს, რასაც ისლამური რელიგიის მიმდევარნი — „ისმაიტელნი, ბილწნი მოჰამედიანნი" — ქრისტიანებს უყენებენ. „თჳნიერ ამათ სიტყუადთა სხუად საჩინო სიტყუად საცილობელი" მათ არა აქვთ, თუმცა ყველაფრის პასუხი ქრისტიანულ საღვთო წიგნებში მოიპოვებაო. მწერლის დასკვნით, ამგვარ მეტოქესთან საკამათოდ და საპაექროდ მაინც ისლამის მცოდნე პირის შერჩევა სჯობს: „ეგეთსაცა კაცსა ეტეოდეთ, რომელი ფრიად მოძღუარი იყოს სჯულისა მათისა და წურთილი «ყურანსა», რამეთუ უკუეთუ უსწავლელსა კაცსა ეტეოდეს, ვერცა ერთსა სცნობს და ცუდად დაშურების".

თხზულება ბაგრატის ანდერძით მთავრდება.

¤

ამ ნაწარმოების ლიტერატურული და, საერთოდ, ისტორიულ-კულტურული სრულყოფილი დახასიათება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა დადგინდება მისი წყაროები, მთლიანად გამოვლენილი და შესწავლილი იქნება ძველი ქართული პოლემიკური მწერლობა, განსაკუთრებით, ცხადია, ანტიმაჰმადიანური თხზულებანი. ერთი უმთავრესი წყარო, რასაც თვით მწერალი მიუთითებს და თვალნათლივია, გახლავთ „*ბიბლია*", რომლის საუკეთესო ცოდნასაც ავტორი ყველა ნაბიჯზე ამჟღავნებს. ქრისტიან ავტორთაგან დამატებით დამოწმებულია იოანე დამასკელი და გრიგოლ ღმრთისმეტყველი (მაგალითისათვის შევნიშნავთ: VIII საუკუნის მწერალი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, იოანე დამასკელი, ბაგრატისათვის განსაკუთრებით საინტერესო იმ მხრივაც იყო, რომ მის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ის-

ლამის კრიტიკას). ცალკე საგანგებო კვლევასა და შესაბამისი დარგის სპეციალისტს მოითხოვს მეორე მხარე: რამდენად წიგნიერად და საფუძვლიანად იცნობს მწერალი ისლამს და რა აქვს ხალხისაგან ზეპირი გზით შეთვისებული[3]. აღძრული საკითხებიდან უშუალოდ თვითონ რომელს ამუშავებს და რომელს მსგავსი ხასიათის ნაშრომებიდან მზამზარეულად იღებს; რამდენად ობიექტურად ან მიკერძოებით გადმოსცემს საწინააღმდეგო რელიგიურ შეხედულებებს და ა. შ. საკითხავია ისიც, ქართულ ენაზე მოიპოვება თუ არა სხვა ნაშრომები, სადაც ასე საგულდაგულოდ, ფართოდ და გამოწვლილვით განიხილება ქრისტიანთა და მაჰმადიანთა სარწმუნოებრივი დავა.

აღნიშნულ საკითხებს, ნაშრომის შინაარსობრივ რაობას, გაკვრით და ზოგადად ეხება ნიკო მარი და არსებითად სწორად განსაზღვრავს მას, თუმცა მის მიერ მოხმობილ ზოგიერთ საბუთს სიზუსტე აკლია. მისი შეფასებით, აქ ასახულია ისლამის შესახებ ქრისტიანობაში შემუშავებული თვალსაზრისი და ძირითადად კრიტიკის საგანია სპარსელი მაჰმადიანები – შიიტები. ამდენად, რასაც მწერალი ქრისტიანული ლიტერატურიდან არ იღებს, იგი მომდინარეა სპარსულიდან და არა არაბულიდან. ეკამათება რა თედო ჟორდანიას, რომელმაც არ იცის, რომ იაკობ შემოქმედელის ანტიმაჰმადიანური პოეტური ნაწარმოები ბაგრატის თხზულების გალექსილი ვერსია არის და არა არაბული მასალების დამოუკიდებელი დამუშავების შედეგი, მეცნიერი წერს:

„Если бы даже можно было допустить, что сходства полемического труда Иакова с таким же трудом Баграта объясняются не зависимостью одного от другого, а общностью источников, то и тогда было бы необходимости считать эти источники арабскими. Данныя о Магомете и му-

[3] ზოგიერთი ცნობა ხალხური გადმოცემიდან რომ აქვს აღებული, ამას მწერალი ერთგან თავად მიუთითებს. მექადან მედინაში მოჰამედის წასვლაზე წერს: „ხოლო ესეცა თქმულ არს ამის უღთოსათჳს...“

сульманстве, сообщаемыя в названных трудах, в большинстве служат к осуждению ислама; значительная их часть, христианской, и представляет продукт вообще христианского тенденциозного представления о магометанстве. Такия же частности, приотожествление Алия с Богом и упоминание об ангеле ფერი..., привратник рая, а также персидския формы большинства мусульманских терминов указывают на то, что Грузинские авторы имели виду главным образом мусульман-персов, шиитов, и зависели от персидских источников"[4].

ალისა და ღმერთის იგივეობაზე მითითებისას ნ. მარს მხედველობაში აქვს თხზულების ის ადგილი, სადაც მოხმობილია მაჰმადიანთა გადმოცემა მოჰამედის ზეცაში ღმერთთან ამაღლების შესახებ. აქ მან „იხილა კელი ერთი ფარდით გამო, რომელმან მოსცა მას ნახევარი ვაშლისა". დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ მოჰამედმა გაიგო, რომ ეს ხელი მისი სიძის, ალის, ყოფილა, რომელსაც ალმოაჩნდა ვაშლის მეორე ნახევარი. ამის გამო, წერს ბაგრატი, „რომელნიმე სარკინოზნი იტყჳან, ვითარმედ (...) ალი ღმერთი არს, და სხუად, ოველი სარწმუნოებად - ცუდ, არამედ სხუანი არ ერჩიან ამას სარწმუნოებისა და ალის იმამად უწოდენ და იმამ მოჰამედს უზეთაესად იტეკჳან...".

შიიზმის კვალი აქ იქიდანაც ჩანს, რომ ამ მიმართულების მიმდევრები ალისა და მისი შთამომავლების განსაკუთრებულ უფლებებს აღიარებენ და კანონიერ იმამად (ხალიფად) მათ მიიჩნევდნენ.

ფერი/ფირი ანგელოზის შესახებ კი თხზულებაში ვკითხულობთ: „სამოთხედ სამუკბლისა არწმუნებს ოველსა მორწმუნესა თჳსსა ჯამსა და სმასა და სიძვასა უძღებებით და არ-

[4] Н. Я. Марр, Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести "Дареджаниани", ИИАН, 1899, февраль, т. X, № 2, გვ. 237.

ავის ჩუენდა მომართ მლოცველსა უტევებთ ჯოჯოხეთად, რამეთუ კარსა სამოთხისასა მე ვზიო. და კვლაჟად ქადაგებს უცხოთაცა ანგელოზთა, რომელნი არასადა სმენილ არიან, რომელთა უწოდა ფ ი რ ი, რომელნი ცოლ გვექმნებიან სამოთხესა შინაო და ი დ რ ი ს ს – უცხოსა ვისმე წინაწარმეტყუელსა, რომელთა სახელებიცა არა უწყიან“.

აქ სამოთხის კარის მპყრობელია არა ანგელოზი „ფირი“, არამედ თავად მოჰამედი. „ფირის“ კი ანგელოზისათვის ყოვლად შეუფერებელი და გამომრიცხავი, ცოლის დამამცირებელი ფუნქცია მიეწერება.

ბაგრატის თხზულების ღირსებას ეხება ივანე ლოლაშვილი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა თხზულების ბიბლიოგრაფიული ცნობები ძველ ქართულ მწერლობაზე და ამ ცნობებისა და მწერლის ენის გამო მთელ ნაწარმოებს დაბალი შეფასება მისცა. „ძეგლის შინაარსობრივი ანალიზი ცხადეოფს, – წერს იგი, – რომ ბაგრატი კარგი განათლების მწერალი არ ეოფილა. მისი მდარე ლიტერატურული ენა და ქართული მწერლობის ზერელე ცოდნა ავტორის დაბალ განსწავლულობაზე მეტყველებს, მაგრამ «მოთხრობამ» მწერლობაში მაინც გაიკვლია გზა“[5]. მკვლევარს მხედველობაში აქვს ამ ნაშრომის იაკობ შემოქმედელის მიერ ლექსად გარდაქმნის ფაქტი და ორივე ვერსიის ხელნაწერთა სიმრავლე. მისი დასკვნით, საზოგადოების ამგვარი დაინტერესება გამოიწვია ამ ნაწარმოებთა პოლემიკურმა სიმძაფრემ და ეპოქის მოთხოვნილებამ. „ორივე ძეგლის ასეთი გავრცელება – აგრძელებს მეცნიერი მსჯელობას, – აიხსნება იმით, რომ ისინი დაწერილია მწვავე პოლემიკური ტონით მაჰმადიანური სარწმუნოების განსაქიქებლად და, რაკი ეპოქა მოითხოვდა, რომ ქართველობას თავი დაეცვა გამაჰმადიანებისაგან, რასაც ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები (ირანი და ოსმალეთი) ყოველნაირი საშუალებით

[5] მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI–XIX სს.), გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1982, გვ. 11.

ცდილობდნენ, ეს ძეგლები ქართველ ქრისტიანებს აძლევდნენ ცოდნას და საშუალებას მაჰმადიანთა წინააღმდეგ ჰოლემიკაში მონაწილეობის მისაღებად და ხალხში ქრისტიანობის განმტკიცების ურუეე შესაძლებლობას“ (იქვე, გვ.12–13).

„მოთხრობა სჯულთა ულმრთოთა თათრისათა...“ მხატვრულ სიტყვიერებას არ განეკუთვნება. იგი პოლემიკური ნაშრომია და ამ სახის ქმნილებათა ღირსება, ზემოქმედების ძალა უპირველესად მოყვანილი საბუთებისა და მწყობრი ლოგიკურობის სიმძლავრით უნდა განისაზღვროს. აღნიშნული თვალსაზრისით, ეს ნაწარმოები დღესაც შთამბეჭდავია და, ძველად რომ ქმედითუნარიანი ყოფილა, ამას მისი გავრცელებულობა ამტკიცებს. ნაწარმოები ისე ოსტატურადაა აგებული, ისლამი იმგვარადაა გამოყვანილი და ქრისტიანობასთან დაპირისპირებული, რომ იგი შინაგანად არამყარ, ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებათა და მონაჭორ ამბავთა გროვად წარმოგვიდგება. ჩვეულებრივი ქრისტიანი მკითხველისათვის, მეტადრე ძველად, ნაკლებმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ის, თუ ავტორი რამდენად ზუსტად იმოწმებს ისლამურ დოგმებსა და ამ რელიგიურ შეხედულებათა ღირსებებიდან რას უვლის გვერდს.

ბაგრატს სრულად აქვს შეგნებული, რომ მაჰმადიანებთან პოლემიკისას აუცილებელია ამ რელიგიური დოგმებისა და, კერძოდ, *„ყურანის“* კარგი ცოდნა. ამიტომაც მოგვიწოდებს, ამ საქმის მოგვარებას „ეგეთსაცა კაცსა ეტ-ეოდეთ, რომელი ფრიად მოძღუარი იეოს სჯულისა მათისა და წურთილი «ეურანსა», რამეთუ უსწაელელსა კაცსა ეტეოდეს, ვერცა ერთსა სტნობს და ცუდად დაშურების“. თვითონ მწერალი ისლამის საკმაო მცოდნედ წარმოგვიდგება. თხზულებაში მუ-ჰამედის ცხოვრების შესახებ მოცემული ცნობები ძირითადად ემთხვევა აღმოსავლურ ლეგენდებსა და ევროპულ მეცნიერებაში მიღებულ შეხედულებებს. ამ მხრივ, ვფიქრობთ, საკმარისია და მხოლოდ დავიმოწმებთ შესანიშნავი მწერლისა და მკვლევრის, გიორგი ლობჟანიძის, მიერ მოხმობილ ცნობებს, რომლებიც მას *„ყურანის“* თავისი თარგმნილი წიგნის შესავალში მოჰ-

ყავს (ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, კავკასიური სახლი, თბ., 2006).

დავიწყოთ მოჰამედის ახალგაზრდობის დროინდელი საქმიანობით: თხზულებაში ვკითხულობთ: ის „შეუდგა აქლემებით მსახურებად დედაკაცსა, ვისმე თჳსსა ნათესავსა, – მდიდარსა მონაგებთგან; და შემდგომად ქრმისა თჳსისა ცოლ ეყო მას დედაკაცი იგი. და ვალნ (...) იგი ვაჭრობად იერუსალემს და ეოველთა მათ ადგილთა არაბეთისათა“.

გ. ლობჟანიძე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით აღნიშნავს: „594 წელს 24 წლის მუჰამადი ერთი მდიდარი ქვრივის სადიჯა ბინთ ხუვაილდის სავაჭრო ქარავანთა უფროსად დაინიშნა. სადიჯა მანამდე ორჯერ გათხოვილიყო. მამისა და ერთ-ერთი გარდაცვლილი ქმრისაგან საკმაო ქონება დარჩენოდა და შამის ქვეყნებთან დიდ საქარავნო ვაჭრობას ეწეოდა. ორმოცი წლის ქვრივი იმდენად მოხიბლულა ახალგაზრდა მუჰამადის ჰიროვნული ღირსებებით, რომ მისთვის ხელი თვითონვე შეუთავაზებია“ (გვ. 15).

ბაგრატი: მოჰამადი „ისწავებნ და ეძიებნ ეოველთგან სწაელულთა სჯულისათა სჯულსა და ნათესავსა და სიტეუასა სჯულისასა. და უფროსღა მონაზონი ვინმე ნესტორიანი ჰოვა მან ექსორიაქმნილი წვალებისათჳს მისისა ქუეყანასა მას მადიამისასა დ ამას ეზრახებინ მარადის“.

„შესავალი“: მუჰამადის „ბიოგრაფები აქვე საგანგებოდ მიუთითებენ, რომ სირიაში ერთ-ერთი მოგზაურობისას, ზოგი ცნობით, ჯერ კიდევ 12 წლის, ზოგი წუაროთი, უკვე მოწიფული, მუჰამადი ქრისტიან ბერს ბაჰირას შეხვედრია და მასთან უსაუბრია. ბერს მუჰამადში მომავალი წინასწარმეტყველი შეუცვნია“ (გვ. 15–16).

ბაგრატი: „ხოლო იეო მოჰამედ სენითა შავნაღვლიანობისათა ვნებული და დასცემნ მას ჰაემანსა თჳსსა. და ცნა რაჲ ესე ცოლმან მისმან, შეწუხნა ფრიად და იურვოდა. არამედ მოჰამედ მზაკუარებისა

მანქანებითა დააჯერა, ვითარმედ ჩუენებით იხილავს შჯა-
რაილს მთავარანგელოზსა, რომელ არს გაბრიელ, და ვერ
უძლებს კილვასა მისსა და ქუეანად დაეკუეთების.
და მიუთკრა ცოლმან მისმან მონაზონსა მას ნესტორიანსა და
საკელი ანგელოზისა აუწყა. ხოლო მონა-ზონმან დააჯერა და
გულსაყე ეო, ვითარმედ *ჭეშმარიტად ეგრეთ არს*. და *ანგელოზი*
იგი ეოველთა წინაწარმეტეველთა მი-იღებიხ. და დაიჯერა
დედაკაცმან მან სიტეუაჲ მაცთურისა ბერისა და მიუთხრა და
არწმუნა ეოველთა დედათა, ვითარმედ *ქმარი ჩემი ჭეშმარიტად*
წინაწარმეტეველი არს".

„შესავალი": „...მატერიალისტურად განწეობილი ევ-
როპელი აღმოსავლეთმცოდნეები შეცადნენ, მუჰამადის ხასიათი
მისი ფიზიკური დაავადებით აეხსნათ. ჯერ ფიქრობდნენ,
რომ იგი ჩვეულებრივი შიზოფრენიით იტანჯებოდა. XIX
საუკუნის ბოლოს კი გერმანელმა ორიენტალისტმა და ექიმმა
შპრენგერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მუჰამადი დაავადებული
იეო მუსკულური ისტერიით. სუსტი შეტევისას ავადმეოფობა მუ-
სკულატურის სპაზმური გაფართოება-შეკეთროებით ვლინდება.
ენა და ბაგეები ცახცახებენ, თვალები ერთხანს არაბუნებრივად
ტრიალებს, თავი ავტომატურად ბრუნავს და ავადმეოფს თავის
საშინელი ტკივილი აწუხებს. ძლიერი შეტევისას კი მუსკულურ
ისტერიას გაშეშება ახასიათებს. დაავადებული მიწაზე
ვარდება და ხევდება. გონებას კი არ ჰკარგავს და ძირი-
თადად ამით განსხვაედება მუსკულური ისტერია ჩვეულებრივი
გულერისაგან" (გვ. 16).

შემდეგ: „ევროპელი ავტორები, შპრენგერიდან გამომ-
დინარე, დაწვრილებით აღგეიწერენ მუსკულური ისტერიის სხვა
სიმპტომებსაც. მაგალითად აღნიშნავენ, რომ ამ დაავადებისათვის
ნიშნულია ის, რომ ავადმეოფები – მეტ-ნაკლებად ეველა
სიცრუისა და თვითმოტეუებისაკენ არიან მიდ-
რეკილნი. ამას გარდა, ისტერიკული ადამიანები ძალზე
მგრძნობიარენი არიან და შეუძლიათ მღვიძარეებმა იხილონ

სიზმრები, მათ აქვთ ხილვები, ვარდებიან ექსტაზში და იტანჯებიან ჰალუცინაციებით“ (გვ. 17).

შემდეგ: „610 (ზოგი წყაროთი 612) წელს“ მუჰამადმა მექადან ერთი საათის სავალზე, „აქ გარშემოდგარ გორაკებზე ოდნავ ამაღლებულ ჰირას მთის წვერზე გამოეცხადა მუჰამადს ჰირველად ზებუნებრივი არსება, რომელსაც მუსლიმური გადმოცემა ჯიბრაილ ანგელოზთან აიგივებს, ეურანი კი მას «სანდროს», «დიდი ძალის მქონესა» და მოგვიანო, – მედინური ხანის ფრაგმენტებში სიწმინდის სულს უწოდებს“ (იქვე, გვ. 17).

შემდეგ: „მური და შჰრენგერი სამართლიანად შენიშნავენ, მუჰამადის გულწრფელობის ერთ-ერთ საუკეთესო დასტურად გვევლინება ის, რომ მისი ქადაგებისა ჰირველ რიგში მისივე ოჯახის წევრებმა ირწმუნესო. ჰირველად ისლამი მისმა ცოლმა ხადიჯამ მიიღო. ქალი თავიდანვე მფარველი ანგელოზივით იდგა ქმრის გვერდით: ამშვიდებდა, როცა დასცინოდნენ (...). ხადიჯასთან ერთად ირწმუნეს მუჰამადის ქალიშვილებმა“ (გვ. 18).

ეს მაგალითი, ვფიქრობთ, საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ბაგრატი იცნობს მოჰამადის შესახებ არსებულ ცნობებს და მათ უარყოფითი სახით ოსტატურად წარმოგვიდგენს.

ცნობილია, რომ ისლამი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა ქრისტიანობასა და იუდაიზმს და უმთავრესი საბუთი, ქვაკუთხედი, რასაც მწერალი წარმატებით იყენებს, აქედან გამომდინარეა. ეს რელიგია არ უარყოფს *„ძველი“* და *„ახალი აღთქმის“* უმთავრესი წიგნების ღვთაებრივ წარმომავლობას. წინასწარმეტყველებად აღიარებს ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს, დავითს, სოლომონს, იოანე ნათლისმცემელს, ქრისტესა და სხვებს. „ყურანში“ ღმერთი აცხადებს ან მოჰამედს ეუბნება[6]: „სრულის ჯეშმარიტებით მოავლინა წიგნი, რომელიც მის

[6] სხვა საკითხია, საიდან მომდინაირეობს ეს ერთობა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „საერთოდ კი, ეურანში ბევრია იუდეველთა და ქრისტიანული ელემენტი, რომლებიც შეთვი-

სებული უნდა იყოს არა იუდეველთა და ქრისტიანთა წიგნებიდან, არამედ ზეპირი გზით, თალმუდიტებისა და ქრისტიანი ბერების მეშვეობით“ (ი ს ლ ა მ ი, ენციკლოპედიური ცნობარი, შემდგენლები: კარლო კ უ ც ი ა, მეგი მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, გიორგი ს ა ნ ი კ ი ძ ე, მიხეილ ს ე ა ნ ი ძ ე, გოჩა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, შესავალი წერილი ხელმძღვანელობა გოჩა ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ა, თბ., 1999, გვ. 203).

„ყურანს“ ეიმოწმებთ პეტრე მ ი რ ი ა ნ ა შ ე ი ლ ი ს თარგმანის (1906) მეორე, ფოტორეპროდუქციული გამოცემის მიხედვით (თარიღი არ აწერია), რომელიც არა დედნიდან, არამედ, მიღებული შეხედულებით, ფრანგულიდან მომდინარეობს. ვუდარებთ იგნატი კრაჩკოვსკისეულ რუსულ მეცნიერულ თარგმანს. ეს კი დედნიდან, არაბულიდანაა, შესრულებული (Коран, Перевод и комментарии И. Ю. К р а ч к о в с к о г о, М., 1963).

ასე იყო თავიდანვე, როცა ამ სტატიას ვწერდი და ებეჭდავდი. ახლა, ამ წიგნში შეტანისას, გადავწყვიტე, მესარგებლა ზემორე დასახელებული ამ ძეგლის გიორგი ლობჟანიძისეული თარგმანით, რომელიც დედნიდან არის გადმოღებული, მაგრამ, როცა თავფურცელსა და მთარგმნელის „შესავალს“ გავეცანი, ამ განზრახვაზე ხელი უმალვე ავიღე. წინ აღნიშნულია: „ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი თარგმანის ანდა მისი ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს გადაბეჭდვა, ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი მ ი ზ ნ ი ს ბეჭდური და სამაუწყებლო სახით გ ა მ ო ც ე მ ა მთარგმნელთან და «კავკასიურ სახლთან» შეუთანხმებლად“ (გვ. 4). მთარგმნელის შესავალში ამის მიზეზიცაა დასახელებული. ბატონი გიორგი წერს: „... იმედი გვაქვს, რომ ეურანის ჩემეული თარგმანი ყოველი შემდგომი გამოცემისას კიდევ უფრო დაიხვეწება. ამიტომაც წინამდებარე ტექსტის გ ა დ ა ბ ე ჭ დ ვ ა საამაუწყებლო (ბეჭდური და არაბეჭდური) სახით გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა და გ ა მ ო ც ე მ ა მთარგმნელთან შეუთანხმებლად ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა“ (გვ. 104). რაც შეეხება ამ წიგნის შესავალს, მის გამოყენებასა და ციტირებას არც ავტორი და არც „კავკასიური სახლი“ არ კრძალავენ.

ჩვენი საკითხისათვის *„ყურანის“* შინაარსის გაცნობა საკმარისია, ტექსტის ზედმიწევნით წარმოდგენა აუცილებელი არ არის. ამიტომ აღნიშნული დაბრკოლების გადალახვას, ამ წუალებას გვერდი ავუარეთ და, რაც ადრე გვქონდა, იმით დავკმაყოფილდით. თუმცა მაინც გავეცანით და რამდენადმე ვიყენებთ „ყურანის“ პირველ რვა სურას, რომლებიც აპოლონ სილაგაძემ თარგმნა და

უწინარეს ყოფილს განამტკიცებს; მაღლით დაბადება (თ ო რ ა) და სახარება (ი ნ ჯ ი ლ ი – ბ. დ.) გარდმოავლინა კაცთა დასაბრიგებლად“ (3. 2).

ა. სილაგაძის თარგმანი: „ალლაჰი – არა არს ღმერთი გარეშე მისა, ზემოავლინა შენზე წიგნი ჭეშმარიტებით, დამმოწმებლად იმისა, რაც მის უწინარეს იყო; და თ ო რ ა და ს ა ხ ა რ ე ბ ა მოავლინა“ (3. 2–3).

„წერილის ხალხთა უთხარი: მტკიცეს ვერაფერს დაემუქროთ, ვიდრე არ დაიცვათ დაბადება (თ ო რ ა) და სახარება (ი ნ ჯ ი ლ ი – ბ. დ.) და რაც ღმერთმა მაღლით გარდმოავლინა“ (5. 72).

ა. სილაგაძის თარგმანი: „თქვი შენ: «ჰო, წიგნის ხალხო! არაფერზე არ იდგებით თქვენ, სანამ თორას და სახარებას არ დაიცავთ და იმას, რაც თქვენი უფლისაგან ზემოგევლინათ»“ (5. 68).

„უთხარით: ჩვენ გვრწამს ღმერთი (ა ლ ლ ა ჰ ი) და ვინც მაღლით მოგვევლინა, აბრაამ (ი ბ რ ა ჰ ი მ) და ისმაელ (ი ს მ ა ი ლ), ისაკ (ი ს ხ ა კ), იაკობ (ი ა კ უ ბ), თორმეტი ტომი; ჩვენ გვრწამს წ ი გ ნ ე ბ ი, რომელიც მოსესა (მ უ ს ეს) და იესოს (ი ს ეს) ებოძათ, რომლებიც წინასწარმეტყველებს ჩაჰბარდათ უფლისაგან; ჩვენ არ ვ ს დ ე ბ თ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ს მ ა თ შ ო რ ი ს და ღმერთსაც მივენდობით“ (2. 130).

ა. სილაგაძის თარგმანი: „თქვით: «ვიწამეთ ალლაჰი და, რაც ზემოგვევლინა ჩვენ, და რაც ზემოევლინა იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაკს და იაკუბს, და შტოებს, და რაც ებოძა მუსას და ისას, და რაც ებოძა მოციქულებს მათი უფლისგან, ჩვენ არ

გამოსცა (ყურანი, სურა პირველი, სურა მეორე, თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა, თბ., 2009. ამაღე წელს ცალ-ცალკე წიგნებადაა გამოსული აგრეთვე (ასეა წარმოდგენილი): სურა მესამე-სურა მეოთხე-სურა მეხუთე და სურა მეექვსე-სურა მეშვიდე- სურა მერვე).

განვარჩევთ რომელსამეს მათ შორის, და მისი მუსლიმნი ვართ ჩვენ»“ (2. 136).

„ჰთქვი: გვრწამს ღმერთი (ალაჰი) და ის, რაც მოგვეულინა, რაც აბრაამს (იბრაჰიმს) და ისმაელს (ისმაილს), ისაკს (ისხაკს), იაკობს (იაკუბს) და თორმეტ ტომს გამოუცხადა, გვრწამს წმინდა წიგნები, რომელიც მოსემ (მუსემ) და იესომ (ისემ) და წინასწარმეტყველებმა ზეცითგან მიიღეს; მათ შორის არავითარ განსხვავებასა ვსდებთ ...“ (3. 78).

ა. სილაგაძის თარგმანი: „თქვი შენ: «გვწამს ალლაჰი და ის, რაც ზემოგვეულინა ჩვენ, და რაც ზემოეულინა იბრაჰიმს, ისმაილს, ისჰაკს და იაკუბს, და შტოებს, და რაც ებოძა მუსას და ისას და წინასწარმეტყველთ მათი უფლისაგან, ჩვენ არ გავარჩევთ რომელსამეს მათ შორის...»“ (3. 84) და მრავალი სხვა.

ბაგრატი ამ აღიარებას რამდენიმეჯერ იმეორებს და როგორც მთავარი, ისე ცალკეული სადავო საკითხების გადაწყვეტად იყენებს.

მწერალი უპირველესად ამაზე მიუთითებს მაშინ, როცა მაჰმადიანებს, ისმაიტელებს, ანუ ისმაელის შთამომავლებს, თავიდანვე, წარმოშობით არასრულფასოვან ხალხად სახავს და ამ მიზნით არკვევს: როგორ აფასებს ღმერთი ისმაელს, ვის აყენებს წინ, ვისი შეწირვა მოითხოვა მან – ისმაელის თუ ისაკისა. თხზულებაში ეკითხულობთ: „ხოლო ესე უღთო მოჰამედ ქადაგებს, ვითარმედ ისმაელ შეწირაო, რამეთუ ნათესავი მისი არს“. იმოწმებს სათანადო ადგილებს „დაბადებიდან“ და განაგრძობს: „მოჰამედ ჭეშმარიტად წინაწარმეტყველად უწოდს დიდსა მოსეს და წიგნსა მისასა «თორათსა», რომელ არს «შესაქმე». მუნით ისწავენ, თუ რომელი შეწირა, ანუ ვითარ ეტყოდა მაყლოანით გამო, ვითარმედ: *მე ვარ ღმერთი მამისა შენისა აბრაჰამისი და ღმერთი იხაკისი და ღმერთი იაკობისი* (გამოსლვათა 3. 6). და რად არა რქვა მას, ვითარმედ: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ისმაელისი და ისაკისა, უკუეთუ სთნდა ისმაელ ანუ ნათესავი მისი?!“

იგივე აღიარებაა გამოყენებული ძირითადი საკითხის განხილვისას: არის თუ არა მოჰამედი, როგორც თვითონ გვაუწყებს, ღვთის მიერ ქრისტეს მაგივრად მოვლენილი წინასწარმეტყველი, ხოლო *„ყურანი“ – „ძველი აღთქმის“* მემკვიდრე-გამგრძელებელი და *„ახალი აღთქმის“* შემცვლელი?

მწერალი მაჰმადიანთა პოზიციას არსებითად სწორად წარმოგვიდგენს. *„ყურანში“* ვკითხულობთ: „ნუთუ სთქვან: მან (მუჰამედმა) მოიგონაო (ეურანი), უთხარ: თუ ჩემი მოგონილია, ჰეავთ, ღვთისგან (ალაჰისგან – ბ. დ.) არაფერი მიჭიღო... ჰსთქვი: მე არა ვარ მარტო ერთი მოციქული, რომელიც კი ოდესმე ყოფილა და არც ვიცი, თუ ღმერთმა (ალაჰმა – ბ. დ.) რა უნდა ჰქმნას ჩემგან, არც ის, თუ რა უნდა ჰქმნას თქვენგან; მე აგაეოლებთ მხოლოდ მას, რაც განმეცხადა. მხოლოდ საჯაროდ გაფრთხილებას დავალებული ვარ. მათ უთხარ: რა გგონიათ? თუ ეს წიგნი ღვთისაგან (ალაჰისაგან – ბ. დ.) მოდის და თქვენ არა გრწამსთ, თუ მოწმე, ისრაელის შვილთა შორის არჩეული კაცი ამტკიცებს მის თანხმობას მოსეს (მუსეს – ბ. დ.) წიგნთან და ერწმუნება, ხოლო თქვენ ამაყად უარჰყოფთ, ჰსთქვით: რა ბედის ღირსნი ხართ? მაგრამ ღმერთი (ალაჰი – ბ. დ.) არ წარუმართებს ბოროტთა. ურჯულო-ები მორწმუნეთათვის ამბობენ: ეურანი რომ კარგი ყოფილიეო, მის მიღებას ვერ დაგვასწრებდნენო, ხოლო, რადგანაც წინამძღოლად არ ღებულობენ მას, კიდეც ამბობენ, ძველი დროის სიცრუეაო. ეურანამდე მოსეს (მუსეს – ბ. დ.) წიგნი იყო, ბოძებული კაცთათვის გამძღოლად და ღვთის (ალაჰის – ბ. დ.) მოკეთეობის დასამტკიცებლად; დიახ, ეს (ეურანი) განამტკიცებს არაბულის ენით მეორესა, რაც ბოროტებს ეუწეოსთ, ხოლო ქველთა მიიღონ სანეტარო ამბები“ (46. 7–11).

„იესო (ისა – ბ. დ.), მარიამის ძე, თავის ხალხს ეუბნებოდა: ისრაელის შვილებო, ღვთის (ალაჰის – ბ. დ.) მოციქული ვარ, თქვენდამი მოვლინებული, რათა განვამტკიცო დაბადება (თორა), რომელიც ჩემს უწი-

ნარეს მოგეცათ, და გაუწყოთ მოსვლა ჩემ შემდგ მოციქულისა, რომლისა სახელი იქმნეს აჰმედ (ახმად – ბ. დ.), ხოლო, როცა მან (იესომ) ცხადი სასწაულები ახილვებინა მათ, ჰსთქვეს: ცხადი თვალთმაქცობააო" (61. 6).

ბაგრატის ნაშრომში ეს ამბავი მეტი სიმძაფრით არის გადმოცემული. ქრისტეს ჯვარცმასა ზეცაში ამაღლებას მოჰამედი ასე გადმოგვცემსო: „ოდეს მიიწია სისრულედ ჰასაკისა, მარადღე ურიცხუთა მკუდართა აღადგინებდაო. აღივსნეს შურითა და სდევნიდეს მას ჰურიანი, რაჟთამცა მოკლეს იგიო. ხოლო იესო ანგელოზისგან ზეცად აღიტაცა. და ჰოვეს ვინმე, რომელსა დასდებოდა სახე მისი და იგი ჯუარს აცუსო. და ვინაითგან ფრიად იგლოვდა მას დედამისი მარიამ, შემდგომად ორისა დღისა, მოივლინა და ნუგეშინისცა მარიამს და აუწყა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ არა მიტევეს მე ჰურიათა მოძღურებად და სხუა წინაწარმეტეველი აღგიდგინოს თქუენ ღმერთმან, რომლისა სახელი მოჰამედ, მისი ისმინეთო, რამეთუ იგი არს ბეჭედი ეოვლისა წინაწარმეტეველებისაო. და ამაღლდა ზეცად და მეოთხესა ცასა შინა მჯდომ არს, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისაო".

მეორე ადგილას მოჰამედზე ამბობს: „და იტეჳს, ვითარმედ: ვითარცა იცვალა სჯული მოსესი სჯულითა ქრისტეისითა, ეგრეთვე მოძღურებითა ჩემითა დაესრულა სჯული ქრისტეისიო, რამეთუ იესო წინაწარმეტეველი იეო და მოსლვასა ჩემსა ქადაგებდაო. და მე ვარ ბეჭედი ეოვლისა წინაწარმეტეველებისაო, რამეთუ დიდნი და უზეშთაესნი წინაწარმეტეველნი ესე ოთხნი ვართო: მოსე, დავით, იესო და მეო და წიგნებიცა ჩუენიო: თავრათ, ზაბურ, ინჯილ, ფურეან, რომელ არს თარგმანებით: „დაბადებაჲ", „ფსალმუნი", „სახარებაჲ" და „ეურან" – წიგნი იგი მისი,

ესე ჩუენ რომელსა კუალად ფურუანსაცა ეტეკან, ეუარანსაცა და ქალამლასაცა და მუსჰაფისაცა. ესე ჩუენ ოთხთა წინაწარმეტეულთა წიგნები ზეცით შთამოგვიდაო".

ვიდრე მწერალი მოწინააღმდეგის თვალსაზრისის გადმოცემას გააგრძელებდეს, რაკი მან *„ფსალმუნი"* ახსენა, მას სიტყვაზე იჭერს და აცხადებს: „უკეთუ «ფსალმუნი» ზეცით მოსრულ არს, უსმინოს, რაჲსა იგი იტეკს მეოთხმეოცდაორესა ფსალმუნსა შინა ამათ ისმაიტელთათჳს" და დამოწმებულია მისი ტექსტი, სადაც ისმაიტელები, აგარიანელები მიწასთან არიან გასწორებულები. ასევეა ისინი წარმოდგენილიო, დაასკვნის მწერალი, *„ფსალმუნში"* ყველგან და *„ბიბლიის"* სხვა წიგნებშიაცო. რიტორიკული კითხვა კი ასეთია: „უკეთუ ზეცით მოსრული არს „ფსალმუნი", სიტეუაჲ მისი სარწმუნო არს, რაჲ წამებაჲ იჰოების მოჰამედისა „ფსალმუნსა" შინა, ანუ „შესაქმესა", ანუ „სახარებასა" ეოვლად სადაცა?!"

მესამე შემთხვევაში, როცა ბაგრატი ბიბლიური წიგნების შექმნაზე, მათ ბერძნულად და შემდეგ ქართულად თარგმნაზე საუბარს მორჩება, ამ საკითხს ისევ უბრუნდება და მოკამათის კითხვას ასე აყალიბებს: „ხოლო უკეთუ გრქუას, ვითარმედ წიგნიცა ჩუენი «ეურანი» მოჲლინებითა და უწეებითა გაბრიელ ანგელოზისათა აგჳწერა ჩუენ მოჰამედ, რომელსა შინა იჰოების ეოველი ეოფილი, – სოფლის შესაქმითგან ვიდრე მოჰამედამდე, ძველი და ახალი და ჭეშმარიტი ესე სარწმუნოება ჩუენი, რომელი ეუწეა მოჰამედს და სჯულისდება და აღსასრულისათჳს სოფლისა და აღთქმა იგი, რომელი აღგჳთქუა ჩუენ მოჰამედ მორწმუნეთა თჳსთა. რაჲდღა საკმარ არს ჩუენდა სხუაჲ წიგნი, რამეთუ ესე მოჰამედ არს წინასწარმეტეული უკანასკნელთა ჟამთა და წიგნითა მისითა დაებეჭდა ეოველსა წინაწარმეტეულებასა და სჯულსა და მოძღურებასა და სამართალს და მცნებასო?".

სანამ აღნიშნულ მთავარ საბუთს წარმოადგენდეს, მწერალი გვირჩევს, ჯერ მოპასუხეს ვკითხოთ: „უკუეთუ

სოფლის შესაქმითგან ვიდრე აღსასრულამდე ეოველი ეოფილი უკლებად იპოვების წიგნსა მაგას შინა «ეურანსა», მაშა, ჰირველითგან ვიტეოდეთ, რასა მცნებასა ღმრთისასა გარდაკდა ა დ ა მ და ე ვ ა, რომელ სამოთხით ქსორია იქმნეს?"

როცა „იგი მოგიგებს: ... რადთამცა არა ჭამეს სუარბალი", ახლა ის უნდა ეკითხოთ: „გრწამსა მ ო ს ე, დიდი იგი წინაწარმეტეველი, მხილველი ღმრთისაჲ, რაოდენ შემძლებელ იეო ბუნებად კაცობრივი, ზღვის მოგზაური და ტაბლა მეოფელი მანანასი, რომელმან მოიხსენა ზეცით ფიცარნი ღმრთივ დაწერილნი კელითა მთავარანგელოზისათა? და გრწამსა წიგნი «თავ-რათი», რომელ არს «დაბადება»?" თუ მოწინააღმდეგე იმდენად უვიცი აღმოჩნდება, რომ იტყვს: „არა მრწამს", ამ მკრე-ხელობისათვის იგი უნდა დაიგმოს: „უკუეთუ შენ მ ო ს ე ს ა არა გრწამს, რომელსა ეწამების ეოველი სული და ეოველი დაბადებული, მე შენთა სიტეუათა ვერ მრწმენეს, რომელი არცა თჳთ უწეი, თუ რასა იტეკ!"

ხოლო, როცა თანხმობას მიღებ: „მრწამს, რამეთუ არა არს ტეუილი მოსეს თანა და არცა წიგნსა შინა მისსა"-ო, წარუდგენ მოსეს მონათხრობს და ეტყვი: „მოსე ესრეთ იტეკს და მოჰამედ ეგრეთ. აწ უკუე ვითარ ვირწმუნოთ მოჰამედისი და არა მოსე დიდისა წინასწარმეტეველისა?!"

ამას უშუალოდ მოსდევს განმაზოგადებელი შინაარსის შემცველი ის მთავარი პასუხი, სადაც მოწინააღმდეგისათვის ხსენებული გარემოების შეხსენება კიდევ მეტ ეფექტს იძლევა: „უკუეთუ გენებოს ეოველთა, შთამოეევ შემდგომითი-შემდგომად «შესაქმესა» მოსესა. და მათ ოცდაოთხთა წიგნთა სჯულისათა და «სახარებისა» და «სამოციქულოსა» იტეოდე და უკუეთუ ეწამებოდის წიგნი ეგე თქუენი და არა იპოოს წიგნსა მაგას შინა თქუენსა სიტეუაჲ ნაკლები ანუ ტეუილი, ანუ შეცვალებული სხუათა წინაწარმეტეველთა დამართებით და მოციქულთა-კეთილ. ხოლო უკუეთუ არა იპოვნენ სრულებით, არამედ თჳთეულისა წიგნები მცირედი რამე ნაწილი იპოვებოდის და იგიცა უმრავლესი წინააღმდგომი მოსესი და სხუათა წინაწარმეტეველთა და

მოციქულთა, ვითარ გურწმენეს? ანუ ვითარმცა დაუტევნით ვრცელნი და კეთილნი და ეოვლითა ჭეშმარიტებითა საკვნი მოთხრობანი და შეუდგეთ ახლად მოჰოვნებულსა უცხოსა რასმე მოძღურებასა? რამეთუ თჳთ მოჰამედ იტყჳს, ვითარმედ წიგნი მოსესი და დავითისა და ქრისტესი «სახარება» ზეცით გარდმოსრული არსო და აწ კუალად «ყურანი» ესე მე მომივიდაო, უწყოდე, რამეთუ იგინი ურთიერთარს ეწამებიან?“

ისლამის მიერ ბიბლიური წიგნების აღიარების ფაქტის მნიშვნელობას ბაგრატი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს თხზულების დასასრულს: „უკუეთუ სწავლული ვინმე ქრისტიანესთაგანნი სიტყუას-უგებდეს, რომელი დასაბამითგან და შემდგომისა მეცნიერ იეოს, რასაც მიზეზისათჳს ეტეოდის მოჰამედიანი, ეოველსა ზედა ჰირი დაეეოფვის ძალითა ქრისტესითა, წიგნითა მოსესითა და «მეფეთა» და «სახარებითა», რომელთა თჳნიერ თჳთ მოჰამედ ეწამებიხ“.

მეორე საბუთი, რომელიც მწერლის მსჯელობას დამაჯერებლობას მატებს, ის არის, რომ ბიბლიური წიგნები ერთმანეთს ემოწმებიან, წინასწარმეტყველებსა და ქრისტეს შორის სრული ერთიანობაა, მაშინ როდესაც „*ყურანი*“ განცალკევებით დგას და მოჰამედს არც ერთი მხარდამჭერი არა ჰყავს.

თხზულებაში ერთგან ვკითხულობთ: „აჰა, ესერა ჩუენ ქრისტიანეთა შორის ესოდენთა ჭეშმარიტთა წინაწარმეტუველთა წიგნები და «სახარებაჲ» და «სამოციქულო» მღუდელთ მოძღუართა მოწამეთა და მამათა წიგნებისა სიმრავლე ეწამების ურთიერთარს და არცაჲ ეგრეთ ირწმუნებენ უმრავლესნი ქრისტიანეთანი. ხოლო იგინი (=მაჰმადიანები) ერთითა მით ცუდითა წიგნითა (=„ყურანით“) და მოჰოვნებულითა ტუუილითა დაამტკიცებენ სჯულსა მათსა და სარწმუნოებასა“.

მოწმეთა აუცილებლობას კი თვით „ყურანი“ მოითხოვს: „არა «ეურანსაცა» ეგრეთ წერილ არს, ვითარმედ წამება ორისა და სამისა კაცისა ჭეშმარიტ არს. ხოლო რომელსა არავინ ეწამებოდის, იგი არს ცრუ?“

თუ ღვთისგან კურთხეული ისაკის, მისი ძის იაკობისა და 12 მამამთავრის შთამომავლებს „არა მოაკლდა წინაწარმეტყველი და წინამძღუარი ნათესავისა მისაგან, ვიდრე ქრისტესამდე, – ჯუმარიტისა მის მეუფისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა და მეფენი და მღუდელნი მათგან გამოვიდოდეს და დიდ-დიდნი წინაწარმეტყუელნი, ვითარცა მოსე, დავით, ილია წინამორბედნი და სხუანი წმიდანი, წინაწარმეტყუელნი, რომელთა ეწამების ეოველი ქუეყანაჲ“, სულ სხვას გვიჩვენებს აგარის ძის, ისმაილის, შთამომავალთა ცხოვრება: „ხოლო აბრაჰამისითგან ვიდრე ჰერაკლე მეფისამდე, ოდეს ესე უღთო მოჰამედ გამოჩნდა ველურთა მათ ისმაიტელთა შორის, უმრავლეს წლისა აღესრულნეს და ესოდენთა ჟამთა არა ხოლო თუ წინაწარმეტყუელი არა აღუდგა ისმაიტელთა, არამედ არცა უწეოდეს, თუ რაჲ არს წინასწარმეტყუელი. რამეთუ ეგე ვითარი წინაწარმეტყუელი არა სადა რწმუნებულ არს, რომელი მამისა მამეულად და ჰაჰის ჰაჰეულადცა არა იეო წინაწარმეტყუელი“.

ლოგიკური და შთამბეჭდავია ბაგრატის ის მოტივიც, რომ ქრისტეს ცხოვრება აღწერეს მისმა უახლოესმა მოწაფეებმა, მოჰამედი კი შეიდი საუკუნის შემდეგ გამოჩნდა. ეს არგუმენტი მაშინაა მოხმობილი, როცა მწერალი განიხილავს საკითხს: ქრისტე ჯვარს ეცვა თუ არა და როდის ამაღლდა ზეცად?

„ყურანი“ გვაუწყებს: „იესო (ისუ – ბ. დ.) არ ირწმუნეს; მარიამის წინააღმდეგ უწეალო სიცრუე გამოიგონეს. ამბობენ: ჩვენ მოვკალით მესია, იესო (ისუ – ბ. დ.) მარიამის ძე, ღვთის (ალაჰის) მოვლინებულიო. არა, არ მოუკლავთ, ჯვარს არ უცვამთ; კაცი, რომელიც მას ჰგავდა, მის ადგილას მოიუვანეს, და ვინც ამას საცილობელს ჰეოფდენ, თვითონ იგინი იჭვნეულობდნენ, ჯუმარიტის ცოდნით არ იცოდენ, მხოლოდ ზრახვას მიჰეებოდნენ. სრულიად არ მოუკლავთ. ღმერთმა (ალაჰმა – ბ. დ.) აღიტაცა თავისადმი და ღმერთიც (ალაჰიც – ბ. დ.) შემძლე და ბრძენია“ (4. 155–156).

ა. სილაგაძის თარგმანი: „და მათი ურწმუნოებისათვის; და იმისათვის, რომ უდიდესი სიცრუე თქვეს მარიამზე; და მათი სიტყვებისათვის «ჩვენ მოვკალით მესია იესა ძე მარიამისა, მოციქული ალლაჰისა»; – ხოლო არ მოუკლავთ და ჯვარს არ უცვამთ იგი, მაგრამ ეჩვენებოდათ, და ისინი, რომელიც ამაზე ცილობენ, თვითონ არიან ეჭვში ამის გამო, არავითარი ცოდნა არა აქვთ ამისა, მხოლოდ ვარაუდს მიჰყვებიან, და არ მოუკლავთ ნამდვილად იგი, არამედ ალლაჰმა აღამაღლა თავისთან, და ალლაჰი დიადი და ბრძენია“ (4. 156–158).

ბაგრატი წერს: „ხოლო უკუეთუ გრქვას: არა ჯუარცმულ არს ქრისტე, არამედ ერთი ვინმე მათგანიო, რამეთუ იესუს რადთა ემიებდეს სიკუდილად, ჰოვეს ვინმე, რომელსა დასდებოდა სახე მისიო და იგი ჯუარს აცუესო, არამედ არა იეო ქრისტეო, რამეთუ ქრისტე ანგელოზისა მიერ ზეცად აღიტაცაო და ვინადთგან დედა მისი მარიამ ფრიად იგლოვდა მას და ტიროდა და კუალად მოივლინა ზეცით და ჰრქუა მას: არა მომკუდარ, არამედ მე ვარ მე შენიო და ესრეთ რა მხიარულ იეო. შემდგომად მცირედისა კუალად აჰმაღლდა ზეცადო, შენ მიუგე მას: ვისგან უწეი, რამეთუ ეგე ეგრეთ არს? იგი მოგიგებს: *მოჰამედის მიერ, ანგელოზისა მიერ ეუწყა*“.

აი, აქ იყენებს მწერალი აღნიშნულ არგუმენტს: „შენ მიუგე მას: მოჰამედ იხილა ქრისტე ანუ წიგნი მისი უკითხავსა, რამეთუ ეოველსა წერილსა უმეცარ იეო, ანუ ნათესავთაგანი არსა იხრაელთა, იერუსალიმელთა? არა, ნუ იეოფინ! მაშა ვითარ ვირწმუნოთ მოჰამედის ისმაიტელისა, რომელი უმრავლეს შვიდასისა წლისა შემდგომად ქრისტესა გამოჩნდა და აღიზარდა ქუეყანასა მადიამისასა მწყემსობასა შინა აქლემისასა?! და თანა წარვკდეთ წიგნსა ამას ჯუარცმისა, დაფლვისა, აღდგომისა და ამაღლებისა მისისა მომთხრობელთა, წიგნთა მისთა მოწაფეთა მიერ აღწერილთა, რომელნი–იგი ახლოს ნათესავნი იყვნეს უხრწნელისა დედისა მისისანი?! და ჰირველ განმაცხოველებელისა მის ვნებისა მისისა შეუდგეს მას ეოვლითა ჯეშმარიტებითა, რამეთუ თუალითა მათითა სედვიდეს და კელნი მათნი მსახურებდეს

მას, მისთანა სუმიდეს და მისთანა ჭამდეს და მარადის მოძღურებითა მისითა განისწავლებოდეს. ხოლო შემდგომად წმიდისა აღდგომად წმიდისა აღდგომისა მისისა მრჩობლთა წუაროთა შენდობისათა აღმომაცენებელისა უბიწოსა გუერდისა მისისა განმხილველ იქმნეს და დასხნეს თითნი მათნი ადგილსა მას წმიდათა სამსჭუალთა კელთა და ფერკთა მისთასა და ორმეოც დღე თანა ექცეოდეს და ჭამდეს მის თანა".

ამ სიახლოვესთან ერთად ავტორი იმასაც ალნიშნავს, იესომ მათ რა ღირსებები მიანიჭა: „და ამისა შემდგომად მისცა მათ კელმწიფება მკუდართა აღდგინებად, კეთროვანთა განწმედად, ეშმაკთა განსხმად და სნეულთა განკურნებად. და აკურთხნა იგინი და ამაღლდა ზეცად".

აი, ასეთი თვითმხილველებისაგან ვიცით ქრისტეს ჯვარცმა, სიკვდილი და აღდგომაო, — დაასკვნის მწერალი: „ხოლო იგინი წარმოვიდეს და ქადაგებდეს სიტეუასა მას ცხორებისასა უფლისა შეწევნითა და სიტეუსა ამის დამტკიცებითა მის მიერ სასწაულნი, რომელნი შეუდგეს მათ".

ცხადია, ამ პოსტულატების შემდეგ, მის გვერდით და მის ფონზე მორწმუნე მკითხველის თვალში სხვა ძალა და ფასი აქვს იმ შეუსაბამობასა და განსხვავებას, რასაც *„ყურანი"* და, საერთოდ, ისლამური რელიგია *„ბიბლიასა"* და ქრისტიანობასთან შედარებთ ავლენს.

აქედან უპირველესად აღსანიშნავია მოჰამედის მონათხრობი ქრისტეს ჩასახვისა და დაბადების შესახებ, სადაც *„ძველი აღთქმის"* წიგნები კია დამოწმებული, მაგრამ დამოწმებულია ნაკლული, შეცვლილი და დამახინჯებული სახით.

„ყურანში" მარიამსა და ქრისტეზე სხვადასხვა ადგილას ბევრჯერ არის საუბარი. ჯერ ნათქვამია, თუ ადამისა და ნოეს (ნუჰას), აბრაამისა (იბრაჰიმის) და იმრანის (მარიამის მამის) გვარეულობიდან, რომლებიც „ერთმანეთს ჩამომავლობენ", ალაჰის ჩარევითა და შემწეობით როგორ გაჩნდა მარიამი (3. 30–33), შემდეგ იესო:

„ერთხელ ანგელოზებმა მარიამს უთხრეს: ღმერთი (ალ-ა-ჰი) გახარებს თავის სიტყვას. მას ეწოდოს მესია, იესო (ისა – ბ. დ.), მარიამის ძე, უჩინებულესი საქაოსა და საიქიოს და ღვთის მოყვასთაგანი...

უფალო, მიუგო მარიამმა, როგორ მეყოლოს ძე? მამაკაცი არ ვიცი მე. ანგელოზმა სიტყვა ჩამოართვა: ღმერთმა (ალაჰმა – ბ. დ.) ისე გააჩინოს, როგორც ინებოს. იტყვის: იყავ და იგიც იქნებაო... ღვთის (ალაჰის) თვალში იესო (ისა – ბ. დ.) იგივეა, რაც ადამ. ღმერთმა კუცისაგან დასახა იგი, შემდეგ თქვა: იყავიო და იგიც იქმნა“ (3. 40, 42, 52).

ა. სილაგაძის თარგმანი: „და აჰა, თქვეს ანგელოზებმა: ჰოი(,) მარიამ! ჯეშმარიტად, გახარებს შენ ალლაჰი სიტყვას თავისას, რომლის სახელია მესია ისა ძე მარიამისა, – იქნება დიდებული ამიერ სოფელშიც და იმიერ სოფელშიც და ერთი დაახლოებულთაგანი...

თქვა: «უფალო ჩემო, როგორ მეყოლება მე ძე, როცა კაცი არ შემხებია ჯერ». თქვა: ამგვარად – ალლაჰი იქმს, ინებებს რასაც; როცა განიზრახავს რამეს, ეტყვის მხოლოდ «იყავ!» და იქნება ის...

ჯეშმარიტად, ისა ალლაჰის წინაშე მსგავსია ადამისა, რომელიც მიწისაგან შექმნა მან, მერე უთხრა «იყავ!» და იყო ის“ (3. 45, 47, 59).

„ხოლო მარიამს, იმრანის ასულსა, რომელმაც თავისი ქალწულობა დაიცვა, შთავბერეთ ჩვენის სულის ერთი ოდენ ნაწილი, იგი ერწმუნა უფლის (ალაჰის – ბ. დ.) სიტყვებსა, მის წიგნებსა, ხოლო იგი იყო ღვთიან გვამთაგანი“ (66. 12).

ეს და სხვა მსგავსი ცნობები *„ყურანში“* მოცემულია თავისებურად გადმოცემული ბიბლიური ამბების გვერდით, მათთან დაკავშირებულად. მაგალითად, 21–ე სურაში ამგვარი დებულების წინ *„ძველი აღთქმის“* პერსონაჟთა მთელი გალერეაა წარმოდგენილი მოსედან ქრისტემდე:

„მოსესა (მუსესა – ბ. დ.) და არონს მივმადლეთ განსხვავება და სინათლე...“ (49–51).

და ამათ უშუალოდ ებმის ხსენება მარიამისა და ქრისტესი: „უწინაც მიგვინიშნებია განსხვავება აბრაამისათვის (ი ბ რ ა ჰ ი მ ი ს ა თ ვ ი ს – ბ. დ.) და გვცოდნია: როცა უთხრა თავისს მამასა და თავის ერსა: რას ნიშნავს ეს ბეგლები, ეგრე რომ გულმხურვალედ თაყვანსა სცემთო?... ემადერა ეველაზე უდიდესი კერპი; ჰკითხეთ, ნახოთ ერთი, იტეკის რახმე თუ არა?... ხოლო ჩვენ ვსთქვით: ცეცხლო, უგრილე! მშვიდობა იეოს აბრაამზე! (იბრაჰამისთვის – ბ. დ.)... “ (52–53, 64, 69).

„ვიხსენით იგი, აგრეთვე ლ ო თ ი ც (ლუთა – ბ. დ.) და გადავიეგანეთ იგი ქვეყანაში, რომლისაც მკვიდრნი სრულად ვაკურთხეთ (71)... ლ ო თ ს (ლუთს – ბ. დ.) მივმადლეთ ძალი და სიბრძნე“ (74).

„მივანიჭეთ მას ი ს ა კ (ისხაკ – ბ. დ.) და ი ა კ ო ბ (იაკუბ – ბ. დ.), როგორითაც წეს გადამეტი წეალობა და გამოვიეგანეთ იგინი სამართლიანი კაცები... ხოლო იგინი თაეგანს გვცემდენ“ (72–73).

„მოიგონე ნ ო ე (ნუჰა – ბ. დ.)... ვისმინეთ მისი და დავიხსენით იგი, აგრეთვე მისი სახლობაც დიდი უბედურებისაგან. მწე ვექმენით წინააღმდეგ მისის ერისა...“ (76–77).

„მოიგონე აგრეთვე დ ა ვ ი თ ი (დაუდი – ბ. დ.) და ს ო ლ ო მ ო ნ (სულაიმან – ბ. დ.), როცა მსჯავრსა ჰსდებენ ერთის მინდვრის გამო, სადაც ერთის სახლობის ფარეს ზარალი მოეტანა. დავესწარით მათ სამსჯავროსა. ს ო ლ ო მ ო ნ ს (სულაიმანს – ბ. დ.) მივმადლეთ გონიერება ამ საქმეში, ხოლო ორთავ ძალი და სიბრძნე და იძულებულ ვჰეავი მთები და მფრინეელები, დ ა ვ ი თ თ ა ნ (დაუდთან – ბ. დ.) ერთად ქებით ვედიდებინეთ. დ ა ვ ი თ ს ვასწაელეთ თქვენთვის აბჯრის კეთების სელობა, რათა ჰეოლოდით საფარ ქვეშე მძლავრობისაგან, რომელსაც ერთმანეთზე ხმარობდით. ნუთუ დამნახველ არ იქმნეთ? ს ო ლ ო მ ო ნ ს დაეუმორჩილეთ ჩვენ მმაფრი ქარი, მისი ბრძანებისამებრ მქროლავი ქვეყანაში, რომელიც კურთხეულ ვეავით.

ყველაფერი ვიცოდით. ხოლო მავანთა შორის დავუ-მორჩილეთ მას მისთანები, რომ ჩაიურეუმალავებდნენ მისთვის მარგალიტების ამოსაკრებად, სხვადასხვა ბრძანებასაც ასრულებდენ. მათი მეთვალეურე ჩვენ თვითონ ვიყავით (78–82).

მოიგონე იობ (აიუბა – ბ. დ.), როცა ღაღად ჰკო თავის უფლისადმი. აი, უბედურება მეწია; ხოლო გულშემატკივართა შორის ყოვლად გულშემატკივარი ხარ. მისი ვისმინეთ და დავიხსენით. იგი დამაღონებელი უბედურებისაგან: სახლობა დაგუბრუნეთ და ახალიც შეემატეთ ჩვენის მოწყალების საქმითა და საუწყებლად მათდამი, რომელნიც თაყვანს გვცემენ (83–84).

მოიგონე ისრაელ (ისმაილ – ბ. დ.), ედრის (იდრის – ბ. დ.), დულკეფლ (ზუ-ლ-კიფლ – ბ. დ.), რომელნიც მოთმინებით აიტანდენ უბედურებასა და გასაჭირსა. ჩვენის მოწყალებით შეეიფარეთ იგინი, ვინაიდგან ყველანი მართალ იყუნენ (85–86).

მოიგონე ზაქარია, როცა ხმა ჰკო თავისი უფლისადმი: უფალო მარტოდ მარტოს ნუ დამაგდებ, ხოლო შენ ხარ საუკეთესო მემკვიდრეთაგანი. ვისმინეთ მისი და მივანიჭეთ იაჰია (იოანე), ხოლო მის ცოლსა შევაძლებინეთ შობა. კეთილის საქმეებით თავის გამოჩენას ცდილობდნენ, სიყვარულით ღაღადს ჰკოფდნენ ჩვენდამი და ჩვენ წინაშე შიშით თავმდაბლობდნენ“ (89–90).

და ამათ უშუალოდ ებმის ხსენება მარიამსა და ქრისტეზე: „მოიგონე აგრეთვე ქალი იგი, რომელმაც დაიცვა თავისი ქალწულობა და რომელსაც შთავბერეთ ნაწილი ჩვენის სულისა. დავადგინეთ იგი და მასთან მე მისი სასწაულად მსოფლიოსათვის“ (91).

ყველაფერი ეს იმისათვის არის მოხმობილი, რომ ამის შემდეგ ისლამურმა ღმერთმა, ალაჰმა, განაცხადოს: „თქვენი სარწმუნოება (ისლამი) ერთი და იგივე სარწმუნოებაა, რაც წინასწარმეტყველთა; მე ვარ უფალი თქვენი, თაყვანი მეცით მე!“ (92).

ამის გამო ბაგრატი წერს: „და შთამოვევების წიგნი იგი მოსეს და მსაჯულთა და მეფეთა, საულს და დავითს, სოლომონს, რობოამს და სხუათა მეფეთა ტეუსნვასა ბაბილოვანელთასა, მცირითა და უსრულითა მტეუარითა და წინაწარმეტყუელთა წინააღმდგომობითა და მოიწევის „სახარებისა“ ესრეთ: მოაჭლინა გაბრიელ ანგელოზი მარიამ ქალწულისა – იოსებ ძელით ხუროსა მიერ თხოილისა, ჰრქუა მას: *გიხაროდენ, რამეთუ წინაწარმეტყუელი დიდი შობად არს შენგანო და შთაუსხა მას ნაშეტნაჲსაჲ მის სულისა, რომელი შთაბერა ღმერთმან პირველსა ადამს, რამეთუ მიერითგან კაცდელსა შინა ბროლისასა დამარხული აქუნდა იგი გაბრიელ სო.* და *მიუდგა მარიამ და შვა ქრისტე*“.

მწერალი მას შემდეგ, რაც აღნიშნავს, რომ მოჰამედი *„ძველი ალთქმის“* წიგნებს გაყალბებულად წარმოგვიდგენსო, ბავშვებისთვისაც სასაცილო ამბად სახავს მის მცდელობას – ქრისტე გაუთანაბროს ადამს და ერთხელ კიდევ უარყოს იესოს ღმერთობა. ამას კი აღწევს იმით, რომ „სულის ნაწილის შთაბერვის“ ნათქვამს თავისთავად დაუჯერებელ სახეს აძლევს, რასაც *„ბიბლიაზე“* დაყრდნობით აკეთებს: „ესე ერმათაცა მიერ მცირეთა საცინელ არს, რამეთუ ანგელოზნი არა რას ქვათა მიერ კელოვნებისა მოქუნე არიან დასაბამითგან. ხოლო კაცი, ვინმცა იეო ჰირველ ადამისსა, რომელმანცა გამოაქანდაკა კანდელი იგი ბროლისა?! ცუდმცა იეო ქადაგება წინასწარმეტეულთა, ცუდ სჯული და მტეუარ სახარებად. არა, ნუ იეოფინ!“.

ავტორი „სახარებაზე“ დაყრდნობით უარყოფს მოჰამედის ნაამბობს, რომ, „ოდეს ერმაღა იეო იესო, სახედა მფრინველთა თიკისათა, შთაბერის სული და განაცხოველნის იგინიო“. *„ყურანში“* ვკითხულობთ: „იესო იქმნეს მისი მოელინებული ისრაელის შვილთა მიმართ. მათ უთხრეს: მე მოვდივარ თქუენთან უფლის (ალაჰის – ბ. დ.) სასწაულებ თანხლებული: ჩიტის ნაკეთი გავაკეთო თიხისაგან, სული ჩავ-

ბერო და ღვთის ნებით ჩიტი გასულ-დგმულდეს“ (3. 43).

„მან უთხრას იესოს (ისას – ბ. დ.), მარიამის ძეს: ... წიგნი, სიბრძნე, დაბადება (თორა – ბ. დ.) და სახარება გასწავლე, თიხისაგან ჩიტის ნაკვთი დასახე ჩემის ნებითა...“ (5. 109–110).

ა. სილაგაძის თარგმანი: „და დაადგნეს მოციქულად ისრაილის ძეთა წინაშე; «მოვსულვარ თქვენთან სასწაულით თქვენი უფლისაგან. ჯუმარიტად გაგიკეთებთ მე თიხისაგან ჩიტის სახეს, მერე ჩავბერავ მასში და ჩიტი იქნება ის, ალლახის ნებით»“ (3. 49).

„აჰა, ეტევის ალლაჰი: ჰოი(,) ისა, ძეო მარიამისა!.. და აჰა, წიგნი და სიბრძნე და თორა და სახარება გასწავლე; და აჰა, თიხისაგან ჩიტის სახეს აკეთებდი ჩემი ნებითა...“ (5. 110).

მწერლის პასუხი მოკლეა: „ხოლო წმიდა «სახარება» ჰირველად სასწაულად ქორწილსა შინა ღვინოდ შეცვალებასა წულისასა გვაუწყებს“. იოანეს სახარებაში ეს ამბავი ასეა გადმოცემული: „და მესამესა დღესა ქორწილი იყო კანას გალილეველასა, და იყო დედაჲ იესოჲსი. მიჰხადეს იესოს და მოწაფეთა მისთა ქორწილსა მას. და ვითარ მოაკლდა ღვინოჲ, ჰრქუა იესოს დედამან მისმან: ღვინოჲ არა აქუს. ჰრქუა მას იესო: რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო? არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი. ჰრქუა დედამან მისმან მსახურთა მათ, ვითარმედ რაჲცა გრქუას თქუენ, ეავთ. იყვნეს მუნ სარწყულნი ქვისანი ექუსნი, მდგომარენი მსგავსად განწმედისა მის ჰურიათაჲსა, რომელთა შთაასხიან საწუაული ორ-ორი გინა სამ-სამი. და ჰრქუა მათ იესო: აღავსენით სარწყულნი ეგე წულითა! და მათ აღავსნეს იგინი პირისპირ. და ჰრქუა მათ: აღავსეთ აწ და მოართუთ ჰურისა უფალსა! ხოლო მათ მოართუეს. და ვითარცა გემოჲ იხილა ჰურისა უფალმან წუალი იგი, რომელი ღვინო იქმნა, და არა უწეოდა, ვინაჲ იყო, გარნა მსახურთა მათ უწეოდეს, რომელთა აღავსნეს წულითა, მოუწოდა ჰურისა უფალმან მან სიძესა და ჰრქუა მას: ეოველმან კაცმან კეთილი ღვინოჲ პირველად

წარმოდგის, და ოდეს დაითრთვიან, მაშინ უჯე-რესიცა.ხოლო შენ დაჰმარხე ღუნოდ კეთილი აქამომდე. და ესე ქმნა დ ა ს ა ბ ა მ ა დ სასწაულთა კანას გალილეველსა და გამოუცხადა დიდებად თჳსი, და ჰრწმენა მისი მოწაფეთა მისთა" (2. 1–11).

„*დაბადების*" მონაცემებზე დაყრდნობითაა უარყოფილი მუსლიმთა მთავარი სამლოცველო ცენტრის მ ე ქ ა ს ღვთაებრიობა. „*ყურანი*" ქადაგებს: „ჰირველი ტაძარი, კაცთა შორის დაფუძნებული, მექას (ბექქეს – ბ. დ.) ტაძარია. იგი დაფუძნებული იქმნა, რათა კურთხეულ ეოფილიეო და კაცთათჳის დარიგება გაეწია. ცხად საკვირველ-მოქმედების კვალი იხილოთ იქა. აბრაამის (იბრაჰიმის – ბ. დ.) სადგურია იქა. ვინც მის გალავანში შედის, დაფარულ არის ეოვლისაგე შიშისაგან. იქაურობის მოლოცვა მოვალეობაა ღვთის (ალაჰის – ბ. დ.) მიმართ ეველასათჳის, ვისაც კი მისი მოხდა შეუძლია" (3. 90–91).

ა. სილაგაძის თარგმანი: „ჯეშმარიტად, ჰირველი სახლი, რაც ხალხისთჳის აღმართულა, ისაა, რომელიც ბაქქაშია (მთარგმნელის შენიშვნაა: იგივეა, რაც მექა) კურთხეულ და ჯეშმარიტ გზად სამეაროთათჳის. იქა ცხადი სასწაულები – იბრაჰიმის ადგილი. და ვინც შეჳა მასში, დაცულია იგი. და ალლაჰის წინაშე ხალხის ვალია(,) მოილოცოს ეს სახლი, ვისაც შეუძლია" (3. 96–97).

რადგან „*ყურანი*" მექას აბრაამს უკავშირებს, ბაგრატს ესახება, რომ მოჰამედი მექას წმინდა ადგილად გამოცხადებას მოსეს მოძღვრებაზე აფუძნებს. იგი ასე მსჯელობს: „და კუალად იტეოდა სხუასა რაღსმე: ესე იგი, *საკურთხეველი არსო*, რომელი უშენა ა ბ რ ა ჰ ა მ უფალსა, რომლისათჳს წერილ არს მ ო ს ე წინაწარმეტეუელისა მიერ, ვითარმედ: და ეჩუენა ღმერთი აბრაჰაშს და ჰრქუა მას: *ნათესაჲსა შენსა მიჰსცე ქუეანა ესე*. და აღუშენა მუნ საკურთხეველი უფლისა, რომელი-იგი ეჩუენა მას... ესე უღმრთო მოჰამედ იტეჳს ვითარმედ: *ესე სახლი არს ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს მიერ აღშენებული საკურთხეველიო* და სახელსდებს მას მ ა კ ა დ და მ ა ქ ა თ უ ლ ა დ, რამეთუ იტეჳს,

ვითარმედ: *ვინცა ამას ადგილსა მოვიდეს და თაყვანისცეს, ანგელოზთა თანა აღირაცხოს, პირველად ამისთჳს, რამეთუ აბრაჰამის მიერ აღშენებული არსო.* და კვლავად მიბრძანა მე ღმერთმან, ვითარმედ: *პატივისა შენისათჳს არღა მოვიკსენო მე ცოდვა მათი, რომელნი თაყვანისცემდენ ადგილსა ამას სასურველსა შენსაო,* რომლისა მიმართცა ილოცვენ სარკინოზნი და უწოდე(ნ) ე ი ბ ლ ი".

რაკი საქმე მოსემდე მივიდა, მას ადვილად მოეცლება. „ხოლო ესე ეოველთავე უწეით, — განმარტავს ავტორი, — რომელ ნათესავნი აბრაჰამისნი წინაწარმეტყუელნი იყვნეს, რომელთა მისცა ღმერთმან ქუეყანა იერუსალემისა და მუნ დაამკვდრნა! და კულავად, უკეთუ სადა საკურთხეველი აღაშენა აბრაჰამ, მუნ დაამკვდრა ი ს მ ა ე ლ ი. ვითარმცაღა განაძო? უფროსღა თჳთ იქმნებოდა ქსორია ეოველითურთ სახლეულით თჳსით და ისმაილ დაემკვდრებოდა წინაშე ჰირსა ღმრთისასა. ნუ იეოფინ! უწეოდეთ, რამეთუ იერუსალემს აღაშენა აბრაჰამ საკურთხეველი და ისმაელი განაძო უდაბნოს მას. რამეთუ აღსუა იგი აქლემსა დედითურთ მისით აგარით და ეგრეთ განუტეა. ხოლო თჳთ დაემკვდრა ქუეყანასა იერუსალემისასა, ვიდრე შთასლვამდე ისრაჱლისა ეგჳპტედ".

ბაგრატი ბიბლიურ წიგნებს შემოქმედებითად უდგება. რაც იქ პირდაპირ ნათქვამი არაა, ის საკუთარი მსჯელობითა და გააზრებით გამოჰყავს. ამგვარი მსჯელობით არის პასუხი გაცემული კითხვას: რატომ არ ასრულებენ ქრისტიანები წინადაცვეთას, მაშინ როდესაც, მოსეს თქმით, „ღმერთი ეტყოდა აბრაჰამს: ...წულმან, რომელმან არა დაიცვითოს კორცი წინადაცვეთილებისა, მოისპოს სული ერმისა მის, რამეთუ აღთქმა ჩემი განაქარვა" (დაბადება 17. 14).

როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, მწერალი წინადაცვეთას დროებით ღონისძიებად სახავს, რათა კერპთაყვანისმცემლობის გავრცელების შემდეგ ადამიანები მათთან აღრევისაგან ეხსნა. მისი სიტყვით, ღმერთის ამ მითითების შემდეგ „ჱხერა წინადაცვეთილება იგი ი ს მ ა ე ლ ს და ნა-

თესავსა მისასა, ვითარცა ჭეშმარიტთა ისრაელთა... ხოლო თუ რად სჯული მოეცა მოსეს, ანუ რასა ჰქადაგებდეს წინაწარმეტყველნი, ანუ ვითარ ქრისტე, გინა ქრისტიანობა, ამას ყოველსავე ასოსა მის, რომლისა თანა უმეცარ იყვნეს. ყოველადვე ამისთჳს მოსცა ღმერთმან აბრაჰამს სჯული წინადაცუკთილებისა, რომელთ ყოველნი ნათესავნი მიდრკეს უღმრთოებისა მიმართ და უზორვიდეს ეშმაკთა. რამეთუ თჳთ თარა, მამა აბრაჰამისი, იეო მოქმედი კერპთა... ხოლო მამა მისი განვიდა რად ცხორებისაგან, ებრძანა რა ღმრთისა მიერ აბრაჰამს, რადთამცა არა აღერია ნათესავი მისი წარმართთა და სასწაულად ჰქონდამცა დაცუეთილებად ასოსა მის, რომლისა თანაეყოფის მამაკაცი დედაკაცთა".

იმ დროს კი, როცა ღვთიური ჭეშმარიტება საყოველთად არის მოვლენილი, მწერალი რიტორიკულად კითხულობს, ეს განმასხვავებელი ნიშანი რაღა მოსახმარიაო. სამაგალითოდ დასახელებულია ადამ და ნოე და მათი „ძენი": „ხოლო აწ ვინადთჳან ეოველთა ნათესავთა მომართ მოავლინა ჭეშმარიტებად, ვინაცა ირწმუნებს, რადღა საკმარ არს წინადაცუკთილებად? ანუ არა სარწმუნო არსა ადამი მისთჳს იგი და ძენი მისნი აბელ და სეით, ანუ ნოე და ძენი მისნი, რამეთუ არა აქუს მათ წინადაცუკთილებად და რად არა ებრძანა მათ წინადაცუკთა? ანუ არა აბრაჰამცა წინაუცუკთელობასა შინა განმართლდა? ჰო, ჭეშმარიტად და შემდგომადღა უბრძანა წინადაცუკთა!"

ბაგრატი ასევე თავისებურად იყენებს *„ფსალმუნს"* იმის დასამტკიცებლად, რომ შეიძლება თუ არა ღმერთს ძე ჰყავდეს, რაც არსებითად იგივეა, ღმერთი სამპიროვანია თუ არა, იესო ქრისტე ღმერთად ვცნოთ თუ ადამიანად? ცნობილია, რომ ეს საკითხი ზოგიერთი ქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობისთვისაც სადავო იყო, ხოლო ისლამში ყველა ერთიანად პრინციპულად და კატეგორიულად უარყოფილია. *„ყურანი"*, რომელიც ქრისტეს ერთ რიგით წინასწარმეტყველად

წარმოგვიდგენს, ვინც ბოლოს მოჰამედმა შეცვალაო, მისი ძეობის თაობაზე წერს:

„...ღმერთს ძე ჰყავსო, იტყვიან (И сказали они: Взял Аллах для Себя ребенка), მისმა დიდებამან, არა; უკუთესია თქვათ: რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე, უველაფერი მას ეკუთვნის და უველაფერი მას ემორჩილება“ (2. 110).

„მესია, იესო (ისა – ბ. დ.) მარიამის ძე, მოციქული ღვთისა (ალაჰისა – ბ. დ.) და მისი სიტყვა, რომელიც მარიამს შთაუგდო, ღვთისაგან (ალაჰისგან – ბ. დ.) მომავალი სულია. მაშ, ღმერთი (ალაჰი – ბ. დ.) და მისი მოციქულები იწამეთ, და ნუღარ იტყვით, სამება არისო. თავი დაანებეთ. თქვენთვის უფრო სასარგებლო იქმნეს. ვინაიდგან ღმერთი (ალაჰი – ბ. დ.) ერთ არს. დიდება მასა; როგორ ეეოლებოდა ძე? მას ეკუთვნის უველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანაზე...“ (4. 169).

„ურჯულოა, ვინც ამბობს, ღმერთია (ალაჰია – ბ. დ.) მესია, მარიამის ძეო. განა თვითონ მესიამ არა სთქვა: ისრაელის (ისრაილის – ბ. დ.) შვილებო, თაყვანი ეცით ღმერთსა (ალაჰს – ბ. დ.), რომელიც ჩემი უფალია და თქვენიცაო? ვინც ღმერთს (ალაჰს – ბ. დ.) სხვა ღმერთებს (ალაჰს – ბ. დ.) დაუამხანაგებს, ღმერთმა (ალაჰმა – ბ. დ.) მას აუკრძალოს წალკოტში შესვლა და სამოფადაც ცეცხლი ექმნეს...

ურჯულოა, ვინც ამბობს: ღმერთი (ალაჰი – ბ. დ.) მესამეა სამებისაგანო, მაშინ, როდესაც არა არს ღმერთი (божество – ბ. დ.), თვინიერ ერთადერთის ღვთისა (Бога – ბ. დ.)... მესია, მარიამის ძე, მხოლოდ მოციქულია; სხვა მოციქულები მისდა წინამორბედ იყვნენ...“ (5. 76–77, 79).

ა. სილაგაძის თარგმანი: „და თქვეს, ალლაჰმა ძე გააჩინაო. დიდება მას. დიახაც მისია, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, ეოველივე ჰმორჩილებს მას“ (2. 116).

„... მესია ისა ძე მარიამისა მხოლოდ მოციქულია ალლაჰისა და სიტყვაა მისი, რომელიც მარიამს ზეუბოძა, და სული მისგან. და იწამეთ ალლაჰი და მოციქულნი მისნი. და არა თქვათ «სამი», თავი ანებეთ – თქვენდაგე სასიკეთოდ. ალლაჰი მხოლოდ ერთი ღმერთია, იმაზე უფრო დიდებულია იგი, რომ ძე ჰყავდეს. მისია, რაცაა ცათა შინა და რაცაა ქვეყანასა ზედა...“ (4. 171).

„ურწმუნონი იყვნენ, რომელთა თქვეს: «ჭეშმარიტად ალლაჰია მესია ძე მარიამისა». ხოლო თქვა მესიამ «ჰოი, ისრაელნის ძენო, თაყვანი ეცით ალლაჰს, უფალსა ჩემსა და უფალსა თქვენსა». ჭეშმარიტად, ვინც თანაზიარს გაუჩენს ალლაჰს, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე, და ცეცხლია მისი თავშესაფარი, და შემწე არა ჰყავდეთ ცოდვილებს.

ურწმუნონი იყვნენ, რომელთაც თქვეს: «ალლაჰი სამთაგან მესამეა». ხოლო არა არს ღმერთი, გარეშე ერთი ღმერთისა...

მესია ძე მარიამისა სხვა არავინაა, თუ არა მოციქული, – გარდასულან უკვე მოციქულნი მასზე უწინ...“ (5. 72–73, 75).

შემდეგ: „ურიები ამბობენ: ოზაირ ძე ღვთისა (ალაჰის – ბ. დ.) არისო. ქრისტიანები ამბობენ: მესია ძე ღვთისა (ალაჰის – ბ. დ.) არისო. ასეთია მათ ხირთა სიტყვები: იგინი ემსგავსებიან, ამის მეტყველნი, უმანდელ ურჯულოებსა. ღმერთმა იომოს იმათზე. რა ცრუ არიან“ (9. 30).

„ამბობენ: ღმერთს ძე ჰყავსო (Взял Аллах Себе ребенка). მისმა დიდებამან, არა. იგი კმარობს თავის თავსა“ (10. 69).

„ნოე (ნუჰა – ბ. დ.) და აბრაამ (იბრაჰიმი – ბ. დ.) მოვაველინეთ და ნიჭი წინასწარმეტყველებისა დავამყარეთ მათ შთამომავალთა შორის, აგრეთვე წიგნიც (წერილი)... მათ შემდეგ მოვავლინეთ სხვა მოციქულები, როგორითაც იესო, მარიამის ძე, რომელსაც «სახარება» მი-

ვანიჭვთ... ბერული ცხოვრება მათი მოგონილია..." (57. 26-27) და სხვა.

ეს ის ძირითადი რელიგიური საკითხებია, რომლებიც ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის მძაფრი, ვიმეორებთ, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების საგანი იყო[7] და თითქმის ყველა ამგვარი ხასიათის ნაშრომში გვხვდება.

როგორც არაბი ისტორიკოსები გვაუწყებენ, ამ საკითხზე დავით აღმაშენებელს კამათი ჰქონია განჯის ყადისთან, ანუ მუსლიმთა მოსამართლესთან. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მას არსენ იყალთოელის *„დოგმატიკონში"* შესულ ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ ნაშრომებში, მათ შორის *„ტრაქტატებსა და დიალოგებში"*, რომელიც თეოდორე აბუკურას მიეწერება[8], და თხზულებაში *„კსენებად სიტყჳს-გებისად და სასჯელისად შჯულისათჳს ქრისტიანეთადსა და სარკინოზთა"*[9], რომელსაც ივანე ლოლაშვილი არსენ იყალთოელის ორიგინალურ ნაწარმოებად მიიჩნევს[10] და რომლის

---

[7] საქართველოსა და მეზობელ ისლამურ ქვეყნებს შორის იდეოლოგიურ ბრძოლაზე იხ.: გოჩა ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995, გვ. 199-256.

[8] თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, საკუთარ სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ლეილა დათიაშვილმა, თბ., 1980. ლ. დათიაშვილი, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, კრებულში: ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII-VIII, თბ., 1976, გვ. 182-101.

[9] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 478-479.

[10] ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი (ცხოერება და მოღვაწეობა), თბ., 1978, გვ. 88-98.

მცირეოდენი ნაწილი შესულია *„დავით და კონსტანტინეს მარტვილობის“* ტექსტში[11].

ამავე საკითხებზე კამათი და ბრძოლა ბაგრატის შემდეგაც მიმდინარეობდა[12]. მოწინააღმდეგე რომ ყოველთვის უცხოტომელი არ იყო და ზოგჯერ მათში რჯულშეცვლილი ქართველიც გამოერეოდა, ამას მოწმობს ვინმე იასეს ისლამური შინაარსის ანტიქრისტიანული პოლემიკური ლექსების ციკლი, რომელიც XVII საუკუნის პირველ მეოთხედს განეკუთვნება[13].

„ყურანის“ დარად, იასეც ქრისტეს მოციქულად მიიჩნევს, რომელიც საბოლოოდ მოჰამედმა შეცვალაო:

„მოსეს რჯული კარგი იყო, მის ჟამს მისიც დამჭირისი,
მერმე ისო რა მოვლინდა, რჯული სცვალა პირველისი,
ბოლოდ მოსელა უკეთ ეცანით, დავიჭირეთ ჩვენცა ისი,
საბოლოვნოდ მოგუიელინა ღმერთმან რჯული აჰმადისი“ (VI, 1).

ერთ-ერთ ქვესათაურში (IV) ღმერთის „სამებლად მოსაზრვა ჭკვითა რეტთაგან“ მიღებულად არის შეფასებული, ხოლო ქრისტიანებისადმი ლექსად მიმართვაში იკითხება:

„მისი ანდერძი დაჰკარგეთ, რაც არ გწადდათ, არ ისმინეთ,
მოუგონეთ ზოგთ მამობა, ზოგთ ძე ღმრთისად მოისმინეთ,
ზოგთა სული წმინდა ჰთქვენით, ზოგთ სამნიე ერთ ისმინეთ,
მამა, ძე და სული წმიდა თქვენ გამჩინლად დაისმინეთ“
(III, 14).

---

[11] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფრასული რედაქციები, XI-XIII სს.), თბ., 1971, გვ., 254-255.

[12] ამბაჲი მაჰმადისი თარგმანთა შინა „ფსალმუნთასა“, შემოხმული და წიგნთაგან გამოღებული, და ნათესაობა მათი (A-349, გვ. 1-61 v; S-1511, გვ. 1126-1174).

[13] მ. თოდუა, უცნობი პოეტი და მისი „სამეცნიერო“, მისსავე წიგნში: ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., 1971, გვ. 5-46.

„ჰაჲ, ჰაჲ, გითხარ, კულაევე გეტყვი, თუ არა *ხარ ჭკუითგან რეტი*,
ღმერთი თუ სცნა კორციელად, შამოიკარ თავსა კეტი,
რად იესო მოინახეთ ადამისტომებრ ნახეტი,
ფუჲ, მაგ მიმხდომლობის პირსა, სხვა რა გითხრა ამის მეტი!“
(IV, 2).

იასეს, როგორც თვითონ აცხადებს, ამ საკითხებზე სხვებთან ერთად ბევრი უფიქრია და უმსჯელია: „ვითათბირეთ, ვიჯოჯმანეთ, ჭკვის ფრჩხილითა კვანძი ვხსენით“, მაგრამ ერთის სამად და სამის ერთად წარმოდგენა „არ მოვსაზრეთ არას ფერად“-ო (III, 6.). იგი ერთარსების სამებად მიჩნევის უაზრობის დასაბუთებასაც ცდილობს:

„შენს სიტყვასა მივხუდი, მაგრამ მეტად შეშლით ხარ,
ავ კაცო,
ერთი საბელი ორკეცად რა მიჰკეცო და მოჰკეცო,
დაუჭრელად ერთი პოვნოს ბრძენმან გითხრა მცი-
რე ჭკვათაცო,
თუ ორადღა გაჰჭრა, ერთი აღარ იყოს ისრევ ცელაცო.

შავი მკედი ლურჯსა მკედსა მიატმასნო, ეგზომ ჰგრიხო,
მას ერთობა არ ეთხრობის, ოთხია, თუ თვალი იხო.
ორი მკედი ორის ფერით ჭკუის ფრჩხილით ოთხად გიხო,
ოთხი ერთად, ცნა, რამ კაცმა, ყმა წურილთაცა გითხ-
რან, ფიხო!

ეგრე, ღმრთისა ორად ცნობა, გეტყვი, თუ ჭკვად ხარ,
არ იქნების?
რომ საკუთრად მოინდომოს, მე გამჩინლად ვარ, იქნების?
თუ ორთავე ნდომა იქნას ან არ იქნას, არ იქნების,
რადგან ერთის ნება იქნა, ის მეორე მცდარ იქნების.

აჰა ღვთისა წყალობითა ცნობით თვალნი გავიხსენით,
ერთად ვცანით გაშჩინელნი, მსამებელთგან დავიხსენით...“
(III, 3-6).

ჩანს, ბაგრატი ამგვარი კონკრეტული მოკამათეებისაგან იცავს თავის რჯულს. რაკი მწერალი ასეთ პოლემიკურ ნაწარმოებს ქმნის, თავისთავად სავარაუდოა, მას მსგავს კამათსა და შეხლა-შემოხლაში მონაწილეობა პირისპირ პირადად ჰქონდეს მიღებული. ამას უნდა მოწმობდეს აგრეთვე *„მოთხრობის“* ის ადგილი, სადაც განხილულია კითხვა: „უკუეთუ გრქვას მოჰამედიანმა: რაჟამს ამაღლდებოდა იესუ, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვინაჲთგან მე არა მიტეევს ჰურიათა მოძღურებად და არცა ისმინეს ჩემი, სხუა წინაწარმეტყუელი აღგიდგინოს თქუენ ღმერთმან, რომლისა სახელი ა ჰ მ ა დ, მისი ისმინეთო“. პასუხად მწერალი გვიხსნის: „არა ეგრეთ ბრძანა ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ, ვითარმედ, რომლისა სახელი ა ჰ მ ა დ, არამედ, – რომლისა სახელი ა ჰ მ ა ჲ, რამეთუ ა მ ა დ *რჩეულად* გამოითარგმანების და ა ჰ მ ა ჲ – *უცნობოდ*!“ და დასძენს: „და თუ ამას ეტეჳ, ფრიად აღაშფოთებ“ მოწინააღმდეგესო.

ვფიქრობთ, აქ ბაგრატის პირადი გამოცდილება გამოსჭვივის.

როგორცა ვთქვით, *სამების* არსი ქრისტიანთა და მაჰმადიანთა შორის ძირითადი საცილობელი საკითხია და, ბუნებრივია, ბაგრატის ნაშრომში მას დიდი ადგილი უჭირავს. ჯერ ცალკე თავად არის გამოყოფილი და ხელშესახები მეტყველი მაგალითებით ნაჩვენებია, როგორ უნდა მოვიაზროთ ღვთის სამპიროვანი ბუნება: „ჩუენი, ქრისტიანეთა, სარწმუნოებაჲ ესე არს: გურწამს ერთი ღმერთი სამგჳამოვნებით ცნობილი და არათუ ერთ გჳამად, ვითარცა კაცი, ვითარ-იგი ურწმუნონი სიტეუა-მიგებენ ჩუენ ცუდითა სიტეკთა. და არცა სამად ღმერთად გამოსახულად სახედ სამთა კაცთა, ვითარცა ითქჳიან მიქაელ და გაბრიელ და რაფაელ, და არცა სახედ სამთა სულტთა ცეცხლისათა თაჳსთჳს მდგომარეთა, და არცა სახედ სამთა ჳარსკულაჳთა, ვითარცა ითქჳიან მზე და მთოვარე და აფროდიტი... ღმერთი ჩუენი, ცეცხლ-შემწუელ ურწმუნოთა, მარადის ცოცხალი ერთ არს წმიდაჲ სამებაჲ განუყოფელი, ვითარცა მზე და ნათელი მისი და მცხინვარება, რომელი იშუების მისგან. ხოლო

დაღათუ სამითა სახითა იცნობების, გარსა არა ეთქუმის მას სა-მი მზე, არამედ ერთი. და ვითარცა თუალი კაცისა და ნათელი თუალისა, რომლისა მიერ იხილვების ყოველი; და გუგა და გუ-გა თუალისა, რომლისა შორის არს ნათელი, არა ითქუმის სა-მად თუალად, არამედ – ერთად; და ვითარცა გონება და სიტყუა და სული არა ითქუმიან სამად ცხოველად, არამედ – ერთად; და ვითარცა ძირი და რტო და ფურცელი არა ითქუმიან სამად ხედ, არამედ – ერთად და ვითარცა წუარო და მისგან მდინარე და მერე მისგან ტბა არა ითქუმიან სამად ბუნებად, არამედ ერთად; და ვითარცა ცისკარი და განთიადი და ნათელი არა ითქუმიან სამად მართლიად, არამედ – ერთად, რამეთუ მისგან იშუნიან და ერთ ბუნება არიან" და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაგრატი საგანგებოდ გა-ნიხილავს საკითხებს: „იესუ ღმრთად გრწამს თუ კაცად?" და „რადსათვის განკორციელდა ქრისტე?" და მათ *„სჯარების"* მი-ხედვით განმარტავს. ამას მოჰყვება მტკიცება – „ვითარცა ესვა ღმერთსა მე?" ამის დასტურად დამოწმებულია *„ფსალმუნი"*: „იტეკს მეფსალმუნე: მე ვთქუ: ღმერთმანი სამე ხართ და ძენი მაღალნი – თქვენ ყოველნი". მსჯელობს კი ასე: „უკეთუ იგინი ითქუნეს ღმერთად და ძედ ღმრთისა, რომელთა მიმართ სიტყუაჲ იყო, ხოლო ღმრთისაჲ უჯერო არსა, რადთამცა მე ღმრთისა იყო ქრისტე ანუ თჳნიერ ღმერთი, ვინ არს მამა მისისა?"

მწერალი მოჰამედს აკრიტიკებს იმისთვის, რომ იგი ვერ არჩევს წინასწარმეტყველს ჩვეულებრივი მოწამისაგან და რამდენი წმინდანიც ყოფილა ძველად, ყველას ამ სახელით ნათლავს: „და შთამოუვების მოციქულთა და მოწამეთა. რამეთუ წმიდა მოწამესა გიორგის სახელსდებს ჯირჯის ფე-ღამბარ... რამეთუ რაოდენიცა წმიდანი სასწაულთ მოქმედნი სოფლის შესაქმისთჳს, ვიდრე მოჰამედისამდე. ანუ ისრაჱლნი იყვნეს ანუ ქრისტიანენი ყოველთაჳე წინაწარმეტყუელად უწოდს".

„ყურანში", მართლაც, წინასწარმეტყველებად არიან გამოცხადებულნი აბრაამი, ისმაელი, ისაკი, იაკობი და სხვები.

მაგალითად, მე-19 სურაში ვკითხულობთ: „წიგნში აგრეთვე მიუთხრობდე აბრაამისათვის; იგი იყო მართალ და წინასწარმეტეველი“ (42).

„... ჩვენ შევძინეთ მას ისაკ და იაკობ და ორნიცე წინასწარმეტეველ ვუყვით“ (50).

„ჩვენის მოწყალების საქმით მას (=მოსეს) უბოძეთ ჩვენ ძმა აარონ, წინასწარმეტეველი. წიგნში აგრეთვე ილაჰარაკე ისმაელისათვის. იგი იყო აღთქმის ერთგული,მოვლინებულ და წინასწარმეტეველი“ (54-55).

„წიგნში აგრეთვე ილაჰარაკე ედრისისათვის. იგი იყო სამართლიან და წინასწარმეტეველი“ (57).

„ღმერთმა აავსო თავისი სიკეთით ადამის შთამომავალნი წინასწარმეტეველნი“ (59).

თხზულებაში მოჰამედი გაკენწლილია იმისათვის, რომ ზოგიერთ უცხო ანგელოზსა და წინასწარმეტყველს ქადაგებს, ხოლო ზოგიერთს სახელს უცვლის. გიორგის „ჯირჯის“ გადაკეთებაზე უკვე ვთქვით. სხვები: „და კუალად ქადაგებს უცხოთაცა ანგელოზთა, რომელნი არასადა სმენილ არიან, რომელთა უწოდა ფირი, რომელნი ცოლ გუქმნებიან სამოთხესა შინაო და იდრისს – უცხოსა ვისმე წინაწარმეტეველსა, რომელთა სახელებიცა არა უწყიან“.

მეორე ადგილას: იესო ქრისტე „... იშვა და იხილვებოდა ჯუშმარიტი იგი ემმანოელ წინაწარმეტეველებისაებრ ისაიასა, რომელსა თქუენ შაიად უწოდთ“.

კიდევ: „რამეთუ ელია იგი წინაწარმეტეველი, სადაიგი ეორანთა მიერ იზრდებოდა უდაბნოსა შინა, ერთითა ხალენითა იეოფოდა. და წინამორბედიცა, რომელსა თქუენ იეჰიად უწოდთ, უდაბნოსა შინა იორდანისასა ერთითავე სამოსლითა იქცეოდა“.

ბაგრატისათვის „*ბიბლია*“ არის სასინჯი ქვა სხვა საცილობელი საკითხების გადასაწყვეტად, როგორიც არის: ადამ და ევას სამოთხიდან გამოძევება, თქმულება ნებროთზე, საღმრთო საიდუმლოება, ანგელოზების ხილვით ხდება თუ არა

ბნედიანი მოჰამედის მიწაზე დანარცხება ან ფიზიკურად ძლიერი ალის მეშვეობით ბრძოლებში მისი გამარჯვება და ა. შ.

ბიბლიური წიგნების ღვთაებრივად მიჩნევა და მათგან *„ყურანის“* განსხვავება მაჰმადიან მოკამათეს ჩიხში ამწყვდევს. მან ან აბსურდი – ღმერთის ორპირობა და მატყუარობა უნდა აღიაროს, რაც, ორივე რელიგიის მიხედვით, მკრეხელური და მიუღებელია, ანდა თავი დამარცხებულად ცნოს. თხზულებაში ვკითხულობთ: „ესე ეოჲლადვე არა ეგების, რადთამცა სთქუ, ვითარმედ მტეუარ არს ღმერთი. რამეთუ ჰირველთა მათ სხუა რამე აუწუა და მოჰამედს სხუა. რამეთუ სიცრუც არა არს ღმრთისა თანა, არამედ უეჭველად ცხად არს. რამეთუ წიგნი ეგე თქუენი და მწერალიცა მისი ცრუ არს“.

მწერალი იმასაც ითვალისწინებს, რომ მოწინააღმდეგემ, შეიძლება, *„სახარების“* გაყალბება დაგწამოს, მაგრამ იქვე მიუთითებს, ეს არ იქნება სერიოზული პასუხიო: „უკუეთუ გრქუას მოჰამედიანმა: რაჟამს ამაღლდებოდა იესუ, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვინადთგან მე არა მიტეჳს ჰურიათა მოძღურებად და არცა ისმინეს ჩემი, სხუა წინასწარმეტეუელი აღგიდგინოს თქუენ ღმერთმან, რომლისა სახელი აჰმად...ხოლო დაწერაცა «სახარებასა» შინაო, არამედ ბერებმა აღმოკოცეს და, რაცა უნდა, იგი დაწერესო, შენ მიუგე მას: ... ვინმცა იეო ესრეთ ცნობა მიღებულ, რომელმან იკადრა წმიდისა „სახარებისა“ შლად და მის წილ რადსამე დაწერად? უწუოდე: რამეთუ სიტეუა ეგე არა მეცნიერისა კაცისა არს, არამედ ეოჲლადვე უგუნურისა! რამეთუ გითხრა, უკუეთუმცა მაგა სიტეკსა წილ, ვითარმედ: მოჰამედ ესრეთ დაწერა «ეურანსა» შინა, ვითარმედ ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტიანეთა არსო და მოლაეებმა აღმოკოცა და სხუა რამე დაწერაო, – რასა მეტეკ?!“

¤

ბაგრატ მუხრანბატონი, ამ ნაშრომის მიხედვით, კარგ პოლემისტად წარმოგვიდგება. იგი აქ არ გამოირჩევა დიდი მჭევრმეტყველებითა და მხატვრული აზროვნებით, მაგრამ, ვფიქრობთ, არც ისაა სამართლიანი, მის ენას მდარე ვუწოდოთ. აი, რა ცოცხლად და სახოვნად აქვს მას დახასიათებული ისმაიტელები: „ხოლო ისმაეტელნი გამოვიდოდეს და იევნეს ყოველნი ერთბამად მესისხლენი, მტაცებელნი, მეშფოთენი, მჰარავნი და ყოვლადვე უჰოვარნი. ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ წერილი: ძენი აგარისნი მუცლით მეზღაპრენი, სიბრძნის მეძიებელნი. ხოლო გზა უფლისაჲ მათ არა იცნეს. რამეთუ არა აქუნდეს სამკჳდრებლად ქალაქი, არამედ ვითარცა ნადირნი მიმოვიდოდეს უდაბნოსა მას შინა, რომელსაცა მკჳდრ იევნეს და ცხოვნდებოდეს აქლემებითა და ცხენებითა, და ჯამდეს კორცსა ცხენისასა და აქლემისასა, რომელ ძუალიცა მისი შემუსრიან და ტკნითურთ გამოსწოვიან და არა უწყოდეს ლოცვა და არა აქუნდა ტაძარი და არა ჰქონდა წიგნი სჯულისა, არამედ სმენით ოდენ ესმინა, რომელ იგი ურთიერთარს მიუთხრიან“.

მწერლის ძირითადი საბრძოლო იარაღია საბუთიანობა და ლოგიკა. მისთვის ნაკლებ დამახასიათებელია უხეში ლანძღვა და გინება. აქა-იქ იშვიათად თუ ხმარობს მწარე და გესლიან სიტყვებსა და გამოთქმებს[14]. აი, ზემორე ტექსტის გარდა, ყველაზე უფრო სალანძღავი სიტყვები, რასაც ნაწარმოებში ვხვდებით. მოჰამედზე ნათქვამია: „მწვალებელი, უღმრთო და უსჯულო“, ბავშვობისას „უპოვარ და კლახაკ“, „სენითა შავნაღვლიანობითა ჭნებული“, „მზაკუარებისა მანქანებითა დაჯერა“ ცოლი, „ცრუ წინაწარმეტყველებდა“, „არა უწყოდა წერილი“, „უოველსა წერილსა უმეცარ იუო“, „არა უწყოდა წეეულმან“, „უღმრთო“, „შთამოუვების... მცირითა და უსრულითა, მტუარითა და წინაწარმეტეულთა წინააღმდეგობითა“. მისი

[14] ამ მხრივ გაცილებით უფრო მძაფრი და შეუპოვარია იაკობ შემოქმედელის გალექსილი ტექსტი (ბორის დ ა რ ჩ ი ა, იაკობ შემოქმედელი, თბ., 2009, გვ. 107-139).

მასწავლებელი იყო „ნესტორიანი“, „მაცთური“. „ყურანია“ „ცუდი წიგნი“, მაჰმადიანები – „აღმასრულებელ ეოველთა საქმეთა ეშმაკისათა“, „უმეცარ“. ორჯერ არის ნახმარი სიტყვა „ბილწი“. პირველად ასეთ კონტექსტში: „აღიჭურვა ოდესმე მოჰამედ ბილწთა ჰურიათა“, მეორეჯერ ანდერძში: „რომელ არიან ისმაიტელნი, ბილწნი მოჰამედიანნი“.

ბაგრატი მოწინააღმდეგეს უფრორე ხატავს მისი მსჯელობისა და მოქმედების მიხედვით და არა განყენებული დახასიათებით. თანაც, ცუდის გვერდით მის დადებით მხარეებსაც წარმოგვიდგენს. ნაწარმოებში მოჰამედი ფრიად აუტანელი და ზიზღის მოგვრელი სახეა, მაგრამ, როგორც ზემორეა აღნუსხული, მის მიმართ გამოყენებული უარყოფითი ეპითეტები ცოტა და უმნიშვნელოა. აი, რამდენიმე შტრიხი მისი ადრინდელი ცხოვრების დასახასიათებლად: „ხოლო ესე მოჰამედ ჰირველად ობოლ იქმნა, ვიდრე ურმაღა იყო, და უპოვარ და გლახაკ ფრიად, არამედ საქმით ღონიერ და მანქან. და შეუდგა აქლემებით მსახურებად დედაკაცსა, ვისმე თჳსსა ნათესავსა, – მდიდარსა მონაგებთაგან; და შემდგომად ქრმისა თჳსისა ცოლ ეყო მას დედაკაცი იგი, და, ვალნ რაჲ იგი ვაჭრობად იერუსალემს და ეოველთა მათ ადგილთა არაბეთისათა, ისწავებნ და ეძიებნ ეოველთგან სწავლულთა სჯულისთა სჯულსა და ნათესავსა და სიტეუასა სჯულისასა. და უფროსღა მონაზონი ვინმე ნესტორიანი ჰოვა მან ექსორიაქმნილი წვალებისათჳს მისისა ქუეყანასა მას მადიამისასა და მას ეზრახებინ მარადის“.

აქ ყველაზე საძრახისი სიტყვა არის „მანქან“. ობლობა არათუ უარყოფით, სიბრალულის გრძნობას უნდა იწვევდეს. თუ განყენებულად ვიმსჯელებთ, მკითხველის კმაყოფილებას უნდა ბადებდეს ისიც, რომ ეს ობოლი ბიჭი „საქმით ღონიერ“ ყოფილა. ცუდი რა არის, პირიქით, მოსაწონია, რომ ახალგაზრდა კაცი სწავლობს და დაეძებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ცხოვრებისეულია და მაინცადამაინც გასამტყუნი არაა, რომ იგი ვიღაც დედაკაცს ემსახურება, რომელსაც მისი დაქვრივების შემდეგ ცოლად ირთავს და მასთან ერთად სა-

ვაჭროდ დადის. მხოლოდ ეს არის, ვინაიდან ეს ქალი არის „მდიდარი მონაგებთაგან“, განათხოვარია და ვაჟიც მას ემსახურება, ალბათ, მასზე უფროსიც უნდა იყოს, – ქართული ზნე-ჩვეულებებიდან გამომდინარე, მკითხველში ეჭვის აღმძვრელია, რომ ამ ქორწინებას საფუძვლად ანგარება დაედო. თუმცა, ცხოვრებისეული თვალსაზრისით, არც ესაა დიდი ცოდვა. დიახ, ნაწარმოებში განსახიერებულ მოჰამედს თავისთავად, ვიმეორებთ, განკერძოებულად აღებულს, უსაშველოდ დასაგმობი არაფერი სჭირს; ოღონდ ყველაფერს ის ცვლის, რომ ეს ეხება არა ადამიანს, არამედ წინასწარმეტყველისა და ღვთის მოციქულის სახელის დამჩემებელს. მწერალი ამაზე ყურადღებას არ ამახვილებს, მაგრამ მკითხველისათვის ისედაც ნათელი ხდება, რომ ისლამური რელიგიის ამ ფუძემდებელს არათუ ღვთაებრივი წარმომავლობა და ბუნება, გამორჩეული და კეთილშობილი კაცის ჭკუისა და გონების, მტკიცე და ფაქიზი ხასიათისაც არაფერი სცხია. ამიტომ მოჰამედი მისთვის იმთავითვე მატყუარა და თაღლითია.

ნაწარმოებს არანაკლებ დამაჯერებლობას აძლევს ისიც, რომ მასში არც ქრისტიანობაა გადაჭარბებით და განყენებულად შექებული. მისი წარმომადგენლების ღირსებაც მისი სიტყვითა და საქმით ვლინდება.

ბაგრატი დინჯი და დარბაისელი მთხრობელია. თავის ემოციებს მკვეთრად მხოლოდ აქა-იქ გამოხატავს, რაც ნაწარმოებს შთამბეჭდავსა და მიმზიდველს ხდის. მოჰამედის მონათხრობზე ადამისა და ევას „ამსჯდრებულნი ფარშამანგსა“ სამოთხიდან გამოძევების, ნებროთის მიერ ორი ფასკუნჯის მეშვეობით ზეცაში ასვლისა და ღმერთის მოკვლის შესახებ მწერალი თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ასეთი შეძახილით გამოხატავს: „განიხილეთ, მ(=ჰოი), მორწმუნენო, წინააღმდგომობაჲ წმიდათა წინაწარმეტყუელთა და გაცხადებული შეურაცხება მეუფისა! მ, კადნიერებას უღმრთოსა მოჰამედისასა!“. ხოლო მოჰამედისავე ნაამბობს, ვითომ იგი ღვთისგან გამოგზავნილი უცნაური ცხენით გაბრიელ მთავარანგელოზის წი-

ნამძღოლობით ზეცაში ღმერთამდე ავიდა, ურთავს: „აჰა, გმობაჲ უზეშთაესი ეოვლისა გმობისა!“

აბრაამის წინადაცვეთაზე მსჯელობისას ავტორი კითხვას სვამს: „ანუ არა აბრაჰამცა წინადაუცუეთელობასა შინა განმართლდა?“ და იქვე ემოციური შეძახილით უპასუხებს: „ჰო, ჴუშმარიტად და შემდგომადღა უბრძანა წინადაცუეთა!“

ქრისტიანული წიგნები ერთმანეთს ემოწმება, მაჰმადიანები კი „ერითა მით ცუდითა წიგნითა და მოჰოვნებულითა ტეუვილითა“ ცდილობენ თავიანთი რჯულისა და სარწმუნოების გამართლებას. ამ სიტყვებზე მწერალი ასე ამოიოხრებს: „ეჰა, სიბოროტესა ნათესავისა ჩუენისასა!“

კითხვაზე – „ანუ არა ძალუც ღმერთსა შეცვალება ნათლისა ბნელად და ბნელისა ნათლად?!“ პასუხი უმოკლესია და თავის სიმართლეში დარწმუნებული კაცის ემოციას გამოხატავს: „ჰე, ძალუც!“

ნაწარმოებში ხშირად მეორდება ძველად მიღებული გამოთქმა: „ნუ იეოფინ!“

დასასრულ, აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ თხზულებას ოდნავი ღიმილით ანათებს, საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ზოგიერთი ადგილი, სადაც მოჰამედს მიეწერება, მის ნაამბობად არის წარმოდგენილი ისეთი რამ, რაც თავისთავად იმდენად დაუჯერებელია, რომ კომიკური ელფერი გვდაჰკრავს და უკუსაგდებად სერიოზულ განსჯას არ მოითხოვს. ამგვარია ზემოთ ციტირებული მსჯელობა ქრისტეს ჩასახვაზე: თითქოს ღმერთმა მარიამს „შთაუსხა“ ის მონარჩენი სული, რომელიც მან „შთაბერა“ „პირველსა ადამს“ და „კანდელსა შინა ბროლისასა“ გაბრიელ მთავარანგელოზს შენახული ჰქონდაო. იქვე გვაქვს ნათქვამი, რომ მწერალი ამაზე შენიშნავს: „ესე ურმათაცა მიერ მცირეთა საცინელ არს“.

ასეთივეა ზემორე მითითებული მოჰამედის ნაამბობი, რომ ის ვითომც ღვთისგან უცნაური ცხენით, „რომელსა ჳბა თავი კაცისა, მხარი, კისერი და კუდი ლომისა და ოთხნივე ფერხნი ზროხისანი“, გაბრიელ მთავარანგელოზის „წინაძ-

ღომით“ ავიდა ზეცას და „მიიწია ვიდრე ფარდისა მის, რომელ არს წინაშე ღმრთისაჲ“. ამას მწერალი „საბასრობელს“, „საკიცხელსა“ და „საცინელს“ უწოდებს.

ამგვარსავე შთაბეჭდილებას ტოვებს თქმულება, რომელიც მოჰამედზე არსებულა: „ხოლო ესეცა თქმულ არს ამის უღმრთოთათჳს, ვითარმედ: წარვიდოდა რაჲ მაქკთ მადინად, ჰკითხეს მას მთავართა მისთა და ჩინებულთა: *ჩვენ რაჲ ვიოთ, ვიდრე შენ მოხვდოდეო.* ხოლო მან ჰრქუა მათ: *ვიდრე მოვიდოდე, რაიცა გინდა, ჰყავთო, არამედ მო-რაკდე, აღვკოცო ყოველი ცოდვაჲ თქუენიო*“.

აი, ეს არის ის ძირითადი მონაცემები, რაც ბაგრატ ბატონიშვილის ამ ანტიმაჰმადიანურ პოლემიკურ ნაშრომს ქრისტიანთათვის სარწმუნოსა და დამაჯერებელს ხდის და ესთეტიკური ზემოქმედების ძალას ანიჭებს.

ბაგრატის ზოგიერთი წყარო[1]

ამ საკითხზე ზემოთ ზოგადად და გაკვრით უკვე ვისაუბრეთ. ვთქვით და უნდა გავიმეოროთ, ამ მხრივ არაერთი საკითხია გამოსარკვევი და დასადგენი.

კერძოდ, ჩვენ არ ვიცით და შესაბამისი სპეციალისტებისაგან გამოსაძიებელია, ბაგრატის ამა თუ იმ ბრალდების წყარო. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მისი ზოგიერთი ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთია საკითხი, ადამ და ევა სამოთხიდან თუ რისთვის გამოაძევეს? ბაგრატის ცნობით, თითქოს „*ყურანი*“ ხორბლის ჭამას გვაუწყებდეს. თხზულებაში ვკითხულობთ: „უკუეთუ სოფლის შესაქმითგან ვიდრე აღსასრულამდე ეოველი ეოფილი უკლებად იჰოვების წიგნსა მაგას შინა «უ ურანსა», მაშა, ჰირველითგან ვიტეოდეთ, რაჲსა მცნებასა ღმრთისასა ვარდაკდა ადამ და ევა, რომელ სამოთხით ექსორია იქმნეს? იგი მოგიგებს: *რაჟამს შექმნა ღმერთმან ადამ და ევა, აცნო მათ, რადთამცა არა ჭამეს ხუარბალი. ხოლო შეურაცხვეყ იგი და*

[1] იბეჭდება პირველად.

ჭამეს და ეჭხორია იქმნესო“. შემდეგ ბაგრატი იმორწმებს „დაბადებას“ და წერს: „მოსე ესრეთ იტყჳს „შეხაქმესა“ შინა, ვითარმედ: და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და რქჳა: ყოველისაგან ხისა, რომელ არს შორის სამოთხესა, ჭამით სჭამო, ხოლო ხისა მისგან ცნობადისად კეთილისა და ბოროტისა არა სჭამო, რამეთუ, რომელსა დღესა სჭამო, მისგან სიკუდილითა მოკუდიო (დაბადება 2. 16–17) და შემდგომი ამისი. გარნა სახელი ხისა მის არა აუწჳა? არამედ ადამ და ევაჲ, ოდეს გარდაკდეს მცნებასა ღმრთისასა და ჭამეს მისგანიო, უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელი ტყავისა და გამოჰადნა იგინი სამოთხისა მისგან, საშუჱბელისა საქმედ ქუეყანისა. დაადგინა მუნ ქერაბინი მოტჳინარე და მახჳლი იქცეველისა დაცვად გზისა მის ცხოვრებისასა, რაჲთა მიერითგან არავინ აუფლო. უკუეთუ ხუარბალი იყო, ხუარბალი ესოდენ მრავალ არს ჰირსა ზედა ყოველისა ქუეყანისასა, რომელ ძაღლნიცა მით იზარდებიან, და ვითარცა დაიცვა ქერაბინმან მოტჳინარემან და მაჰჳილმან იქცეველმან გზა ხისა მის ცხორებისასა, რაჲთამცა მიერითგან არღაჳინ ჭამა? მოსე ესრეთ იტყჳს და მოჰამედ ეგრეთ. აწ უკუე ვითარ ვირწმუნოთ მოჰამედისი და არა მოსე დიდისა წინაწარმეტყუელისა?!“.

ნამდვილად კი „*ყურანი*“ არსებითად „ძველ ალთქმას“ მიჰყვება და „ხუარბალს“ არსად ახსენებს. აი, რას გვაუწყებს იგი: „ჩვენ უთხარით ადამსა: წალკოტში დამკჳიდრდი შენის მეუღლითურთ; უხვად შჭამეთ მისი ნაყოფი, წალკოტის რა კუთხითაც უნდა იყვეს; მხოლოდ არ მიუახლოვდეთ ეგერ იმ ხესა შიშით, რათა არა სცოდოთ. სატანას მიზეზით ფეხი დაუსხლდათ და გამოურილ იქმნენ იმ ადგილ საყოფელითგან. მაშინ ჩუენ უთხარით მათ: მაგ ადგილს მოსცილდით, ერთმანერთის მტერნო, ქუეყანა გექმნესთ საცხოვრებლად და საურჳელად“ (2. 33–34).

მეორე ადგილას: „შენ, ადამ, შენის მეუღლითურთ წალკოტში დაემკჳიდრე, და ორთავ შჭამეთ ნაყოფი უკელგან, სადაც

გნებავდესთ; მხოლოდ არ მიეკაროთ იმ ხესა, შიშით, რათა ცოდვილი არ გახდეთ. სატანამ მათ გულში ჩაუდო ნახვა თავიანთი სიშიშვლისა, რომელიც მანამდე მათთვის დაფარულ იყო. მათ უთხრა: ღმერთმა ეს ხე მხოლოდ მიტომ აგიკრძალათ, ანგელოზები არ გახდეთ ორნიენი და უკვდავებიც არ იქმნეთო. მათ შეჰფიცა, თქვენი ერთგული მრჩეველი ვართო. იგინი შეაცდინა თვალ დამდგარნი; ხოლო როცა ხისაგან გემო გაიღეს, თავიანთი სიშიშვლე დაინახეს და თავს იფარავდენ წვალკოტის ნეშოებითა. უფალმან მაშინ შესძახა მათ: ნუ თუ არ ამიკრძალავს თქვენთვის ეგ ხე? ნუ თუ არ მითქვამს თქვენთვის, სატანა თქვენი მტერია-მეთქი?" (7. 18–21).

ა. სილაგაძის თარგმანი: „და ვთქვით ჩვენ: «ჰოი, ადამ! იცხოვრეთ შენ და ცოლმა შენმა სამოთხეში და, სადაც მოისურვოთ, ჭამეთ, რამდენიც გსურდეთ მისი ნაოფი, მაგრამ ამ ხეს არ გაეკაროთ, თორემ ცოდვილნი იქნებით». მერმე მასზე ფეხი დაადგინეთ შაიტანმა და გამოვარა იქიდან, სადაც იყვნენ. და ვთქვით ჩვენ: «განვედით, მტერნი ხართ ერთურთისა! აწ მიწაზე გექნეთ დროებით სამკვიდრებელი და საბადებელი»" (2. 35–36).

„...ხოლო, ადამ, იცხოვრეთ შენ და ცოლმა შენმა სამოთხეში, ჭამეთ, რაც გსურდეთ, მაგრამ იმ ხეს არ გაეკაროთ, თორემ ცოდვისმქნელნი იქნებით თქვენ. და წააქეზებდათ შაიტანი, რათა ცხადი ექმნა მათთვის, რაც დაფარული იყო მათ სასირცხვოთაგან მათთვის, და უთხრა: «მხოლოდ იმიტომ აგიკრძალათ თქვენმა უფალმა ის ხე, რომ ანგელოზები არ ქმნულიეავით ან უკვდავნი თქვენ». და შეჰფიცა მათ: «თქვენი კეთილისმრჩეველი ვარ მე». და ცდუნებით დაამხო ისინი, და, როცა გემო გაუსინჯეს ხეს, თავიანთი სახირცხვონი წარუდგათ თვალწინ და სამოთხის ფოთლებით დაიწეს შემოსვა. და შესძახა უფალმა: «განა არ აგიკრძალეთ მე ეს ხე და არ გითხარით, რომ შაიტანი ცხადი მტერია თქვენი?»" (7. 19–22).

და კიდევ: „სატანამ ჩააგონა მას: ადამ! გინდაო, გაჩვენო საუკუნოებისა და ძლიერების ხე, რომელიც უხმარად არ-

ის? ხისგან ჰსჭამეს (ნაეოფი) და თავიანთი სიშიშვლე დაინახეს და იწყეს შესამოსლის კეთება სამოთხის ფოთოლთაგან. ადამი თავისს უფალს ეურჩა და შესცდა" (20. 118–119).

ვიმეორებთ, მოსაძებნია, ბაგრატს საიდან მოაქვს აღნიშნული სიტყვა? მასთან პირისპირ პაექრობისას რომელიმე მოკამათემ ხომ არ იხმარა იგი?

¤

საყურადღებოა: ბაგრატი იმდენად კარგად იცნობს *„ყურანს"*, რომ მხედველობიდან არ რჩება შემდეგი ფაქტი: მასში ასახულია შვიდი ეფესელი ყრმის ძილის ამბავი, რომელსაც იგი ერთი წინადადებით ახსენებს. ბაგრატი აკრიტიკებს *„ყურანს"* იმის გამო, რომ, „რაოდენიცა წმიდანი სახწაულთ მოქმედნი იყვნეს (...), ეოველთაეე წინაწარმეტყველად უწოდს" და ასახელებს შვიდ ეფესელ ყრმას, რომლებსაც გამოქვაბულში 372 დღე და ღამე ეძინათ: „და შთამოუვების მოციქულთა და მოწამეთა (...), რამეთუ მღუდელთ მოძღუართა და მამათა და წმიდათა შჯდთა ერმათა ეფესელთა, რომელთა–იგი ტობ წელი ეძინა ქუაბსა მას შინა".

ცნობილია, რომ ხანგრძლივი ძილის მოტივი, სახელდობრ, შვიდი ეფესელი ყრმის ძილის შესახებ თქმულებანი და თხზულებანი მსოფლიოში, დაწყებული წინარე ქრისტიანული ეპოქიდან, ფართოდ იყო გავრცელებული. იგი დამუშავებულია სირიულ, ბერძნულ, სომხურ, ლათინურ, არაბულ, კოპტურ, ეთიოპურ, შემდგომ: ინგლისურ, შვედურ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ენებზე[2]. მოიპოვება რამდენიმე

[2] ამ საკითხზე: А. Крымский, Сем Спяших Отроков Эфесских, оттиск из тома "Древностей Восточных", Москва, 1914, с. I–II; შდრ. მარიამ ნანობაშვილი, ცნობები ეფესელ მძინარე ყრმათა და მათთან დაკავშირებული ჰაგიოგრაფიული თხზულებების შესახებ, „მაცნე", ელს, 1998, № 1–4, გვ. 165–176; მისივე, ჰაგიოგრაფიული თხზულება შვიდი ეფესელი მძინარე

ქართული რედაქციაც[3]. აქედან მნიშვნელოვანია X საუკუნის თარგმანი, რომელიც ივანე იმნაიშვილმა გამოსცა[4]. მოიპოვება სომხური ტექსტის გვიანდელი თარგმანიც[5].

ეს ამბავი ასახულია აგრეთვე *„ყურანსა“* (როგორც ამბობენ, მასში გაჩნდა ზეპირი გზით) და მრავალი მუსლიმი ავტორის თხზულებაში. დავიმოწმებთ მხოლოდ *„ყურანს“*: „ეური მოჰკარ თუ არა, რომ მღვიმისა და ალ-რაჯიმის ამხანაგთა ამბავი ერთი ჩვენ ს ა ს წ ა ულ თ ა გ ა ნ ი ა და წესგარეშე რამ? როცა ჭაბუკნი იგი იქ შეეფარნენ, ღაღად ჰქვეს: უფალო, შენი წყალობა მოგვმადლე და ჩვენის საქციელის სიმართლეს გაამარჯვებინე. მათ ეურთა სიერუე დავმართეთ მღვიმეში უწეებულ წელთა რიცხვის განმავლობაში. შემდეგ გამოვაღვიძეთ, გვენახა, თუ მათგანი ვინ უკეთ შეიძლებდა, იქ რო დარჩნენ, იმ დროის აღრიცხვას. მათ ამბავს დაჯშმარიტებით მოგითხრობთ შენ. იმ ახალგაზრდა კაცებს ღმერთი ჰსწამდათ, ხოლო ჩვენ კიდეე ღონე შევმატეთ, ჯეშმარიტ გზას დაჰსდგომოდნენ. ჩვენ განუმტკიცეთ მათ გულნი, როცა მთავრის წინაშე მიეყანილნი გაიმართნენ და ჰსთქვეს: ჩვენი მეუფე ბრძანდება ცისა და ქვეყნის მეუფე, არ შეგვიძლია, სხვა ღმერთს უწოდოთ თვინიერ მისა, თუ არა ცოდვა ჩავიდინოთ. ჩვენი თანამოქალაქენი თაეყვანჰსცემენ სხვა ღმერთებს და არა ღმერთსა; განა შეუძლიათ, ცხადად დამამტკიცებელი რამ გვიჩვენონ თავიანთი სათაეყვანოსი? ხოლო ვინაა მის უცოდველესი, რომელიც ღვთის თაობაზე სიცრუეს ჰსჯდეს. მაშინ ერთმანეთს უთხრეს: უკეთუ ისინი დაჰეაროთ, ისე როგორათაც კერპები, რომელთაც ღვთის თანასწორად თაეყვანჰსცემენ, და უკეთუ მღვიმეს თავი

წმინდანის შესახებ, ჟურ. „რელიგია“, 1999, №5-6. სათანადო ლიტერატურაც მათშია დასახელებული.

[3] ისინი აღრიცხულია მ. ნანობაშვილის დასახელებულ სტატიებში.

[4] ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1963, გვ. 101-116.

[5] ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა, ტფილისი, 1893.

შეაფაროთ, ღმერთმა წუალობა მოგანიჭოსთ და საქმეები საუმჯობესოდ მოგიწეოსთ. მზეს დაინახვედი, ამოსვლისას, მღვიმის შესავლის მარჯვნით გადამვლელსა, ჩასვლისას კი მის მარცხნით მშორაესა; ხოლო იგინი იმეოფებოდნენ მღვიმის ფართო ადგილსა. ეს ერთი ღვთის სასწაულთაგანია. კეთილად წარემართოს მას, რომელსაც ღმერთი წარუმართებს; მაგრამ ვისაც ღმერთი დააბნევს, ვერც მფარველი აღუჩნდეს და ვერც გამძღოლი. გეგონებოდა, ღვიძავსთო, მაგრამ კი ეძინათ; ხოლო მათი ძაღლი თათებგაჭიმული იწვა მღვიმის შესავალში. უცბად მოსულს რომ იგინი გენახა ასეთ ეოფაში, გამობრუნდებოდი და გამოიქცეოდი. შიშის ზარი დაგეცემოდა.

მერმე გამოვაღვიძეთ, რათა ერთმანეთისთვის ეკითხათ, ერთმა მათგანმა ჰკითხა, რამდენი ხანი ხართ აქაო? ერთი დღეო, მიუგო მეორემ, ანუ მხოლოდ ერთი ნაწილი რამ დღისაო. ღმერთმა უკეთ უწეის, ვიდრეღა ვინმე სხვამ, სხვები შეეცილნენ, თუ რა დრო გაგიტარებიათ აქა. გაატანეთ ვისმე თქვენგანს ეს ფული ქალაქში. მიჰმართოს, ვისაც საუკეთესო შეჯამადი ჰქონდეს, რათა საზრდოდ მოგიტანოსთ, მაგრამ ზრდილობიანად დაიჯეროს თავი და არც არავის გაუმხილოს თქვენი თავშესაფარავი. ვინადგან უკეთუ მცხოვრებთა შეგეტეოთ, ჩაგაქვავებდენ თქვენ, ან თავიანთ სარწმუნოებას მიგაღებინებდენ. ცხონებული ვეღარ იქნებოდით.

მათი თავგადასავალი მათვე თანამოქალაქეებს შევატყობინეთ, რათა ჰსცოდნოდათ, რომ ღვთის აღთქმა ჭეშმარიტია და ჟამისა მოწევნაც უეჭველია. მათნი თანამოქალაქენი ამის თაობაზე ცილობდენ. მღვიმის თავს შენობა ავმართოთო. ღმერთმა უკეთ იცის, ვიდრე ვინმემ სხვამ, თუ რა სიმართლეა მათ შორის. ვისი აზრიც საქმემ გაიტაცა, მათა ჰსთქვეს: სალოცავი ავაგოთ იქაო. არც ეს გაიხადო სალაპარაკოდ, არც გამოჰკითხო (არც ერთ ქრისტიანს) ამისი აზრი. ნურასოდეს იტეყი, დღეს ეს უნდა გავაკეთო, ისე რომ არ დასძინო, თუ ღმერთმა ინება – ღმერთი მოიგონე, თუ დაგავიწყდეს და ჰსთქვი, ეგების ღმერთმა წარმიმართოს მათი თავგადასავლის ნამდვილად შესატყობად.

იმ ჭაბუკთა დაჰვევს მღვიმეში სამას ცხრა წელიწადი. ჰსთქვი: ღმერთმა უკეთ იცის, ვიდრე ვინმე სხვამ, თუ რამდენი წელიწადი დაჰვევს იქა: ცისა და ქვეყნის საიდუმლონი მას ეკუთვნიან..." (18. 8–25).

ბაგრატი ყურადღებას არ აქცევს იმ სხვაობას, რომელიც ამ ტექსტსა და ქართულ რედაქციებს შორის არსებობს. მაგალითად, მღვიმის შესავალში რომ ძაღლი წევს ან ჭაბუკებს რამდენი წელი ეძინათ: 372 თუ 309 წელიწადი? როგორც ვთქვით, ბაგრატი ამ ამბავს იმ კონტექსტში ახსენებს, რომ მოჰამედი ყველა, მათ შორის ქრისტიან, წმინდანებს წინასწარმეტყველად მოიხსენიებსო. თუმცა მწერალი ამას მის შესახებ უშუალოდ და სახელდებით არ ამბობს, მაგრამ კონტექსტიდან ასე გამოდის. ნამდვილად კი, როგორცა ვნახეთ, *„ყურანში"* შვიდი ყრმის სასწაულთქმედება კია აღნიშნული, მაგრამ, ვიმეორებთ, არც ერთი წინასწარმეტყველად გამოყვანილი არაა. საკითხავია, ისინი ამგვარად რომელიმე სხვა – მუსლიმურ ან ანტიმაჰმადიანურ ქრისტიანულ – თხზულებაშია წარმოდგენილი თუ ბაგრატმა კამათის გამძაფრების მიზნით შეცვალა?

¤

ასეთივეა მოჰამედის ვინაობის საკითხი. ბაგრატის ცნობით, მოჰამედი იყო ისმაილის შვილიშვილი: „ჟამთა უკუმცჰერაკლე მეფისათა გამოჩნდა მოჰამედ, ვინმე ახალი მწვალებელი, უღმრთო და უსჯულო, ტომით იზრისგან, ძის წულის ისმაილისა". ამგვარადვე იხსენიება იგი იაკობ შემოქმედელის გალექსილ ვერსიაშიც:

„ჟამთა ერეკლე მეფისთა გამოჩნდა ქელბაშ მოამედ,
უღვთო, ურწმუნო, უსჯულო, წვალების მეტად მოამედ,
იზარის ტომით, ძის წული ისმაელისი, მოწამედ..." (სტროფი 18).

რა თქმა უნდა, მუჰამედი ბიბლიური ისმაელის (აგარისაგან აბრაჰამის შვილის) „ძის წული“ ვერ იქნებოდა. ჯუანშერი სწორად აღნიშნავს, რომ იგი ისმაელის „ნათესავი“, ანუ შთამომავალია: „მათ ჟამთა გამოჩენილ იყო მ ო ჰ ა მ ა დ, ნ ა თ ე ს ა ვ ი ი ს მ ა ე ლ ი ს ი, მოძღუარი სარკინოზთა სჯულისა, და ეოველი არაბია და იამანეთი დაიჰყრა“[6].

საიდან აიღო ბაგრატმა აღნიშნული ცნობა? თუ იგი მისი მოგონილია და აქაც – მუჰამედის სახელის გატეხისათვის? საყურადღებოა, რომ ამ მიზნით ქართულ საისტორიო თხზულებებში მურვან ყრუ მუჰამედის უახლოესი სისხლით ნათესავად არის გამოყვანილი. იმავე ჯუანშერის ცნობით, მისი ძე, ანუ შვილი ან მემკვიდრე: „... მოიწია ამირა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა მ ურ ვ ან ე რ უ, ძე მ ო ა მ ა დ ი ს ი, რომელი წარმოევლინა ეშიმს, ამირმუმლსა ბაღდადელსა, ძესა აბდალ-მელიქისსა, ნათესავისაგან ამათისა“ (იქვე, გვ. 233. 11). მაგრამ ამ ნაწარმოების ჩანართში მურვან ყრუ მუჰამედის ბიძა, დედის ძმაა: მურვანი ქართველებთან პირველი შეტაკებისას დამარცხების გამო ბობოქრობს: „ვინ არს მკადრე, რომელმცა წინააღუდგა დიდსა მოციქულსა მ ო ა მ ე დ ს, დ ე დ ი ს ძ მ ა ს ა ჩ ე მ ს ა?!“ (იქვე, გვ. 234. 18). მეორე ადგილას: მეორე შეტაკებაში გამარჯვებისას ამბობს: „ვითარცა ეუწყა შეჰურობა მათი, აღიტუუელნა კელნი და ადიდა დიდად დ ე დ ი ს ძ მ ა თ ჳ ს ი მ ო ა მ ე დ და ს ჯ ული მისი“ (იქვე, გვ. 334. 24).

ასეევა „*დავით და კოსტანტინეს წამებაშიც*“: „ხოლო შემდგომად სიკუდილისა მ უ ჰ მ ე დ უს ჯ ულოსა, დაუტევა მთავრობად თჳსი თჳსსავე მსგავსსა უკეთურებითა მ ურ ვ ან ე რ უ ს ა, დ ი ს წ უ ლ ს ა თ ჳ ს ს ა“[7].

---

[6] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, I, თბ., 1955, გვ. 229, 10.

[7] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III (მეტაფრასული რედაქციები XI–XIII სს.), დასაბეჭდად

ამასვე იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილიც: სტეფანოზის „მეფობის მეოთხესა წელსა, ეგრისს ეოფასა შინა კათალიკოზობასა თაბორისსა, მოვიდა მურვან ერუ, დისწული მაჰმადისა სპათა უამრავითა“[8].

ასე რომ, მუჰამედის ამბის აღრეცა ჩვეულებრივია, ხოლო დასმული საკითხი ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის.

¤

კიდევ ერთი წყაროს შესახებ. ბაგრატი სა-განგებოდ განმარტავს, რომ ხატის თაყვანისცემა ხელით ქმნილის თაყვანისცემა არ არის, და მოგვითხრობს, თუ როგორ შეიქმნა ღვთის ხელთუქმნელი ხატი:

„ხოლო ვინადთგან არა ჰრწმენა ჰურიათა ქრისტეს მიმართ, ესმა ავგაროზ მთავარსა ედესიასა, რომელი-იგი იეო სჯულითა კერპისათა, სასწაულთა მათთჳს, რომელთა აღასრულებდა იესუ, ჰრწმენა და მოავლინა მალემსრბოლი და მხატვარი, რადთამცა გამოწერა ხატი იესუსი. ხოლო ვინადთგან კელეო და ვერ შეუძლო გამოწერად, შემუსრა კალამი იგი მისი სამხატვრო, მოვიდა, თაუუანისცა. გულისკმაეო იესუ, რაჲსა იგი ტრფიალი იეო, და ვერ უძლო. მოსთხოვა მას ტილო და დაიდვა საუფლოსა მას ჰირსა ზედა თჳსსა და გამოსახა თჳნიერ კაცობრივისა კელისა, რომელი-იგი წარსცა ავგაროზ თადეოზ მოციქულისა მიერ და არქვა: უკუეთუ გიეჳარ-მჳა, დაუტეე კერპის მსახურებაჲ და მის წილ

მოამზადეს ილ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1971, გვ. 250. 9.

[8] ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 124. 11.

თაუანისეც ხატსა ამას ჩუენსაჲ. ხოლო ავგაროზ შემუსრნა კერპნი თჳსნი და აღმართა მათ წილ ხატი იგი უფლისაჲ. და ჩუენცა ეოველნი ესე ქრისტიანენი, რომელნი მოკქცით კერპთაგან მიერითაგან, გამოჳსწერთ ღმერთა ხატთა უფლისაჲ ჩუენისა ქრისტესასა, და უბიწოდ მშობლისა მისისა და წმიდათა წინაწარმეტეუელთა და მოციქულთა და მოწამეთა და მამათა ეოველთა წმიდათასა. და კერპთა მათ წილ თაუუანისვსცემთ, რომელთაგანცა მოვიქცით ღმრთისა მიმართ და არა გვეგანან ჩუენ ღმერთად და არცა რას უზორაეთ მათ, არამედ სურვილით თაუანისვსცემთ ხატსა ქრისტესასა და ეოველთა წმიდათა მისთასა. მსასოებელნი ესე განკაცებისა და კორციელად ჩუენთა ქცევისა მისისანი და არა თუ სახესა უხილავისა ღუთაებისა გამოჳსახაეთ. ნუ იეოფინ წმიდანი ხატნი წლითი-წლად მოიჳლინების ნათელი ღუთაებისა მისისა (...). ესრეთ უწეოდე, რამეთუ არა ვისსა კერპსა თაუუანისვსცემ".

ახლა ვნახოთ, ეს ამბავი ასევეა გადმოცემული ექვთიმე ათონელის მიერ შედგენილ *„მცირე სჯულისკანონში"*:

„და თავადმანცა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე მოგვცა სახე ესე, რამეთუ იქცეოდა რაჲ იგი ქვეუანასა ზედა, ესმოდა სასწაულნი მისნი ავგაროზ ედესელ მთავარსა და წარაჳლინა მხატვარი, რაჲთა გამოსახოს სახე უფლისაჲ და მიართუას. ხოლო მხატვარმან მან ვერ უძლო ხატისა მისისა გამოსახვად ბრწუინვალებისა მისგან და დიდებისა, რომელი ჰკრთებოდა ჰირით მისით, რამეთუ განგებულებით ესრეთ ეჩვენებოდა. მაშინ მივიდა და შეუგრდა ფერკთა უფლისათა და მიუთხრა საქმე იგი. ხოლო მაცხოვარმან მიიღო ტილოჲ კელთ-საკოცელი და დაიდვა წმიდასა მას და ცხოველმოფელსა ჰირსა თჳსსა, და მეცნეულად გამოსახა ხატი მისი დიდებული ტილოსა მას ზედა და ესრეთ წარსცა იგი აგვაროსისა ებისტოლითურთ ცხოველს-მოფლითა მით კელითა მისითა დაწერილითა. და დიდებულნი სასწაულნი აღესრულნეს

წმიდისა მის ხატისაგან. და მიერითგან წმიდათა მოციქულთა მიერ განეწესა მადლითა სულისა წმიდისაჲთა გამოსახვაჲ ხატებისა“[6].

ექვთიმეს ამ ნაშრომშიაც, ისე როგორც ბაგრატთან, ეს ამბავი იმად არის მოყვანილი, რომ გვითხრას, ხატი ხელთუქმნელია და უფლისაგანაა განწესებული: „ეგრეთვე ხატსა რაჲ უფლისასა თაყუანის-ვსცემდეთ, არა ნივთსა მას ფიცრისა და წამალთასა თაყუანის-ვსცემთ, არამედ სახესა მას უფლისასა და მისა მიმართ აღვიჰერობთ გონებასა თუალთა...“ (გვ. 65–66). ეს შეხედულება კი ხატმბრძოლობის შემდეგ მთელ ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრდა.

¤

სულ ბოლოს უნდა შევნიშნოთ: ბაგრატი ვრცლად მოგვითხრობს ასევე ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ ისტორიას ძველი აღთქმის წიგნების ებრაულიდან თარგმნის შესახებ. ის ისე დაწვრილებით გადმოგვცემს შინაარსსა და ასახელებს მასში მონაწილე პირებს, რომ, აშკარაა, ხელთა აქვს რომელიღაც ხელნაწერი, უპირველესად, უნდა ვიფიქროთ, – ქართული.

პირადად არ მიძებნია, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევართა და გამომცემლებს, ბევრს, შეეკითხე, ჩვენს ფოლიანტებში შეხვედრიან თუ არა, ამგვარ თხზულებას, მაგრამ მისი არსებობა ვერვინ დამიდასტურა. თუ ქართული ტექსტი მართლაც არ მოგვეპოვება, უფრო სავარაუდოა, იგი არსებობდა და დაიკარგა. თუ ბერძნულ ან სხვა

---

[6] მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972, გვ. 66.

უფრო ვრცლად ამ საკითხზე: „ავგაროზის ეპისტოლის“ ძველი ქართული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან ჩხიკვაძემ, თბ., 2007.

წყაროს იყენებდა, შესასწავლია, რა უცხო ენებს ფლობდა მწერალი.

ბიბლიოგრაფიული ცნობები[1]

ბაგრატის ეს პოლემიკური ნაშრომი მასში დაცული ბიბლიოგრაფიული ცნობების გამო მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

მწერალი საგანგებოდ მსჯელობს ბიბლიის ქართულად გადმოღებაზე. ჯერ გვამცნობს, როგორ ითარგმნა ძველი აღთქმა ებრაულიდან ბერძნულად და მერე – რომელ ენებზე შეიქმნა ახალი აღთქმის წიგნები. ამ უკანასკნელთა თაობაზე წერს: „და თუ სახარებისათჳს გკითხოს, – მ ა თ ე ებრაელებრ აღიწერა იერუსალჵმს და მისცა ჰურიათა, რომელთა ნათელ ეღო. მ ა რ კ ო ზ ალექსანდრიას ასურთა ენითა, რომელ არს არაბული და მისცა არაბთა, რომელთა ნათელ ეღო. ლ უ კ ა – ჰრომს, ჰრომთა ენითა და მისცა წარმართთა, რომელთა ნათელ ეღო. ი ო ა ნ ე დიმიშჳს ბერძენთა ენითა, რომელთა ნათელ ეღო ბერძენთა“.

ამას უშუალოდ ებმის საუბარი, როგორ და ვის მიერ ითარგმნა ბიბლიური თხზულებანი ქართულად და რამდენად სანდოა ისინი. „თუ თქუას, – უხსნის მწერალი ქართველ მკითხველს, – ვითარმედ შენ ვინ (=საიდან) გაქჳს წიგნები იყი, რამეთუ არა ხარ ისრაჵლი, არცა ბერძენი, არცა ასური, არცა ჰრომი, არამედ ქართველი, მიუგე მას: რაოდენიცა წმიდანი ქრისტჵსნი სასწაულთ-მოქმედნი ჰირველ მოჰამადისა იყვნეს, ეოველთავე ფეღამბარად უწოდთ და ეწამებით, აწ უკუე იყვნეს უწინარეს მოჰამედისა კაცნი წმიდანი და სასწაულთ-მოქმედნი, ნათესავით ქართველნი. დ ა ვ ი თ, ს ტ ე ფ ა ნ ე, ა რ ს ე ნ ი,

[1] გამოქვეყნებული იყო კრებულში „მწიგნობარი–99“ (თბ., 1999, გვ. 91–99).

ეფთვმე, გიორგი და ეფრემ, რომელნი წარვიდეს იერუსალჟმს და მთაწმიდას და მრავალი ღვაწლი აღასრულეს, ვიდრე ანგელოზისა სილვასაცა ღირს იქმნეს. და მათ გკთარგმნეს ჩუენ წიგნები ესე ყოველი ბერძულისაგან ქართულად ორ-ორგზის და სამ-სამგზის, ვითარცა იგი ჰირველ ებრაულისაგან, რომელთა ეწამების ყოველი საბერძნეთი და არაბეთი. და უკეთუ არა გრწამს, აჰა ესერა ებრაული წიგნები ჰურიათა შორის და შევაწამოთ".

სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის განსაზღვრული, რომ აქ დასახელებული პირები არიან: დავით ტბელი, სტეფანე სანანოის ძე, არსენ ნინოწმინდელი, ეფთვიმე და გიორგი მთაწმინდელები, საბა თუხარელი და ეფრემ მცირე. თხზულებაში ამას მოსდევს შემდეგი ტექსტი: „მესწავება საკმარ არს, ვითარმედ დავით და სტეფანე ძველადვე იყვნეს იერუსალჟმს და გკთარგმნეს ყოველი წიგნები ებრაულისაგან ქართულად და არაბულისაგანცა. ხოლო, ოდეს მთაწმიდას ჰროტატის ღმრთისმშობლის მონასტერი გამოუჩნდა ქართველთა, მრავალნი წმიდანი მამანი წარვიდოდეს და იღვწოდეს. წმიდაჲ მამაცა ეფთვმი, ნათესავით ტაოელი, წარვიდა და ესეოდენი ღუაწლი აღასრულა, რომელ სასწაულთა აღსრულებისა მადლი მოიღო და კურნებისა. და ესოდენ ისწავა ყოველი სიბრძნე და წიგნი ბერძული, რომელ ფილოსოფოსთაცა თანაწარკდა და ყოველი ძველად თარგმანებული წიგნები ახლად გკთარგმნა, რამეთუ რომელნიმე მწერალთა განეურნილ იყვნეს და რომელნიმე არა შეენდეს, და სხუანიცა მრავალნი, რომელნი არა თარგმნილ იყვნეს ჩუენსა ენასა ზედა. ხოლო წმიდაჲ მამა ჩუენი გიორგი, ნათესავით ქართველი იყო და იყიცა მუნ იყოფოდა ჟამთა დავით აღმაშენებლისათა, ხოლო სიბრძნისა და სწავლებისა მისისათჳს რომელნი ენამან გამოთქმად შეუძლოს! და კუალად მანცა ახლად გკთარგმნა მწერალთა მიერ განრეუნილნი ყოველნი წიგნნი. არამედ შემდგომად მათსა გამოჩნდეს ორნი ვინმე ძმანი, რომელმან სულიერნი, ნათესავით მესხნი – საბაჲ თუხარელი და ეფრემ ვინმე, სახელ

იდვა ეფრემ მცირე. და ესე ეფრემ ფრიად უაღრეს იეო ფილოსოფოსობითა, და აიძულა საბაჲ თუხარელმან თარგმანებად რაოდენთამე წიგნთა. და თარგმნა, რომელნი არა თარგმნილ იყვნეს ენასა ზედა ჩუენსა თჳნიერ «ყარდამოცემა» დამასკელისა, რამეთუ იგი წმიდამან ეფთჳმიცა თარგმნა სულ მცირედ, ხოლო უთარგმანებელნი ნეშტნი – გრიგოლ ღმრთისმეტყუელის «საკითხაჲნი» თარგმანნი დავითისნი და „ლაჳსაიკონი“, რომელსა წერილ არიან კასიანეს რომისანი. ხოლო ესე ეფრემ იეოფოდა მთასაცა შაჳსა და იერუსალჱმსაცა. ერთი ჰირველთა და უძველესთა თანა გამოსათარგმანი არსენიცა არს. ხოლო მათ არა უწეი, თუ ვინა იყვნეს. და ამისთჳს არა ეწადა კუალად – ამათ და მერმე – მათ, არამედ ეოველნივე კეთილ და ჯეშმარიტ. ხოლო ფრიად უეჭუელად თარგმანებულნი ეფრემის და გიორგის მიერ არიან. ესენი წარვიდეს იერუსალემს და მთაწმიდას და მრავალი ღუაწლი აღასრულეს, ვიდრე ხილვასაცა ანგელოზისასა ღირს იქმნეს, და მათ გჳთარგმნეს ჩუენ წიგნები ესე ეოველი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ ბაგრატს ეკუთვნის ამ ტექსტის პირველი ნაწილი, სადაც საუბარი ზოგადია, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც, ასე თუ ისე თითოეულ მათგანს ეხება, სხვის მიერ შემდეგ არის ჩამატებული. ეს აზრი პირველად გამოთქვა ნიკო მარმა და გაიზიარეს სხვებმა.

ნ. მარის ძირითადი საბუთია ის, რომ ამ ტექსტებს შორის შეუსაბამობას ხედავს. მისი აზრით, პირველ ტექსტში მთარგმნელები – დავითი, სტეფანე, არსენი, ეფთჳმი, გიორგი და ეფრემი, – ყველანი მაჰმადის წინადროინდელ მოღვაწეებად არიან გამოყვანილი, მაშინ როდესაც მეორე ტექსტის ავტორი, ვითომც, ამჩნევს ამ შეცდომას, თუმცა უზუსტობისაგან არც თჳითონაა დაზღვეული, როცა გიორგი დავით აღმაშენებლის თანამედროვედ არის მიჩნეული. მეცნიერი იმოწმებს ორივე ტექსტს და ასე მსჯელობს: „В отрывке легко заметить две части; вторая, начинающаяся შესწავება საკმარ არს нужно

знать..., представляет примечание, внесенное впоследствии каким либо осведомленным лицом. Сведущий интерполатор хотя и считает Георгия Переводчика современником Давида Строителя, но все таки заметил, что автор полемического трактата неверно представлял дело, когда он провозглашал за предшественником Магомета не только Давида и Степана, живших «задолго» до известных святогорцев, но и самих святогорцев Евфимия (X-XI), Георгия (XI) и Ефрема (XII)"[2].

6. მარი თავისი დებულების დასადასტურებლად მიმართავს იაკობ შემოქმედელის მიერ ბაგრატის ნაშრომის გალექსილ ვერსიას, სადაც პირველი, ანუ ბაგრატის, ტექსტი სრულად არის ლექსად გარდაქმნილი, ხოლო მეორე, ანუ ჩანართად მიჩნეული, ნაწილი, თითქოს, მასში არ მოიპოვებოდეს. აქედან მკვლევარი ასკვნის (და ეს მისი მეორე საბუთია), ვითომც, ბაგრატის თხზულების იმ ხელნაწერს, რომელსაც იაკობ შემოქმედელი გალექსვისას იყენებდა, ეს მეორე, ჩანართად მიჩნეული ტექსტი, არ გააჩნდა. მოვუსმინოთ მას:

„В руках Иакова Шемокмедского труд Баграта был еще, очевидно, в списке без указанной вставки, иначе он не повторил бы с буквальностью подлинных слов самого Баграта о древних грузинских переводчиках, как можно судить по следующему извлечению" (გვ. 242).

მეცნიერი იმოწმებს იაკობის 180-183-ე სტროფებს და განაგრძობს:

„Более же обстоятельным сообщением по тому же вопросу, представляющим позднейшую вставку, Яков на пользовался, чтобы несколько исправить слова Баграта и не называть в числе предшест-

---

[2] Н. Я. Марр, Из книги царевича Баграта о грузинских переводах духовных сочинений и героической повести "Дареджаниани", გვ. 241-242.

венников Магомета по крайней мере Ефимия, Георгия и Ефрема. Невероятно, чтобы Иаков не отличил от слов Баграта вставку, если последняя была бы в пренадлъежавшем ему списке сочинения царевича, и безсмысленно переложил все на стихи, вот почему мы настаиваем на неизвесности этой вставки Иакову, так как по рукописи Публичной библиотеки ничего еще нельзя сказать: в етом именно месте (между лл. 144 и 145) она дефектна" (გვ. 242-243).

ნიკო მარის დასკვნა გაიზიარა კორნელი კეკელიძემ. საბუთად ისიც აღნიშნულ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას ასახელებს. მისი სიტყვებია: „XVI საუკუნეში ბაგრატ ბატონიშვილს დაუწერია მოკლე ჰოლემიკური შრომა, რომელსაც ეწოდება «მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთა», სადაც ავტორი ასახელებს ზოგიერთ ქართველ მწერალს. რამდენად გამოსადეგია ავტორის ლიტერატურული ცნობები, ადვილი წარმოსადგენია იქიდან, რომ ექვთიმე ათონელს, ვიორგი მთაწმინდელსა და ეფრემ მცირეს ის მაჰმადის წინა დროის მწერლებად თვლის. ეს მოთხრობა XVII საუკუნეში ლექსად გადაუკეთებია იაკობ შემოქმედელს; იაკობს არავითარი ფაქტიური დამატება შიგ არ შეუტანია. სამაგიეროდ XVIII საუკუნეში რომელიღაც ინტერპოლატორს ბაგრატის შრომისათვის დაურთავს დამატება, რომელშიაც ის ბაგრატის დახასხელებულ მწერალთა შესახებ უფრო ნამდვილ ცნობებს იძლევა, თუმცა გიორგი მთაწმინდელს ის დავით აღმაშენებლის თანამედროვედ თვლის"[3].

ნ. მარის შეხედულება გაიზიარა აგრეთვე ივანე ლოლაშვილმა. მისი სიტყვებია: „ახლა შევეხოთ *«მოთხრობის»* და *«კაბაასების»* იმ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომლებიც

[3] ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 16-17.

ეხება ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას. მათი შემცველი ტექსტი შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი («*უკეთუ გრქვას...აჰა, ესერა ებრაული წიგნი ჰურიათა შორის და შეყაწამოთ*») ეკუთვნის ბაგრატ ბატონიშვილს, მეორე («*შესწავება საკმარ არს ... წიგნები ესე ეოველი*») – გვიანდელ ინტერპოლატორს (თუ კომენტატორს), რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში ბაგრატზე უფრო გარკვეულია, თუმცა არც მას ჰქონია სწორი წარმოდგენა ზოგიერთი მწერლის მოღვაწეობის დროის შესახებ"[4].

ი. ლოლაშვილისთვისაც, როგორც კ. კეკელიძისათვის, საყრდენი იგივე ქრონოლოგიური სხვაობაა. მან, რომელმაც საგანგებოდ შეამოწმა ზოგიერთი ბიბლიოგრაფიული ცნობა და ნ. მარის მიერ იაკობ შემოქმედელის ტექსტის მიმართ გამოთქმული უზუსტობანი გაასწორა, თავის მხრივ, აღნიშნული დებულების დასადასტურებლად ახალი „საბუთი" მოიხმო. ის კონტექსტის მიხედვით განიხილავს საძიებელი ტექსტის სიტყვებს – „*ბერძულისაგან ქართულად ორგზის და სამგზის, ვითარცა იგი პირველ ებრაულისაგან*" – და მიიჩნევს, თითქოს მასში საუბარი იყოს ქართველთა მიერ ახალი აღთქმის ებრაულიდან თარგმნაზე, რაც ბაგრატის უცოდინარობის კიდევ ერთ მაგალითად ესახება. „ბაგრატი – აგრძელებს ის მსჯელობას, – ქართველ მთარგმნელებს დავითს, სტეფანეს, არსენს, ეფთვიმეს, გიორგისა და ეფრემს, რომელნიც, მისი ცნობით, მოღვაწეობდნენ «*უწინარეს მოჰამედისა*» იერუსალიმში და ათონის მთაზე («*მთასა წმიდასა*»), მათ გადმოგვითარგმნესო, – ამბობს იგი, წიგნები «*ბერძულისაგან ქართულად ორგზის და სამგზის, ვითარცა იგი პირველ ებრაულისაგან*». ეს ცნობა უპირველესად ძლიერ ზოგადია, რომელიც თავისთავად არაფერს იძლევა, თანაც შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს: ხსენებული ქართველი მთარგმნელები არიან X–XI

[4] მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.), გვ. 13.

საუკუნეების მწერლები (...), რომლებიც მაჰმადის შემდეგ ცხოვრობდნენ და თარგმნიდნენ თხზულებებს არა ებრაულიდან, არამედ ბერძნულიდან“ (იქვე).

საკითხის გულდასმით შესწავლა გვიჩვენებს, არც ერთი მოხმობილი საბუთი სარწმუნო არ არის და, ბუნებრივია, არც მათზე დამყარებული დებულებაა მისაღები. მივყვეთ ბოლოდან.

ი. ლოლაშვილის განხილულ ტექსტში ლაპარაკია არა ქართველების მიერ ბიბლიური წიგნების ებრაულიდან თარგმნაზე, არამედ ამ წიგნების, საერთოდ, თავდაპირველად ებრაულიდან მომდინარეობაზე. წინ ბაგრატი სვამს საკითხს – ებრაულ ენაზე დაწერილმა წიგნებმა რა გზა გაიარეს, სანამ ქართველები მათ მშობლიურ ენაზე მიიღებდნენ: „უკუეთუ გრქვას, ჴითარმედ: *შენ რომლითა წიგნითა მოუთხრობ, რამეთუ წარმართი ხარ და არცა შენ გაქუს წიგნები ებრაული?* – მიუგე მას ესე ეოველი და უამბე, რამეთუ იგი უმეცარ არს“.

შემდეგ მოთხრობილია, როგორ ითარგმნა ძველი აღთქმის წიგნები ებრაულიდან ბერძნულად. ბაგრატის სიტყვით, როდესაც პტოლემეოზ მეფემ დიდი თხოვნის შედეგად იერუსალიმიდან მიიღო „წიგნნი სულითა ღმრთისადთა დაწერილნი კაცთა წინასწარმეტყუელთაგან, რომელნი გუაუწეებენ შესაქმესა სოფლისასა და გუარწმუნებენ აღდგომასა მკუდართასა“, ვერ მოიხმარა მან ისინი ებრაული ენის უცოდინარობის გამო: „ვერ უძლო წარკითხვად, რამეთუ ებრაულებრ წერილ იყვნეს“. მაშინ მან მოიწვია „სამეოცდაათორმეტნი ჭაბუკნი ათორმეტთავე ტომითგან ისრაჱლისათა, კაცნი წინასწარმეტყუელნი და ჩინებულნი სიწმიდითა, ფრიად მოძღურებითა განსწავლულნი, წიგნთა მიერ საღმრთოდთა დაწურთნილი“, რომლებმაც ზედმიწევნით იცოდნენ ებრაული, რომაული, ბერძნული და ასურული ენები (ჩამოთვლილია ეს პირები). მეფემ „აღუშენა მათ სენაკები და შეაყენა ორ-ორი თჳთოსა სენაკსა შინა“ და თითოეული წიგნი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლივ ორ-ორ წყვილს ათარ-

გმნინა. ბოლოს, როდესაც მათი ნახელავი ერთმანეთს შეადარეს, ისინი სიტყვასიტყვით ერთნაირი აღმოჩნდა: „იწყო პირველად და მისცა წიგნი «დაბადებისა» სათარგმანებლად ორთა მათგანთა. და ვითარ თარგმანეს, კუალად მისცა იგივე წიგნი ორთა სხუათა, რომელთა არა ესმოდა კმად გინა სიტეუად პირველითა, რამეთუ სენაკები მათი შორს იყუნეს ურთიერთას. და თარგმანეს რად მათცა, მოიღო და შეაწყმა ურთიერთარს წიგნები იგი მეფემან ჰტოლემეოზ და ვითარ ერთსა სიტეუასა ზედა იპოვნეს თარგმანებული იგი, აღიესო სიხარულითა დიდითა. და ესრეთ ყოველი იგი წიგნები ორ-ორ გზის ათარგმანა“.

აი, სწორედ საკამათო ტექსტში ებრაულიდან შესრულებული ეს თარგმანები იგულისხმება და არა ქართველთა ნამუშევარი. ბაგრატი გარკვევით ამბობს: „მათ (დავითმა, სტეფანემ...) გადმოგვითარგმნეს ჩუენ წიგნები ესე ყოველი *ბერძულიხაგან ქართულად ორგზის და ხამგზის, ვითარცა იგი პირველ - ებრაულიხაგან*“. ე. ი. ბიბლიური წიგნები ქართულადაც ისევე ბევრჯერ ითარგმნა, როგორც ეს თავდაპირველად მათი ებრაულიდან გადმოღებისას იყოო. რომ ეს ასეა, მომდევნო წინადადებაც ადასტურებს: „რომელ ეწამების ყოველი საბერძნეთი და არაბეთი“. საბერძნეთისა და არაბეთისათვის, ცხადია, სარწმუნოა არა ქართულიდან, არამედ ებრაულიდან ნათარგმნი ძველი აღთქმის წიგნები. ასე რომ, ბაგრატი არ ამბობს, დასახელებული ქართველი მოღვაწეები ბიბლიურ წიგნებს ებრაულიდან თარგმნიდნენო.

რაც შეეხება ნ. მარის მეორე საბუთს, თითქოს იაკობ შემოქმედელი არ იცნობდეს და მის ვერსიაში არ მოიპოვებოდეს ჩანართად მიჩნეული ბაგრატის ტექსტის მეორე ნაწილი, ი. ლოლაშვილი სარგებლობდა ჩვენ მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტით და მიუთითა, რომ, როგორც თავად გვამცნობს, ნ. მარს ხელთ ჰქონდა ლექსითი ვერსიის ნაკლული ხელნაწერი, თორემ სხვა ნუსხებში ეს ჩა-

ნართად ნავარაუდევი ნაწილიც მთლიანად და სრულად არის შესული. აი, ეს ტექსტიც:

„მოგახსენებ ღირს(ს) ეფთვიმეს, ნათესავით ტაოელსა,
ლოცვით, მადლით, სასწაულით ვინ განკდიდა სამოელსა,
მყის განკურნის, ვინც შეეხის აჩრდილს მისსა სამოსელსა,
ღვთისმეტყველთა სიტყვას ჰქუხდა, სიბრძნით სჯობდა ჩვენს მრთველსა.

ისწაელა ყოველი სიბრძნე, სთარგმნიდა რომთა, ბერძნულსა,
საღვთოს ევანახის მუშაკი თესლს არ სთესვიდეს ღვარძულსა,
ისრაელთ მსგზავსად გვეძღოდის, შურსა იქს მოსეს ბაძურსა.
თხა, მარცხნივ მყოფი ცხოვარის, ეეჭვ, ფანდებს გიზამს ვერძულსა!

აღმაშენებლის დავითის ჟამს იყო მამა ქართველი,
გიორგი ერქვა, რიტორი, სიბრძნის სახლ-სართულ დამრთველი,
კვლა მესხნი ორნი, სულით ძმა, უგბილთა სწაელით მომწვრთელი, –
საბა და ეფრემ, უცნობთა ცნობისა წყაროთ მომრწყველი.

ამათგან იქმნეს ყოველი ჩვენნი წიგნები თარგმნილად,
გამართეს , ცრუთ მწერალთაგან რაც სადმე იყვნეს განრყვნილად,
იერუსალემს, მთაწმინდას, მათ მისლვა უჩნდათ აღვილად,
სხვაც იყვნეს წმინდა მთარგმნელი. სახელ რაღას ვსდევთ სულ წვრილად?!“ (184–187).

ჩვენი მხრივ, ნ. მარის საპასუხოდ უნდა შევნიშნოთ: როგორც ვხედავთ, იაკობ შემოქმედელი ბაგრატის ტექსტის მიმართ რაიმე კრიტიკულ დამოკიდებულებას არც აქ იჩენს.

დარჩა ერთადერთი საბუთი — აღნიშნული წინააღმდეგობა.

ჯერ-ერთი: ჩვენ ეჭვი გვეპარება, ბაგრატ ბატონიშვილს, იმ განათლების პატრონს, რომელსაც ის ქრისტიანობისა და ისლამის მიმართ იჩენს, არ სცოდნოდა და ვერ გარკვეულიყო, ხსენებული ქართველი მოღვაწენი მაჰმადამდე ცხოვრობდნენ თუ რამდენიმე საუკუნის შემდეგ.

მეორეც: თუ ინტერპოლატორმა ბაგრატის ნაშრომი შეავსო და, მცირე უზუსტობის გარდა, არსებითად სწორად განსაზღვრა ქართველ მთარგმნელთა ცხოვრების ხანა და დამსახურება, მოსალოდნელი იყო, ასე მყვირალა წინა შეცდომაც გაესწორებინა.

არც იმას გამოვრიცხავთ, ამგვარი პოლემიკის დროს ავტორს აღნიშნულ სწავლულთა მოღვაწეობის ხანა შეგნებულად დაეძგელებინა.

იმასაც ვფიქრობთ, ნაშრომის პირველი ნაწილის შინაარსი, შესაძლებელია, სხვანაირად გავიგოთ. გამოთქმა „აწ უკუე იყვნეს უწინარეს მოჰამედისა კაცნი წმიდანი და სასწაულთმოქმედნი, ნათესავით ქართველნი“ ეხებოდეს არა იქ ჩამოთვლილ პირებს (დავითის, სტეფანეს და ა. შ.), არამედ სხვებს, ბაგრატის ვარაუდით, იმ ქართველ ქრისტიანებს, რომლებიც, სხვა ხალხების წმინდანთა დარად, „პირველ მოჰამედისა“, ანუ მაჰმადის გამოჩენამდე, „სასწაულთ-მოქმედნი იყვნეს“ და რომელთაც თქვენ თვითონ, მაჰმადიანები, „ყოველთაგე ფეღამბარად (=წინასწარმეტყველად) უწოდთ და ეწამებით“ (=სარწმუნოდ მიგაჩნიათ).

ამ გაგებას უპირველესად მხარს უჭერს ის, რომ ბაგრატის თხზულების ყველაზე ძველ A-Q 91 ნუსხაში სიტყვა „*დაეით*“ (დაქარაგმებულია: „დ~თ“) ასომთავრული „დ“ ასოთი იწყება, მაშინ როდესაც მომდევნო სახელები *სტეფანე, არსენი,*

ეფთჳმე, გიორგი (დაქარაგმებულია: „გ~ი“) და *ეფრემი* სა-ზედაო ასოების გარეშეა წარმოდგენილი (გვ. 11v). ამ ხელნაწერში კი ასომთავრული ასოებით ჩვეულებრივ და უმთავრესად აბზაცები ან ზოგჯერ ახალი წინადადები იწყება.

ყურადსაღებია ისიც, წინა წინადადებაში ბაგრატი მაჰმადიანებს უსაყვედურებს, რომ ისინი წმინდანებსა და წინასწარმეტყველებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ: „... რაოდენიცა წმიდანი ქრისტჱსნი სასწაულთმოქმედნი ჰირველ მოჰამედისა იყვნეს, ეოველთაჳე ფერდამბარად უწოდთ“.

თუ ეს ვარაუდი მისაღებია, მაშინ სიტყვების შემდეგ „ნათესავით ქართველნი“ წერტილი უნდა დაისვას. ხოლო სიტყვებიდან „დავით, სტეფანე...“ ახალი წინადადება იქნება, სადაც ნათქვამია, რომ „მათ მრავალი ღვაწლი აღასრულეს“ და „გჳითარგმნეს ჩუენ წიგნები...ორ-ორგზის და სამ-სამგზის“, როგორც ეს ებრაულიდან ბერძნულზე ძველი აღთქმის გადმომღებმა ჯგუფმა გააკეთაო.

ამგვარ გაგებას რამდენადმე ხელს უშლის „და“ კავშირი და „მათ“ ნაცვალსახელი („და მათ გჳითარგმნეს“). მაგრამ ქართულ ბიბლიაში და თვით ბაგრატის ამ ნაშრომშიაც ამგვარი სინტაქსური კავშირი ჩვეულებრივი მოვლენაა.

მოულოდნელია და გაუგებრობას ქმნის ისიც, რომ სიტყვებს „ნათესავით ქართველნი“ უშუალოდ ებმის მთარგმნელთა ჩამოთვლა („დავით, სტეფანე...“) და წინ მინიშნება არ არის, რომ ესენი შემდგომი დროის მოღვაწენი არიან. ამის გამოა, ზოგიერთ გადამწერს აღნიშნული წინადადება ნ. მარისებურად ესმის და „ქართველნის“ შემდეგ ჩაუმატებია სიტყვები: „რ(ომ)ელთა სახელები ესე არს“. ასეა H-186 (XVII-XVIII სს.) და H-2261 (1824 წ., გადამწერი პ. იოსელიანი) ხელნაწერებში.

ჩვენს წაკითხვას მხარს უჭერს იაკობ შემოქმედელის ტექსტი, რომელიც საძიებელ ადგილას სრულად და ზედმიწევნით მიჰყვება დედანს:

„თუ გრქვას: «სად გაქეს შენ წიგნები, რომ არა ხარ ისრაელი, არც ბერძენი, არც ასური, არცა კაცი რომაელი,

ქართველს წიგნი თაეს ვინ მოგცათ, ანუ ბოლოდ სამ მოელი»?
უთხარ: ყური მომიპყარი, მაჰმად გრწამს თუ ისმაელი?

რაც წმინდანი ქრისტიანე იყვნეს პირველ მაჰმადისა,
უწოდთ ყველას ფეღამბარად, ვინც სცხოვრებდენ მადამდისა.
ქართველთ ძენი გამოვიდეს უწინარეს თქვენამდისა,
ბევრგან მყოფნი, არ მიმსველენი ნეჯელ-ქელბელ-მაქამ-
დისა.

დაგით, სტეფანე, ეფთვიმე, გიორგი, ეფრემ, არსენი,
იერუსალემს ძველადვე აღზრდილნი იყვნეს ესენი,
ბერძენთ, არაბულს ენასა თქმად მარჯვედ იყვნეს ეს ენი,
სთარგმნეს ყოველი წიგნები, თქვენ შემოგყარეს ეს სენი"
(180-183).

როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილი პირების სია შინაარსობრივად წინა ნაწილს არ უკავშირდება და სტროფულადაც გამოყოფილია.

ამრიგად: ბიბლიოგრაფიული ცნობები ბიბლიური წიგნების ქართველ მთარგმნელთა შესახებ, რომლებიც მოცემულია ბაგრატ ბატონიშვილის განხილულ პოლემიკურ ნაშრომში, თავიდან ბოლომდე, მთლიანად, მის ავტორს, ბაგრატს, ეკუთვნის და მათში, ცოტაოდენი უზუსტობის გარდა, რაიმე სერიოზული შეუსაბამობა თუ წინააღმდეგობა არ არსებობს.

მეორე ნაწილი

ხელნაწერები და ტექსტი

ხელნაწერები და მათი ლიტერები

უკვე ვთქვით, ბაგრატის ეს ნაშრომი პირველად ქვეყნდება. ამჟამად ჩვენს ხელთ არის ამ თხზულების შემცველი 15 ნუსხა. თავიდან გათვალისწინებული მქონდა, ტექსტისთვის სრულად დამერთო მათი კითხვა-სხვაობანი. ამ მიზნით 1961–1962 წლებში დავამუშავე თითქმის ყველა ხელნაწერი და მათგან, გარდა სამისა, ვარიანტებიც ამოვწერე. მაგრამ, როცა ამ ვარიანტებს თავი მოვუყარე, აღმოჩნდა, მათ არ ახასიათებთ რედაქციული სიღრმე. იძლევა მხოლოდ დროის შესაბამის გრამატიკულ-ორთოგრაფიულ სხვაობას, არის ამოკითხვისას დაშვებული შეცდომები და მცირე სტილისტური შესწორებანი, რომლებიც ტექსტის დადგენისა და გაგებისათვის მნიშვნელოვანს არაფერს იძლევა. ამიტომ მოვერიდე წიგნის მოცულობისა და შესაბამისად საგამომცემლო ხარჯების გაზრდას, აგრეთვე ზედმეტ შრომას, რაკილა ჩიტი ბრდღვნად არა ღირს, და ვარიანტთა ერთიან აღრიცხვაზე უარი ვთქვი (მით უმეტეს, რომ დუხჭირ პირობებში ვიმყოფები!).

წარმოვაჩენთ მხოლოდ იმ უმთავრეს განსხვავებულ წაკითხვებს, რაც ამა თუ იმ ხელნაწერის დასახასიათებლადაა საჭირო.

ბაგრატის თხზულების შემცველი ნუსხებია:

1. **A – Q 91.** კრებულია. ჩასმულია ხავერდგადაკრულ დაჭიანებულ ხის ყდაში. აღწერილია ე ლ ე ნ ე მ ე ტ რ ე -

ვ ე ლ ი ს მიერ[1]. როგორც აქ არის აღნიშნული, იგი იწყება ბაგრატის ნაშრომით და მოთავსებულია 1r–19r გვერდებზე. შემდეგ მოდის ეპიფანე კვიპრელის, იოანე ოქროპირის, ნექტარი კონსტანტინეპოლელისა და ანდრია იერუსალიმელის თხზულებები. თანახმად აღწერილობისა, კრებული განეკუთვნება XVI–XVII საუკუნეებს და შესრულებულია ორი განსხვავებული ნუსხური ხელით. აღწერილობაშივეა მითითებული, რომ ბაგრატის ნაშრომის ხელი „უფრო ძველი ჩანს. ჭიდრე მირითადი ტექსტისა“ (გვ. 104). სწორედ ის უნდა იყოს XVI საუკუნისა. ხელნაწერშივეა აღნიშნული, რომ კრებულის მეორე ნაწილის გადამწერია ი ო ა ნ ე ვ ა შ ა ლ ო მ ი ძ ე, ხოლო, თუ ვინ არის ბაგრატის ტექსტის გადამწერი, არ ჩანს.

ჩვენი ტექსტი ნაწერია შავი მელნით, წვრილი ლამაზი ნუსხურით, სათაურები და ზოგიერთი საკუთარი სახელი — წითელი მელნით. აბზაცისა და საკუთარი სახელების (უმეტესად სახელების ჩამოთვლისას პირველი სახელის) დასაწყის ასოებად გამოყენებულია მრგვალოვანი. სასვენი ნიშნებია: წერტილი (.) და სამწერტილი (: ·). ეს უკანასკნელი აბზაცის დასასრულს აღნიშნავს.

საერთოდ, A–ში ტექსტი ყველაზე უკეთ არის დაცული, თუმცა შეცდომები აქაც იხილვის. მაგალითად: წერია: „ქ ჳ ე ა ნ ა დ ა – ე ჴ ე რ ა კ ე რ ძ ო თ მსახურებასა“ (3ჳ). ცხადია, უნდა „კ ე რ ძ ო თ მსახურებასა“, როგორც სხვა ნუსხებშია. გვაქვს: „ხ ო ლ ო მ ი ჰ ა მ ე დ ვ ე რ ღ ა რ ა შ ე ს ძ ი ნ ა მოქცევა, არამედ წ ა რ ჴ ი დ ა დ მათ შორის დაუტევა შფოთი“ (8 ჳ). კონტექსტის მიხედვით, საუბარია მოჰამედის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს შორის ატეხილ ბრძოლაზე. ამიტომ „წ ა რ ჴ ი დ ა ს“ ნაცვლად

---

[1] აქ და სხვაგანაც ვუთითებთ ბოლო აღწერილობას. ადრინდელი აღწერილობანი მასშივეა დასახელებული.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q კოლექცია). I,. შეადგინა ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს ა და კრ. შ ა რ ა ვ ი ძ ი ს მიერ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს რედაქციით. თბ.. 1957, გვ. 104–105.

უნდა „*წარწყმდა*“. A–სა და სხვა ნუსხებშიაც წერია: „იეო იგი ბრძენ ფრიად და სატნიერ და ნათესავით ბერძენ და სჯულითა წარმართ“ (10r). „*სატნიერ*“ ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ. სხვა ნუსხებში მის ნაცვლად არის „*საცნიერ*“ და ამ წაკითხვას დაეუჭირეთ მხარი, რადგან ნუსხურში „ტ“ და „ც“ გრაფიკულ ნიადაგზე შეიძლებოდა აღრეულიყო (რამდენიმე გვიანდელ ხელნაწერშია „სახიერ“). A–ში არ იკითხება ფრაზა: „მესხნი – საბაჲ თუხარელი და ეფრემ“ (12r). იგი B–სა და სხვა ნუსხებშია და კონტექსტს კარგად შეესაბამება. A–ში გვაქვს: „რამეთუ, რაცა ნათეს(ა)ვი საყსე და მეარი არს და არცა სული აქს და არცა სიტეუაჲ...“ (14r). კონტექსტის მიხედვით, რასაც B და სხვა ნუსხები მხარს უჭერენ, „*ნათესაჲს*“ მაგივრად უნდა „*ნივთი*“. ხელნაწერებში, მათ შორის B–ში, იკითხება: „და ესერა ესრეთ აღმართებულ იეო ჰირველსა მას კარავსა. მარადის შევლნედ მღდელნი და მსახურებასა მას და შესაწირავსა ღუნისასა და ჰურისასა აღსრულებედ“. A–ში „*კარაჲი*“ გამოტოვებულია (16v), რაც აზრს აბუნდოვანებს. და სხვა.

2. **B** – A 186. XVII-XVIII ს. გულანი. გადაწერილია სხვადასხვა პირის მიერ. აღწერილია მიხეილ ქავთარიას მიერ[2]. ბაგრატის ნაშრომი მოთავსებულია 2315–2327 გვერდებზე. ნაწერია ორ სვეტად წვრილი ულამაზესი ნუსხურით. აბზაცები გამოყოფილი არ არის. სათაურები, საკუთარი სახელებისა და ზოგჯერ აბზაცების საწყისი ასოები დაწერილია წითელი მელნით. ტექსტი ორთოგრაფიულადაც თითქმის მთლიანად მიჰყვება A–ს. აქა-იქ უკეთეს წაკით-

---

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, I², შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1976, გვ. 313.

ხვებსაც იძლევა, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტაა (რამდენიმე ნიმუში ზემორეა აღნიშნული)

ჯ B-შიც უწესრიგოდაა ნახმარი. დაქარაგმება, მცირე გამონაკლისის გარდა, ორივეგან ერთნაირია. A და B ერთმანეთისგან არ მოდის. შესაძლებელია, მათ საერთო პროტოგრაფი ჰქონდეთ. B-დან ან მასთან მჭიდროდ მდგომი ნუსხიდან უნდა იყოს გადაწერილი C – Q 300.

3. C – Q 300. მამათა და დედათა ცხოვრებათა კრებულია. აღწერილია ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ[3]. „გაბაასებას“ უჭირავს ბოლო, 393-435 გვერდები. გადაწერილია დავით გარეჯის იერომონახ ნ ი კ ო ლ ო ზ ვ ა ჩ ნ ა ძ ი ს მიერ XIX საუკუნის დასაწყისში. აღწერილობაში ჭვირნიშნად მითითებულია 1800 წ. ნაშრომის წინ გადამწერი გვაუწყებს: „...უმეტესად სახო სიქადული ცოდვილის ბერის იერომონახის ვაჩნაძე ნიკოლოზის“ (გვ. 392). ხელნაწერის ბოლოს წითელი ასომთავრულით დადასტურებულია, რომ იგი ნიკოლოზ ვაჩნაძეს ეკუთვნის: „ეს წიგნი ნიკოლოზ ბერისა არის...“. გადამწერს ბაგრატის ტექსტი ჯერ ცალკე რვეულად დაუმზადებია და შემდეგ მკინძავისათვის მისი კრებულთან შეერთება უბრძანებია: „უ-ო შემკვრელო, ეს რვეული და ამისი შემდგომი ორი ამ წიგნში ჩაატანე შეკვრაში“ (იქვე, გვ. 316).

ქაღალდი მომწვანო ფერისა არის და ნაწერია შავი მელნით. სასვენი ნიშნებია წერტილი და ორწერტილი. თხზულების სათაურია: *„მოთხრობა ჰსჯულთა ულთოთა თათრისათა, გამოკრებილი და სიტყჳს-გება ქ-ნეთა მიერ, თქმული ბატონის შუილის ბაგრატისა“*, რომელიც ნაწერია წითელი ასომთავრულით. წითელი მელნით არის აგრეთვე შესრულებული ქვესათაურები, მომდევნო ტექსტის საწყისი ასოები და მიჯრით ჩამოთვლილი საკუთარი სახელები. აბზაცებისა და საკუთარ სახელთა პირველი ასოები ნაწერია ასომთავრულით.

[3] Q-ს დასახელებული აღწერილობა, I, გვ. 313-316.

რედაქციულად მიჰყვება A–ს, უფრო კი B–ს. ახასიათებს ზოგიერთი გრამატიკული და ორთოგრაფიული თავისებურება. უმეტესად: ზმნებში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები ანტონის სკოლის მიხედვით არის დასმული (ჰსდვა, ჰსჯული...); მრავლობითის პირველი პირის **ბუ** ნიშნის მაგივრად წერს **ბვ**, **ფ**-ს მაგივრად – **ფ** (ფსალმუნი) და სხვა.

ამ და სხვა გვიანდელ ნუსხათა დასახასიათებლად, სანიმუშოდ, ვუჩვენებთ უფრო მნიშვნელოვან ვარიანტებს, რომლებიც C–ს მთელი თხზულების მანძილზე მოეპოვება. ვუდარებთ დადგენილ ტექსტს (ვუთითებთ B–სთან დამთხვევასაც).

გვერდები და სტრიქონები:

138. 5. დააჯერა – ირწმუნა.
138. 20 და 23. თჳსი – მისი.
138. 29. მისთა – მისთანა.
140. 9. ეგრეთ – ესრეთ.
140. 10. ისუაჲ – ისუ.
141. 8. თხოვნაჲ – ეთხოვნა (B-ც)
141. 19. დანიელს – დანიილს.
142. 5. რითაცა – რომლითაცა.
142. 14. რომელი – + იგი (B-ც).
142. 23. გოდლის – გოდლისა მის B (მას C).
142. 29. გაბრიელს – გაბრიილს.
143. 8. მოჰამედისა – მაჰმადისსა.
144. 16. თირკუმელთამან – თირკმელთამან (B-ც).
146. 4. მესისხლენი – (გამოტოვებულია).
146. 24. მამასა – + ჩვენსა (ჩ-ნსა B).
146. 26. ცანი – + და (B-ც).
147. 21. ებრძანა – რჲ.
148. 8. მოიწევის – + სიტყჳა (ზევიდანაა ჩაწერილი).
148. 26. წყლისასა – (გამოტოვებულია).
149. 6. მარიამს – მას.
149. 14. წმიდა – წასა.
150. 23. გაბრიელ – გაბრიილ.
150. 24. შინა – (გამოტოვებულია).

151. 13. რომელნი – + იგი.
151. 14. და იდრისს – დიდ არს.
152. 9. ისმაიტელთამან და – („და“ გამოტოვებულია).
153. 5. ქვეყანა - (გამოტოვებულია).
156. 1. ვიდრე – + მე.
156. 8. ცოცხალღა – ცხოველი.
157. 26. ერთად – + და ერთად (B-ც).
159. 9. უკეთუ – (გამოტოვებულია).
159. 13. მ-თს (მათეს) – დავითს.
159. 24. საცნიერ – სახიერ.
162. 25. უყო – + მათ (B-ც).
163. 2. შეაწამა – შეამოწმა.
163. 22. აჰა – + ესერა (B-ც).
166. 1. 4. ზედა ჩუენსა – ჩუენსა ზედა.
166. 10. გამონათარგმნი – თარგმანი.
166 . 26. აღსასრულისათჳს – აღსასრული ესე.
167. 4. მცნებასა – (გამოტოვებულია).
168 18. მათ – ამათ (ამ~თ B).
168. 26. წინააღმდგომი მოსესი – (წყობა შებრუნებულია).
169. 9. ნათესავისაგან – + თქ~ნისა.
169. 10. და წესისა A – დასწერა.
172. 23. და ძენი – დაძენა.
173. 2. ერთსა – (გამოტოვებულია).
173. 15. საქმე მოქმედთა – (წყობა შებრუნებულია).
177. 17. სასაკმეველე – + იგი.
178. 10. ფიცარნი – + იგი.
179. 8. ესე – + არს.
179. 16. შესაწირავი – + ჩ~ნი.
179. 17. წელიწადსა – + შ~ა.
180. 1. რამეთუ ეგე ეგრეთ – ეგე რ~ ეგრეთ.
180. 13. მოჰამედის მიერ – + რ~; ეუწყა – + მას.
180. 27-28. სუმიდეს და მასთანა ჭამდეს – ჰსჭამდეს და სმიდეს.
181. 18. რამეთუ – რ~ლი.
182. 17. გეტყოდის – + სიტყუა.
182. 23. ეშმაკისა და – (გამოტოვებულია).

C არ იცნობს ბაგრატის ანდერძს („წმიდანო მორწმუნენო, უწყოდეთ ჩემ, ცოდვილისა...“ და შემდეგი).

ვიმეორებთ, დაახლოებით ამგვარივეა, ამავე სახისაა XIX საუკუნის სხვა ნუსხათა კითხვასხვაობანი.

4. **D** – S 312. პოლემიკურ-დოგმატური კრებულია. გადაწერილია 1541 წელს დიაკვან სვიმონ კარგარეთელის მიერ საბას ლავრაში მთავარეპისკოპოს იოაკიმ მაწყვერელის ბრძანებით. შესრულებულია წვრილი ლამაზი ნუსხურით, სათაურები და დასაწყისი – სინგურით. ხელნაწერი აღწერილია თ. ენუქიძის მიერ[4].

აქ ბაგრატის ნაშრომი მოცემულია სამი ნაწყვეტის სახით, ისიც შემოკლებულად (26v–28r, აღწერილობა გვ. 366). მოგვყავს მისი ტექსტი მთლიანად (თვალსაჩინოებისათვის ნაწყვეტებს ერთმანეთს ვაშორებთ). ვინაიდან ამ ხელნაწერს ემთხვევა E – H 137 ნუსხა, აქვე ფრჩხილებში მის განსხვავებულ წაკითხვებსაც ვუჩვენებთ:

(26v) „მოთხრობა უღთოთა მუხამეტისი (მახმედისა E) ჟამთა შჯს ჰერაკლესთა (ერეკლისათა E) გ(ა)მოჩნდა მუამედ (მახმედ E), ჟინმე ახალი მწვ(უ E)ალ(ე)ბ(ე)ლი, უღთო (უღმრთო E), ტომით ისმაილისით ზარის(ა E)გ(ა)ნ, ძმისწულისა ისმაილისა, რ(ომლი)სა ნ(ა)თეს(ა)ჟი დაემკჳდრა უდ(ა)ბნოსა მადიამის(ა)სა და ცხოვნდებოდეს აქლემებითა ჳაჯრობით. ხ(ოლო) ჰ(ირვე)ლ ობოლ იქმნა ესე, ჳ(იდრ)ე(ლა E) ურმადა (ყმა E) იეო, და იეო გლ(ა)ხ(ა)კ და უჰოვარ. ხ(ოლო) იეო ღონიერ და მან-

---

[4] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძის და ქრ. შარაშიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 365–375.

ქან(ა E) და შეუდგა აქლემებით მს(ა)ხ(უ)რ(ე)ბ(ა)დ თ(კ)სსა ნ(ა)თეს(ა)ვსა (–ავს E) დედ(ა)კ(ა)ცსა მდიდარსა. და შ(ემდგომა)დ მცირედისა ცოლ ეყო მ(ა)ს დედ(ა)კ(ა)ცი (–კაცავე E) იგი. და ვალნ რად იგი ვაჭრობ(ა)დ იქ(რწყა)ლ(ე)მს და სადაც (იგი და... და სადაც – E) ისწ(ა)ვებ (ე E)ნ იგი და ეძიებნ უ(ოვე)ლგნით (–განვე E) შ(ს E)ჯ(უ)ლსა და ნ(ა)თეს(ა)ვსა და ხიტ(უა)სა შ(ს უ)ჯ(უ)ლის(ა)სა. უფრ(ო)ს(ა)დ მონაზონი ვიხმე ნესტორიანი ჰოვა მ(ა)ნ ექსორია ქმნილი წ(ა)ლებისათ(კ)ს ქ(უე)ყან(ა)სა მ(ა)ს მადიამის(ა)სა. ამ(ა)ს ეზრახებინ მ(არა)დის (მონაზონი...მარადის – E). ხ(ოლო) იყო იგი სენითა შავნაღვლიანობის(ა)თა ვნ(ე)ბ(უ)ლი და დასცემნ მ(ა)ს ჰაემ(ა)ნსა თ(კ)სსა. და ცნა რ‹ ესე ცოლმ(ა)ნ მისმ(ა)ნ, შეწუხნა ფ(რია)დ და იურვოდა. ხ(ოლო) მუჰამედ (მახმედ E) მანქანებითა ზ(ა)კუარებითა (ზაკულებითა E) დააჯერა ცოლი იგი თ(კ)სი, ვ(ითარმე)დ: ჩუე(ყ E)ნებით ვიხილავ მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ელო)ზსა და ვერ უძლებ თ(ა)ვს დებად ხილვასა მისსა და დაეცემი (ვერ...დაეცემი E). ხ(ოლო) ესე ეოველი მიუთხრა ცოლმ(ა)ნ მისმან მ(ო)ნაზონსა მ(ა)ს ნე(ი E)სტორიანსა და სახელი ანგ(ელო)ზისა (–საცა E) აუწყა. ხ(ოლო) მონ-(ა)ზ(ო)ნმ(ა)ნ მ(ა)ნ დაა(ი უ)ჯერა და გ(უ)ლს(ა)ვსე-ეო (ჰყო E), ვ(ითარმე)დ: ჯ(ეშმარიტა)დ ეგრეთ არსო. და ანგ(ელო)ზ(ს E)ი იგი უ(ოველ)თა წ(ინა)წ(არმეტ)უ(ვე)ლთა(–ად E) მიივლინებისო. ხ(ოლო) დედ(ა)კ(ა)ცმ(ა)ნ დააჯერა ს(ი)ტ(უა E)ჲ მ(ა)ცთურისა მის ბერისა და მიუთხრა და არწმ(უ)ნა უ(ოველ)თა დედათა, ვ(ითარმე)დ: ჯ(ეშმარიტა)დ ქმარი ჩ(ემ)ი წ(ინა)წარმეტ(უც E)ლი არსო. და იწეო მ(ო)წმ(ა E)დ ქ(ა)დ(ა)გ(ე)ბ(ა)დ (ჰ E)ჯ(უ)ლის დებად მუჰამედ (მაჰხმედ E) და მცირედ-მცირედ შეუდგა მ(ა)ს ს(ი)მრავლე, რ(ომელ)თა ასწ(ა)ვებდა, ვ(ითარმე)დ: რ(ომელმა)ნ მოკლას ქ(რიხ)ტია)ნე, გინა მოიკლას მის მ(იე)რ, ორითვე ს(ა)ქმითა ცხოვნდეს.

ხ(ოლო) ს(ა)მ(ო)თხედ საშუკბ(ე)ლისად არწმ(უ)ნებდა ჭამ(ა)სა, სუმასა და სიძ(უ E)ასა უძლებებით და ესე ვ(ითარ)სა მრავ(ა)ლსა უქადაგებდა შემსგ(ა)ვს(ე)ბულსა ცნობასა და გ(ო)ნ(ე)ბისა მისის(ა E).

ს(ოლო) ამ(ი)ერითჳ(ა)ნ მხილებისა მ(იმა)რთ აღვიდეთ ამ-ის(ი E) ცრუმ(ო)ც(ი)ქ(უ)ლ(ო)ბახა.

წინადადებჲ(ა E) მ(ა)რთლისა (+მართლისა E)
სარწმ(უ)ნ(ოე)ბისა

გკითხვიდეს რჲ მუჰამედნი (მაჰხმალიანი E) ჩ(უე)ნ, ქ(რისტია)ნეთა, ს(ა)რწმ(უ)ნოებაჲ(ა E) ესე არს, რ(ამეთუ) გურწამს ერთი ღ(მერთ)ი ს(ა)მჳ(უა)მ(ო)ვნებით ცნობილი და არა თუ ერთ გუამ(ა)დ, ვ(ითარც)ა არს კ(ა)ცი ვ(ითა)რ-იგი ურწმ(უ)ნონი სიტე ~ჲ-მიგებნ ჩ(უენ) ცუდითა სიტჳ(უი E)თა და (27r) არცა სამად ღ(მერ)თ(ა)დ, გ(ა)მოსახულ(ა)დ სახედ ს(ა)მთა კ(ა)ცთა, ვ(ითარცა) ითქუმიან აბრ(ა)ჰ(ა)მ (აბრამ E), ის(ა)კ (ისააკ E) და ი(ა)კ(ო)ბ და არცა მსჳ(ა)ვს(ა)დ მ(ი)ქ(აე)ლ (მიხაილ E), გ(ა)ბრ(იე)ლ და რაფა(ი E)ელ; და არცა ვიტეკთ, ვ(ითარც)ა ს(ა)მთა სუეტთა ც(ე)ცხლის(ა)თა თჳს-თჳს(ად E) მდგომ(ა)რეთა; და არცა ს(ა)ხედ ს(ა)მთა ვ(ა)რსკჳლ(ა)ჲთა კ(ი)დისკიდე განშორებულთა; და ესე ვ(ითა)რ განგებჲ(ა E) და გ(ა)ნზრახვა გ(ა)ნაგდე შ(ე)ნგ(ა)ნ წ(ა)რმ(ა)რთეებრი, რ(ამეთუ) ღ(მერთ)ი ჩ(უენ)ი ც(ე)ცხლშემწუველი ურწმ(უ)ნოთა და მ(ა)რ(ა)დის ც(ო)ცხალი (ცხოველი E) ერთ (ა)რს ს(ა)მ(ე)ბჲ(ა) გ(ა)ნუეფ(ე)ლი, ვ(ითარც)ა მზე და ნ(ა)თ(ე)ლი მისი და მცხინვ(უ E)არებჲ(ა E), რ(ომელ)ი იშვების მისგ(ა)ნ; ს(ოლო), დ(ა)ღათუ ს(ა)მითა სახითა იცნობების, ა(რამე)დ არა ეთქუმის მას ს(ა)მ(ა)დ მზედ, ა(რამე)დ ერთ(ა)დ; და ვ(ითარც)ა თ(უა)ლი კ(ა)ცისა და ნ(ა)თ(ე)ლი თ(უა)ლისა და გუგა თ(უა)ლისა არა ითქომის (!) ს(ა)მად თ(უა)ლ(ა)დ, ა(რამე)დ ერთ(ა)დ, ვ(ითარც)ა გონებჲ(ა E) და სიტე(უ)ჲ(ა E) და ს(უ)ლი არა ითქ(უ)მიან ს(ა)მად ცხ(ო)ველ(ა)დ, ა(რამე)დ ერთ(ა)დ; (ვითარც)ა ძირი და რტო და ფურცელი არა ითქუმიან სამ(სა E) ხედ, ა(რა-მე)დ ერთად; და (ვითარც)ა წუ(ა)რო და მისგ(ა)ნ მდინ(ა)რე და მერმე ტბაჲ არა ითქ(უ)მიან ს(ა)მ(ა)დ ბ(უ)ნ(ე)ბად, ა(რამე)დ ერ-თად; და ვ(ითარც)ა ც(ი)სკ(ა)რი ნ(ა)თ(ე)ლი და გ(ა)ნთიადი არა ითქუმიან ს(ა)მად ნ(ა)თლ(ა)დ, არამედ ერთად, რ(ამეთუ) მისგ(ა)ნ იშვე(უც E)ბიან და [ერთ] ბ(უ)ნებჲ არიან; და ვ(ითარც)ა

მაულოვანი, რ(ომელ)ი იხილა მოსე ს(ა)მ სახედ; და ვ(ითარც)ა ს(ა)კ(ხუ E)მილი ს(ა)მთა ურმ(ა)თა, რ(ომელ)სა შ(ი)ნა ესრ(ე)თ იევ(ე)ნ (იყავნ E) გ(უ)ლისკ(მ)ის უ(ო)ფ (ჰყორა E) შ(ენ)ი და ცნობ(ა E) მ(ა)მისათ(კ)ს და მისა და წ(მიდ)ისა სუ)ლისა, რ(ა-მეთუ) ვიტეკთ ენასა ს(ა)ტ(ა)დ მ(ა)მისა, რ(ომელ)ი-იგი მ(ობელ)ი არს სიტეკ(სა, და ჰირსა – ს(უ)ლ(ა)დ წ(მიდის)დ (წმიდად E) და ესრ(ე)თვე თქ(უ)ე(ც E)ს წინა)წარმეტე(ულ)თა, ვ(ითარმე)დ ჰირი უფლისდ(ა E) იტე(ო)და ამ(ა)თ(ს E) და უწინ(ა)რეს ამის (28r) ე(ოვლ)ისა და შ(ვი)დცა ჯერ(ა)რს ჩ(უე)ნდა, რ(ა)თა უწე(ო)დი(ე E)თ, ვ(ითარმე)დ ბუნებ(ა E) კ(ა)ცისა ვერ შ(ე)მძლ(ე)ბელ არს მიწთომ(ა)დ და გამოთქმ(ა)დ ღ(მრ)თაებისა არსებ(ი)სა სიტეკ(თა, გინა თუ სახითა ანუ გ(ა)ნზრ(ა)ხვითა და ე(ოველ)თა, რ(ომელ)თა კ(ე)ლევ(ჰყუც E)ეს ღ(მრ)თ(აე)ბისა ცნ(ო)ბ(ა)დ და მ(ა)თ თ(ა)ვნი შთასთხინ(-ნნ- E)ეს წ(ა)რს(ა)წემედელსა, ა(რამე)დ გურწმენინ მამა და არა გ(ა)მოვიძიოთ იგი, თაე(უა)ნისვცეთ მეხა და არა გ(ა)მოვიწულილოთ იგი და ვადიდოთ ს(უ)ლი წ(მიდ)ად აწ და ს(აუ)კ(უ)ნეთა უკ(უნისასდ)ე, ამინ!".

5. E – H 137. კრებულია, შეიცავს *„მწვალებელთა წი-ნააღმდეგ“* შეთხზულ რელიგიურ-პოლემიკურ ნაშრომებს. ნა-წერია შავი მოყავისფრო მელნით, გაკრული მხედრულით. გა-დაწერილი უნდა იყოს XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე. ბაგრატის ტექსტს უჭირავს 18v–19v გვერდები. ტექსტი და-ზიანებულია: მოხეულია 19r ფურცლის ქვედა მარცხენა ყუა. საძიებლიდან ჩანს, რომ „სიტყვისგების“ ავტორად ის ბაგრატ კონსტანტინეს ძეს მიიჩნევს. სასვენი ნიშნებია წერტილი და ორწერტილი. ეს უკანასკნელი აღნიშნავს სათაურებისა და აბზაცის დამთავრებას. სათაურებისა და აბზაცების საწყის ასოებად გამოყენებულია ასომთავრული. აღწერილია ლ. ქ უ – თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა და ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს მიერ[5].

[5] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საისტორიო და სა-ეთნოგრაფიო საზოგადოების (H კოლექცია) აკად. ს. ჯ ა ნ ა – შ ი ა ს საერთო რედაქციით, I, დასაბეჭდად მომზადებულია ხელნა-

როგორც ზემორე აღვნიშნეთ, ეს ნუსხა მიჰვება D-ს. მისგან განსხვავებული წაკითხვები იქვეა ნაჩვენები.

6. F – Q 336. მუყაოს ყდიანი სასულიერო თხზულებათა კრებულია. ბაგრატის ნაშრომი მოთავსებულია სულ ბოლოს (146v-156v). ნაწერია მხედრულით, საწყისი ასოები – მთავრულით. სათაურები შესრულებულია ჭიისფერი მელნით. გადაწერილია გორის რაიონის სოფელ აღაიანის მღვდელ-მონაზონ შიო რევაზოვის ძე სტეფანეს (ყოფილი ნაომის) მიერ. ის თავის თავზე მოგვითხრობს: „ხ(ოლო) ჩემი წლოანება არის ვიდრე აქამომდე: მე დავბადებულვარ სოფლის აღაიანის ჰროხოდის მღუდელს შიო დავითის ძეს რევაზოვს ჩჳე-სა (=1806) წელში ა-სა (=1) დეკემბერსა. ჰირველად მეწოდა სახელი ნაომ, ხ(ოლო) მღვდელობა მივიღე ჩჳმჳ-სა (=1846) წელსა, ღვინობისთვის იდ-სა (=14) დღეს“ (145v). თუ როდის გადაწერა მან ეს კრებული, სხვადასხვა ანდერძში გვაუწყებს. ხელნაწერთა აღწერილობაში დასახელებულია 1874 წლის 5 იანვარი. ეს თარიღი დასახელებულია ბაგრატის თხზულების წინ მოთავსებულ ანდერძში: „... აღვწერე (...) მე, უღირსმა და ცოდვილმა მღვდელ-მონაზონმა სტეფანემ, და უკეთუ შეცდომა რაიმე იხილოთ, კეთილ-მკითხველნო, ნუ მწყევთ, რადგანც ვიყავ თვალთაგან მძიმეთ ნაკლები და მოხუცებულობისა გამო შესაძლო(ა) ანუ მრუდეთ ანუ ასონაკლებ იყოს. (...) სრულ იქმნა ჩოდ-ს (=1874) წელსა ქრისტეს აქეთ, იანვრის ე-სა (=5) დღესა“ (გვ. 145v). ბაგრატის ნაშრომის ბოლოს კი სტეფანე აღნიშნავს: „აღიწერა ჩოგ-ს (=1873) წელსა, ფებერვლის იჳ (16) დღესა სრულ იქმნა“ (156v).

წერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946, გვ. 97–99.

მთელი ნუსხა აღწერილია ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ[6]. ამ ხელნაწერშიაც ბაგრატის ნაშრომი მიჰყვება A-ს ტექსტს და მცირეოდენ გრამატიკულ-ორთოგრაფიულ სხვაობას იძლევა.

7. G – A 1087. მცირე ფორმატის გაკრული მხედრული ხელითა და შავი მელნით ნაწერი ნუსხაა. ყდად იგივე ფურცელი აქვს. შეიცავს მხოლოდ ბაგრატის ნაშრომს. გადაწერილია 1885 წლის 11 სექტემბერს დავით გარეჯაში მისი იერომონახის ს ტ ე ფ ა ნ ე ს მიერ. კალიგრაფი პირველ გვერდზე (ყდაზე) წერს: „ამა ნაშრომსა ჩემსა უძღვნი მის მადალ ღირსებას, დავით გარეჯის უდაბნოს წინამძღუარს, მამა არხიმანდრიტს გ რ ი გ ო რ ს, მისდა რწმუნებულის უდაბნოს იერომონახი ს ტ ე ფ ა ნ ე. 18 11/9 85“. აბზაცის, ზოგჯერ წინადადებათა და საკუთარ სახელთა საწყისი ასოები ასომთავრულია.

აღწერილია ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ი ს მიერ[7]. ემთხვევა A-ს. მისგან გამოიყოფა გრამატიკული და ორთოგრაფიული წაკითხვებით.

8. H – S 1288 (XVIII ს.). მცირეფორმატიანი ნუსხაა, შეიცავს მხოლოდ ბაგრატის ნაშრომს და შედგება 128 გვერდისაგან. ეს პაგინაცია ახალია. ხელნაწერს აქვს გადამწერისეული ჩვეულებრივ მიღებული რვეულებრივი აღრიცხვა, რომელიც გადადის მე-8 გვერდზე (თითოეული რვეული 8 ფურცლიანია). დაზიანებულია, ერთი ფურცელი აკლია თავში. ტექსტი იწყება: „...მ(ას) ჰაემ(ა)ნსა თ(ჳ)სსა და,

---

[6] Q-ს დასახელებული აღწერილობა, I, გვ. 361-362.

[7] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კ ო რ ნ ე ლ ი კ ე კ ე ლ ი ძ ი ს საერთო რედაქციით, IV, შეადგინა ქ რ ი ს ტ ი ნ ე შ ა რ ა შ ი ძ ე მ, თბ., 1954, გვ. 52-53.

ცნა რა ესე ცოლმ(ა)ნ მისმჳნ, შეწუხნა ფ(რია)ჲ და იურვოდა“. პირველ ფურცელსვე (გვ. 1–2) მოხეული აქვს ქვედა მარჯვენა ნაწილი. ქვედა მარჯვენა მცირე ნაწილი მოხეული აქვს აგრეთვე მეორე ფურცელსაც (გვ. 3–4). ხელნაწერს კიდევ ერთი ფურცელი აკლია 124–125 გვერდებს შორის, რომელიც ცოდვის გან-ბანვასა და წყლით კურთხევას ეხება.

ნაწერია შავი მელნით, ლამაზი ნუსხურით, პირთა სახელებისა და აბზაცთა პირველი ასოები და ქვესათაურები – მრგლოვანით, რომლებიც 48 გვერდამდე შავი მელნით, შემდეგ ნაწილი შესრულებულია შავი, ნაწილი კი წითელი მელნით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი მათგანი დეკორატიულადაა გაფორმებული. სასვენ ნიშნებად წინადადების ბოლოს გამოყენებულია წერტილი, აბზაცების ბოლოს – სამი წერტილი (: ·)

ბოლოს არის გადამწერის ხელითვე შესრულებული ანდერძი: „ვამე, უ(ოვლ)ითა აღს(ა)ვსესა და კეთ(ი)ლთ(ა)გან ცალიერსა გლახაკსა მრჩობლითაჳე ცხ(ო)რებითა კ(ე)ლმწიფის დეკანოზიშვილის ი(ო ა)ნ ე ს თ(ჳ)ს შ(ე)ნდობჲ უ(ა)ჳთ, უ(ოველ)თა გ(ეჳდრე)ბით, უ(ფალ)ნო ჩ(ე)მნო. აჰა, საუკ(ა)რ(ე)ლნო, ნაშრომი ჰგიეს და მშრომელი წ(ა)რჳ(ა)ლს უნ(ა)თ(ე)ლი“ (გვ. 128). მიჩნეულია და სწორი უნდა იყოს, რომ ხელნაწერი განეკუთვნება XVIII საუკუნეს.

ამ ხელნაწერს იყენებდა ნ. მარი. აღწერილია ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს მიერ[8].

ტექსტი არსებითად მიჰყვება A–ს და რაიმე მნიშვნელოვან განსხვავებას არ იძლევა.

9. I –S 1358. სასულიერო თხზულებათა კრებულია. ბაგრატის ნაშრომი მოთავსებულია 266v-273v გვერდებზე. ნა-

[8] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, II, შედგენილია და დასაბეჭდად გამზადებული: ა. ბ ა ქ რ ა ძ ი ს, თ. ბ რ ე გ ა ძ ი ს, ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს და მზ. შ ა ნ ი ძ ი ს მიერ ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ს რედაქციით, თბ., 1961, გვ. 145–146.

წერია გაკრული მხედრულით, ბაცი მოყავისფრო მელნით. გადაწერილი უნდა იყოს XIX საუკუნის ოციან წლებში. აბზაცის, ხშირად წინადადებისა და საკუთარ სახელთა დასაწყისი ასოები შესრულებულია ასომთავრულით. სათაურად აქვს: *„მოთხრობა უმღრთოსა მახმედისათჳს ისმაიტელისა“*.

აღწერილია თ. ბ რ ე გ ა ძ ი ს მიერ[9].

შინაარსობრივად მიჰყვება A–ს, ოღონდ ახასიათებს თავისი დროის შესაბამისი გრამატიკულ-ორთოგრაფიული გადახვევები. ხმარობს ფორმებს: *ერეკლე, მახმედ* და ა. შ. სამაგალითოდ ვუჩვენებთ ჩვენი ბეჭდური ტექსტის პირველი გვერდის ვარიანტებს (გვ. 137). სტრიქონები:

6. ჰერაკლე – ერეკლე; გამოჩნდა – გამოსჩნდა.

7. მწვალებელი – უუმწვალებელსი.

8. უსჯულო – უსჯულოსი. ტომით იზრისაგან – ტომისაგან იზარისა.

9. უდაბნოსა – უდაბნოსა მას.

10. ცხონდებოდეს – ჰსრახოერებდენ.

11. ვიდრე – ვიდრეღა.

15. ქრმისა – ქმრისა.

16. ვაჭრობად იჳრუსალემს – იერუსალემს ვაჭრობად.

18. სწავლულთა სჯულისათა სჯულთა – ჰსწავლულთა ჰსჯულისათა ჰსჯულთა.

19. სიტყუასა – სიტყუათა.

20. პოვა – ჰპოვა.

24. ცნა – ჰსცნა.

25. შეწუხნა – შესძრწუნდა.

26. არამედ მოჰამედ – ხ(ოლო) მახმედ.

10. J – H 186. აღწერილია ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა და ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს მიერ[10]. არის სხვადასხვა სასულიერო თხზულების მხედრული ხელით ნაწერი კრებული. იწყება „ბალავა-

---

[9] აღწერილობა, II, გვ. 166–168.

[10] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღნიშნული აღწერილობა, I, გვ. 129–130.

რის სიბრძნით“. ბაგრატის ნაშრომი მოთავსებულია ბოლოს – 123r–136v. სათაურია: „*მოთხრობა ჰსჯულთა უღ-მრთოთა მაჰხმადიანთა, გამოკრებული და სიტყჳსგება ქ-თა მიერ, ქმნილი ბატონის შვილის ბაგრატისაგან*“. გადაწერილია 1797 წელს იოანეს მიერ, რასაც გვაუწყებს ანდერძი, რომელიც ხელნაწერის შუაშია მოთავსებული: „სრულ იქმნა ფებერვალს კჳ, წელსა 1797, კელითჳ ი ო ა ნ ე ს ი თ ა“ (43r). ტექსტი ნაკლულია, მაგრამ არა დაზიანების გამო. მთავრდება: „ხ(ოლო) ხისჳან მისა სიკუდილითა მოკუდეო და შემდგომი ამისი. გარნა სახელი ხის მის არა აუწყა“.

სულ ბოლოს კალიგრაფი ღმერთს შესთხოვს: „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყჳაო ღ-თისა ცხოველისაო, შემიწყალე მე უღირსი ესე მონა შენი და განფხარ გონებისა ჩემისაგან გულის სიტყუა უჯერო და ვნებული, რ-ლი ეგე კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“ (136v).

საკუთარი სახელებისა და ზოგჯერ წინადადების საწყისებად იყენებს ასომთავრულს. სასვენ ნიშნებად ხმარობს წერტილსა და ორწერტილს.

ტექსტი არსებითად მიჰყვება A–სა და მასთან მდგომ ნუსხებს, მაგრამ იძლევა უამრავ განსხვავებულ გრამატიკულ და ოთოგრაფიულ წაკითხვებს, კერძოდ, ფორმებს: *მაჰხმად, ჰერეკლე, შეჰსწირვიდა, ჰსთნდა, ჰსთქუა, შსჯამდეს, მოჰსცა* და ა. შ. აქა-იქ გამოტოვებულია ცალკეული სიტყვები.

ქვემოთ ვნახავთ, ამ ხელნაწერთან ორგანული კავშირი აქვს მომდევნი K- H 2261 ნუსხას. აი, ისიც:

11. **K**– H 2261. მომცრო ფორმატის ნუსხაა, რომელიც შეიცავს მხოლოდ ბაგრატის ნაშრომს და სათაურად აქვს: „მოთხრობა ჰსჯულთა მახმადიანთა“. მომდევნო გვერდზე არის „*ზანდუკი წიგნისა*“, ხოლო ტექსტის სათაურია: „*მოთხრობა ჰსჯულთა უღმრთოთა მახმადიანთა გამოკრებილი და სიტყუჳს საგებელი ქრისტიანეთა მიერ ქმნილი ბატონის შვილის ბაგრატისაგან*“. ის 1824 წლის აგვისტოს დამდეგს დუშეთში გადაუწერია პლატონ იოსელიანს შავი, მოყავისფრო ბაცი

მელნით, მხედრული ასოებითა და თანამედროვე პუნქტუაციით. ბაგრატის ნაშრომი იმგვარადვეა შეკვეცილი, როგორც J, და უჭირავს 1-93 გვერდები. თხზულების ბოლოს გადამწერი გვაუწყებს: „დასასრული. აღიწერა კელითა ჰლატონ იოსელოჯიანისათა, წელსა 1824-სა, აგვისტოს 2-სა რიცხუსა, ქალაქსა დუშეთს“ (გვ. 93). აღწერილია ლ უ ბ ა მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ".

იცავს ახალი ქართულისა და ანტონისეულ ენობრივ ფორმებს: *ერეკლე* (ნაცვლად *ჰერეკლე*), *აბრაამი* (ნაცვლად *აბრაჰამ*), *მახმად//მახმედ* (არის „მაჰმად“, ნაცვლად *მოჰამადი*-სა), *მახმედიანი*, *გაბრიილ*. „რად“-სა და „რადცა“-ს მაგივრად — „რა“, „რაცა“, *ცხოვრება*, *ჰსწავლული*, *ჰსჯული*, *ჰსცნა* და ა. შ. „*მცა*“ ნაწილაკის ფუნქცია მოშლილია.

ბაგრატის ნაშრომი მოცულობითა და ტექსტობრივადაც ემთხვევა J-ს. ორივეგან ბოლო სიტყვებია: „... ხოლო, რომელსა დღესა ჰსჯამო მისგან სიკუდილითა მოჰკუდეო; და შემდგომი ამისი, გარნა სახელი ხისა მის არა აუწეა“. შემდეგ მოდის „დასასრული“ და ზემორე აღნიშნული ანდერძი.

აი, ძირითადი კითხვასხვაობანი, რომლებითაც JK ერთმანეთს ემთხვევა და სხვა ნუსხებისაგან გამოირჩევა:

გვერდები და სტრიქონები	A-სა და მის მიმდევარ ნუსხათა წაკითხვები:	JK ნუსხთა წაკითხვები:
138. 18	მოძღურებასა	მოქმედებასა
139. 8	დაფარულ	დამალულ
140. 15	ესე ისმაიტელნი	~

" საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ლუბა მ ე ფ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1949, გვ. 188-189.

141. 6	არავე	და არა რა
141. 8	რაჟამს	ოდეს
142. 22	განიხადნესო	განიდევნესო
142. 25	ფაშკუნძისა	ფარშამანგისათა
142. 25	მათთა ზედა	~
143. 3	წყეულმან	+ მან
143. 14	რამეთუ არა დაიმკვიდროს ძემან მკევლისამან	–
144. 7	ცხოველსა	–
144. 17	არამედ	გარნა ამისთჳს
145. 12	ისმინეთ	–
145. 23	ღმრთისა	–
146. 4	მტაცებელნი	+ მემრუშენი
146. 19	აქლემისასა	+ ესრეთ
146. 20	გამოსწოვიან	+ ამას თანა
146. 28	არა	+ წინა
147. 6	გინა	ანუ
147. 11	ვირსა	კარ(ა)ულსა
147. 19	შეწევნად	–
147. 22	მისი წარმართთა	თჳსი წარმართთა თანა
147. 23	ასოსა მის რომლისა თანა ეყოფის მამაკაცი დედაკაცთა	–
148. 9	ანგელოზი	–
148. 14	დამარხულ აქუნდა იგი	აქუნდა დამარხული
148. 20	ბროლისა	+ მაშა
148. 21	ცუდ სჯული და მტყუარ სახარებაება	და სახარება მტყუარ (-უვ-)
150. 17	ეგრეთ	ესრეთ
150. 19	იყო	ყოფილიყოს
150. 24	მე აღწერა ამის ყოვლისაო	ამის ყოვლისა აღწერაო
150. 27	ანუ	+ ე(ითარც)ა
150. 28	და მრგვალი	–
150. 29	საძრავი	მოძრაობა
151.1	არს	+ მაშა
151. 13	რომელნი	და ესენი
151. 22	ესე ოთხნი	~

151. 27	ეტყვიან	უწოდებენ
152. 1	უსმინოს	–
153. 9	თჳსით	მისით
153. 13	მისით	მით
153. 12	ვითარმედ	–
154. 2	რამეთუ	ვ(ითარმე)დ
154.9–10	უპირატეს	უპ~ლეს J, უპირუჳლს K
154.10–11	რათა ღჳნოსა არავინ მორწმუ-ნეთა მისთაგან	მორწმუნეთა მისთაგანი ღვინოს არავინ
154. 14	ხოლო	და
154. 18	რომელი ესე	რ(ომე)ლიცა
156. 22	ნავი	ჰანავი
156. 22	შაკჰი	ბავიჰი
156. 23	რომელთამე ჰბალი	ჰამბაილი
157. 4	აბრაჰამ და ისაკ და იაკობ	მიხაილ გაბრიილ და რაფაილ
158. 21	წმიდითა	ყ(ოველ)თა
158. 30	იოანე დამასკელი	~
158. 31	იხილა	+ გარნა
159. 27	რამეთუ	და (– K) მაშინ
159. 4	ზეგარდმო ესე	ზეცით ეგე
159. 13	მათეს (თუ „მათს“)	დაეითს
159. 9	რამეთუ წარმართი ხარ და უამბე	ვინათგან ამცენ
159. 22	ალექსანდრესსა რომელსა ერ-ქუა მაკედონელი	ალექსანდრე მაკედონელისა
159. 24	საცნიერ, სატნიერ	სახიერ
160. 1	ნათესავთანი	+ ვ(ითა)რ
160. 5	სოფლისასა	–
160. 10	ოყრუსალემს	+ გ(ი)ხ(აროდე)ნსა მოგიძღუ-ანებ
160. 29	წარსცეს	წარგზავნეს
161. 8	ეყჳს	ეყოფის
162. 16	ერემიოს	ერმიოზ
162. 24	სიხარულითა დიდითა	–
162. 25	რამეთუ ერდოთ	და სართულით

162. 31	რამეთუ	მათ ვინათგან
163. 21	შეძრწუნდა სიტყჳსა ამისთჳს ვითარმედ	მას შინა წერილ იყო ესრე
163. 24	ღმერთი	+ და შეძრწუნდა სიტჳისა ამისთჳს
164. 18	რომელთა ნათელ ეღო ბერძენთა	ბერძენთა რ(ომე)ლთა ნათელ ეღოთ
164. 22	სასწაულთ მოქმედნი	–
164. 25	ქართველნი	+ რ~თა სახელები ესე არს
165.12–13	აღასრულა	და სადაც დასდუა
166. 14	ფრიად	უფროსღა
166. 20	ვითარმედ	შენ
167. 21	ტყუილი	სიცრუჱ და სხვა.

12. **L** – S 1338. შეიცავს მხოლოდ ბაგრატის ნაშრომს. მცირე ფორმატის შავი მელნით, მხედრული ასოებითაა ნაწერი. სათაური და რამდენიმე აბზაცის საწყისი ასოები შესრულებულია წითელი მელნით. აბზაცების, წინადადებებისა და ზოგიერთი საკუთარი სახელის საწყისი ასოები ასომთავრულია. სასვენი ნიშნებია წერტილი, ორწერტილი და აბზაცის ბოლოს ორწერტილი და ტირე (:–). გადაწერილი ჩანს XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა თუ 40-იანი წლების პირველ ნახევარში. ქაღალდის ჭვირნიშანია 1833 წელი. აღწერილია თ. ბ რ ე გ ა ძ ი ს მიერ[12].

ტექსტი მიჰყვება A–ს. იძლევა მცირეოდენ გრამატიკულ და ორთოგრაფიულ სხვაობას.

13. **M** – S 126. პატარა ფორმატის მომწვანო ფურცლიანი ნუსხაა. წინა საცავ ფურცელზე წერია, რომ ის ეკუთვნის „ზა-ქარია ჭიჭინაძის ბიბლიოთეკას“. შეიცავს მხოლოდ ბაგრატის ნაშრომს და შედგება 80 გვერდისაგან.

[12] ქართულ ხელნაწერთა აღნიშნული აღწერილობა, (S) კოლექცია, II, თბ., 1961, გვ. 153.

სათაურია (ნაწერია წი-თელი მელნით): *„მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა ისმაილითთა, რ-ლ არიან ნათესავნი თათართანი, გამოკრებული და სიტყვის-გება ქრისტიანეთ მიერ, თქმული ბატონის შვილის ბაგრატის მიერ“* (გვ. 1). გადაწერილია 1815 წელს დავით გარეჯაში ხუცეს-მონაზონის თ ე ო ფ ა ნ ე ს მიერ. ანდერძში თავად გვაუწყებს: „აღიწერა წიგნი ესე უდაბნოსა მრავალმთის დავით გარეჯისასა კელით ე-დ უღირსის ხუცეს მონაზონისა თ ე ო ფ ა ნ ე ს ი თ ა, სადიდებლად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და უკ-ე, ამინ! წელს 1815, თუეს ფებერვალს 13“.

ნაწერია შავი გაკრული მხედრულით. აბზაცი და საკუთარი სახელები იწყება ასომთავრულით. სასვენი ნიშნებია წერტილი და ორწერტილი. აღწერილია თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს მიერ[13]. იყენებდა ნ. მარი.

ემთხვევა J-სა და N-ს. თუმცა მათ შორის განსხვავებაც საკმაოა და ამ დაშორებისას მიჰყვება A-ს. ბიბლიურ წიგნებს არაბული ციფრებით ნომრავს. ხმარობს გამოთქმებს: *ჰსჯული*, *ჰარონი* (არონი), *ისმაილ* (ისმაელი), რუსიციზმებს: *დანიილ* (დანიელ), *მიხაილ* (მიქაელ) და ა. შ.

14. **N** – H 486. საშუალო ფორმატის მუყაოსყდიანი ნუსხაა. შეიცავს მხოლოდ ბაგრატის ნაშრომს და შედგება მოცისფრო 27 ფურცლისაგან (1r-27r). განეკუთვნება XIX საუკუნის დასაწყისს, ქაღალდის ჭვირნიშანია 1807 წ. ნაწერია შავი მელნით, კარგად გასაგები მხედრული ასოებით. სათაური, ქვესათაურები, ზოგიერთი საკუთარი სახელი და აბზაცის დასაწყისი ასოები შესრულებულია წითელი მელნით, აბზაცისა და საკუთარ სახელთა საწყისი ასოები – ასომთავრულით. აღწერილია ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ი ს ა და ნ. კ ა ს რ ა ძ ი ს მიერ[14].

---

[13] აღნიშნული აღწერილობა. I, გვ. 135.

[14] აღნიშნული აღწერილობა, H, I, გვ. 351.

არსებითად მიჰყვება A–ს ტექსტს. მისგან უფრო მეტად განსხვავდება გრამატიკული და ორთოგრაფიული წაკითხვებით. აქა-იქ უმატებს ან აკლებს ცალკეულ სიტყვებს და ამით აზრს აზუსტებს. აი, ნიმუშად ის რაოდენობრივი და თვისებრივი სხვაობა, რასაც იგი პირველ გვერდზე იძლევა:

მე-6 სტრიქონი: ჰერაკლე – ერეკლე,
7. მწვალებელი – მწუალებელი,
13. მდიდარსა – მდიდართა,
15. შემდგომად ქრმისა – შემდგომად სიკუდილისა ქრისა,
19. პოვა – ჰპოვა,
22. სენითა – სნეულ სენითა და ა. შ.

15. **O**–პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის № 200 ხელნაწერი (ესეც ხელთ ჰქონია ნ. მარს). 1963 წლის იანვარში სამეცნიერო მივლინებისას მისი დიდი ნაწილი გადმოვწერე. რას ვიფიქრებდი მაშინ, როცა ამ საქმეს დავუბრუნდებოდი, ის ხელმიუწვდომელი გამიხდებოდა.

ეს ხელნაწერიც არსებითად მიჰყვება A–ს და რაიმე საყურადღებო და მნიშვნელოვან სხვაობას არ იძლევა. მას, როგორც XIX საუკუნის ნუსხას, მოეპოვება ამ დროისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ენობრივი ნიშანი. თავიდან ვფიქრობდი, რადგან ახლანდელი პოლიტიკური ვითარების გამო პეტერბურგთან კავშირი ძალიან გაძნელებულია, ტექსტის რა ნაწილიც გადმოწერილი მაქვს, მისი ვარიანტები სრულად აღმერიცხა. მაგრამ, როგორც ამ თხზულების სხვა ნუსხებთანაა, ტექსტის დადგენასა და გაგებაში იგი საყურადღებოს არაფერს იძლევა, ამ განზრახვაზეც ხელი ავიღე და სანიმუშოდ მხოლოდ რამდენიმე გვერდის შედარებით მნიშვნელოვან წაკითხვებს (ბეჭდური ტექსტის პირველ ხუთსა და ხელნაწერის პირველ სამ გვერდებს – 1r–2r) ვუჩვენებთ.

წინასწარვე ვიტყვით, აქ გვაქვს ფორმები: *მოჰმედ*, ერეკლე, გავრიილ („გაბრიელის“ ნაცვლად), *ანგელოსი*; უე

კომპლექსში გაბატონებულია მერვე ც: *წინაწარმეტყველი, ნაკურცხალი, ეჩუნა.*

ქვემოთ ვნახავთ, რომ ბაგრატი, როგორც წესი, ზმნის-წინებს გაუმართივებლად წერს. O-ში ერთგან პირიქითაა. დადგენილ ტექსტშია: „ხოლო ალის გა-ეხარნეს, რამეთუ არა ჰგონებდა ცხორებასა მისსა“ (გვ. 3. 9). O-შია: „გან-ეხარნეს“ (2r).

წაკითხვები:

გვ. 137. სტრიქონები: 8. წულის – წულისა.

16. იურუსალემს – იერუსალემს; სჯულისათა – სულისათა.

20. ვინმე – (გამოტოვებულია): პოეა – ჰპოა.

21. მას – ამას.

24. ცნა – ჰსცნა.

25. იურვოდა – იუროდა.

26. მზაკუარებისა – (უმატებს) მოქმედებითა.

გვ. 138. 1. შჯაბრაილს – ჯიბრაილს; მთავარანგელოზსა - ანგელოსსა.

2. კილვასა – ხილუად.

3. მიუთკრა – ესე მიუთხრა.

5. გულსაეე ყო – გულსაესე ჰ ყო.

6. ჭეშმარიტად – (გამოტოვებულია).

8. სიტყუაჲ მაცთურისა – სიტყუა იგი მაცთურისა მის.

11. ამან უღმრთომან – უღთომან.

13. ჰქადაგებდა – ქადაგებდა.

16. ქრისტიანე – ქრისტიან.

17. ორთაეე – ორითაეე; ცხოვნდეს – ცხონდეს.

17–18. ყოველთა – ყოველსაეე.

19. გარემოთა – გარემოსთა.

30. ეწყუნეს – ეწყო; მისთანანი – მისთაანი.

გვ. 139. 2. მკუდართასა – მკუდრისასა

7. მოვიდეს – მიეიდეს.

8. სადა-იგი – სადა.

9. მიეგებოდა – მოეგებოდა.

10. ჰგონებდა – ჰგონებდეს.

12. განირინებოდა – განარინებდა.

16. ყოველთა – (გამოტოვებულია).

19. იძლეოდის ბრძოლასა შინა – დაიმალებოდეს წინაწარმეტყუელნი.

22. სულნელებითა – სათნოებითა.

23. კეთილითა – კეთილთათა.

25. ვითარცა-იგი – ვითარცა.

29. ისრაელნი – ისრაილნი.

გვ. 140. 6 შეემთხუა – შეემთხვიეა.

18. მოიცლინა – მიივლინა.

გვ. 141. 1. ტყორცნითა – სტყორცითა.

5. წურილსა – წულილსა.

9. აედგინა – აღად(გ)ინა.

12. სენაქერანის – სენექერენის.

14. ეზეკია – ეზეკიელ.

15. შეახო – შეეხო.

19. დანიელს – დანიილს. და სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი ვარიანტები.

¤

დასასრულ დავძენთ: ამავე ბიბლიოთეკაში ყოფილა კიდევ № 280 ნუსხა, რომელიც ხელთა ჰქონია ნ. მარს.

ტ ე ქ ს ტ ი

(1 r) მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა, გამოკრებილნი და სიტყვს-გება ქრისტიანეთა მიერ, თქმული ბატონის შვილის ბაგრატისა[1]

ჟამთა უკუჱ ჰ ე რ ა კ ლ ე მეფისათა გამოჩნდა მ ო ჰ ა მ ე დ, ვინმე ახალი მწვალებელი, უღმრთო და უსჯულო, ტომით ი ზ რ ი ს გ ა ნ, ძის წულის ი ს მ ა ი ლ ი ს ა, რომლისა ნათესავი მკჳდრ იყო უდაბნოსა მ ა დ ი ა მ ი ს ა ს ა და ცხოვნდებოდეს აქლემებითა ვაჭრობით. ხოლო ესე მოჰამედ პირველად ობოლ იქმნა, ვიდრე ყრმაღა იყო, და უპოვარ და გლახაკ ფრიად, არამედ საქმით ღონიერ და მანქან. და შეუდგა აქლემებით მსახურებად დედაკაცსა ვისმე, თჳსსა ნათესავსა – მდიდარსა მონაგებთაგან; და შემდგომად ქრმისა თჳსისა ცოლ ეყო მას დედაკაცი იგი. და ვალნ რაჲ იგი ვაჭრობად იერუსალემს და ყოველთა მათ ადგილთა არაბეთისათა, ისწავებნ და ეძიებნ ყოველთაგან სწავლულთა სჯულისათა სჯულსა და ნათესავსა და სიტყუასა სჯულისასა. და უფროსღა მონაზონი ვინმე ნ ე ს ტ ო რ ი ა ნ ი პოვა მან ექსორიაქმნილი წვალებისათჳს მისისა ქუეყანასა მას მადიამისასა და მას ეზრახებინ მარადის.

ხოლო იყო მოჰამედ სენითა შავნაღვლიანობისათა ვნებული და დასცემნ მას პაემანსა თჳსსა. და ცნა რაჲ ესე

---

[1] ფრჩხილებში დასახელებულია A–ს გვერდები. სქოლიოში ვცდილობთ „ბიბლიისა" და „ყურანის" შესაბამისი ადგილებისა და სხვა წყაროთა მითითებას.

ცოლმან მისმან, შეწუხნა ფრიად და იურვოდა. არამედ მოჰამედ მზაკუარებისა მანქანებითა დააჯერა, ვითარმედ ჩუენებით იხილავს შჯაბრაილს მთავარანგელოზსა, რომელ არს გაბრიელ, და ვერ უძლებს კილვასა მისსა და ქუეყანად დაეკუცებოს. და მიუთკრა ცოლმან მისმან მონაზონსა მას ნესტორიანსა და საკელი ანგელოზისა აუწყა. ხოლო მონაზონმან დააჯერა და გულსავე ყო, ვითარმედ *ჭეშმარიტად ეგრეთ არსო. და ანგელოზი იგი ყოველთა წინაწარმეტყუელთა მიიელინებისო.* და დაიჯერა დედაკაცმან მან სიტყუად მაცთურისა ბერისა და მიუთხრა და არწმუნა (lv) ყოველთა დედათა, ვითარმედ *ქმარი ჩემი ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი არსო.*

ხოლო ამან უღმრთომან მოჰამედ იწყო სახელის დებად, რომელ არს რჩეული ღმრთისად, რამეთუ პირველ მუსტაფა ერქუა მას და ჰქადაგებდა და ცრუწინაწარმეტყუელებდა. და მცირედ შჯერ შეუდგა მას სიმრავლე ისმაიტელთა, რომელთა ასწავებდა, ვითარმედ: *რომელმან მოკლას ქრისტიანე, ანუ მოიკლას მის მიერ, ორთაჳე მიზეზითა ცხოვნდეს.* ხოლო იგინი ერჩდეს ყოველთა მოძღურებასა მისსა. და მიერითგან იწყო ბრძოლად ყოველთა მათ გარემოთა მისთა, რადთამცა არწმუნა მათ ცრუ წინაწარმეტყუელებად იგი თჳსი. და არამედ უმრავლესთა ბრძოლათა შინა იძლიის, ვიდრე არა ესიძა მას ალი, ვინმე ისმაიტელი, ახლო ნათესავივე, — გმირი და ძლიერი ფრიად, რომელსა მისცა ასული თჳსი ფატმან. და მიერითგან თანაუვიდოდის ალი მოჰამედს. ვიდრეცა ვალნ და თანამბრძოლ ექმნის და განარინის ყოველთაგან მბრძოლთა მისთა.

მათ ჟამთა აღიჭურა ოდესმე მოჰამედ და წარვიდა ბილწთა ჰურიათა მის რომლისამე ადგილისათა და არა

იყო ალი მის თანა, რამეთუ სტკიოდა მას თუალი ერთი. და რაჟამს ეწყუნეს, იძლია მოჰამედ და მისთანანი. და მოისრნეს სპანი მოჰამედისნი. ხოლო მოჰამედ განუტევა ცხენი თჳსი და შთაწვა გუამებსა მას შორის მკუდართასა, რომელნი მოისრნეს სპათაგან მისთა. და დაეფარა მას შინა უპოვარებისათჳს გზისა სალტოლველისა. არამედ განერა ვინმე ისმაიტელთაგანი და ივლტოდა და მიუთხრა ესე ალის და იგი ამკედრდა მსწრაფლ ყოველთა თანა სპათა თჳსთა და აღიჭურნეს და მოვიდეს, სადა-იგი იყვნეს ჰურიანი. მაშინ გამოვიდა მოჰამედ, სადა-იგი დაფარულ იყო, და მიეგებოდა ალის. ხოლო ალის გაეხარნეს, რამეთუ არღა ჰგონებდა ცხორებასა მისსა. და ეწყუნეს რა კულავად ალი და მოჰამედ ჰურიათა მათ, იოტნეს ჰურიანი და მოსრნეს. რამეთუ ესრეთ ალი განირინებოდა ყოველთაგან მბრძოლთა მისთა, და იგი იტყოდა, ვითარმედ: *ანგელოზი იგი არს ჩემ თანა, რომელი მიიცვლინებოდა წინაწარმეტყუელთა* (2r) *მიმართო.*

❧ეშმარიტად ყოველთა წინაწარმეტყუელთა მიიცვლინებოდა ანგელოზი უფლისაჲ, არამედ არავინ სენსა რასმე ბოროტსა შთააგდო, არცა ვინ დააკუცთა. ნუ იყოფინ! და არცა იძლეოდის ბრძოლასა შინა წინაწარმეტყუელნი, რომელთა თანა იყო ანგელოზი უფლისაჲ, არამედ უფროსღა განაძლიერის და აღავსის ყოვლითა მხიარულებითა კეთილითა და სულნელებითა და სიბრძნითა და ყოვლითა გულისხმის-ყოფითა კეთილითა და თანამბრძოლ ექმნის ყოველთა მიმართ მტერთა ისრაჱლისათა. ვითარცა-იგი ა ბ რ ა ჰ ა მ ს უცხო თესლთა მიმართ თანამბრძოლ ექმნა ანგელოზი უფლისაჲ და მ ო ს ე ს წინაუძღოდა სუეტითა ღრუბლისაჲთა, რაჟამს გამოვიდოდა იგი ქუეყანით ეგჳპტით, რამეთუ ფარაოეთნი მეგჳპტელნი დაანთქნა მეწამულსა. ხოლო ისრაჱლნი წი-

აღკდეს ულტოლველად[2]. და კუალად, რაჟამს ამალეკსა ებრძოდა, შეეწია მას ძალთა მთავარი უფლისაჲ და სძლო ისრაჱლმან[3]. ხოლო მოსე თჳთ თავადისა ღმრთისა ხილვასაცა ღირს იქმნა[4]. რაჲოდენ სთნდა ღმერთსა, ანუ შემძლებელ იყო ბუნება კაცისა, რომელი-იგი შემოქმედი არს ანგელოზთა და არარაჲ უჯერო შეემთხჳა მას?! ნუ იყოფინ! არამედ ესოდენ განბრწყინდა პირი მისი, რომელ ვერ შეადგმიდეს თუალთა ძენი ისრაჱლისნი და უქმნეს მას საბურველი პირისა და ეგრეთ ზრახჳდა მათ[5].

და რაჟამს ისუა განწყობილ იყო ბრძოლად იერიქოსა, ანგელოზივე უფლისაჲ ეჩუჱნა და განაძლიერა[6]. ანგელოზმან უფლისამან ჰრქუა გედეონს: უფალი შენთან-ა ძლიერი ძალითა![7], რომლისა თანა შეწევნითა მოსრა ბანაკი მადიამელთაჲ, რომელთა თანა იყვნეს ესე ისმაიტელნი[8].

ანგელოზმანვე უფლისამან ახარა მანოეს შობა სამფსონ ძლიერისა[9]. ანგელოზთა მთავარი იყო, რომელი მოიჱლინა უფლისა მიერ დავით წინაწარმეტყუელისა და სცხო მას საცხებელი წინაწარმეტყუელებისა და მეფობისა[10] და იგივე შეეწია ბრძოლასა

---

[2] გამოსლვათა 13. 21-22; 14. 19-31.
[3] გამოსლვათა 17. 8-16.
[4] გამოსლვათა 3. 2-22, 4.1-17.
[5] გამოსლვათა 3. 6.
[6] ისო ნავესი 6. 1-27.
[7] მსაჯულთა, 6. 11-12.
[8] მსაჯულთა 7. 9-25; 8. 9-21.
[9] მსაჯულთა, 13. 3-5.
[10] I მეფეთა, 16. 12-13; II მეფეთა, 7. 8-9.

გოლიათისასა, რომელი-იგი ერთითა ტყორცნითა ქვისათა მოაკუდინა და მახვილითვე თჳსითა წარკუეთა თავი[11].

და დიდსაცა წინაწარმეტყველსა ი ლ ი ა ს, ჰრქუა რაჲ ანგელოზმან, ვითარმედ: *ნიაე წურილსა მას შინა უფალი*[12], არავე უჯერო შეემთხჳა, არამედ ლოცვით — არ ეწყმა (2v) სამ წელ და ექუს თუე[13], — ძე ქურივისა მკუდარ აედგინა[14] და რაჟამს ეთხოვა, მიეცა წყმა[15]. ხოლო შემდგომად ბრძანებითა უფლისაჲთა სცხო მის წილ წინაწარმეტყველად ე ლ ი ს ე ს და აღიტაცა ეტლითა ცეცხლისაჲთა ზეცად[16].

ანგელოზმანვე უფლისამან მოსრნა ს ე ნ ა ქ ე რ ი ნ ი ს მკედართაგან ასოთხმეოცდახუთი ა[თა]სი ე ზ ე კ ი ა წინაწარმეტყუელისა ზე[17]. **დ**ა ე ს ა ი ა ს ბაგეთა შეახო ნაკუერცხალი ცეცხლისა მარწუხითა და განწმიდნა იგი წინაწარმეტყველად და იხილა უფალი საყდართა ზედა მჯდომარე, ვითარცა კორცითა[18]. და ს ა მ თ ა ყ რ მ ა თ ა სახმილსა შინა ეჩუენა ანგელოზი უფლისაჲ[19]. და დ ა ნ ი ე ლ ს მღუმესა ლომთასა და ა მ ბ ა კ ო მ ი ს მიერ წინაწარმეტყუელისა საზრდელი მიართუა მას[20].

---

[11] I მეფეთა, 17. 4-51.
[12] III მეფეთა, 19. 12-13.
[13] ლუკა 4. 25; იაკობი 5. 17-18; III მეფეთა 17. 1; 18-45.
[14] III მეფეთა 17. 17-24.
[15] III მეფეთა 18. 44- 45.
[16] IV მეფეთა 2. 9-12.
[17] IV მეფეთა 19. 35; ესაია 37. 36.
[18] ესაია 6. 1, 5-7.
[19] დანიელი 3. 17, 23-24, 49-51.
[20] დანიელი 14. 30-42.

და ანგელოზმანვე უფლისამან აღმართა შორის ცასა და ქუეყანასა და მოიყვანა იერუსალემად.

და ანგელოზმანვე უფლისამან აღამღვრიჳს წლითი-წლად საბანელი იგი პროვატიკისა და, ვინ პირველად შთავარდის, განიკურნის, რითაცა შეპყრობილ არიან სნეულებითა. რამეთუ უფროსღა ჰკურნებდა ყოველსა სნეულებასა ანგელოზი უფლისაჲ[21] და არავის მათგანსა უჯერო რაჲმე შეამთხვევა.

ხოლო ამან უღმრთომან მოჰამედ აღაწერინაცა წიგნი რაჲმე ასულით სიძეთა თჳსთა — ა ლ ი ს და უ ს მ ა ნ ს — და ორთავეთმე სხუათა შემსგავსებულთა ცნობისა და მოძღურებისა თჳსისათა, რამეთუ თჳთ არა უწყოდა წერილი. და სახელ სდვა წიგნსა მას ყ უ რ ა ნ, რომელი შეწმასნეს ძუელთა და ახალთა ვიდრემე მოთხრობითგან და სჯულთა და ნათესავთა, ვითარცა ესწავა მას ნისტორიანისა მისგან ბერისა. და კუალად სადაცა და ზედა დართნა უმრავლესნი თჳსისაებრ გარდამოცემისა. და შთამოყვების: წიგნი იგი შესაქმესა სოფლისასა სამოთხესა და ა დ ა მ ს ესრეთ, ვითარმედ ექსორიაობაჲ ადამისი და ე ვ ა ს ი ჭამისათჳს ხ უ ა რ ბ ლ ი ს ა იქმნაო (რამეთუ ხ ე დ ც ნ ო ბ ა დ ა დ ხ უ ა რ ბ ა ლ ს ა ქადაგებს). და ამკედრებულნი ფარშამანგსა სამოთხი(3r)თ განიხადნესო. და შთამოყვების წყლითრღუნასა და გოდლის წილ დაამტკიცებს ნ ე ბ რ ო თ ი ს მიერ აღზრდასა ორთა მართუცთა ფაშკუნძისა და ბეჭთა მათთა ზედა ტკრთულისა ზეცად აღსლვასა. ხოლო აღ-რა-ვიდა ზეცადო, სტყორცა ისარი, რაჲთამცა მოკლა ღმერთი და თჳთ ღმერთ იქმნაო და უბრძანა ღმერთმან მთავარანგელოზსა გ ა ბ რ ი ე ლ ს: *დაიპყარ ისარი.* და განვლო თევზსა მას, რომელი მეათერთმეტედ ეტლად დაწესებულ არს. მეწა-

[21] იოანე 5. 4.

მულ ყო იგი სისხლითა მისითა და კუალად აგო ნებროთს და ირწმუნა, ვითარმედ მოკლა ღმერთი და მხიარულ ქმნილი შთამოვიდა ქუეყანადო. და არა უწყის წყეულმან, ვითარმედ არა კორციელი თევზი არს, არამედ სახე თევზისა.

ბანიხილეთ, მი, მორწმუნენო, წინააღდგომობაჲ წმიდათა წინაწარმეტყუელთა და განცხადებული შეურაცხება მეუფისა! მი, კადნიერებასა ულმრთოსა მოჰამედისა!

იტყჳს დიდი წინაწარმეტყუელი მოსე „შესაქმესა“ შინა, ვითარმედ სიბერესა აბრაჰამისასა და ცოლისა მისისა ხარებითა ანგელოზისათა, მიუდგა რაჲ სარრა, ცოლი იგი მისი, და შვა ისაკი[22], ჰრქუა ღმერთმან აბრაჰამს: *განაძე მკევალი ეგე და ძე მაგისი, რამეთუ არა დაიმკჳდროს ძემან მკევლისამან ძისა თანა აზნაურისა*[23], რამეთუ აბრაჰამის შვილი არს ისმაელ აგარისაგან მკევლისა[24]. და განაძო აბრაჰამ მან აგარ მკევალი თჳსი და ძე მისი ისმაელ უდაბნოსა მას მადიამისასა და დაემკჳდრეს მუნ და განმრავლდა ნათესავი ისმაელისი შემდგომად მისსა[25].

და ჰრქუა ღმერთმან აბრაჰამს და შეწირა ისაკ – ძე თჳსი. და აკურთხა ღმერთმან ისაკ და თქუა: *თავსა ჩემსა ვფუცავ: განმრავლებით განვამრავლო ნათესავი შენი და შენდამი იკურთხებოდიან ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და ნათესავისა შენისა მიერ*[26].

---

[22] დაბადება 17. 19; 21. 1-3.
[23] დაბადება 21. 10-12; გალატელთა 4. 30.
[24] დაბადება 16. 1-4, 11, 15-16.
[25] დაბადება 21. 10-13, 18.
[26] დაბადება 21. 18.

ხოლო ესე ულმრთო მოჰამედ ქადაგებს, ვითარმედ *ისმაელ შეწირაო*, რამეთუ ნათესავი მისი არს. არათუ სისხლი უბრალო სთნავს ღმერთსა, არამედ ამისთჳს უბრძანა აბრაჰამს შეწირვა ისაკისი, რამეთუ ყოველი (3v) ქუეყანა დაეპყრა კერპთმსახურებასა და უკლვიდეს ძეთა და ასულთა მათთა ეშმაკთა. და ერთი ესე აბრაჰამ მხოლოდ ოდენ იცნობდა ღმერთსა ცხოველსა. და ერთი ძე ესუა მას სასურველი ისაკ. და თქუა ღმერთმან: *უკეთუ ყოველნი ნათესავნი ეშმაკთა მიმართ შესწირვენ ძეთა და ასულთა თჳსთა, გამოვსცადო მეცა აბრაჰამი და ეიხილო: უკეთუ ესოდენ უყუარ, რომელ არა რიდოს მხოლოდ შობილსა მისსა ჩემთჳს*[27]. ხოლო აბრაჰამ უხუცებით შეწირა რაჲ, უწოდა ანგელოზმან უფლისამან და ჰრქუა: *ნუ მიჰყოფ კელსა ყრმასა მაგას...*[27] და შემდგომი ამისი. და არათუ პირველ შეწირვისაცა არა უწყოდა განმკითხველმან მან გულთა და თირკუმელთამან, რომელ უშურველად შესწირვიდა, არამედ რაჲთამცა ითქმოდის მორწმუნეთა შორის საკსენებლად აბრაჰამისა? და უკუეთუ ესოდენ არა სთნდა ისმაელ ღმერთსა და მამასაცა მისსა, რომელ დამკჳდრებასაცა არა ჯერიჩინა სახლსა შინა მამისა თჳსისასა, არამედ განიძო დედითურთ მისით, შეწირვითა მისითა, რაჲთამცა სიყუარული ღმრთისაჲ აჩუენა აბრაჰამ?!

მოჰამედ ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელად უწოდს დიდსა მოსეს და წიგნსა მისსა „თოვრათსა“, რომელ არს „შესაქმე“[28]. მუნით ისწავენ, თუ რომელი შეწირა, ანუ ვითარ ეტყოდა მაყლოანით გამო, ვითარმედ: *მე ვარ ღმერთი მამისა შენისა აბრაჰამისი და ღმერთი*

[27] დაბადება 22. 1, 12.
[27] დაბადება 22. 1–12.
[28] ყურანი 2. 130; 3. 78; 5. 72.

ისაკისი და ღმერთი იაკობისი[29]. და რად არა რქვა მას, ვითარმედ: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ისმაელისი და ისაკისა, უკუეთუ სთნდა ისმაელ ანუ ნათესავი მისი?!

ხოლო ისაკ აკურთხა იაკობ – ძე თჳსი, რომელსა ერკინა ანგელოზი უფლისაჲ და უწოდა ისრაილ[30], რომელ არს ებრაელებრ *„მონა ღმრთისაჲ“*. და იხილა იაკობ ბანაკი უფლისაჲ[31] და კიბენი ცად აღწევნულნი და ანგელოზნი ღმრთისანი აღმავალნი და უფალი თავსა ზედა კიბისასა[32]. და აკურთხნა ათორმეტნი იგი მამათა მთავარნი, ძენი თჳსნი და თქუა: *მოკერბით და ისმინეთ, ისრაილ,* (4r) *მამისა თქუენისა...* და შემდგომი ამისა. და კუალად არა მოაკლდეს მთავარი იუდასგან და წინამძღუარი წყჳლთაგან მისთა, ვიდრემდე მოვიდეს, რომელი–იგი განმზადებულ არს და იგი არს მოლოდებაჲ წარმართთა. სახელები მათი ესე არს: რუბენ, სჳმეონ, ლევი, იუდა, იზაქარ, ზაბულონ, ბენიამენ, დან, ნეფთალიმ, გაად, ასერ და იოსებ[33], რომელი მიეყიდა ეგჳპტედ და დაემტკიცა ჭეშმარიტად კურთხევა იგი მისი და არა მოაკლდა წინაწარმეტყუელი და წინამძღუარი ნათესავისა მისაგან, ვიდრე ქრისტესამდე, – ჭეშმარიტისა მის მეუფისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა და მეფენი და მღდელნი მათგან გამოვიდოდეს და დიდ–დიდნი წინაწარმეტყუელნი, ვითარცა მოსე, დავით, ილია წინამორბედნი

---

[29] გამოსლვათა 3. 6.
[30] დაბადება 32. 24–28; 35. 9–10.
[31] დაბადება 32. 1–2.
[32] დაბადება 28. 12.
[33] დაბადება 35. 22–26.

და სხუანი წმიდანი, წინაწარმეტყუელნი, რომელთა ეწ-
ამების ყოველი ქუეყანაჲ.

(69) **ხ**ოლო ისმაელტელნი გამოვიდოდეს და იყვნეს ყოველნი ერთბამად მესისხლენი, მტაცებელნი, მეშფო-თენი, მპარავნი და ყოვლადვე უპოვარნი. რამეთუ წიგნი იგი, რ(ო)მელსა *ყისაი ჰამზად* უწოდენ სარკინოზნი, ამათ ისმაიტელთა ცხორება არს და მის წიგნისა მცირედი რა-ჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა *დარეჯა-ნიანად* უწოდენ. და არა თუ ეგე ვითარითა სიმკნითა აკ-ოვან იყვნეს, ვითარცა გჳთხრობს ჩუენ წიგნი იგი, არამედ მათ მიერითა ზღაპრობითა განჳრცელებით აღუწერეს მოთხრობაჲ იგი, ვითარცა იტყჳს საღმრთოჲ წერილი: ძენი ა გ ა რ ი ნ ი მუცლით მეზღაპრენი, სიბრძნის მე-ძიებელნი. ხოლო გზა უფლისაჲ მათ არა იცნეს. **რ**ამეთუ არა აქუნდეს სამკჳდრებლად ქალაქი, არამედ ვითარცა ნადირნი მიმოვიდოდეს უდაბნოსა მას შინა, რომელსაცა მკჳდრ იყვნეს და ცხოვნდებოდეს აქლემებითა და ცხე-ნებითა, და ჭამდეს კორცსა ცხენისასა და აქლემისასა, რომელ ძუალიცა მისი შემუსრიან და ტკჳნითურთ გამოს-წოვიან. და არა უწყოდეს ლოცვა და არა აქუნდა ტაძარი და არა ჰქონდა წიგნი სჯულისა, არამედ სმენით ოდენ ეს(**4v**)მინა, რომელ-იგი ურთიერთარს მიუთხრიან. ვით-არმედ ღმერთი ეტყოდა მამასა აბრაჰამს და ჰრქუა: *არა თაყუანის სცე ყოველსა კელით ქმნულსა. რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან შეჰვქმენ ცანი, ქუეყანაჲ, ზღჳა და ყოველი რაჲ არს მათ შინა. და წულმან, რო-მელმან არა დაიცვითოს კორცი წინადაცვეთილებისა, მოისპოს სული ყრმისა მის, რამეთუ აღთქმა ჩემი განა-ქარვა*[34]. და მიერითგან ეპყრა წინადაცვეთილებაჲ იგი

[34] დაბადება 17. 10-14.

ისმაელს და ნათესავსა მისსა, ვითარცა ჭეშმარიტთა ისრაჱლთა მათ[35]. და არცა ჭამდეს კორცსა ღორისასა და არცაჲ თაყუანისცემდეს კელით ქმნილსა რაჲსმე.

ხოლო თუ რაჲ სჯული მოეცა მოსეს, ანუ რაჲსა ჰქადაგებდეს წინაწარმეტყუელნი, ანუ ვითარ ქრისტე, გინა ქრისტიანობაჲ, ამას ყოველსავე უმეცარ იყვნეს. ყოვლადვე ამისთჳს მოსცა ღმერთმან აბრაჰამს სჯული წინადაცვეთილებისა, რომელთ ყოველნი ნათესავნი მიდრკეს ულმრთოებისა მიმართ და უზორვიდეს ეშმაკთა. რამეთუ თჳთ თარა, მამა აბრამისი, იყო მოქმედი კერპთა, და აჰკიდა ოდესმე ვირსა მრავალდღე ნაშრომი იგი მისი და მისცა აბრაჰამს, ძესა თჳსსა, რაჲთამცა წარიღო და განყიდა. და ვითარცა მიიწია წიაღ მდინარისა რაჲსამე მცირისა, შთააგდო ერთი კერპთაგანი და თქუა: *უკეთუ ღმერთი არს, წიაღვიდეს იძიერ!* და ვითარ წარიღო, შთაყარა თჳთეულად ყოველი იგი, ვიდრემდის მოიქცა მამისა თჳსისა ცალიერი და უთხრა მას: *რომელიიგი თავისა თჳსისა შეწევნად ვერ შემძლებელ არიან, სხუათა ცხორებისა მინიჭება ვერ ძალუც,* რამეთუ სიბრძნითა თჳსითა იცნო შემოქმედი. ხოლო მამა მისი განვიდა რაჲ ცხორებისაგან, ებრძანა რაჲ ღმრთისა მიერ აბრაჰამს, რაჲთამცა არა აღერია ნათესავი მისი წარმართთა და სასწაულად ჰქონდამცა დაცუცთილებაჲ ასოსა მის, რომლისა თანაეყოფის მამაკაცი დედაკაცთა.

ხოლო აწ ვინაჲთგან ყოველთა ნათესავთა მომართ მოავლინა ჭეშმარიტებაჲ, ვინაცა ირწმუნებს, რა(5r)დღა საკმარ არს წინადაცუცთილებაჲ, ანუ არა სარწმუნო არსა ადამი ძისათჳს იგი დაძენი მისნი აბელ და სეით, ანუ ნოე და ძენი მისნი, რამეთუ არა აქუს მათ წინადაცუცთილებაჲ და რაჲ არა ებრძანა მათ წინადაცუცთა?

[35] დაბადება 17. 23, 25-27.

ანუ არა აბრაჰამცა წინაუცუცთელობასა შინა განმართლდა? ჰე, ჭეშმარიტად! და შემდგომადღა უბრძანა წინადაცუცთა. და შთამოყვების წიგნი იგი მოსეს და „მსაჯულთა“ და „მეფეთა“, საულს და დავითს, სოლომონს, რობოამს და სხუათა მეფეთა და ტყუცნვასა ბაბილოვნელთასა, მცირითა და უსრულითა მტყუარითა და წინაწარმეტყუელთა წინააღმდგომობითა და მოიწევის „სახარებისა“ ესრეთ: მოავლინა გაბრიელ ანგელოზი მარიამ ქალწულისა – იოსებ ძელით ხუროსა მიერ თხოილისა, ჰრქუა მას: *გიხაროდენ, რამეთუ წინაწარმეტყუელი დიდი შობად არს შენგანო და შთაასხა მას ნამეტნავისაგან მის სულისა, რომელი შთაბერა ღმერთმან პირველსა ადამს, რამეთუ მიერითგან კანდელსა შინა ბროლისასა დამარხული აქუნდა იგი გაბრიელ სო*[36]. და მიუდგა მარიამ და შვა ქრისტე. რამეთუ ესე ყრმათაცა მიერ მცირეთა საცინელ არს, რამეთუ ანგელოზნი არა რას ქვათა მიერ კელოვნებისა მოქნე არიან დასაბამითგან. ხოლო კაცი, ვინმცა იყო პირველ ადამისა, რომელმანცა გამოაქანდაკა კანდელი იგი ბროლისა, ცუდმცა იყო ქადაგება წინაწარმეტყუელთა, ცუდ სჯული და მტყუარ სახარებად. არა, ნუ იყოფინ! *და ოდეს ყრმალა იყო იესუ, სახლდა მფრინველთა თიკისათა, შთაბერის სული და განცხოველნის იგინიო*[37]. ხოლო წმიდად „სახარებად“ პირველად სასწაულად ქორწილსა შინა ღუნოდ შეცვალებასა წყლისასა გუაუწყებს[38]. არამედ, *ოდეს მიიწია სისრულედ ჰასაკისა, მარად დღე ურიცხუთა მკუდართა აღადგინებდაო. აღივსნეს შურითა და სდევნიდეს მას ჰუ-*

[36] შდრ.: ყურანი 66. 12.
[37] ყურანი 3. 43; 5. 110.
[38] იოანე 2. 1-11; 4. 46.

რიანი, რ(ჳ)ადთამცა მოკლეს იგიო. ხოლო იესუ ანგელოზისგან ზეცად აღიტაცა. და პოვეს ვინმე, რომელსა დასდებოდა სახე მისი და იგი ჯუარს აცუსო. და ვინათგან ფრიად იგლოვდა მას დედამისი მარიამ, შემდგომად ორისა დღისა, მოივლინა და ნუგეშინისცა მარიამს და აუწყა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ არა მიტევებს მე ჰურიათა მოძღურებად და სხუად წინაწარმეტყუელი აღგიდგინოს თქუენ ღმერთმან, რომლისა სახელი მოჰამედ, მისი ისმინეთო, რამეთუ იგი არს ბეჭედი ყოვლისა წინაწარმეტყუელებისაო. და ამაღლდა ზეცად და მეოთხესა ცასა შინა მჯდომ არს, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისაო.

და შთამოყვების მოციქულთა და მოწამეთა. რამეთუ წმიდა მოწამესა გიორგის სახელსდებს ჯირჯის ფელამბარ. და მღუდელთ მოძღუართა და მამათა და წმიდათა (98) შჯდთა ყრმათა ეფესელთა, რომელთა-იგი ტრობ (372 - ბ. დ.) წელი[39] ეძინა ქუაბსა მას შინა[40]. რამეთუ რაოდენიცა წმიდანი სასწაულთ მოქმედნი სოფლის შესაქმისითგან, ვიდრე მოჰამედისამდე. ანუ ისრაჭლნი იყვნეს ანუ ქრისტიანენი ყოველთავე წინაწარმეტყუელად უწოდს და ეგრეთღა მოვალს შობასა ზედა და აღზრდასა მოჰამედისასა და წინაწარმეტყუელებასა მისსა და მოძღურებასა და დაესრულების, რამეთუ მუნამდე წიგნი, სჯული რაჲთურთით არა ესმინა მათ და უკეთუ შესაქმითგან და შემდგომითნი, და შემდგომად ღონისძიებით

---

[39] ხელნაწერშია ტჯჲბ, რაც უდრის: ტ– 300, ჯ – 5000, ჲ – 60.

[40] ყურანი 18. 8-24; შდრ.: წამებაჲ შჯდთა ყრმათაჲ (ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1963, გვ. 101-116).

არა აღეწერა, ვინცა ირწმუნა მის მიერ მოპოვნებული იგი ცალიერი მოძღურებად.

აჰა, ესერა ჩუენ ქრისტიანეთა შორის ესოდენთა ჭეშმარიტთა წინაწარმეტყუელთა წიგნები და „სახარებად“ და „სამოციქულო“ მღუდელთ მოძღუართა მოწამეთა და მამათა წიგნებისა სიმრავლე ეწამების ურთიერთარს და არცა ეგრეთ ირწმუნებენ უმრავლესნი ქრისტიანეთაგანი. ხოლო იგინი (**6r**) ერთითა მით ცუდითა წიგნითა და მოპოვნებულითა ტყუვილითა დაამტკიცებენ სჯულსა მათსა და სარწმუნოებასა. ეჰა, სიბოროტესა ნათესავისა ჩუენისასა!

ხოლო ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს ი თ გ ა ნ ვიდრე ჰ ე რ ა კ ლ ე მეფისამდე, ოდეს ესე უღთო მოჰამედ გამოჩნდა ველურთა მათ ისმაიტელთა შორის, უმრავლეს წლისა აღესრულნეს და ესოდენთა ჟამთა არა ხოლო თუ წინაწარმეტყუელი არა აღუდგა ისმაიტელთა, არამედ არცა უწყოდეს, თუ რად არს წინაწარმეტყუელი. რამეთუ ეგევითარი წინაწარმეტყუელი არასადა რწმუნებულ არს, რომელი მამისა მამეულად და პაპის პაპეულადცა არა იყო წინაწარმეტყუელი. ხოლო მოჰამედ ესრეთ წარმოიჩინა და სახელ იდვა წინაწარმეტყუელად და მოციქულად ღმრთისა. **რ**ამეთუ იტყოდა, ვითარმედ: *მოვლინებითა გ ა ბ რ ი ე ლ ანგელოზისათა მეუწყა მე ამის ყოვლისაო*, რომელსა შინა ქადაგებს ღმერთსა და იტყჳს: *ალად უსამედ*, რომელი გამოითარგმანების — *ღმერთი მყარი არსო*. ვითარცა ჭურჭელი რადმე სავსე წყლითა, ანუ ქვა მყარი, რომლისა შორის არა რად იყოს — არცა სული, არცა სიტყუად. რამეთუ რაჲცა ნივთი მყარი არს და მრგუალი, არცა სული აქუს, არცა სიტყუად, არცა საძრავი, ვითარცა ქვასა და რკინასა და ჭურჭელსა რასმე სავსესა და სხუასა ესევითარსა ნივთსა, რომელი ესე

სმენადცა შესაძრწუნებელი არს მორწმუნეთა და არცა რაჲ ოდესმე ღმრთისგან გამოვიდაო. უკუეთუ ღმრთისგან სიტყუაჲ არა შობილ არს და არა რაჲ გამოსრულ არს, ვისითა ბრძანებითა შეიქმნეს ცანი და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და და ყოველი, რაჲ არს მათ შინა, ანუ თჳთ მოჰამედს ვის მიერსა ბრძანებასა მოართმიდა გაბრიელ!?

და სამოთხედ საშუკლისა არწმუნებს ყოველსა მორწმუნესა თჳსსა ჭამასა და სმასა და სიძვასა უძლებებით და არავის ჩუენდა მომართ მლოცველსა უტევებთ ჯოჯოხეთად, რამეთუ კარსა სამოთხისასა მე ვზიო. და კულავად (6v) ქადაგებს უცხოთაცა ანგელოზთა, რომელნი არასადა სმენილ არიან, რომელთა უწოდა ფირირნი, რომელნი ცოლ გვექმნებიან სამოთხესა შინაო და იდრისს – უცხოსა ვისმე წინაწარმეტყუელსა, რომელთა სახელებიცა არა უწყიან.

და იტყჳს, ვითარმედ: *ვითარცა იცვალა სჯული მოსესი სჯულითა ქრისტესითა, ეგრეთვე მოძღურებითა ჩემითა დაესრულა სჯული ქრისტესიო, რამეთუ იესუ წინაწარმეტყუელი იყო*[41] *და მოსლუასა ჩემსა ქადაგებდაო*[42]. *და მე ვარ ბეჭედი ყოლისა წინაწარმეტყუელებისაო, რამეთუ დიდნი და უზეშთაესნი წინაწარმეტყუელნი ესე ოთხნი ვართო: მოსე, დავით, იესუ და მეო და წიგნებიცა ჩუენიო: თავრათ, ზაბურ, ინჯილ, ფურყან, რომელ არს თარგმანებით: „დაბადებაჲ“, „ფსალმუნი“, „სახარებაჲ“ და „ყურან“ – წიგნი იგი მისი, ესე ჩუენ რომელსა ფურყანსაცა ეტყჳან, ყუარანსაცა და ქალამლასაცა დამუსჰაფისაცა. ესე ჩუენ ოთხთა წინაწარმეტყულთა წიგნები ზეცით შთამოგჳვიდაო.*

---

[41] ყურანი 4. 169.

[42] შდრ. ყურანი 17. 106; 32. 1–2: 33. 49; 34. 27 და სხვა..

უკეთუ ფსალმუნი ზეცით მოსრულ არს, უსმინოს, რასა იგი იტყჳს მეოთხმეოცდაორესა ფსალმუნსა შინა ამათ ისმაიტელთათჳს: *ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ? ნუ დასდუმნები, ნუცა დამშჳდნები, ღმერთო. რამეთუ ესერა მტერთა შენთა იზრახნეს, და მოძულეთა შენთა აიღეს თავი. ერსა შენსა ზედა ძმაცუიდეს ზაკუთ და განიზრახეს წმიდათა შენთათჳის... რამეთუ ზრახეს შეთქუმით ურთიერთას და შენთჳს აღთქმა ყუეს ბანაკთან იდუმელთა მან და ისმაიტელთა მან და მოაბ და აგარიანთა...* ყუენ იგინი, ვითარცა მადიამი და სისარა და ვითარცა იაბი კევსა მას კიშონისას[43], რამეთუ მოსრნეს იგინი აჰენდორს შინა და იქმნეს იგინი ვითარცა სკორე ქუეყნისა. დასხენ მთავარნი მათნი, ვითარცა ორებ და ზიბ და ზებე და სალმანა, ყოველნი მთავარნი მათნი. რომელთა თქუჳს: *დავიმკჳდროთ თჳსად სიწმიდე ღმრთისად.*

ღმერთო ჩუენო, ყუენ იგინი ვითარცა ურმის თუალი და ვითარცა ლერწამი წინაშე პირსა ქარისასა. და ვითარცა ცეცხლმან რაჲ მოწუნის მაღნა(7r)რნი და ვითარცა ალმან, რომელმან შეწუნის მთანი... ჰრცხუცნოდედ და შეძრწუნდედ უკუნითი უკუნისამდე და სირცხჳლეულ იქმნედ და წარწყმდენ!

და უკეთუ ზეცით მოსრული არს „ფსალმუნი“, სიტყუაჲ მისი სარწმუნო არს, რაჲ წამებაჲ იპოების მოჰამედისა „ფსალმუნსა“ შინა, ანუ „შესაქმესა“, ანუ „სახარებასა“ ყოვლად სადაცა?!

და კუალად იტყოდა სხუასა რაჲსმე. ესე იგი, *საკურთხეველი არსო*, რომელი უშენა აბრაჰამ უფალსა, რომლისათჳს წერილ არს მოსე წინაწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: და ეჩუენა ღმერთი აბრაჰამს და ჰრქუა

[43] რიცხუთა 31. 3-11; მსაჯულთა 4. 1-2; 7. 15-24: 7. 12-25.

მას: *ნათესავსა შენსა მიეცეს ქუეყანა ესე.* და აღუშენა მუნ საკურთხეველი უფლისა[44], რომელი-იგი ეჩუენა მას. ხოლო ესე ყოველათვე უწყით, რომელ ნათესავნი აბრაჰამისნი წინაწარმეტყუელნი იყვნეს, რომელთა მისცა ღმერთმან ქუეყანა იერუსალემისა და მუნ დაამკჳდრნა. და კულავად უკეთუ სადა საკურთხეველი აღაშენა აბრაჰამ, მუნ დაამკჳდრა ისმაელი. ვითარმცაღა განაძო, უფროსღა თჳთ იქმნებოდა ექსორია ყოველითურთ სახლეულით თჳსით და ისმაილ დაემკჳდრებოდა წინაშე პირსა ღმრთისასა. ნუ იყოფინ! უწყოდეთ, რამეთუ იერუსალემს აღაშენა აბრაჰამ საკურთხეველი და ისმაელი განაძო უდაბნოს მას. რამეთუ აღსუა იგი აქლემსა დედითურთ მისით აგარით და ეგრეთ განუტევა. ხოლო თჳთ დაემკჳდრა ქუეყანასა იერუსალემისასა, ვიდრე შთასლვამდე ისრაჱლისა ეგჳპტედ. არამედ ესე ულმრთო მოჰამედ იტყჳს ვითარმედ: *ესე სახლი არს აბრაჰამის მიერ აღშენებული საკურთხეველიო* და სახელსდებს მას მაკჳად და მაქათულად, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: *ვინცა ამას ადგილსა მოვიდეს, თაყუანისცეს, ანგელოზთა თანა აღირაცხოსო, პირველად ამისთჳს, რამეთუ აბრაჰამის მიერ აღშენებული არსო.* და კულავად მიბრძანა მე ღმერთმან, ვითარმედ: *ქაბიისა შენისათჳს არღა მოვიკსენო მე ცოდვა მათი, რომელნი თაყუანისცემდენ ადგილსა ამას სასურველსა შენსაო,* რომლისა მიმართცა ილოცვენ სარკინოზნი და უწოდე(6) ყიბლი. და წინა(**7v**)დაცუცთილებადცა იგი აბრაჰამის მიერი დაამტკიცა რჳთა წელთა შინა, რამეთუ აბრაჰამს დღესა მერვესა ებრძანა, რომლისათჳს იტყოდა მოჰამედ, ვითარმედ: *თჳნიერ მისსა შეუძლებელ არს ცხორებადო.*

[44] დაბადება 12. 7-8.

და ასწავა სხუად დღითი-დღეთი ნათლისღებად წყლითა, რომელსა უწოდა ყ უ ს ლ, *რომელი ესე აღმკოცელი არს ყოვლისა ცოდვისაო, რამეთუ ყოვლისა ქუეყნისა ცოდვად წინაშე თუალთა ღმრთისადთა ვითა არა რად არსო და ცოდკსათჳს ნუვინ ბრუნავთო.*

და კულავად მისცა სხუად წლითი-წლადი ნათლისღებად, რომელ-ა შ ა ჰ ბ ა ნ ს შინა, რომელ არს ათორმეტთა სრბათა მთოვარისთაგანი ერთი. ინით კელსა იღებვიდენ და იგი არს დიდი ნათლის ღებად მათი. და უპირატეს ყოვლისავე ამცნო მათ, რადთა ღჳნოსა არვინ მორწმუნეთა მისთაგან სუმიდეს. ხოლო უკეთუ ვინმე სუას, სჯულისგან განიკადოს, ვინათგან მსხუერპლი ჩვენი არს. და ასწავა მათ წელიწადსა შინა სამისა დღისა მარხვად ესრეთ: დღისით იმარხვეიდით, ხოლო ღამე კორცსა და ყოველსა ჭამადსა ჭამდითო, რამეთუ ყოველი კორცი თივად არს. უწყოდეთ, რამეთუ მოჰამედის მიერ უფროს სამისა დღისა მარხვად არა განწესებულ არს. და სახელსდვა მორწმუნეთა თჳსთა მ უ ს უ ლ მ ა ნ, რომელი ესე გამოითარგმანების — *მშჯდობის მყოფელად*, არამედ არა რად მშჯდობისაგანი იპოვების მათთჳს, ვითარცა საქმით ჩანს, რამეთუ უფროსღა დამკსნელ მშჯდობისა არიან და აღმასრულებელ ყოველთა საქმეთა ეშმაკისათა. და ეტყოდა ყოველთა მორწმუნეთა თჳსთა: *უკუეთუ მოიწიოს თქუენ ზედა დევნულებად სჯულისათჳს ჩემისა, პირითა მწყედით, ხოლო გულით გიყუარდეო.* რამეთუ ჯერ არს მორწმუნისა ჩემისა, რადთა ორი ესე დაფარული ეპყრას სჯული და ანუ თუ ვინ არს.

ხოლო საბასრობელთა და საკიცხელთა მათ სასწაულთა მისთათჳს, რაღამე ვსთქვათ, რაოდენსა საცინელსა **(8r)** სასწაულსა მიუთხრობენ მოჰამედიანი წიგნითა მით. **რ**ამეთუ იტყჳან, ვითარმედ: *მოუვლინა ღმერ-*

თმან მოჰამედს ცხენი რადმე, რომელსა ება თაჳი კაცისა, მკარი და კისერი და კუდი ლომისა და ოთხნივე ფერჳნი ზროხისანი. და ამკედრდა მას ზედა წინაძღომითა გაბრიელ მთაჳარანგელოზისათა, აღვიდა ზეცადო და მიიწია ვიდრე ფარდისა მის, რომელ არს წინაშე ღმრთისა. და ღმერთმან და ანგელოზთა სიმრავლემან თაყუანისცეს და მოჰამედის მიმართ ილოცესო. აჰა, გმობად უზეშთაესი ყოვლისა გმობისა! და ფარდით გამო ზრახჳდა ღმერთსო. რამეთუ კმად ხოლო ესმოდა, არამედ ვერ იხილაო და უკუეთუ ღმერთი უსიტყჳცლ არს, ვითარმედ ეტყოდა?! და იხილა კელი ერთი ფარდით გამო, რომელმან მოსცა მას ნახევარი ვაშლისა და მუნ ეუწყა მას რაოდენი ჯერი იყო და წარმო-რა-ვიდა, წარმოიღო ნახევარი იგი ვაშლისა და მო-რა-ვიდა იგი მასვე ადგილსა, რომლისაგან ამალლდაო, იხილა ასულით სიძე თჳსი და მოაქუნდა მასცა ეგევითარივე ნახევარი ვაშლისა და მოიღეს რად მრჩობლი იგი და შეაწყჳტს, შეეძერწნეს ურთერთარს და ერთ ვაშლ იქმნა. მაშინ ჰრქუა ალი მოჰამედს: კელი იგი, რომელი იხილე ფარდით გამო, რომელ არს კრეტსაბმელი, ჩემი იყო, რომელმან მოგეც შენ ნახევარი ესე ვაშლისა. ამის გამო რომელნიმე სარკინოზნი იტყჳან, ვითარმედ: ალი ალპაუთეირუ პუბალლ, რომელი გამოითარგმანების: ალი ღმერთი არსო და სხუად, ყოველი სარწმუნოებად ცუდ. არამედ სხუანი არა ერჩიან ამას სარწმუნოებასა დაალის იმამად უწოდენ დაიმამ მოჰამედს უზეშთაესად იტყჳან. და სხუადთა ესევითართა სასწაულთა მრავალთა მიუთხრობენ, რომელთა არა არს რიცხვი და არცა სმენად ჯერ არს. ხოლო ესეცა თქმულ არს ამის უღმრთოთათჳს, ვითარმედ: წარვიდოდა რად მაქკთ მადინად, ჰკითხეს მას მთავართა მისთა და ჩინებულთა: ჩუენ რად ჳყოთ, ვიდრე შენ

*მო*ხ(8v)*ვდოდეო.* ხოლო მან ჰრქუა მათ: *ვიდრე მოვიდოდე, რაიცა გინდა ჰყავთო, არამედ მო-რა-ვდე, აღვკოცო ყოველი ცოდვად თქუენიო.* და წა-რა-ვიდა იგი და მათ აღასრულეს ურთიერთარს ყოველი სახე სიბოროტისა. ხოლო მ ო ჰ ა მ ე დ ვერღარა შესძინა მოქ-ცევა, არამედ წარწყმდა და მათ შორის დაუტევა შფოთი ესევითარი, რომელ ურთიერთას მოსრნეს ამის წილ. რა-მეთუ არა ესვა მას წული და ვიდრე იგი ცოცხალღა იყო, უქადაგებდა ასულით სიძესა თჳსასა ა ლ ი ს და ეტყოდა: *შემდგომად ჩემსა შენ დაგიტეუებ მსაჯულებასა ჩემსა წი-ნაწარმეტყუელობასაო.* და რაჲ იგი მცირედ განიშორის, უქადის უ მ ა რ ს და კულავად უქადის ო ს მ ა ნ ს. ამისთ-ჳსცა აღიჭურნეს ურთიერთარს და იწყეს ბრძოლად. და გამოაძეს ა ლ ი, რამეთუ იგინი უმრავლეს იყუნეს. და მი-ვიდა ნ ა ჯ ა ფ ს, სადა-იგი მოიკლა მოყუასისა მიერ თჳ-სისა ღალატითა. რამეთუ ფრიად მკნე იყო და ძლიერ და მიერითგან აღარა ეწამებოდეს სჯულსა ურთიერთარს ა გ ა რ ი ა ნ ი, არამედ ჰგმობდეს ძენი ა ლ ი ს ნ ი – ჰ ა-ს ა ნ და უ ს ე ნ – სჯულსა უ მ ა რ ი ა ნ თ ა ს ა და იგინი მათსა. და განიყვეს სჯული მათი და სამართალი ბევრ წი-ლად. რომელთამე ეწოდა მ ა ვ ა ლ ი, რომელთამე – ჯ ა-ფ ა რ ი, რომელთამე – ნ ა ვ ი, რომელთამე – შ ა კ ჰ ი, რომელთამე – მ ა ლ ი ქ ი, რომელთამე – ჰ ბ ა ლ ი და რო-მელთამე – თ ა მ ბ ა ლ ი.

ხოლო ამიერითგან მხილებისა მიმართ აღვიდეთ ბოროტად მოციქულებისა მისისა.

წინა განწყობაჲ მართლისაჲ სარწმუნოებისა

ჩუენ[ი], ქრისტიანეთა, სარწმუნოებაჲ ესე არს: გურწამს ერთი ღმერთი სამგუამოვნებით ცნობილი და

არათუ ერთ გუამად, ვითარცა კაცი, ვითარ-იგი ურწმუნონი სიტყუა-მიგებენ ჩვენ ცუდითა სიტყჳთა. და არცა სამად ღმერთად გამოსახულად სახედ სამთა კაცთა, ვითარცა ითქმიან ა ბ რ ა ჰ ა მ და ა ა ა ი ა კ ო ბ, და არცა სამთა ანგელოზთა ვითარცა ითქმიან მ ი ქ ა ე ლ და გ ა ბ რ ი ე ლ და რ ა ფ ა ე ლ, და ვითარცა სახედ სამთა სუეტთა ცეცხლისათა თაჳსთჳს მდგომარეთა, და არცა სახედ სამთა ვარსკულავთა, ვითარცა ითქმიან მზე და მთოვარე და აფროდიტი. ესე(9r)ვითარი განგებაჲ და განზრახვაჲ განაგდე შენგან წარმართებრი! რამეთუ ღმერთი ჩუენი, ცეცხლ-შემწუელ ურწმუნოთა, მარადის ცოცხალი ერთ არს წმიდაჲ სამებაჲ განუყოფელი, ვითარცა მზე და ნათელი მისი და მცხინვარებაჲ, რომელი იშუების მისგან. ხოლო და-ღა-თუ სამითა სახითა იცნობების, გარნა არა ეთქუმის მას სამი მზე, არამედ ერთი. და ვითარცა თუალი კაცისა და ნათელი თუალისა, რომლისა მიერ იხილვების ყოველი; და გუგა თუალისა, რომლისა შორის არს ნათელი, არა ითქუმის სამად თუალად, არამედ – ერთად; და ვითარცა გონება და სიტყუაჲ და სული არა ითქუმიან სამად ცხოველად, არამედ – ერთად; და ვითარცა ძირი და რტო და ფურცელი არა ითქუმიან სამად ხედ, არამედ – ერთად და ვითარცა წყარო და მისგან მდინარე და მერე მისგან ტბაჲ არა ითქუმიან სამად ბუნებად, არამედ – ერთად; და ვითარცა ცისკარი და განთიადი და ნათელი არა ითქუმიან სამად მართლიად, არამედ – ერთად, რამეთუ მისგან იშუნიან და ერთ ბუნებაჲ არიან; და ვითარცა მაყლოანი, რომელი იხილა მ ო ს ე სამ სახედ, და ვითარცა საკმილი ს ა მ თ ა ყ რ მ ა თ ა, რომელსა შინა იხილვებოდა ცეცხლი და ნათელი და ცუარი ერთისა გონებითა განუყოფელად; და ვითარცა ენა პირსა შინა და სიტყუაჲ, ვითარცა ენასა შინა, ესრეთ იყვინ გულისკმის

ყოფა შენი და ცნობა მამისათჳს და ძისა და წმიდისა სულისა. რამეთუ ვიტყჳთ ენასა ხატად მამისა, რომელი–იგი მშობელი იტყჳსა, და პირსა ხატად – სულისა წმიდისა, რამეთუ ესრეთ ითქვა წინაწარმეტყუელთა მიერ, ვითარმედ პირი უფლისაჲ იტყოდა ამას. და–ღა–თუ არა ჰგონე შენ სინანული–იგი ურწმუნოებისა მიერ, არამედ რაოდენ ძალ გუჳდვას ვჰკურნებდეთ მათ კელოვნებითა სიტყუათაჲთა. ხოლო უკეთუ იყჳნენ უკურნებელ, ვევლტოდეთცა, რაჲთა არა მოვიღოთ უძლურებისაგან მათისა. **ღ**ა უწინარეს ყოვლისა და შჯდცა ჯერ არს ჩუენდა, რაჲთა უწყოდით, ვითარმედ არა რაჲ დაბადებულთაგანი მსგავს არს დამბადებლისა და არცა გარეშეიწერების საზღვარი ღმრთაებისა კაცობრივისა მიერ ბუნებისა და ვერცა შემძლებელ არს ბუნება კაცისა მიწთომად და გამოთქმად ღმრთაებისა არსებაჲსა სიტყჳთ, გინა თუ სახით ანუ განზრახჳთ. და ყოველთა, რომელთა კელყჳეს (9v) ღმრთაებისა ძიებად გამოწულილვით, მათ თავნი თჳსნი შთასთხინეს წარსაწყმედელსა. გარნა გვრწმენინ მამა, ძე, რომელი იშვა მისგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, და წმიდაჲ სული, რომელი მამისაგან გამოვალს. რამეთუ ესე იტყოდა პირითა წმიდითა წინაწარმეტყუელთათა და ესევე მოიღეს წმიდათა მოციქულთა: ერთი ღმერთი წმიდაჲ სამებაჲ განუყოფელი და შეურწყმელი, მარტივი და მიუწდომელი უსაზღვრო და არა გამოვიწულილოთ იგი, არამედ გურწმენინ, ვითარცა გუცუწყა წმიდათა მიერ წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა და ყოველთა წმიდათა. რამეთუ რავდენიჯერ იჩინა ღმერთმან, ამათ წმიდათა მიერ გამოგჳცხადა ჩუენ, გუამცნო და გუარწმუნა ჩუენ. ხოლო არცა ყოველი საცნაურ არს, ვითარცა იტყჳს ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი. **ი**სმინე „საზარებისა“: **ღ***მერთი არავინ სდა იხილა, მხოლოდშობილმან ძემან, რომელი*

იყო წიალთა მამისათა. მან გამოთქვა[45]. რაჟამს იოანეს მიერ ნათელს იღებდა, რამეთუ იხილვნეს ცანი განკმულნი და სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი მის ზედა სახითა ტრედისათა და კმაჲ მამისა წამებდა ზეგარდმო: *ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ!*[46] აწ უკუჱ, რომელსა ჰრწმენეს და ნათელ იღოს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ცხოვნდეს. ხოლო, რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს!

უკეთუ წიგნთათჳს გეტყოდა მოჰამედიანნი, არქუ მას:

რომლითა წიგნითა მიუთხრობ შენ შესაქმესა სოფლისასა და შემდგომით შემდგომად ცხორებისა აბრაჰამისასა და სჯულსა მოსესასა და მათს და წინაწარმეტყუელთა და სიტყვასა სახარებისასა, რამეთუ წიგნნი მათ ყოველთანი სიტყჳთა ებრაელებრითა აღიწერნეს და თქუენ არა უწყით ებრაული და, აჰა, არცა ერთი წიგნთა მათგანი იპოების თქუენ შორის? და უკუეთუ გრქვას, ვითარმედ: *შენ რომლითა წიგნითა მოუთხრობ, რამეთუ წარმართი ხარ და არცა შენ გაქუს წიგნები ებრაული?* — მიუგე მას ესე ყოველი და უამბე, რამეთუ იგი უმეცარ არს:

შემდგომად ალექსანდრესსა, რომელსა ერქუა მაკედონელი, **(10r)** მეფობდა ეგჳპტეს პტოლემეოზ **მ** წელ და იყო იგი ბრძენ ფრიად და საცნიერ და ნათესავით ბერძენ და სჯულითა წარმართ. **ა**მან პტოლემეოს წარავლინნა და შეკრიბნა წიგნნი ყო-

[45] იოანე 1. 18. შდრ.: გამოსლვათა 33. 20; 1 იოანე 4.12; 1 ტიმოთე 6. 16.

[46] მათე 3. 16–17; მარკოზი 1. 10–11; იოანე 5. 37.

ველთა ნათესავთანი ოთხი ბევრი და ოთხი ათასი და ვითარ არა რად პოვა მათ შინა ჭეშმარიტებად, ისწავა, ვითარმედ იერუსალემს არიან წიგნნი სულითა ღმრთისადთა დაწერილნი კაცთა წინაწარმეტყველთაგან, რომელნი გუაუწყებენ შესაქმესა სოფლისასა და გუარწმუნებენ აღდგომასა მკუდართასა.

მაშინ მიწერა ებისტოლე პტოლემეოს იერუსალემს მოღვაწეთა მიმართ ისრაჱლისათა: *ესრეთ პტოლემეოზ მეფე მოძღუართა ჰურიათასა, რომელნი იერუსალემს...* და შემდგომ, რამეთუ დიდისა სიხარულისა წიგნი განგზავნა და ჰრქუა: *აწ წიგნნი ეგე წინაწარმეტყველთანი თჳნიერ შურისა და ორგულებისა მოიძღუანენით, რამეთუ პატივისათჳს ვეძებ და არა აღბოროტებისათჳს,* და მიუძღუანა ებისტოლესა თანა საკურთხეველიცა, ოქროსა აღმზადებული და აღმკული ფრიად ასოცისა საწონელისა ტალანტისა, ლოცვისა და კეთილად მსახურებისათჳს წმიდასა მას ადგილსა. **ხ**ოლო მათ, ვითარცა მოიღეს ებისტოლე იგი, განიხარეს ფრიად და წარსცნეს წიგნნი იგი, რომელთა დაბეჭდულ ეწოდა: **ჰ**უალად „შესაქმე“, „გამოსლვათა“, „ლევიტელთა“, „რიცხუთა“, „მეორე სჯული“, „რომაელთა“, მოსე, ისო ნავესი, „მსაჯულთა“, რუთი, და „საქმენი მეფეთანი“ ორ წიგნად, და „ნეშტნი“, **ე**ზრა, **ი**ობ, **დ**ავით და სამნი სოლომონისნი, „**ე**კლესიასტე“, „**ქ**ებანი“ და „**ი**გავნი“, **ო**სია, **ა**მოს, **მ**იქია, **ი**ოილ, და **ა**ბდია, **ნ**აომ, **ა**მბაკომ, **ს**ოფონია, **მ**ალაქია, **ა**ნგია, **ზ**აქარია, **ე**საია, **ი**ერემია, **ე**ზეკიელ და **დ**ანიელ. **ე**სე ოცდაოთხი წიგნი წარსცეს ისრაჱლთა პტოლემეოზის მიმართ. რამეთუ რომელნიმე ურთიერთარს მიეთვლვიან და კუა-

ლად წიგნად აღირაცხვან, ესე არიან სარწმუნონი წიგნნი წმიდათა წინაწარმეტყველთა და ძუელისა სჯულისანი.

ხოლო მეფემან დიდითა სიხარულითა მიითვალნა წიგნნი ესე, არამედ, ვინათგან ვერ უძლო წარკითხვად, (10v) რამეთუ ებრაულებრ წერილ იყვნეს, შესძინა სხუად ებისტოლე მიწერად იერუსალემისა ისრაჱლთა მიმართ: *ესრეთ წყაროსაგან დაჯშულისა და საფასისაგან დაფარულისა ვის სარგებელ ეყუს, არამედ თარგმანთაცა ღირს – გეყუენით ჩუენ, მ, ისრაჱლნო*!

ხოლო მათ გამოირჩინეს სამეოცდაათორმეტნი ჭაბუკნი ათორმეტთავე ტომითგან ისრაჱლისათა, კაცნი წინაწარმეტყუელნი და ჩინებულნი სიწმიდითა, ფრიად მოძღურებითა განსწავლულნი, წიგნთა მიერ საღმრთოდთა დაწურთილნი ენასად ებრაულსა, ფრომინებრსა, ბერძულებსა და ასურებსა. **ხ**ოლო სახელები მათი ესე არს:

ა) **რ**უბენის ნათესავისაგან: **ი**ოსპოს, **ე**ზეკია, **ზ**აქარია, **ი**ოჰნე, **ე**ზეკიოს და **მ**ელესიოს.

ბ) **ს**ჳმონის ნათესავისაგან: **ი**უდა, **ს**ჳმეონ, **ს**ამოილ, **თ**ადეოზ, **მ**ატათეოზ და **ს**ელემეოზ.

გ) ზევის ნათესავისაგან: ნიემია, იოსეფოს, თევდოსი, ბისკად, ონა და დაკის.

დ) იუდას ნათესავისაგან: იოანათან, აბრეოზ, ელისე, ანანია, ზაქარია და კეწკა.

ე) იზაქარის ნათესავისაგან: ისაკ, იაკობ, ელისე, საბატოზ, სჳმეონ და ლევი.

ვ) ზაბულონის ნათესავისაგან: იუდა, იოსებ, სჳმეონ, ზაქარია, სამოილ და სელემია.

ზ) **ზ**აქარიას ნათესავისაგან: სააკე, იაკობსიოს, ზედეკია, იზაქოს, ისუს და მატსოს.

ჳ) ასერის ნათესავისაგან: თევდოს, დასუს, ისუ, თევდობიოს, იოჰანე დაიონათან.

თ) **დ**აანის ნათესავისაგან: თეოფილე, აბრაჰამ, არსენიო, იასონ, იენდემია და დანიელ.

ი) ნეფთალიმის ნათესავისაგან: იერემია, ზაქარია, ბენია, ელისე და მატთეოზ.

ია) იოსების ნათესავისაგან: სამოილ, იოსებ, იუდა, იონათან, ქაილებ და დესითეოს.

მბ) ბენიამენის ნათესავისაგან: იოჰანე, თეოდოსიოზ, იოსლოზ, ერემიოს, აგატე და ეზეკია.

მსენი წარივლინეს წინაშე პტოლემეოზ მეფისა ჰურიათა მიერ, მსგავსად მის, ვითარ-იგი აღვიდა მოსე მთასა მას სინასა საღმრთოთა ბრძანებითა სამეოცდაათორმეტთა კაცითა, და მსგავსადვე **(11r)** მათსა, ყჳეს და გამოირჩიეს მათ შორისცა ათნი.

ხოლო მეფემან, ვითარცა იხილნა, განიხარა ფრიად სიხარულითა დიდითა და აღუშენა მათ სენაკები და შეაყენა ორ-ორი თჳთოსა სენაკსა შინა. რამეთუ ერდოთ უყო მათ სარკუმელი და მზა უყო ყოველთაგან საშუკბელთა სამეფოსა თჳსისათა.

ოწყო პირველად და მისცა წიგნი „დაბადებისა“ სათარგმანებლად ორთა მათგანთა. და ვითარ თარგმანეს, კუალად მისცა იგივე წიგნი ორთა სხუათა, რომელთა არა ესმოდა კმაჲ გინა სიტყუაჲ პირველთა, რამეთუ სენაკები

მათი შორს იყვნეს ურთიერთას. და თარგმანეს რაჲ მათცა, მოიღო და შეაწამა ურთიერთარს წიგნები იგი მეფემან პ ტ ო ლ ე მ ე ო ზ და ვითარ ერთსა სიტყუასა ზედა იპოვნეს თარგმანებული იგი, აღივსო სიხარულითა დიდითა. და ესრეთ ყოველი იგი წიგნები ორ-ორ გზის ათარგმანა.

ხოლო მადლითა ღმრთისაჲთა, რაჲ სიტყუაჲ გამოახვიან პირველთა თარგმანთა, იგივე დააკლიან მეოთხეცა, და რომელი დასძინიან, მათცა იგივე დასძინიან, რამეთუ სული წმიდაჲ იყო მათ თანა. რამეთუ რომელი სიტყუაჲ გამოახვიან, არაღ საკმარ იყო და არცა მას ენასა ზედა მოვიდოდა. რომელი დასძინიან, ფრიად სარგებელ იყო, რამეთუ წინაწარმეტყუელნი იყვნეს. „*შფალო, ლაღადვყავ შენდამი, ისმინე ჩემი!*“ – **ე**ს ებრაულად იყო, „*მოიხედენ კმასა ლოცვისა ჩემისასა, ღაღადებასა ჩემსა შენდამი!*“ ხოლო თარგმანთა მათ შესძინეს: და ისერებდეს ტაბლასა ზედა მეფისასა სამეოცდაათნი იგი წინაწარმეტყუელნი და სცა მათ საგზალი და ნიჭი და წარვიდეს იერუსალჱმად. **ა**რამედ ერთი ამათ თარგმნელთაგანი იყო ს ჳ მ ე ო ნ, რომელმან მიიქუა უფალი, ვიდრე ყრმაღა იყო. დახუდა მას სათარგმანებლად წიგნი ე ს ა ი ა წინაწარმეტყუელისა და შეძრწუნდა სიტყჳსა ამისთჳს, ვითარმედ: „*აჰა, ქალწული მიუდგეს და შვეს ძე, უწოდიან სახელი მისი ე მ მ ა ნ ო ე ლ, რომელ არს თარგმანებით – ჩ უ ე ნ თ ა ნ-ა ღ მ ე რ თ ი*“[47]. და უნდა, რათამცა წინაწარმეტყუელებაჲ და ცვალა სიტყუაჲ იგი და მუნ თქუჳსვე: *მოვიდა სული წმიდაჲ და ჰრქუა მას: არა იხილო სიკუდილი, ვიდრემდის მიიქუა იგი მკლ*(11v)*ვთა შენთა ზედა!*

[47] ესაია 7. 14; მათე 1. 23.

ესე ეგვპტეს იყო ფარაონ ჭალაკსა ალექსანდრიასასა. და რაჟამს განკორციელდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ჯუარს ეცვა და აღდგა და ამაღლდა ზეცად, მოვიქეცით ჩუენ კერპთაგან და მოგუცცა ჩუენ წმიდათა მოციქულთა მიერ „სახარებაჲ“ და „სამოციქულო“ და კანონი სჯულისანი და თჳნიერ სხუასა მოძღურებასა არა შევიწყნარებთ.

ხოლო უკუეთუ გრქუას, ვითარმედ: *რომელსა ენასა ზედა ითარგმანეს წიგნნი იგი ებრაულნი?* — შენ მიუგე მას — ბერძულსა!

და თუ „სახარებისათჳს“ გკითხოს, — მათე ებრაელებრ აღიწერა იჳრუსალემს და მისცა ჰურიათა, რომელთა ნათელ ეღო. **მ**არკოზ — ალექსანდრიას ასურთა ენითა, რომელ არს არაბული და მისცა არაბთა, რომელთა ნათელ ეღო. **ლ**უკა — ჰრომს, ჰრომთა ენითა და მისცა წარმართთა, რომელთა ნათელ ეღო. **ი**ოანე — დიმიშკს ბერძენთა ენითა და მისცა, რომელთა ნათელ ეღო ბერძენთა. და თუ თქუას, ვითარმედ, *შენ ვინ გაქუს წიგნები იგი, რამეთუ არა ხარ ისრაჱლი, არცა ბერძენი, არცა ასური, არცა ჰრომი, არამედ ქართველი?* — მიუგე მას: რაოდენიცა წმიდანი ქრისტჱსნი სასწაულთმოქმედნი პირველ მოჰამედისა იყვნეს, ყოველთაჱ ფელამბარად უწოდთ და ეწამებით, აწ უკუც იყვნეს უწინარეს მოჰამედისა კაცნი წმიდანი და სასწაულთმოქმედნი, ნათესავით ქართველნი. **დ**ავით, სტეფანე, არსენი, ეფთჳმე, გიორგი და ეფრემ, რომელნი წარვიდეს იჳრუსალემს და მთაწმიდას და მრავალი ღუაწლი აღასრულეს, ვიდრე ანგელოზისა ხილვასაცა ღირს-იქმნეს, და მათ გვთარგმნეს ჩუენ წიგნები ესე ყოველი ბერძულისგან ქართულად ორ-ორგზის და სამ-სამგზის, ვითარცა იგი

პირველ ებრაულისაგან, რომელთა ეწამების ყოველი საბერძნეთი და არაბეთი. და უკუეთუ არა გრწამს, აჰა, ესერა ებრაული წიგნები ჰურიათა შორის და შევამოწმოთ!

შესწავებად საკმარ არს, ვითარმედ: **ლ**ავით და სტეფანე ძველადვე იყვნეს იერუსალემს და გვთარგმნეს ყოველი წიგნები ბერძულისგან (12r) ქართულად და არაბულისგანცა. ხოლო, ოდეს მთაწმიდას პროტატის ღმრთისმშობლის მონასტერი გამოუჩნდა ქართველთა, მრავალნი წმიდანი მამანი წარვიდოდეს და იღვწოდეს. წმიდად მამაცა ეფთჳმი, ნათესავით ტაოელი, წარვიდა და ესეოდენი ღუაწლი აღასრულა, რომელ სასწაულთა აღსრულებისა მადლი მოიღო **ლ**ა კურნებისა. და ესოდენ ისწავა ყოველი სიბრძნე და წიგნი ბერძული, რომელ ფილოსოფოსთაცა თანა წარკდა და ყოველი ძველად თარგმანებული წიგნები ახლად გვთარგმნა, რამეთუ რომელნიმე მწერალთა განყურნილ იყვნეს და რომელნიმე არა შევნდეს, და სხუანიცა მრავალნი, რომელნი არა თარგმნილ იყვნეს ჩუენსა ენასა ზედა. **ხ**ოლო წმიდად მამა ჩუენი გიორგი, ნათესავით ქართველი იყო და იგიცა მუნ იყოფოდა ჟამთა **ლ**ავით აღმაშენებლისათა, ხოლო სიბრძნისა და სწავლულებისა მისისათჳს, რომელნი ენამან გამოთქმად შეუძლოს! და კულავად მანცა ახლად გვთარგმნა მწერალთა მიერ განრყუნილნი ყოველნი წიგნნი. არამედ შემდგომად მათსა გამოჩნდეს ორნი ვინმე ძმანი სულიერნი, ნათესავით მესხნი – საბაჲ თუხარელი და ეფრემ, რომელმან სახელ იდვა ეფრემ მცირე. და ესე ეფრემ ფრიად უაღრეს იყო ფილოსოფოსობითა, და აიძულა საბაჲ თუხარელმან თარგმანებად რაჲოდენთამე წიგნთა. და თარგმნა, რომელნი არა თარგმნილ

იყვნეს ენასა ზედა ჩუენსა თჳნიერ „გარდამოცემა“ დამასკელისა, რომელ-იგი წმიდამან ეფთჳმიცა თარგმნა სულ მცირედ, ხოლო უთარგმანებელნი ნეშტნი გრიგოლ ღმრთისმეტყუელის „საკითხავნი“, თარგმანნი დავითისნი ორ წიგნად და სხუანი ცხორებანი და წამებანი წმიდათანი და „ლავსაიკონი“, რომელსა წერილ არიან კასიანეს რომისანი. ხოლო ესე ეფრემ იყოფოდა მთასაცა შავსა და იცრუსალემსაცა. არამედ ერთი პირველთა და უძველესთა თანა გამონათარგმანი არსენიცა არს. ხოლო მათ არა უწყი, თუ ვინა იყვნეს. და ამისთჳს არა ეწამებიან წიგნი ესე ურთიერთას რომელ რომელნიმე მათ თარგმანეს და კუალად — ამათ და მერმე — მათ, არამედ ყოველნივე კეთილ და ჭეშმარიტ. ხოლო ფრიად უეჭუელად თარგმანებულნი ეფრემის და გიორგის მიერ არიან. **ი**სენი წარვიდეს იცრუსალემს და მთაწმიდას და მრავალი ღუაწლი აღასრულესვე, (12v) ვიდრე ხილვასაცა ანგელოზისასა ღირს იქმნეს, და მათ გჳთარგმნეს ჩუენ წიგნები ესე ყოველი.

ხოლო უკეთუ გრქვას, ვითარმედ *წიგნიცა ჩუენი „ყურანი“ მოელინებითა და უწყებითა გაბრიელ ანგელოზისათა აგჳწერა ჩუენ მოჰამედ, რომელსა შინა იპოვების ყოველი ყოფილი, — სოფლის შესაქმითგან ვიდრე მოჰამედამდე, ძველი და ახალი და ჭეშმარიტი ესე სარწმუნოებაჲ ჩუენი, რომელი ეუწყა მოჰამედს და სჯულისდება და აღსასრულისათჳს სოფლისა და ალთქმა იგი, რომელი აღგჳთქუა ჩუენ მოჰამედ მორწმუნეთა თჳსთა. რაღდა საკმარ არს ჩუენდა სხუაჲ წიგნი, რამეთუ ესე მოჰამედ არს წინაწარმეტყუელი უკანასკნელთა ჟამთა და წიგნითა მისითა დაებეჭდა ყოველსა წინაწარმეტყუელებასა და სჯულსა და მოძღურებასა და*

სამართალს და მცნებასო?[48] შენ მიუგე მას: შკუეთუ სოფლის შესაქმითგან ვიდრე აღსასრულამდე ყოველი ყოფილი უკლებად იპოვების წიგნსა მაგას შინა „ყურანსა", მაშა, პირველითგან ვიტყოდეთ, რაჲსა მცნებასა ღმრთისასა გარდაკდა ა დ ა მ და ე ვ ა, რომელ სამოთხით ექსორია იქმნეს? იგი მოგიგებს: *რაჟამს შექმნა ღმერთმან ა დ ა მ და ე ვ ა, ამცნო მათ, რაჲთამცა არა ჭამეს ხუარბალი. ხოლო შეურაცხყვეს იგი და ჭამეს და ექსორია იქმნესო.* შენ მიუგე მას: ბრწამს-ა მ ო ს ე, დიდი იგი წინაწარმეტყუელი, მხილველი ღმრთისაჲ, რაოდენ შემძლებელ იყო ბუნებაჲ კაცობრივი, ზღვის მოგზაური და ტაბლა მყოფელი მანანასი, რომელმან მოიხსენა ზეცით ფიცარნი ღმრთივ დაწერილნი კელითა მთავარანგელოზისათა? და გრწამს-ა წიგნი „თავრათი", რომელ არს „დაბადებაჲ"? შკუეთუ გრქვას, ვითარმედ: *არა მრწამს,* შენ მიუგე მას: უკუეთუ შენ მ ო ს ე ს ა არა გრწამს, რომელსა ეწამების ყოველი სული და ყოველი დაბადებული, მე შენთა სიტყუათა ვერ მრწმენეს, რომელი არცა თჳთ უწყი, თუ რასა იტყჳ!

ჲა უკუეთუ გრქვას, ვითარმედ: *მრწამს, რამეთუ არა არს ტყუილი მ ო ს ე ს თანა და არცა წიგნსა შინა მისსა,* შენ მიუგე მას: მოსე ესრეთ იტყჳს „შესაქმესა" შინა ვითარმედ: და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და *რქუა: ყოველისაგან ხისა, რომელ არს შორის სამოთხესა, ჭამით სჭამო, ხოლო ხისა მისგან ცნობადისაჲ კეთილისა და ბოროტისა არა სჭამო, რამეთუ, რომელსა დღესა სჭამო,* **(13r)** *მისგან სიკუდილითა მოკუდიო*[49] და შემდგომი

[48] ყურანი 2. 91; 25. 5-7; 26. 192-199; 29. 46, 48; 38. 6-7, 87; 40. 1-6; 41. 1-5, 25, 52-53; 43. 30; 86. 13-15.

[49] დაბადება 2. 16-17.

ამისი. გარნა სახელი ხისა მის არა აუწყა, არამედ ადამ და ევაჲ, ოდეს გარდაჴდეს მცნებასა ღმრთისასა და ჭამეს მისგანიო, უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელი ტყავისა და გამოჰადნა იგინი სამთხისა მისგან, საშუკბელისა საქმედ ქუეყანისა. დაადგინა მუნ ქერაბინი მოტყინარე და მახჳლი იქცევისა დაცვად გზისა მის ცხორებისასა[50], რაჲთა მიერითგან არავინ აუფლო. უკუეთუ ხუარბალი იყო, ხუარბალი ესოდენ მრავალ არს პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა, რომელ ძაღლნიცა მით იზარდებიან, და ვითარმცა დაიცვა ქერაბინმან მოტყინარემან და მაკჳლმან იქცევისმან გზა ხისა მის ცხორებისასა, რაჲთამცა მიერითგან არლავინ ჭამა? მოსე ესრეთ იტყჳს და მოჰამედ ეგრეთ. აწ უკუე ვითარ ვირწმუნოთ მოჰამედისი და არა მოსე დიდისა წინაწარმეტყუელისა?! ანუ შეურაცხისყოფელად ყოველთა წინაწარმეტყუელთა გამოვჩნდე-ა?! ნუ იყოფინ! არამედ უკუეთუ გენებოს ყოველთა, შთამოყევ შემდგომითი-შემდგომად „შესაქმესა“ მოსესა. და მათ ოცდაოთხთა წიგნთა ძველისა სჯულისათა და „სახარებისა“ და „სამოციქულოსა“ იტყოდე. და უკუეთუ ეწამებოდის წიგნი ეგე თქუენი და არა იპოოს წიგნსა მაგას შინა თქუენსა სიტყუაჲ ნაკლები ანუ ტყუილი, ანუ შეცვალებული სხუათა წინაწარმეტყუელთა დამართებით და მოციქულთა-კეთილ. ხოლო უკუეთუ არა იპოვნენ სრულებით, არამედ თჳთეულისა წიგნები მცირედი რაჲმე ნაწილი იპოვებოდის და იგიცა უმრავლესი წინააღმდგომი მოსესი და სხუათა წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა, ვითარ გურწმენეს? ანუ ვითარმცა დაუტევნით ვრცელნი და კეთილნი და ყოვლითა ჭეშმარიტებითა სავსენი მოთხრობანი და შეუ-

[50] დაბადება 3. 21-24.

დგეთ ახლად მოპოვნებულსა უცხოსა რასმე მოძღურებასა? რამეთუ თუთ მოჰამედ იტყჳს, ვითარმედ: *წიგნი მოსესი და ⷣავითისა და ქრისტესი „სახარება“ ზეცით გარდამოსრული არსო* (13v) *და აწ კუალად „ყურანი“ ესე მე მომივიდაო*[51], უწყოდე, რამეთუ იგინი ურთიერთარ ეწინააღმებიან? მოსე წინაწარმეტყველმან ესრეთ დაწერა და ამცნო ისრაჱლთა ქრისტესთჳს, ვითარმედ სხუაჲ წინაწარმეტყველი აღგიდგინოს თქუენ ღმერთმან ძმათაგან თქუენთა და ნათესაჲსაგან, ვითარცა მე, მისი ისმინეთ! ხოლო ⷣავით რაოდენი დაწერა? ყოველივე შობისათჳს და ჯუარცმისა და დაფლვისა და აღდგომისა და ამაღლებისა მისისათჳს და წესისა, ვითარცა ესერა მოგჳთხრობს ჩუენ „ფსალმუნი“: *ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა, დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა*[52]. უკუეთუ ვთქუათ მოსოფლიოთა უფალთა იტყოდაო, შემდგომად საულისა, რომელმან-იგი თავი მოიკლა მახჳლითა, თუთ დავით წინაწარმეტყუელი იყო მეფე და რომელთაღა უფალთამცა იტყოდა, ანუ ვითარმცა დაჯდა მიწიერი კაცი, დაჯდა მარჯუჱნით ღმრთისა?! და კუალად სხუანი ყოველნი წინაწარმეტყუელნი, რომლისა წიგნებსა თქუენ უმეცარ ხართ, ქრისტესთჳს მოასწავებდეს და წინაწარმეტყუელებდეს უცჭჳველად. ხოლო უფალი წმიდასა შინა „სახარებასა“ ბრძანებს: *არა მოვედ დაკსნად სჯულისა და წინაწარმეტყუელთა, არამედ აღსრულებად*[53]. აჰა, ამით სიტყჳთა ჩანს, რამეთუ აღესრულა წინაწარმეტყუელება და დაებეჭდა.

---

[51] ყურანი 2. 81, 130; 3. 78; 4. 161–162; 27. 6.

[52] ფსალმუნი 109. 1 შდრ.: მათე 22. 44; ლუკა 20. 42.

[53] მათე 5. 17.

ხოლო უკუეთუ წიგნიცა ეგე თქუენი ზეცით მოიცლინა, განვიხილოთ და, თუ მრავალგზის უცხონი მოთხრობანი იპოვნენ, რომელნი არა შეგვანდენ წმიდათა წინაწარმეტყუელთა წიგნებთა და „სახარებასა“, რაჲსა იტყჳ? ესე ყოვლადვე არა ეგების, რაჲთამცა სთქუ, ვითარმედ: მტყუარ არს ღმერთი. რამეთუ პირველთა მათ სხუაჲ რამე აუწყა და მოჰამედს სხუაჲ. რამეთუ სიცრუც არა არს ღმრთისაჲ თანა, არამედ უცჭველად ცხად არს. რამეთუ წიგნი ეგე თქუენი და მწერალიცა მისი ცრუ არს. ⷭრამედ არა „ყურანსაცა“ ეგრეთ წერილ არს, ვითარმედ: წამებაჲ ორისა და სამისა კაცისა ჭეშმარიტ არს, ხოლო რომელსა არავინ ეწამებოდის, იგი არს ცრუ?

უკუეთუ გკითხოს მოჰამედიანმან, *რაჲდენსა ღმერთსა თაყუანისცემ?*— შენ მიუგე მას:

წერილ არს წინაწარმეტყუელთა მიერ, ვითარმედ: *ისმინე, ისრაჱლ, უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს და შეიყუარო იგი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გულისჴმისყოფითა შენითა* **(14r)** *და მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი.* და უფალიცა ამას ბრძანებს წმიდასა შინა „სახარებასა“, ვითარმედ ესე არს პირველი მცნება[54]. და ამას დაბეჭდა ღმერთმან ჭეშმარიტად: ერთ არს ღმერთი შემოქმედი ცათა და ქუეყნისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა, და არა არს სხუა ღმერთი. ხოლო ჩუენ, ცოდვილთა, მიერისა ბუნებისაგან არა განისაზღვრების ღვთაებისა არსებაჲ და არცა წინაწარმეტყუელთა მიერ გჳსწავიეს, რაჲთამცა გარეშეიწერებოდა ღმერთი, რო-

[54] მეორე სჯული 6. 5; მათე 22. 37–38; მარკოზი 12. 29–30; ლუკა 10. 27.

მელი ყოველგან არს და ყოველსავე აღავსებს და რომლისა მიერითა სიტყჳთა და ბრძანებითა შეიქმნა ყოველი, რაჲ არს. ხოლო თქუენ იტყჳთ: „*ალაჰ სამედ*“. ხოლო ესე ყოვლადვე საცნაურ არს. რამეთუ, რაცა ნივთი სავსე და მყარი არს და არცა სული აქს და არცა სიტყუაჲ, არამედ ერთსა ადგილსა უსიტყუჲცლად და უცნობოდ მყოფობისა მქონებელ არს, ვითარცა ჭურჭელი რაჲმე სავსე, გინა რკინა, ანუ ქვა და სხუაჲ. ესევითარი ნივთი შემოქმედიცა და შემცველიცა და მმართებელი ყავს...

და უკუეთუ გეტყოდის, ვითარმედ: *იესუ ღმერთად გრწამს თუ კაცად?*— შენ მიუგე მას:

არა წერილ არს მოჰამედის მიერ „ყურანსა“, ვითარმედ: „*ისა რუჰულალ*“, რომელ არს თარგმანებით: „*იესუ სული ღმრთისაო*“? ხოლო რომელნიმე მათგანნი იტყჳან: „*ისა როჰალაო*“. რამეთუ უკუეთუ **შ**ნითა სთქუ, „*სული ღმრთისაჲ*“ ითქმის და უკუეთუ **ო**ნითა სთქუა, — „*წარმოვლენილი ღმრთისაჲ*“: არამედ „ყურანსა“ სწერია? **მ**ოგიგოს რაჲ სარკინოზმან: „*ეგრეთ არს*“, შენ მიუგე მას: **შ**წყოდე, რამეთუ სიტყუაჲ ეგე უმეცრებით და უღონოებით მოპოვნებული არს. არამედ გარნა გითხრა შენ ჭეშმარიტი? ესე გჳბრძანებს ჩუენ წმიდა „სახარება“, ვითარმედ: ხოლო ი ე ს უ ს ქრისტეს შობაჲ ესრეთ იყო. რამეთუ თხოვილ იყო დედაჲ მისი მ ა რ ი ა მ ი ო ს ე ბ ი ს ა და ვიდრე შერთვამდე მათა, იპოვა იგი მიდგომილ სულისაგან წმიდისა[55]. და შეისხნა ხორცნი ჭეშმარიტად სულისგან წმიდისა და მ ა რ ი ა მ ი ს გ ა ნ ქალწულისაგან, განკაცნა და იშვა და იხილვებოდა ჭეშმარიტი იგი

[55] მათე 1.18.

ემანოელ წინაწარმეტყუელებისამებრ ისაია-ს[56], რომელსა თქუენ „შაიად“ უწოდთ. ხოლო ამისი ჯერ არს უწყებად, რომელ არა ესრეთ სახედ სიტყუად უგოთ, რადთამცა გონიეს, ვითარმედ ჩუენმიერითა სიბრძნითად განგვესაზღვრა წმიდად სარწმუნოებად, არამედ რადთა ვაუწყოთ, ვითარმედ საქმენი წმიდათა წინაწარმეტყუელთანი საწინაწარმეტყუელოთა მიერ გჳსწავენ და ქრისტეს „სახარებისა“ მიერ გჳრწმუნებიეს და სჯული წმიდათა მოციქულთა მიერ დაგჳმტკიცებიეს. ხოლო ღმრთაებისა იგი ბუნებად, რომელი იყო მის შორის, ეგო უხილავად (14v). და მკუდართა აღადგინებდა, კეთროვანთა განსწმედდა, ბრმათა აღუხილებდა, მკელობელთა ავლენდა. და კაცობრივი იგი ბუნებად თავსიდებდა ჰურიათა მიერსა ბასრობასა და კიცხვასა, ყურიმილის ცემასა, ჯუარცმასა და დაფლვასა და აღდგომასა. რამეთუ არა ვიტყჳთ ღმრთაებისა ბუნებისა მიმართ ვნებასა და ჯუარცმასა და სიკუდილსა, რომელი–იგი უვნებელ არს და უხილავ და უკუდავ, ვითარცა იტყჳან სომეხნი და არიან ღმერთ–ვნებულნი სიტყჳსაებრ გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა, რამეთუ კჳრილე. ორნი ვიდრემე ბუნებანი შემოკრბეს ერთად, არამედ ღუთაება არა გარდაიცვალა კორცად, და არცაღა კორცისა მიმღებელმან ქმნა, და ძენი ღუთაებისა მიმართ, არამედ კორცთა მიმართ ვიტყჳთ ვნებასა და სიკუდილსა, რომელნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა და არა იყვნეს იგინი უხრწნელ პირველ ვნებისა მისისა, არამედ შემდგომად აღდგომისა იქმნეს უხრწნელ და უკუდავ. და ამაღლდა დიდებასავე თჳსსა და ჩუენცა რაოდენთა გურწმენა მისა მიმართ უხრწნელითავე კორცითა აღდგომად ვართ მერმესა მას სუ-

[56] ესაია 7. 14.

ფევასა მისსა. ესრეთ ორთა ბუნებითა აღვიარებთ ჩუენ ერთსა ქრისტესა ღმრთაებითა და კაცებითა, რამეთუ სრულ კაც იქმნა თჳნიერ ხოლო ცოდვისა.

ხოლო უკუეთუ გრქუას, ვითარმედ: *რადსათჳს განკორციელდა ქრისტე ანუ ვისსა მომართ მოივლინა?* — შენ მიუგე მას:

არა სხუათა ვიეთმე ნათესავთა მომართ მოსრულ არს ქრისტე, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა. ხოლო განკორციელებისა მისისათჳს თუ რადსათჳს განკორციელდა, თჳთ იესუ ასწავებდა მღუდელ-მოძღუართა და მოხუცებულთა ჰურიათასა და ეტყოდა ესრეთ: კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დაასხა ვენაკი და ზღუდე გარემოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნახელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი საქმედ მოქმედთა. და წარვიდა და რაჟამს მოიწია ჟამი ნაყოფთა, (15r) მოავლინნა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოლებად ნაყოფისა მისისა. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყჳდნეს და რომელთამე ქვა დაკრიბეს. კუალად წარავლინნა სხუანი მონანი, უმრავლესი პირველთასა, და მათცა ეგრეთვე უყვეს. ხოლო უკუანაჳსკნელ მოუვლინა ძე იგი თჳსი და თქუა: *შე-ხოლო თუ-იკდიმონ ძისაგან ჩემისა.* ხოლო ქუეყანის მოქმედთა მათ, ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, თქუჳს გულსა მათსა:*ესე არს მკჳდრი? მოდით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკჳდრებელი მისი.* და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე ვენაკისა მის და მოკლეს. აწ უკუჳ რაჟამს მოვიდეს უფალი ვენაკისა მის, რაჲმე უყოს ქუეყანისმოქმედთა მათ. ხოლო ჰურიათა მათ თქუჳს: *ბოროტნი იგი ბოროტად წა-*

რწყმიდნეს და ვენაკი იგი მისცეს სხუათა ქუეყანის-მოქ-მედთა, რომელთა მოსცენ მას ნაყოფი ჟამსა თჳსსა. ხოლო იესუ ჰრქუა მათ: *ამისთჳს გეტყჳ თქუენ, ვითარმედ: მოგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა სხუასა, რომელნი ყოფენ ნაყოფსა მისსა*[57].

უწყოდე, მ, სარკინოზო, რამეთუ ვენაკი იგი, რომელი დაასხა ღმერთმან, სამოთხე არს, და ნაყოფი მისი სჯული არს, ხოლო ქუეყანის მოქმედნი – ჰურიანი, მონანი მისნი, რომელნი მოავლინნა ღმერთმან, – წინაწარმეტყუელნი, რომელნი სტანჯნეს და მოსწყჳდნეს ჰურიათა – ძე თჳსი, რომელი მოუვლინა მათ ღმერთმან, ქრისტე არს, რომლისა მიმართ არა ჰრწმენა, არამედ ჯუარს აცუცს, ხოლო ნათესავნი სხუანი – ჩუენ, რომელთა გურწმენა ქრისტე, მოელო მათ სასუფეველი და მოგუცა ჩუენ.

უკუეთუ თქუას: *ვითარმცა ესვა ღმერთსა ძე?* – შენ მიუგე მას:

იტყჳს მეფსალმუნე: „*მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართ და ძენი მაღალნი – თქუენ ყოველნი*“ (ფსალმუნი 81. 6). უკუეთუ იგინი ითქუნეს ღმრთად და ძედ ღმრთისა, რომელთა მიმართ სიტყუაჲ იყო, ხოლო ღმრთისაჲ უკერო არსა, რა რაჲთამცა ძე ღმრთისა იყო ქრისტე – ანუ თჳნიერ ღმერთი, ვინ არს მამა მისსა?

[57] მათე 21. 33–43.

უკუეთუ გრქვას: *რომლისა შურისათჳს ჯუარს აცუს?*— შენ მიუგე მას:

რამეთუ ეტყოდა მათ (15v), ვითარმედ: *აბრაჰამს, მამასა თქუენსა, სწადოდა, რაჟამსა იხილა დღე ესე ჩემი, იხილა და განიხარა*[58]. და მრავალთა წინაწარმეტყუელთა გული უთქმიდა, რაჟამსა *მიხილეს მე და ვერ მიხილეს*[59]. ხოლო ჰურიანი იგი ეტყოდეს: *ერგასის წლის არღარა ხარ და გიხილავს აბრაჰამ?* ხოლო იესუ რქუა მათ: *ამინ გეტყჳ თქუენ: პირველ აბრაჰამის ყოფადმდე მე ვარ*[60]. და ჰურიანი ეტყოდეს: *გხედავთ შენ, რამეთუ კაცი ხარ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ!*[61]. და აღივსნეს შურითა და ჯუარს აცუს, რამეთუ სხუად არა უჯერო ქმნა, რომლისათჳს ჯუარს აცუს.

უკეთუ წმიდათა ხატთათჳს გეტყოდეს მოჰამედიანი და კერპად უწოდეს მათ, შენ სიტყუა-უგე:

ვისსა კერპსა თაყუანისვცემ — არტემისასა, ანუ აპოლონისასა, ანუ დიოსასა, ანუ ერმისასა, აფროდიტესასა, ანუ არმაზისასა, ანუ სხუათა ღმერთთა მტყუართასა? ანუ დაუკლავთ-ა მათ ძეთა და ასულთა ჩუენთა და უზორავთ მათ ტაბლასა ზედა, რომელ არს ბომონი? ანუ ღმერთად გყუანან? არა, ნუ იყოფინ! **ა**რამედ უწყოდე, რომელსა სჯულსა ებრძანა ღმრთისად მიერ აბრაჰამს და მოსეს და

---

[58] იოანე 8. 56.
[59] მათე 13. 17.
[60] იოანე 8. 57-58.
[61] იოანე 10. 33.

ნათესავსა მისსა, რადთამცა არა თაყუანისცეს სახესა რომელსამე, კელით ქმნილსა ყოვლად რადთურთით. ხოლო ვინადთგან არა ჰრწმენა ჰურიათა ქრისტეს მიმართ, ესმა ავგაროზ მთავარსა ედესიასა, რომელი-იგი იყო სჯულითა კერპისათა, სასწაულთა მათთჳს, რომელთა აღასრულებდა იესუ, ჰრწმენა და მოავლინა მალემსრბოლი და მხატვარი, რადთამცა გამოწერა ხატი იესუსი. ხოლო ვინადთგან კელყო და ვერ შეუძლო გამოწერად, შემუსრა კალამი იგი მისი სამხატვრო, მოვიდა, თაყუანისცა. გულისკმაყო იესუ, რადსა იგი ტრფიალი იყო, და ვერ უძლო. მოსთხოვა მას ტილო და დაიდვა საუფლოსა მას პირსა ზედა თჳსსა და გამოსახა თჳნიერ კაცობრივისა კელისა, რომელი-იგი წარსცა ავგაროზ თადეოზ მოციქულისა მიერ და არქვა: უკუეთუ გიყვარ მე-ა, დაუტევე კერპის მსახურებაჲ და მის წილ თაყუანისეც ხატსა ამას ჩუენსაჲ. **(16r)** ხოლო ავგაროზ შემუსრნა კერპნი თჳსნი და აღმართა მათ წილ ხატი იგი უფლისა. და ჩუენცა ყოველნი ესე ქრისტიანენი, რომელნი მოჳქეცით კერპთაგან მიერითგან, გამოვსწერთ ღმერთა ხატთა უფლისაჲ ჩუენისა ქრისტესასა, და უბიწოდ მშობლისა მისისა და წმიდათა წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა და მოწამეთა და მამათა ყოველთა წმიდათასა. და კერპთა მათ წილ თაყუანისვსცემთ, რომელთაგანცა მოვიქეცით, ღმრთისა მიმართ და არა გვყვანან ჩუენ ღმერთად და არცა რას უზორავთ მათ, არამედ სურვილით თაყუანისვსცემთ ხატსა ქრისტესასა და ყოველთა წმიდათა მისთასა[62]. მსასოებელნი ესე განკაცებისა და კორციელად ჩუენთა ქცევისა მისისანი და არა თუ სახესა უხილავისა ღვთაებისა გამოვსახავთ. ნუ

[62] მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972, გვ. 66-68.

იყოფინ! რომელი-იგი ქ ე რ ა ბ ი ნ თ ა მიერცა განუცდელ არს. ანუ არა ძალუც ღმერთსა შეცვალებად ნათლისა ბნელად და ბნელისა ნათლად? ჰე, ძალუც! აწ უკუც უწყოდე, რამეთუ ჰურიანი, რომელნი განათლებულ იყვნეს მოძღურებითა წინაწარმეტყუელთათა, დაბნელდეს, ვინათგან ვერ იცნეს ნათელი ჭეშმარიტი ქ რ ი ს ტ ე, არამედ მკლველ ექმნეს მას. ხოლო ჩუენ წარმართნი, რომელნი დაბნელებულ ვიყვენით კერპთმსახურებითა, განვნათლდით, რამეთუ შევიწყნარეთ წმიდა „სახარებად“ და შურისათჳს ჰურიათასა მოგუცა ჩუენ თაყუანისცემა წმიდათა ხატთა, კერპთა მათ წილ ძველთა, განვნათლდით ესრეთ. რამეთუ წმიდანი ხატნი წლითი-წლად მოივლინების ნათელი ღუთაებისა მისისა, რომლისა კლიტეთმპყრობელი მ ო ჰ ა მ ე დ ი ა ნ ი არს. ესრეთ უწყოდე, რამეთუ არა ვისსა კერპსა თაყუანისჳსცემ. ხოლო უკუეთუ კელით ქმნილისა თაყუანისცემასა მაბრალებ, ანუ არა კარავი იგი მ ო ს ე ს მიერი და სასანთლე იგი და სასაკმევლე ოქროსა და კიდობანი სჯულისა და ქ ე რ ო ბ ი ნ ი დიდებისა, რომელი აგრილობდა სალხინებელსა მას, (ებრაელთა 9. 25.)კელოვნებითა კაცთათა შემზადებულნი იყვნეს: ანუ არა სახლიცა იგი, რომელსა თქუენ მ ა ქ ა დ უწოდთ და მისა მიმართ ილოცავთ, კელოვნებითა კაცთათა აღშენებული არსა[63]. **და** უკუეთუ იგივე სჯული დამტკიცებულ (16v) იყო, რომელი ეპყრა ჰურიათა, რაჲთამცაღა განწვალებად იყო შორის მტერთა ქ რ ი ს ტ ე ს თ ა და მორწმუნეთა მისთა?!

ხოლო უკუეთუ საღმრთოსა საიდუმლოსათჳს გეტყოდა მოჰამედიანი, ვითარმედ: *რად შესწირავთ თქუენ პურსა და ღჳნოსა?*— შენ მოუგე მას:

[63] ყურანი 3. 90-91; 5. 98.

შეწყოდე, რამეთუ აქუნდა პირველსა მასცა სჯულსა სამართალი მსახურებითა წმიდად იგი საუფლო, რამეთუ კარავი შეიმზადა პირველი, რომელსა შინა იყო სასანთლე და ტაბლა და დაგებად იგი პურისა, რომელსა ერქვა *წმიდად*. ხოლო შემდგომად მეორე იგი კრეტსაბმელი კარვისა, რომელსა ერქვა *წმიდად წმიდათა*, ოქროსა აქუნდა სასაკმევლე და კიდობანი იგი სჯულითა შემოსილი გარეთ და შინათ ოქროთა, რომელსა შინა იყო ტაკუკი იგი ოქროსა, სავსე მანანათა, კუჭართხი იგი ა რ ო ნ ი ს ი, რომელი განედლდა, და ფიცარნი სჯულისანი. ხოლო ზედა კერძო მისა ქ ე რ ო ბ ი ნ ი დიდებისა, რომელი აგრილობდა სალხინობელსა მას, რომელთათჳს არა არს აწ თჳთეულად სიტყუად. და ესერა ესრეთ აღმართებულ იყო პირველსა მას კარავსა. მარადის შევლნედ მღდელნი და მსახურებასა მას და შესაწირავსა ღჳნისასა და პურისასა აღასრულებედ. ხოლო შინაგანსა მას ერთგზის წელიწადსა მღუდელთმოძღუარი იგი ხოლო შევიდის და არა თჳნიერ სისხლისა, რომელი-იგი შეიწირის თავისა თჳსისათჳს და ერისა უმეცრებისათჳს. ხოლო ოდეს ქ რ ი ს ტ ე მოვიდა, მღუდელთმოძღუარი იგი ყოფადთა მათ კეთილითა უფროსითა, მით უსრულესითა კარვითა, კელით უქმნელითა, ესე იგი არს არა ამის დაბადებულისათა, არცა სისხლითა ვაცთა და ზუარაკთათა, არამედ თჳსითა სისხლითა შევიდა ერთგზის სიწმიდესა მას და საუკუნო იგი გამოკსნა პოვა მორწმუნეთა მისთჳს. რამეთუ, უკუეთუ სისხლი იგი ვაცთა და ზუარაკთა, რომელი ეპკურებოდა შეგინებულთა მათ, განსწმედდა, რაოდენ უფროს სისხლმან ქ რ ი ს ტ ე ს მ ა ნ, რომელმან-იგი სულითა საუკუნოდ თავი თჳსი შეწირა უბიწოდ ღმრთისად, განწმიდნეს გონებანი მორწმუნეთა მისთანი

მ(17r)კუდართაგან საქმეთა, მსახურებად ღმრთისა ცხოველისა! და ღმერთსა, რომელსა მიეცემოდა პურითა, ვითარცა ჭამდეს წმიდანი მოწაფენი და მოციქულნი მისნი, მოიღო პური, მადლობდა და აკურთხა, წმიდა-ჰყო, განტეხა და მისცა იგი წმიდათა მისთა მოწაფეთა მეტყუელმან: *მოიღეთ და ჭამეთ, ესე არს კორცი ჩემი, თქუენთჳს მიცემული. ამას ყოფდით მოსახსენებლად ჩემდა!* ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: *ესე სასუმელი – ახალი სჯული სისხლის ჩემისა თქუენთჳს დათხეული*[64]. *ხოლო გეტყჳ თქუენ: ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაკისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისად მოვიდეს*[65]. აწ უკუც ჩუენცა, მომკსენებელნი ესე ჩუენთჳს ვნებისა და სიკუდილისა მისისანი, აღვასრულებთ სალმრთოსა მას მსახურებასა მისისა და ვეზიარებით წმიდათა მათ საიდუმლოთა მისთა. და ესე არს მსხუერპლი ჩუენი და შესაწირავი. და არა ერთსა ტაძარსა შინა ერთგზის წელიწადსა აღვასრულებთ მას, ვითარცა ჰურიანი, არამედ ყოვლისა სოფლისა ეკლესიანი დაუცადებელად დიდების მეტყუელებასა შესწირვენ. და მარადის სიკუდილი იგი უფლისაჲ ი ე ს უ ს ი კორცთა შინა ჩუენთა გჳტჳირთავს, რაჲთა ცხორებაჲცა იგი ი ე ს უ ს ი მოკუდავთა ამათ შინა კორცთა ჩუენთა გამოცხადნეს. და უკუეთუ კუალად საკლავსა დავკლვიდეთ და მას შევსწირავდეთ საკურთხეველსა ზედა ჩუენსა, რაჲთამცა სისხლი დავსთხიეთ განსაწმედლად ჩუენდა უპირატეს და უპატიოსნეს სისხლსა ქ რ ი ს ტ ე ს ა ს ა?!

---

[64] ებრაელთა 9. 1-7, 11-14.

[65] მათე 26. 26-29; მარკოზი 14. 22-24; ლუკა 22. 19-20; 1 კორინთელთა 10. 16; 11. 23-25.

ხოლო უკუეთუ გრქვას: *არა ჯუარცმულ არს ქრისტე, არამედ ერთი ვინმე მათგანი, რამეთუ იესუს რადთა ეძიებდეს სიკუდილად, პოვეს ვინმე, რომელსა დასდებოდა საბე მისიო და იგი ჯუარს აცუსნა, არამედ არა იყო ქრისტეო, რამეთუ ქრისტე ანგელოზისა მიერ ზეცად ალიტაცაო*[66] და, *ვინადთგან დედა მისი მარიამ ფრიად იგლოვდა მას და ტიროდა, კუალად მოივლინა ზეცით და ჰრქუა მას: არა მომკუდარ, არამედ მე ვარ ძე (17ა) შენიო და ესრეთ რა მხიარულყო, შემდგომად მცირედისა კუალად აჰმაღლდა ზეცადო,* — შენ მიუგე მას:

ვისგან უწყი, რამეთუ ეგე ეგრეთ არს? იგი მოგიგებს: *მოჰამედის მიერ, ანგელოზისა მიერ ეუწყა.* შენ მიუგე მას: მოჰამედ იხილა ქრისტე ანუ წიგნი მისი უკითხავს-ა, რამეთუ ყოველსა წერილსა უმეცარ იყო, ანუ ნათესავთაგანი არს-ა ისრაელთა, იცრუსალიმელთა? არა, ნუ იყოფინ! მაშა, ვითარ ვირწმუნოთ მოჰამედის ისმაიტელისა, რომელი უმრავლეს შჯდასისა წლისა შემდგომად ქრისტესა გამოჩნდა და აღიზარდა ქუეყანასა მადიამისასა მწყემსობასა შინა აქლემისასა?! და თანა წარვკდეთ წიგნსა ამას ჯუარცმისასა, დაფლვისა, აღდგომისა და ამაღლებისა მისა მომთხრობელთა, წმიდათა მისთა მოწაფეთა მიერ აღწერილთა, რომელნი-იგი ახლოს ნათესავნი იყვნეს უხრწნელისა დედისა მისისანი?! და პირველ განმაცხოვლებელისა მის ვნებისა მისისა შეუდგეს მას ყოვლითა ჭეშმარიტებითა, რამეთუ თუალითა მათითა ხედვიდეს და კელნი მათნი მსახურებდეს მას, მისთანა სუმიდეს და მისთანა ჭამდეს და მარადის მოძღურებითა მისითა განისწავლებოდეს. ხოლო შემდგომად წმიდისა აღდგომისა მისისა მრჩობ-

[66] ყურანი 4. 155-156.

ლთა წყაროთა შენდობისათა აღმომაცენებელისა უბი-
წოსა გულრდისა მისისა განმხილველ იქმნეს და დასხნეს
თითნი მათნი ადგილსა მას წმიდათა სამსჭუალთა კელთა
და ფერკთა მისთასა[67] და ორმეოც დღე თანა ექცეოდეს და
ჭამდეს მის თანა. და ამისა შემდგომად მისცა მათ კელმწ-
იფებაჲ მკუდართა აღდგინებად, კეთროვანთა განწმედად,
ეშმაკთა განსხმად და სნეულთა განკურნებად. და აკ-
ურთხნა იგინი და ამაღლდა ზეცად[68]. ხოლო იგინი წარ-
მოვიდეს და ქადაგებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა
უფლისა შეწევნითა (18r) და სიტყჳსა ამის დამტკიცებითა
მის მიერ სასწაულნი, რომელნი შეუდგეს მათ.

რამეთუ უკუეთუ გრქვას მოჰამედიანმა: რაჟამს ამაღლდებოდა იესუ, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვინადთგან მე არა მიტევეს მე ჰურიათა მოძღურებად და არცა ისმინეს ჩემი, სხუაჲ წინაწარმეტყუელი აღგიდგინოს თქუენ ღმერთმან, რომლისა სახელი აჰმად, მისი ისმინეთო, რამეთუ იგი არს ბეჭედი ყოველისა წინაწარ-მეტყუელებისაო, ხოლო დაწერაცა „საბარებასა“ შინაო, არამედ ბერებმა აღმოჰკუეს და, რაცა უნდა, იგი დაწერესო, — შენ მიუგე მას:

არა ეგრეთ ბრძანა ქრისტემან, ვითარმედ, რომლის სახელი აჰმად, არამედ, — რომლისა სახელი აჰმაყ, რამეთუ ამად *რჩეულად* გამოითარგმანების და აჰმაყ — *უცნობოდ*! და თუ ამას ეტყჳ, ფრიად აღაშფოთებ. უკეთუ გენებოს, ესრეთ უთხარ: ვინმცა იყო ესრეთ

[67] იოანე 21. 25, 27.

[68] მათე 10.1, 8; მარკოზი 3. 13-15, 16. 15-17; ლუკა 9. 1-26; 24. 39-40.

ცნობამიღებულ, რომელმან იკადრა წმიდისა „სახარებისა“ შლად და მის წილ რაჲსამე დაწერად? უწყოდე: რამეთუ სიტყუაჲ ეგე არა მეცნიერისა კაცისა არს, არამედ ყოვლადვე უგუნურისა! რამეთუ გითხრა, უკუეთუმცა მაგა სიტყჳსა წილ, ვითარმედ: მ ო ჰ ა მ ე დ ესრეთ დაწერა „ყურანსა“ შინა, ვითარმედ ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ ქრისტიანეთა არსო და მოლავებმა აღმოკოცა და სხუა რაჲმე დაწერაო, – რასა მეტყჳ?

და თუ ღორის კორცისა ჭამასა გაბრალებს[69], სიტყუაჲ უგე მას:

ვინაჲთგან „ნ ა ჯ ი ს ა დ“ ეწერა პირველსა სჯულსა შინა ისრაჱლთასა, მისთჳს მოეცა წმიდასა მოციქულსა პ ე ტ რ ე ს შემდგომად ი ე ს უ ს ამაღლებისა და ვსჭამთ ყოველნი მორწმუნენი ქრისტესნი შურისათჳს ჰურიათასა.

ხოლო, უკუეთუ პირად-პირადთა ბანათათჳს და დღითი-დღეთა ნათლის ღებათათჳს გეტყოდის, მიუგე მას:

თქუენ დღითი-დღედ ეგე ნათლისღებაჲ აღმკოცელად ცოდვათა თქუენთა გიპყრიეს, რამეთუ მ ო ჰ ა მ ე დ ი ს მიერ გესწავა, ვითარმედ: რასაცა სცოდვიდეთ, ამის მიერ აღიკოცებისო. ხოლო ჩუენ ერთგზის ნათელს ვიღებთ, და სად ვიჯმნით **(18v)** ეშმაკისა და საქმეთა მისთაგან! არამედ, უკუეთუ საბრკითა ეშმაკისათა კულავად ვსცოდვიდეთ, არამედ გჳსწავიეს ჩუენ მოძღრისგან ჩუენისა ერთგზის ბანითა აღკოცა ცოდვათა

[69] ყურანი 2. 168.

ჩუენთა, არამედ აღსარებითა და სინანულითა ცრემლთა დინებითა და ლოცვითა გულსმოდგინედ და მარხვითა მოუკლებლად. ხოლო განსაწმედელად მწიკულთა სულიერთა და ჯორციელთა მოგუცა ჩუენცა წმიდათა მამათა მიერ აიაზმა და არა ეგრეთ, ვითარმცა თქუენ, რაჲთამცა თჳს-თჳსად ვიკურთხევდით წყლისა, არამედ ეკლესიასა შინა წმიდათა მღუდელთა მიერ და უბიწოთა მოვიღებთ ნაკურთხევსა წყალსა და მას ვისხურებთ. და ბაყლთა ჯორციელთა და სამოსლისაცა აბანოთა შინა, ანუ მდინარეთა ჯერ არს განრეცხა ჭეშმარიტად. ხოლო, უკუეთუ ვისმე მორწმუნეთაგანსა ვერ ეძლოს ზედას-ზედა ბანა, ანუ განრეცხა სამოსელთა უპოვარებისათჳს, ანუ მარტოობისათჳს, ანუ მოლვაწებისათჳს, ანუ უცალოებისათჳს და გულითა წმიდაჲ იყოს და ცოდვათაგანცა არა შეურაცხჳყოფთ მას, ვითარცა ეგე თქუენ. რამეთუ ელია იგი წინაწარმეტყუელი, სადა-იგი ყორანთა მიერ იზრდებოდა უდაბნოსა შინა, ერთითა ხალენითა იყოფოდა[70]. და წინამორბედიცა, რომელსა თქუენ იეჰიად უწოდთ, უდაბნოსა შინა იორდანისასა ერთითავე სამოსლითა იქცეოდა, რომელი-იგი შემზადებულ იყო სტეფანესაგან აქლემისა[71]. და კუალად დანიელ მღუმესა მას ლომთასა ერთ ჯერითავე სამოსლითა იყოფოდა, რომელი-იგი ანგელოზისა მიერ გამოიზარდა[72].

¤

ᲛᲘდანო მორწმუნენო, უწყოდეთ ჩემ, ცოდვილისა მიერ მონისა თქუენისა, რამეთუ სარკინოზთა, რომელ არიან ისმაიტელნი ბილწნი მოჰამედიანი, თჳნიერ ამათ სიტ-

[70] III მეფეთა 17. 4-6.
[71] მათე 3. 1-5; მარკოზი 1. 4-6.
[72] დანიელ 6. 16-23.

ყუათა სხუად საჩინო სიტყუად საცილობელი არა აქუს. და უკუეთუ სწავლული ვინმე ქრისტიანეთაგანნი სიტყუასუგებდეს, (19r) რომელი დასაბამითგან და შემდგომისა მეცნიერ იყოს, რასაცა მიზეზისათჳს ეტყოდის მოჰამედიანი, ყოველსა ზედა პირი დაეყოფვის ძალითა ქრისტესითა, წიგნითა მოსესითა და მეფეთა სახარებითა, რომელთა თჳნიერ თჳთ მოჰამედ ეწამების. ხოლო ამისიცა განკრძალვა ჯერ არს, რაჲთა ეგეთის მეენისა მიერ სიტყჳად-უგოთ, რომელი ფრიად წურთილ იყოს ენასა და არცა შურისათჳს სიტყუასა ზე-ქუც ქცევად დაუწყოს. და ეგეთსაცა კაცსა ეტყოდეთ, რომელი ფრიად მოძღუარი იყოს სჯულისა მათისა და წურთილი „ყურანსა". რამეთუ უსწავლელსა კაცსა ეტყოდეს, ვერცა ერთსა სცნობს და ცუდად დაშურების.

ვინცა იკითხვიდეთ და ჩემ ცოდვილისა და ყოვლისა სასჯელისა თანამდებისა ბაგრატისთჳს შენდობა ჰყოთ დღესა მას დიდსა შესაძრწუნებლისა განკითხვისასა, აღიკოცენ უფალმან ყოველი ბრალი თქუენი და ყოველთა სათნო ყოფილთა მისთა თანა აღგრაცხენ. ხოლო, უკუეთუ ვინმე ბოროტისა რასმე მოკსენებითა მწყი - ოთ, უფალმან მოგიტევნენ, რამეთუ არა უღირს ვარ ყოვლისა სასჯელისა და წყევისაცად.

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი

ტექსტთან დაკავშირებული საკითხები

ქ ა რ ა გ მ ე ბ ი

ისლამის ფუძემდებელ „მუჰამედის“, „მუჰამადის“, „მა-ჰმადის“ სახელი ძველ ქართულ ლიტერატურაში სხვა-დასხვაგვარად იწერებოდა. ბაგრატის ამ თხზულების იაკობ შემოქმედელისეულ გალექსილ ტექსტში (და სხვა-განაც) მას „*მოამადი*“ ეწოდება. ბაგრატის ნაწარმოების ხელ-ნაწერებში გვაქვს დაქარაგმებული „მო~ჰმედ“ და ქარაგმის ნიშნის გა-რეშეც – „*მოჰმედ*“, გვიანდელ ნუსხებში არის „მახმადი“-ც. ვინაიდან ბაგრატის ყველაზე ადრინდელ A ხელნაწერში რამდენიმე ადგილას უქარაგმოდ წერია „*მოჰამედ*“ (1v, 7v, 8r. 9v, 10v, 13r-13v, 17v, 18r და სხვა. მხოლოდ ერთ ად-გილას არის „მომედიანი“ – 18v), ჩვენც უპირატესობა ამ, მ ო ჰ ა მ ე დ, ფორმას მივეცით.

ძველ ქართულ ადრინდელ ძეგლებში სიტყვა „წი-ნასწარმეტყველი“ „ს“-ს გარეშე იწერებოდა – „*წი-ნაწარმეტყუელი*“ ან „*წინადწარმეტყუელი*“. A ნუსხაში იგი ყველგან დაქარაგმებულად იკითხება: „წ~წყლი“, „წწ~ყლნი“, „წწ~ყლთა“, „წწ~ყლსა“, „წწ~ყლისა“, „წწ~ყლებად“, „წწ~ყლბისა“, „წწ~ყლად“, „წწ~ყლისაზე“ და ა. შ. – ყველგან „ს“-ს გარეშე. ამიტომ ჩვენ ძველ ორთოგრაფიას მივანიჭეთ უპირატესობა და ვწერთ: „*წინაწარმეტყუელი*“.

დანარჩენი ქარაგმები:

ა

ა~დ არამედ
აკხ~ნა აკურთხნა
ა~მნ ამან
ამ~ კდრდა ამკედრდა
ანგზ~ი ანგელოზი
ანგზთა ანგელოზთა
აკ~ ხა აკურთხა

ბ

ბ ~ნბა ბუნება
ბ ~ნლ~ად ბნელად
ბ ~რტსა ბოროტსა
ბ ~ღნარნი ბაღნარნი

გ

გ~ გაბრიელ
გ~ის გიორგის
გ~ნგბდ განგებად
გ~ნერა განერა
გ~ნთლებ~ლ განათლებულ
გ~რნა გარნა
გ~ნრ~ცხა განრეცხა
გ~რლს გაბრიელს
გკრდისა გუერდისა
გ~ ხნ გიხაროდენ

დ

დ~თ დავით
დ~თისნი დავითისნი
დ~მბ ~დებლისა
დამბადებლისა
დნლს დანიელს

ვ

ვ~ა ვითარცა
ვ~დ ვითარმედ
ვ~დის ვიდრემდის
ვ~უ ვიდრე
ვ~უმდე ვიდრემდე

ზ

ზ~ა ზედა
ზ~ქრია ზაქარია
ზ~ღდ ზღუად

თ

თ~ა თანა
თ~ლი თუალი
თ~ს თჳს
თ~სსა თჳსსა, თჳსასა
თ~ქა თქუა
თქ~ნისა თქუენისა
თ~ყნი თაყუანი

ი

ი~ე იოანე
იკ~ბ იაკობ
ი~ჯ იესუ
ი~სებ იოსებ
ის~კ ისაკი
ი~ცლმს იერუსალემს
იც~ნი ისრაჱლნი
იცლმ~ნ ისრაჱლმან
იც~ლსნი ისრაჱლისნი

კ

კ~ცი კაცი
კ~დ კულავად
კ~თლ~ნი კეთილნი
კ~შონისასა კიშონისასა
კ~ ხვა კურთხევა

მ

მ~დის მარადის
მეტყ~ლებასა
მეტყუელებასა
მ~თ მათ
მ~თ~ა მათითა
მთ~გან მათგან
მ~თე მათე
მმ~ა მამა
მ~მისა მამისა
მმ~რთ~ბლი მმართებელი
მ~ნ მან
მ~რ მიერ
მ~რ მართალ
მ~რთ მიმართ
მ~რთგ~ნ მიერითგან
მ~რთგ~ნ მრავალთაგან
მრ~მს მარიამს
მრჳცნით მარჯუცნით
მ~ს მას
მ~სგ~ნ მისგან
მს~ჯ~ლთა მსაჯულთა
მს~ხრ~ბ~ჲსა მსახურებაჲსა
მე~ტყლ~მნ მეტყუელმან
მცხრისა მაცხოვრისა
მხ~რლებითა მხიარულებითა

ნ

ნთ~ესავ~თ~გნი
ნათესავთაგანი
ნ~თლ ნათელ

ო

ო~ი უფალი
ო~ჲ უფლისაჲ

პ

პ~დ პირველად
პ~ლ პირველ
პტ~რე პეტრე

ჟ

ჟ ~თა ჟამთა

რ

რ~ რამეთუ
რა~თამცა რაითამცა
რ~ა რაჲთა
რ~თა რომაელთა
რ~ი რომელი
რ~ჲ რაჲ
რ~ჲდ რაჲდ
რ~თა რომელთა
რ~ლრს რომელ არს
რ~მცა რაჲთამცა
რ~ნ რომელმან
რ~ჟს, რჟ ~ს რა ჟამს

ს

სიტყ~სა სიტყუასა
სი~წი~თა სიწმიდითა
ს~კხველი საკურთხეველი
ს~ლი სული
ს~ლისა სულისა
სლნებითა სულნელებითა
ს~მგვ~მნეით სამგვ~ამოვნებით
სმფსნ სამფსონ
ს~ნ სჳმეონ
სრ~წმუნნი სარწმუნონი
სს~ფველი სასუფეველი
სსწლდ სასწაულად
ს~ფლის~ს სოფლისასა
ს~ხლი სახელი
სხლს სახელს
ს~ჯლი სჯული

ტ

ტ~ნი ტომნი
ტ~ძრი ტაძარი

უ

უ~კი უკუნითი
უ~კე უკუნისამდე
უმრჳლეს უმრაჳლეს
უ~ღთო უღმრთო

ფ

ფ~დ ფრიად
ფსნი ფსალმუნი

ქ

ქ~დგება – ქადაგება
ქ~ლქი – ქალაქი
ქ~სამდე ქრისტესამდე
ქ~სიო ქრისტეისიო
ქ~რბ~ნი ქერაბინი
ქ~ყნის ქუეყანის
ქ~წლისა ქალწულისა

ღ

ღ~ი ღმერთი
ღ~ისნი ღმრთისანი
ღ~დ ღმრთისაჲ
ღ~ღდვყ~ჳ ღაღადჳყაჳ

ყ

ყ~თა ყოველთა
ყ~თგ~ნ ყოველთაგან
ყ~ითურთ ყოვლითურთ
ყ~ისაი ყისაი
ყფ~ადთა ყოფადთა
ყ~ფითა ყოფითა

შ

შ~ა შინა
შ~დ შემდგომად
შ~დცა შჳდცა
შეკრბ~ნა შეკრიბნა
შვ~ნდეს შვენდეს
შ~ისა შენისა
შ~ს შორის
შ~ღა შემდგომადღა

ჩ

ჩ~ი ჩემი

ც

ც~ნი ცანი
ც~ცხლი ცოცხალი
ც~ცხლმ~ნ ცეცხლმან
ცხ~რბანი ცხორებანი
ცხ~რებისა ცხოვრებისა

წ

წ~ა წმიდა
წ~დ წმიდად
წ~თა წმიდათა
წ~ი წიგნები
წინამძღ~რი წინამძღვარი
წრ~სწყმდელსა წარსაწყ-
მედელსა
წ~ყრო წყარო
წწ~ი წმიდანი

ჭ

ჭ~ბუკნი ჭაბუკნი
ჭ~დ, ჭ~ტდ ჭეშმარიტად
ჭტბდ ჭეშმარიტებად
ჭტ~სა ჭეშმარიტისა

ხ

ხ~ ხოლო
ხ~რ ხარ
კ~დ კმად

ჯ

ჯ~ ხ~თად ჯოჯოხეთად
ჯ~რს ჯუარს
ჯრჯს ჯირჯის

ჰ

ჰ ~რითა ჰურიათა
ჰ ~ქა ჰრქუა

ტექსტის საკუთარ, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ა

აბდია 160.
აბელ 147.
აბრამი 147.
აბრაჰამ (ისლამურად *იბრაჰიმი*, ყურანის პერსონაჟი, წინასწარმეტყველი და წმინდანი) 139, 143–144, 146–148, 150, 152–153, 157, 159, 175.
აბრაჰამ (დაანის შთამომავალი) 162.
აბრაჰამისნი 153
აბრეოზ 161.
აგარ 143, 153.
აგარიანი 146, 152, 156.
აგატე 162.
ადამი 142, 147–148, 167–168.
ავგაროზ 176.

ალექსანდრე მაკედონელი 159.
ალექსანდრია 164.
ალი 138–139, 142, 155–156.
ამად 181.
ამალეკი 140.
ამბაკომ 141, 160.
ამოს 160.
ანანია 161.
ანგია 160.
აპენდორ 152.
აპოლონ 175.
არაბეთი 137, 164–165.
არაბი, არაბული 164–165.
არმაზი 175.
არონ 178.
არსენი 164, 166.
არსენიო 162.
არტემი 175.
ასერ 145.
ასური 161, 164.
აფროდიტე 175.
აჰმად 181.
აჰმაყ 181.

ბ

ბაბილონი 148.
ბაგრატი 137, 184.
ბენია 162.
ბენიამენ 162 .
ბერძენი 164.
ბერძული 161, 164–165.
ბისკად 161.

გ

გაად 145.
გაბრიელ (მთავარანგელოზი) 138, 142, 148, 150–151, 155, 157, 166. *ნ კიდევ შკაბრაილ.*
გადი 162.
გედეონ 140.
გიორგი (წმინდა), ჯირჯი 149.
გიორგი (მთაწმინდელი) 164, 166.
გრიგოლ ღმრთისმეტყველი (გრიგოლ ნაზიანზელი) 166, 172.

დ

დაანი 162.
დავითი (წინასწარმეტყველი) 140, 145, 148, 151, 160, 166, 169.
დავითი (ტბელი) 164–165.
დავით აღმაშენებელი 165.
დაკის 161.
დამასკელი იოანე *ნ იოანე დამასკელი.*
დან 145.
დანიელ (წინასწარმეტყველი) 141, 160, 183.
დანიელ (დაანის შთამომავალი) 162.
დარეჯანიანი 146.
დასუს 162.
დესეთეოს 162.

დიმიშკ 164.
დიოს 175.

ე

ებრაელი 159, 161.
ებრაული 159, 162, 164.
ეგვიპტე 139, 145, 153.
ედესია 176.
ევა 142, 167–168.
ეზეკია (წინასწარმეტყველი) 141.
ეზეკიელი 160.
ეზეკია (ბენიამენის შთამომავალი) 162.
ეზეკია (რუბენის შთამომავალი) 161.
ეზეკიოს 161.
ეზრა (წინასწარმეტყველი) 160.
ელია (წინასწარმეტყველი) 183.
ელისე 141, 161.
ელისე (იუდას შთამომავალი) 161.
ელისე (ნეფთალიმის შთამომავალი) 162.
ერმისი 175.
ერემიოს 162.
ესაია, ისაია (წინასწარმეტყველი) 141, 160, 163, 172. *ნ კიდევ ეკაია, იეკაია, შაია.*
ეფესო (ეფესელნი) 149.
ეფთვიმე, ეფთვიმი (ტაოელი, მთაწმინდელი) 164–166.
ეფრემ მცირე 164–166.

ზ

ზაბულონ 145, 161.
ზაქარია (წინასწარმეტყველი) 160.
ზაქარია (იუდას შთამომავალი) 161.
ზაქარია (რუბენის შთამომავალი) 161.
ზაქარია (ზაბულონის შთამომავალი) 161.
ზაქარია (ნეფთალემის შთამომავალი) 162.
ზებე 152.
ზედეკია 162.
ზევი 161.
ზიბ 152.

თ

თადეოზი (მოციქული) 176.
თადეოზი (სჯმონის შთამომავალი) 161.
თათარი 137.
თამბალი 156.
თარა 147.
თევდობიოს 162.
თევდოს (ასერის შთამომავალი) 162.
თევდოსი (ზევის შთამომავალი) 161.
თეოდოსიოზ 162
თეოფილე (დანის შთამომავალი) 162.

თუხარელი საბა *ნ საბა თუხარელი.*

ი

იაბი 152.
იაკობი 145, 157.
იაკობი (იზაქარის შთამომავალი) 161.
იაკობსიოს 162.
იასონ 162.
იდრისი 151.
იდუმელი 152.
იენდემია 162.
იერემია (წინასწარმეტყველი) 160.
იერემია (ნეფთალიმის შთამომავალი) 162.
იერიქო 140.
იერუსალემი 137, 53, 161, 163–164, 166, 180.
იესუ, იესუ ქრისტე, ქრისტე 145, 147–149, 151, 164, 169, 171, 172–182, 184. *ნ კიდევ ქრისტიანე, ქრისტიანობა.*
იეჰია 183.
იზარი 137.
იზაქარი 145.
იზაქოს 162.
იზაქარი 161.
ილია 141, 145.
იმნაშვილი ივანე 149.
იოანათან 162.
იოანე 142, 148, 159, 164, 175, 181.
იოანე (ნათლისმცემელი) 159.
იოანე დამასკელი 158, 166.
იობ 160.
იოილ 160.
იონათან (ასერის შთამომავალი) 162.
იონათან (იოსების შთამომავალი) 161.
იონათან (იუდას შთამომავალი) 161.
იორდანი 183.
იოსებ 145.
იოსებ (ძელით ხურო) 148, 171.
იოსებ (იოსების შთამომავალი) 162.
იოსებ (ზაბულონის შთამომავალი) 161.
იოსეფოს 161.
იოსლოზ 162.
იოსპოს 161.
იოჰანე (ასერის შთამომავალი 162.
იოჰანე (ბენიამენის შთამომავალი) 162.
იოჰნე 161.
ისაია *ნ ესაია.*
ისაკი (აბრაჰამის ძე) 143–145, 157.
ისაკი (იზაქარის შთამომავალი) 161.

ისმაელი, ისმაილი 137, 143-144, 145, 147, 153.
ისმაიტელი, ისმაეტელი 139-140, 146, 150, 152, 180, 183.
ისო ნავე 140, 160.
ისრაჯლი, ისრაილი 139-140, 145, 149, 153, 160-161, 164, 169-170,180, 182.
ისუ 162.
ისუს 162.
იუდა 145, 161.
იუდა (ზაბულონის შთამომავალი) 161.
იუდა (იოსების შთამომავალი) 162.
იუდა (სვიმონის შთამომავალი) 161.

კ

კასიანი რომი 166.
კელკა 161.
კკრიტე 172.
კიშონი 158.
კორინთელნი 179.

ლ

ლევი 145.
ლეკ 161.
ლუკა 164, 169-170, 179, 181.

მ

მადიამი, მადიამელნი 137, 140, 152, 180.
მადინა 155.
მავალი 156.
მათე 159, 163-164, 169-171, 175, 179, 181, 183.
მაკედონელი ალექსანდრე *ნ ალექსანდრე მაკედონელი.*
მაკკ, მაქკ 153, 155. *ნ კიდევ მაქა, მაქათული.*
მალაქია 160.
მალიქი 156.
მარიამ (ღვთისმშობელი) 148-149, 171-172, 180.
მარკოზი 159, 164, 171, 179, 181, 183.
მანოე 140.
მატათეოზ (ნეფთალიმის შთამომავალი) 162.
მატათეოზ (სვიმონის შთამომავალი) 161.
მატსოს 162.
მაქა 177.
მაქათული 153.
მაქკ *ნ მაკკ.*
მეგვიპტელნი 139.
მესხნი 165.
მელესიოს 161.
მეწამული (ზღვა) 139.
მთაწმინდა 164-166.
მიქაელ 157.
მიქია 160.
მოაბ 152.

მოჰამედ 137–139, 142–144, 149–156, 164, 166, 169–171, 180–182, 184. *ნ კიდევ მუსტაფა.*
მოჰამედიანი 154, 175, 177, 183.
მოსე 140, 143–145, 147–148, 151–152, 157, 159–160, 162, 167–169, 177, 164.
მუსტაფა 138.

ნ

ნავი 156.
ნაომ 160.
ნაჯაფი 156.
ნებროთი 142–143.
ნესტორ, ნესტორიანი 137–138, 142.
ნეფთალიმი 162.
ნიემია 161.
ნოე 147.

ო

ონა 161.
ორებ 152.
ოსია 160.
ოსმანი, უსმანი 142, 156.

პ

პეტრე (მოციქული) 182.
პტოლემეოზ/ს 159–160,162–163.

რ

რაფაელ 157.
რობოამი 148.
რომი ნ ჰრომი.
რუბენი 145, 161.
რუთი 160.

ს

სააკე 162.
საბა თუხარელი 165.
საბატოზ 161.
საბერძნეთი 165.
სალმანა 152.
სამოილ (ზაბულონის შთამომავალი) 161.
სამოილ (იოსების შთამომავალი) 162.
სამოილ (სვიმონის შთამომავალი) 161.
სამფსონი 140.
სარკინოზი 146, 155, 183.
სარრა 143.
საული 148, 169.
სელემეოზ 161.
სელემია 161.
სენარქერანი 141.
სჳმეონ (მიმრქმელი) 163.
სჳმეონ (ზაბულონის შთამომავალი) 161.
სჳმეონ (იზაქარის შთამომავალი) 161.
სჳმეონ (სჳმონის შთამომავალი) 161.
სჳმონ 145, 161.

სისარა 152.
სინა (მთა) 162.
სოლომონ 148, 160.
სომეხნი 172.

ტ

ტიმოთე 159.
ტაოელი *ნ ეფთვმი ტაოელი.*

უ

უმარი, უმარიანი 156.
უსენ 156.
უსმან *ნ ოსმან.*

ფ

ფარაონი 164.
ფარაოეთნი 139.
ფატმან 138.
ფირი, ფირინი 151.
ფრომინებრი 161. *ნ კიდევ ჰრომი.*

ქ

ქაილებ 162.
ქართველი 164–165.
ქართული 150, 164.
ქერაბინი 168.
ქრისტე *ნ კიდევ იესუ ქრისტე.*
ქრისტიანე 138, 149, 156. *ნ იესუ ქრისტე.*
ქრისტიანობა 147.
სოფონია 160.
სტეფანე (სანანოის ძე) 164–165.

ყ

ყიბლი 153.
ყისაი ჰამზა 146.

შ

შავი მთა 166.
შავიჰი 156.
შაია (ისაია) *ნ კიდევ ესაია.*
შჯაბრაილ *ნ გაბრიელ.*

ჯ

ჯირჯი *ნ წმინდა გიორგი.*

ჰ

ჰასან 156.
ჰამზა *ნ ყისაი ჰამზა.*
ჰარონი *ნ არონი.*
ჰბალი 156.
ჰერაკლე (ბიზანტიის იმპერატორი, VI–VII სს.) 137, 150.
ჰრომი 164.
ჰურია 139, 172, 174–175, 177. 181.

მცირეოდენი გრამატიკული მიმოხილვა

მშვენივრად ვიცი, ამ საქმეს ჩემზე უფრო ფართოდ და საფუძვლიანად ძველი ქართული ენის მკვლევარები შეასრულებენ, მაგრამ, რადგან ეს თხზულება პირველად იბეჭდება, თანაც, მას უშუალო კავშირი აქვს ტექსტის დადგენასთან, შევეცდები, ზოგიერთი რამ მაინც წარმოვაჩინო.

ბაგრატი იცავს ძველი, უფრო ზუსტად, საშუალი ქართული ენის ნორმებს, რომლებიც უფრო A ხელნაწერშია წარმოდგენილი. გვიანდელ ნუსხებში ისინი რამდენადმე ახლით არიან შეცვლილი.

გვერდს ვუვლით ისეთი ენობრივი ფორმების ჩვენებას, რომლებიც ძველი და ახალი ქართულისათვის ერთნაირია.

ორთოგრაფიულ–ფონეტიკური მახასიათებლები

ზემოთ უკვე ვთქვით: ამ ძეგლის უძველესი ხელნაწერი (A), რომელსაც პუბლიკაციისას ვეყრდნობით, შესრულებულია ნუსხახუცური დამწერლობით, ზოგან აბზაცის დასაწყისი და საკუთარი სახელების პირველი ასოები წარმოდგენილია მრგვლოვანი, ანუ ასომთავრული, ასოებით, თუმცა, ვიმეორებთ, ეს წესი ყველგან როდია დაცული.

როგორ წერს ო–სა და უ–ს? რა თქმა უნდა, საუბარია მრგვლოვანზე. როცა ო–ს წერს, მას ფეხი ზემოთაც აქვს აწეული და ქვემოთაც. მაღლა აქვს აწეული სიტყვაში: „ო–სია“ (10r). უ–ს წერს როგორც ერთი, ო, ასოთი, ისე ორი, ო და ჳ, ასოებით. როცა უ მარტო ო–თი წერია, ო–ს ფეხი მაღლაც აქვს აწეული და დაბლაც: მაღლა აქვს: „ო–ჳეთუ სოფლის შესაქმისაგან...“ (12v). მაგრამ მომდევნო გვერდზე ფეხი დაბლაა დაშვებული: „ო–ჳეთუ ხუარბალი იეო “ (13r). კიდევ: „ო–წყოდე, რამეთუ...“ (13v). მაგრამ გვაქვს ორასოიანი უ–ც: „ოჳ–ჳეთუ წიგნთათჳს გეტყოდა მოჰამედიანნი...“ (9v), „ოჳ–წუოდე, მ, სარკინოზო“ (15r).

იესო თუ იესუ–ს აქარაგმებს ასე: „ი~ჳ“, უფალს – ასე: ო~ო (11r).

მწერალი სისტემატურად იყენებს ძველ ორთოგრაფიას – ჲ, ჯ, ჳ, ჭ ასოებს.

უმარცვლო „ი“: აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში „გამონაკლისის სახით ჲ შეიძლება სიტყვის თავშიც შეგვხვდეს“[1]. ბაგრატის ნაშრომში ასეთი გამონაკლისი არსად დასტურდება. აქ ის, ჩვეულებრივ, სიტყვის შუაში და ბოლოშია. რამდენიმე მაგალითი: „ალი განირინებოდა ეოველთაგან მბრძოლთა მ ი ს თ ა – ჲ“ (1v), „რაჟამს ი ხ უ ა – ჲ განწყობილ იეო ბრძოლად იერიქოსა“ (2r), „რომელსა ეწამების ეოველი ქ უ ე ა ნ ა –ჲ“ (4r), „რამეთუ ეოვლისა ქუეყნისა ც ო დ ვ ა – ჲ ... არა რაჲ არსო“ (7v), „და ასწავა მათ წელიწადსა შინა სამისა დღისა მ ა რ ხ ვ ა –ჲ“ (იქვე), „წინა განწყობ(ა)ჲ მ ა რ თ ლ ი ს ა – ჲ ს არწმუნოებისა“ (8v), „ეზეკ(ი)ა–ჲ“ (11r), „მოგუცა ჩუენ წმიდათა მოციქულთა მიერ ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბა – ჲ და სამოციქულო“ (11v), „რამეთუ არა უღირს ვარ ეოვლისა სასჯელისა და წ ე ე ვ ი ს ა ც ა –ჲ“ და სხვა.

ამ ნიმუშებში ჲ-ის შემცველი ყველა სიტყვა სახელობით ბრუნვაში დგას. ნათესაობითი ან ნანათესაობითია: „მესამესა დღესა ქორწილი იეო კანას გ ა ლ ი ლ ე ა – ჲ ხ – ა ხ ა“, „გამოთქმად ღმრთაებისა ა რ ს ე ბ ა – ჲ ხ – ა სიტყჳთ, გინა თუ სახით, და იეო დედაჲ ი ე ს ო – ჲ ხ – ი“, „მსგაესად განწმედისა მის ჰ უ რ ი ა თ ა – ჲ ხ – ა“ და სხვა.

მოქმედებითია: „სუეტითა ღ რ უ ბ ლ ი ს ა-ჲთ–ა“ (2r), „ბრძანებითა უ ფ ლ ი ს ა-ჲთ–ა“ (3v), „ეტლითა ც ე ც ხ ლ ი ს ა–ჲთ–ა“ (იქვე) და სხვა.

ვიმეორებთ, A–ში ჲ ყველგან ამგვარად, უქარაგმოდ, იკითხება (ამჯერად არ გვაინტერესებს, გრამატიკულად რამდენად სწორია ეს ფორმები).

ბაგრატის ნაშრომში ჲ განიცდის გარკვეულ რყევას. როგორც ეს საშუალ ქართულში გვხვდება, ჲ–ით აღინიშნება ა ასოც. ბევრ შემთხვევაში კონტექსტის მიხედვით და ისედაც

[1] აკაკი შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 20.

აშკარად ჩანს, Ჲ უეჭველად Ა-ს აღნიშნავს: „ანგელოზმანვე ო~ჲმ~ნ (=უფლისამან) ახარა მანოეს“ (2r). „ქ(უე)ე(ა)ნა დაჰპურა კ ე რ პ თ მ ს ა ხ უ რ ე ბ ჲ ს ა (=კერპთმსახურებასა)“ (3v), „მო-ჰამედს ვის მიერსა ბ რ ძ ა ნ ე ბ ჲ ს ა (=ბრძანებასა) მოართმიდა გაბრიელ!?“ (6r), „რომელ არს თარგმანებით: დ ა ბ ჲ დ ე ბ ჲ (=დაბადება) (6v), „მი, კ ა დ ნ ი ე რ ე ბ ჲ ს ა (=კადნიერებასა) უღმრთოსა მოჰ(ა)მედისსაჲ!“ და სხვა.

A-ს მეორე გადამწერი იოანე ვაშალომიძე აღნიშნავს იმ სიძნელეს, რომელიც გადანუსხვისას ქარაგმებს გამოუწვევია: „სიმართლის მცველ გულით ვცადე, მაგრამ ბევრი ქარაგმით ეწერა“ (აღწერილობა, გვ. 105). იგივე უნდა ვთქვათ ჩვენც Ჲ-თან დაკავშირებით. ქარაგმების გახსნისას ზოგჯერ ნათელი არ არის, ავტორი რომელ ასოს გულისხმობს. იმ სიტყვებს, რომლებიც ძველ ქართულში Ჲ-ით არის გავრცელებული, ჩვენ აქაც აჲ//ოჲ დიფთონგით წარმოვადგენთ: რ~Ჲ (რაჲ), რჲმე (რაჲმე), სხჲთა (სხუაჲთა), „ღ~Ჲ“ (ღმრთისაჲ). რამდენიმე ნიმუში კონტექსტთან ერთად: „დაიჯერა დედაკაცმან მან ს ი ტ ე უ ა ჲ (ხელნაწერშია: „სიტყ~ჲ“) მაცთურისა ბერისა“ (1r), „წ მ ი დ ა ჲ „ს ა ხ ა რ ე ბ ა ჲ (ხელნაწერშია: წ~ჲ ს~ხრბჲ) ჰირველად სასწაულად ქორწილსა შინა ღჳნოდ შეცვალებასა წულისასა გუაუწუებს“ (4r), „არამედ მათ მიერითა ზღაჰრობითა განერცლებით აღუწერეს მ ო თ ხ რ ო ბ ა ჲ (ხელნაწერშია „მოთხრობჲ“,) იგი, ვითარცა იტყჳს ს ა ღ მ რ თ ო ჲ (ხელნაწერშია „სღ~ჲ“) წერილი: ... გზა უ ფ ლ ი ს ა ჲ (ხელნაწერშია „ო~ჲ“) მათ არა იცნეს“ (4r) და სხვა.

Ჲ-ს გარეშეა. ზემოთ დავიმოწმეთ Ჲ-იანი წინადადება: „ალი განირინებოდა ეოველთაგან მბრძოლთა მ ი ს თ ა - ჲ“ (1v). თუ აქ Ჲ ზედმეტია, წინ, იმავე გვერდზე,სწორად წერია: „და მიერითგან თანა უვიდოდის ალი მოჰამედს. ვიდრეცა ვალნ... და განარინის ეოველთაგან მბრძოლთა მ ი ს თ ა“, „შემძლებელ იეო ბ უ ნ ე ბ ა კ ა ც ი ს ა“ (2r) და სხვა.

A–ში საკმაოდ ბევრგან ѫ ისეთ უადგილო ადგილასაც გვაქვს, როგორიცაა ზმნის ბოლო: „სახ(ე)ლ სდვაѫ (=სდვა) წიგნსა მ(ა)ს ეურან“ (2v), „ვითარცა ესწავაѫ (=ესწავა) მას ნისტორიანისა მისგან ბერისა“ (2v), „და რ(ა)ѫდ არა რქვაѫ (=რქვა) მას, ვითარმედ“ (3v), და თქაѫ (=თქუა): უკ(უე)თუ ღმერთი არს, წიაღვიდეს იმიერ “ (4v), „მიუდგა მარიამ და შვაѫ (=შვა) ქრისტეო“ (5r), „და ეგრეთ განუტევაѫ (=განუტევა)“ (7r), „და ასწ(ა)ვაѫ (=ასწავა) სხუაѫ დღითი-დღეთი ნათლისღებაѫ წელითა“ (7v), „და ასწ(ა)ვაѫ (=ასწავა) მათ წელიწადსა შინა სამისა დღისა მარხვაѫ“ (7v), „უკეთუ ვინმე სუѫს (=სუას), სჯულისგან განიკადოს“ (7v), „მ(ა)ნ გ(ა)მოთქვაѫ (=გამოთქვა), რ(ა)კ(ა)მს ი(ოან)ეს მ(იე)რ ნათელს იღებდა“ (9v), „ვ(ითა)რ არა რ(ა)ѫ ჰოვაѫ (=ჰოვა) მ(ა)თ შ(ინ)ა კ(ეშმარი)ტ(ე)ბ(ა)ѫ, იხწავაѫ (=ისწავა)...“ (10r), „დიდისა სიხარულისა წიგნი გ(ა)ნ-(გ)ზავაѫ (=განგზავნა)“ (10r), „ს(ა)ხ(ა)რ(ე)ბა ზ(ე)ცით გ(ა)რდამოსრ(უ)ლი არსოѫ (=არსო)“ (13r), „აკ(ურთ)ხა, წ(მიდა)ѫ ოѫ (=წმიდა-ყო), გ(ა)ნტეხა“ (17r), „შ(ემდგომა)დ სერობისა და თქაѫ (=თქუა)“ (17r), „ანუ წიგნი მისი უკითხავხაѫ (=უკითხავს-ა?)“ (17v) და სხვა.

ჳ ასო იმგვარადვე იხმარება ბაგრატის ნაწარმოებში, როგორც ძველ ქართულში იყო მიღებული: „აღამღვრიჳს“, „გჳთხრობს“, „თჳთ“, „თჳთეული“, „თჳნიერ“, თანდებული „თჳს“, „ზრახჳდა“, „კჳრილე“, „მკჳდრ“//„დაამკჳდრა“, „მოსწყჳდნეს“, „მღჳმე“, „მშჳდობისა“, „სიტყჳს“//„იტყჳს“, „ღჳნო“, „შეამთხჳვა“, „წჳმა“ (არის: „ეწვიმაც“-ც, 2r), სახელებში: „ეფთჳმე“, „ეგჳპტე“//„მეგჳპტელი“, „ლევ“ (არის მიღებული ფორმაც – „ლევი“, 10v), „სჳმონ“//„სჳმეონ“ და სხვა. უკვე ვთქვით, *იე-სო*//*იესუ* დაქარაგმებულია: „ი~ჳ“. და სხვა.

იგივე უნდა ითქვას ѱ–ს შესახებ. აქაც რაიმე მნიშვნელოვანი თავისებურება არა გვაქვს. როგორც ძველად იყო მიღებული, ისიც იხმარება ბერძნულის გავლენით შემოსულ სიტყვებში: „ი~ѱლნი“ (ისრაѱლნი), „ისრაѱლისათა“. თუმცა

არის ერთი ასეთი განსხვავება: ძველი ქართული ძეგლების გამოცემებში სახელი „*იერუსალიმი*“ წარმოდგენილია ამგვარად: „*იერუსალჳმი*“. ბაგრატთან ეს სიტყვა ასეა დაქარაგმებული: „*ჳ~ლმი*“//„*ჳ~ლმს*“//„*ჳ~ლმისა*“. ამიტომ მას ასე ეწსნით: „ჱრუსალემი“.

ძველ ქართულში ჩვეულებრივია უ-იანი სიტყვები და გვაქვს აქაც: „დაეკუთების“, „დაცუთილება“, „ეჩუნა“, თუ, „თქუს“, „კუართხი“, „მართუ“, „ნაკუარცხალი“, „საშუბელი“, „სიცრუ“, „სუტი“, „ტყუნვა“, „უკუ“, „უსჯე(ე)ლად“, „უხუბით“, „წარკუთა“, „წინადაცუთა“, „ქუ“, „ძუცლთა“, „ჯუარს აცუცეს“, „ჰრცხუცენოდეს“, შორისდებული „ჰუ“ და ა. შ.

უმარცვლო უ. რა თქმა უნდა, ეს ბგერაც არის: „მიართუა“, „ქურივი“, „ქუეყანა“, „ჯუარი“ და მრავალი სხვა. არის ვ-იანი ფორმაც.

„კარი“: „აღმკოცელი“, „გარდაკდა“//„წარკდა“, „აკოვან“, „გულისკმისუოფა“, „ვენაკი“, „მკნე“, „მკედარი“//-„ამკედრებ(უ)ლი“, „საკმარ“, „საკმილი“ „ფერკნი“, „წიაღკდეს“, „კილვასა“ (მაგრამ არის აგრეთვე „იხილავს“), „კოლო“ (არის „ხოლო“-ც), „კორცითა“, „კევი“, „კმად“. როგორც ძველ ქართულში წესად იყო, აქაც კ ასო ს//შ ბგერების წინ მოიპოვება: „გამოკსნა“//„დაკსნად“// მკსნელი“, „საკსენებელი“, „მოვიკსენო“//მოკსენებითა“, „დაკშულისა“ და სხვა.

ს შეცვლილია შ-თი: სათაურშია „შჯულთა“. შემდეგ: „მცირედ შჯერ“ (ტექსტში ასევე დავტოვეთ).

ბგერათა გადასმა: „შემდგომად ქ რ მ ი ს ა თჳსისა ცოლ ეო მას დედაკაცი“.

ტმესი. ბაგრატი ამ ფორმას საკმაოდ ხშირად იყენებს: „მო-რა-ვიდე, აღვკოცო ეოველი ცოდვად თქვენიო. და წარ-რა-ვიდა იგი და მათ აღსრულეს ეოველი სახე სიბოროტისა“, „შეხოლო თუ-იკდიმონ მისაგან ჩემისა“, „ხოლო აღ-რა-ვიდა ზეცადო, სტეორცა ისარი“, „წარმო-რა-ვიდა, წარმოიღო ნახევარი იგი ვაშლისა და მო-რა-ვიდა იგი მასვე ადგილსსა...“, „ხოლო

და-ღა-თუ სამითა სახითა იცნობების", „და-ღა-თუ არა ჰგონე შენ სინანული-იგი" და სხვა.

სახელები და სახელზმნები

მწერალი **ებიან მრავლობითს** იშვიათად იყენებს. აი, ყველა შემთხვევა: „შეუდგა აქლემ-ებ-ით მსახურებად დედაკაცსა", „არწმუნებს ეოველსა მორწმუნესა თჳსსა ჭამასა და სმასა და სიძვასა უძღებ-ებ-ით", „აღუშენა მათ სენაკ-ებ-ი", „სენაკ-ებ-ი მათი შორს იევნეს ურთიერთას", „შეაწამა ურთიერთარს წიგნ-ებ-ი იგი მეფემან ჰტოლემეოზ", „მათ გჳთარგმნეს ჩუენ წიგნ-ებ-ი ესე ეოველი ბერძულისგან ქართულად", „აჰა, ესერა ებრაული წიგნ-ებ-ი ჰურიათა შორის" (ეს სიტყვა მომდევნო ტექსტში სამჯერ თუ ოთხჯერ კიდევ გვხვდება).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთგან ებიანი და თანიანი მრავლობითები ერთად (ერთ სიტყვაში) გვხვდება: „უკუეთუ წიგნიცა ეგე თქუენი ზეცით მოიელინა, ვანჳიხილოთ (...), რომელნი არა შეგვანდენ წმიდათა წინაწარმეტეველთა წიგნ-ებ-თა და სახარებასა" (13v).

ბრუნვები და მათი ნიშნები

წრფელობითი ბრუნვა. იგი ჩვეულებრივ გვხვდება „არს", „იეო", „იყვნეს", „იქმნეს" ზმნებთან: „იეო უპოვარ და გლახაკ ფრიად, არამედ საქმით ღონიერ და მანქან", „რომელი მეათერთმეტედ ეტლად დაწესებულ არს", „არა იევნეს იგინი უხრწნელ ჰირველ ვნებისა მისისა, არამედ შემდგომად აღდგომისა იქმნეს უხრწნელ და უკუდავ", „სრულ კაც იქმნა", „განმხიელველ იქმნეს", „შემდგომისა მეცნიერ იეოს", „წიგნი იგი ... ამათ ისმაიტელთა ცხორება არს და ...მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუენსა", „არა თუ ეგევითარითა სიმკნითა აკოვან იევნეს, ვითარცა

გკთხრობს ჩუენ წიგნი იგი", „ესე ერმათაცა მიერ მცირეთა საცინელ არს", „მეოთხესა ცასა შინა მჯდომ არს", „უკუეთუ ღმრთისგან სიტეუად არა შობილ არს და არარად გამოსრულ არს, ვისითა ბრძანებითა შეიქმნეს ცანი", „რომელნი არასადა სმენილ არიან, რომელთა უწოდა ფირირნი, რომელნი ცოლ გეექმნებიან სამოთხესა შინაო" და მრავალი სხვა.

საკმაოდ არის სახელობითიც: „მოჰამედ ქადაგებს, ვითარმედ ისმაელ შეწირაო, რამეთუ ნათესავი მისი არს", „გულითა წმიდა იეოს", „უღონოებით მოვნებულ არს", „ანუ ისრაჱლნი იეუნეს ანუ ქრისტიანენი ეოველთავე წინაწარმეტეულად უწოდს", „რომელი ესე სმენადცა შესაძრწუნებელ არს მორწმუნეთა და არცა რად ოდესმე ღმრთისგან გამოვიდაო", „უკეთუ ზეცით მოსრულ არს ფსალმუნი, ...რად წამებად იჰოების მოჰამედისა ფსალმუნსა შინა?", „კუალად იტეოდა სხუასა რადსმე. ესე იგი, საკურთხეველ არსო", „ნათესავნი აბრაჰამისნი წინაწარმეტეუელნი იეუნეს", „ქმარი ჩემი ჴეშმარიტად წინაწარმეტეუელ არსო" და სხვა.

რა თქმა უნდა, **სახელობით ბრუნვაში**, ჩვეულებრივ, თანხმოვანფუძიან სახელებს მოუდით ი („რომელთა თანა იეო ანგელოზი უფლისაჲ" და სხვა უამრავი), ხმოვანფუძიანს – ჲ ანდა არის უნიშნო.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ყველგან – **მან** არის და არც ერთხელ მისი გამარტივებული მ/მა: „ცნა რად ესე ცოლმან მის-მან"; „მოზონ-მან დაჰჯერა", „დაიჯერა დედაკაცმან მან სიტეუად მაცთურისა ბერისა", „რომელმან მოკლას ქრისტიანე", „ანგელოზმან უფლისამან ჰრქუა გედეონს", „და ვითარცა ცეცხლმან რად მოწუნის მაღნარნი და ვითარცა ალმან, რომელმან შეწუნის მთანი" და მრავალი სხვა.

ცნობილია, რომ ადამიანის საკუთარი სახელები სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვებში, როგორც წესი, ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავენ. ასევეა ბაგრატის თხზულებაშიაც (გამონაკლისებს ქვემოთ შევეხებით).

სახელობითი ბრუნვა: „ქამთა უკუე ჰერაკლე მეფისათა გამოჩნდა მოჰამედ"; „იეო მოჰამედ სენითა შავნაღვლიანობისათა ვნებული". „ჰრქუა ღმერთმან აბრაჰამს და შეწირა ისაკ, – მე თჳსი. და აკურთხა ღმერთმან ისაკ", „მოჰამედ ქადაგებს, ვითარმედ *ისმაელ შეწირაო* ", „რამეთუ ჰირველ მუსტაფა ერქუა", „ესიძა მას ალი", „რომელსა მისცა ასული თჳსი ფატმან. და მიერითგან თანა უვიდოდის ალი მოჰამედს", „მაშინ გამოვიდა მოჰამედ, ...და ეწუენეს რა კელავად ალი და მოჰამედ ჰურიათა მათ, ...", „მოხე თჳთ თავადისა ღმრთისად ხილვასაცა ღირს იქმნა". „რომელ არს გაბრიელ", „ჰრქუა ღმერთმან აბრაჰამს და შეწირა ისაკ, – მე თჳსი. და აკურთხა ღმერთმან ისაკ", „ესე უღმრთო მოჰამედ ქადაგებს, ვითარმედ ისმაელ შეწირაო", „ესე აბრაჰამ მხოლოდ ოდენ იცნობდა ღმერთსა ცხოველსა", „უკუეთუ ღმერთს სთნდა ისმაელ ანუ ნათესაჲი მისი?!", „ერთი ძე ესუა მას სასურველი ისაკ", „ფრიად იგლოვდა მას დედამისი მარიამ", „არცა (იტყჳან) სამად ღმერთად გამოსახულად სახედ სამთა კაცთა, ვითარცა ითქმიან აბრაჰამ და ისაკ და იაკობ, და არცა სამთა ანგელოზთა ვითარცა ითქმიან მიქაელ და გაბრიელ და რაფაელ", „მეფობდა ეგვპტეს ჰტოლემეოზ", „დავით და სტეფანე ძველადვე იუნეს იერუსალემს" და სხვა.

მოთხრობითი ბრუნვა: „ამან უღმრთომან მოჰამედ იწეო სახელის დებად", „ხოლო ისაკ აკურთხა იაკობ", „განაძო აბრაჰამ მან აგარ მხევალი მისი", „იხილა იაკობ ბანაკი უფლისად", „ჰტოლემეოს წარავლინნა და შეკრიბნა წიგნნი", „ხოლო იესუ ჰრქუა მათ", „ავგაროზ შემუსრნა კერპნი თჳსნი" და სხვა.

წოდებითი: „მოკვრბით და ისმინეთ, ისრაილ, მამისა თქუენისა!“, „ისმინე, ისრაჲლ, უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში არის გამონაკლისიც. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „ადამიანის საკუთარი სახელი სახელობითის ნიშნით გვხვდება VII საუკუნიდან, მოთხრობითის ნიშნით IX საუკუნიდან, წოდებითის ნიშნით – X საუკუნიდან. ასეთი ფორმები ასახავენ ცოცხალ მეტყველებას“[2].

ჩვენს თხზულებაშია სახელობითი და მოთხრობითი: „სადა საკურთხეველი აღაშენა აბრაჰამ, მუნ დაამკვდრა ისმაელ-ი“, „იცრუსალემს აღაშენა აბრაჰამ საკურთხეველი და ისმაელ-ი განაძო უდაბნოს მას“, „მიუდგა რაჲ სარრა, ცოლი იგი მისი, და შვა ისაკ-ი“, „თქუა ღმერთმან: ... გამოვსცადო მეცა აბრაჰამ-ი“, „ადამ და ევაჲ, ოდეს გარდაკდეს მცნებასა ღმრთისასა ..., უქმნა უფალმან ღმერთმან ... მისსა სამოსელი ტყავისა“.

აკაკი შანიძე წერს: „«ქრისტე» ნაწილობრივ ისე იბრუნვის, როგორც საკუთარი სახელი, და ნაწილობრივ ისე, როგორც საზოგადო“[4]. ასევეა ბაგრატის ნაშრომში: „არა ეგრეთ ბრძანა ქრისტე-მან, ვითარმედ, რომლის სახელი აჰმად, არამედ, – ...ჰმაე“.

ბატონი აკაკი იქვე აღნიშნავს, რომ ძველ ქართულ ენაში საკუთარ სახელებს, ჩვეულებრივ, „საერცობი ა არ დაერთვის მიცემითში, ნათესაობითში და მოქმედებითში“[5]. ასევეა ბაგრატთანაც, მაგრამ გვაქვს ამ საერცობიანი საკუთარი სახელებიც. პირველის ნიმუშები: „ჩუენებით იხილავს შჯაბრაილს“, „დამარხული აქუნდა იგი გაბრიელ-ს-ო“,

---

[2] ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), თბ., 1997, გვ. 32.

[4] აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, გვ. 41.

[5] იქვე, გვ. 41.

„გამოვიდა მოჰამედ... და მიეკებოდა ალი.ხოლო ალი გაეხარნეს“, „აბრაჰამს უცხო თესლთა მიმართ თანამბრძოლ ექმნა ანგელოზი უფლისაჲ და მოსეს წინა უძღოდა სუეტითა ღრუბლისაჲთა“, „ანგელოზმან უფლისამან ჰრქუა გედეონს“, „წინაწარმეტეუელსა ილიას ჰრქუა... ანგელოზმან“, „ესაიას ბაკეთა შეახო ნაკუერცხალი ცეცხლისა“, „დაამტკიცებს ნებროთის მიერ აღზრდასა ორთა მართუკთა ფაშკუნძისა“, „მოწამესა გიორგის სახელსდებს ჯირჯის ფეღამბარ“, „რუბენის..., იზაქარის, ზაბულონის, გადის, ასერის, დაანის, ნეფთალიმის, იოსების, ბენიამენის ნათესავისაგან“, „აბრაჰამისით-გან ვიდრე ჰერაკლე მეფისამდე, ... ესე უღთო მოჰამედ გამოჩნდა“, „აღსუა იგი აქლემსა დედითურთ მისით ა გარით“, „მისთჳს მოეცა წმიდასა მოციქულსა ჰეტრეს შემდგომად იესუს ამაღლებისა“. და სხვა.

ა სავრცობიანები: „რად არა რქუა მას, ვითარმედ: მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ისმაელისი და ისაკის-ა“, „რაჟამს ამალეკს-ა ებრძოდა, შეეწია მას ძალთა მთავარი უფლისაჲ“, „რად წამებაჲ იპოვების მოჰამედის-ა ფსალმუნსა შინა“, „უკუეთუ შენ მოსეს-ა არა გრწამს, ...მე შენთა სიტეუათა ვერ მრწმენეს“, „შემდგომად საულის-ა, ...თჳთ დავით წინაწარმეტეუელი იეო“, „განკაცნა და იშვა... ემმანოელ წინაწარმეტეუელებისამებრ ისაიას-ა“, „ჰირი დაეოფვის ძალითა ქრისტესით-ა, წიგნითა მოსესით-ა და მეფეთა სახარებითა“.და სხვა.

მიცემითი ბრუნვა გამოხატავს *სადაობითობასა* და *მიმართულებითობას*: „მივიდა ნაჯაფს“, „მეფობდა ეკვიტეს ჰტოლემეოზ“, „და მიუძღუანა... საკურთხეველიცა... მსახურებისათჳს წმიდასა მას ადგილსა“, „მათე ებრაელებრ აღიწერა იჳრუსალემს..., მარკოზ ალექსანდრიას..., ლუკა - ჰრომს...“, „რომელნი წარვიდეს იჳრუსალემს და მთაწმიდას“, „ესენი წარვიდეს იჳრუსალემს და მთაწმიდას“, „მიწერა ებისტოლე

ჰტოლემეოს იერუსალემს მოღვაწეთა მიმართ", „აღვიდა მოსე მთასა მას სინასა". და სხვა.

მოქმედებითი ბრუნვა გამოხატავს *გამოსვლითობას*: „რაჟამს გამოვიდოდა იგი ქუეყანით ეგვპტით", „ამკედრებულნი ფარშამანგსა სამოთხით განიხადნესო", „ფსალმუნი ზეცით მოსრულ არს", „რაჲსა მცნებასა ღმრთისასა გარდაჴდა ადამ და ევა, რომელ სამოთხით ექსორია იქმნეს?" და სხვა.

ვითარებითი ბრუნვა გამოხატავს მიმართულებითობას: „აღიტაცა ეტლითა ცეცხლისაჲთა ზეცად", „რომელი მიეყიდა ეგვპტედ", „არავის ჩუენდა მომართ მლოცველსა უტეეებთ ჯოჯოხეთად", „თჳთ დაემკჳდრა ქუეყანასა იერუსალემისასა, ვიდრე შთასლვამდე ისრაჱლისა ეგვპტედ" და სხვა.

მსაზღვრელ-საზღვრული. ატრიბუტული: *პირდაპირი წყობა*[6]. შეთანხმება ბრუნვაში: „ახალ-ი მწჳალებელ-ი" და მრავალი სხვა.

შეთანხმება რიცხვში: „აღიჭურა ოდესმე მოჰამედ და წარვიდა ბილწ-თა ჰურიათა", „ანგელოზი იგი ეოველ-თა წინაწარმეტეველ-თა მიივლინებისო" და სხვა.

შებრუნებული წყობა. შეთანხმება ბრუნვაში:

„სტკიოდა მას თუალ-ი ერთ-ი" და მრავალი სხვა.

მართული. *პირდაპირი წყობა.* შეთანხმება ბრუნვაში: „შეუდგა აქლემებით მსახურებად დედაკაცსა, ვისმე თჳსა ნათესავ-ს-ა", „დაიჭერა დედაკაცმან მან სიტეუად მატურ-ის-ა ბერ-ის-ა" და სხვა.

შებრუნებული წყობა.

„იეო მოჰამედ სენი-თ-ა შავნაღველი-ანობისა-თ-ა ვნებული", „უქმნეს მას საბურველ-ი

---

[6] აქ და ქვემოთაც „პირდაპირი" და „შებრუნებული" ახალი ქართულის თვალსაზრისით არის დასახელებული.

ჰირისა“, „რომელ არს რჩეულ-ი ღმრთისა-ჲ“, „მკვდრ იყო უდაბნო-ს-ა მადიამისა-ს-ა“, „ეძიებნ... სიტეუა-ს-ა სჯულისა-ს-ა“, „შემდგომად ქრმ-ის-ა თკს-ის-ა ცოლ ეყო“ და სხვა.

შეთანხმება რიცხვში: „მოისრნეს სჰა-ნ-ი მოჰამედის-ნ-ი“, „ვერ შეადგმიდეს თუალთა ძე-ნ-ი ისრაჟლის-ნ-ი“, „ვალნ რაჲ იგი ... ეოველთა მათ ადგილ-თა არაბეთისა-თა“, „მოჰამედ ... წარვიდა ბილწ-თა ჰურია-თა“ და სხვა.

როცა ვლაპარაკობთ მსაზღვრელისა და საზღვრულის ურთიერთმიმართებაზე, ბაგრატის ნაშრომი ძველ ქართულს ყველაზე მეტად ჲ-ის გამოყენების მხრივ შორდება. ზემოთ ვთქვით, ჲ მასთან უკვე მერყეობას განიცდის.

შედგენილი სახელები: „არიან ღმერთ-ვნებულ-ნი“, „რომლისა კლიტეთმჴერობელი მოჰამედიანი არს“.

ნაცვალსახელები: არ ვეხებით იმ ნაცვალსახელებს, რომლებიც ძველსა და ახალ ქართულში ერთნაირია: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, იგი, მაგან, ამის, მაგის და სხვა.

ძველები: „ესე მოჰამედ ჰირველად ობოლ იქმნა“, „მიუგე მას ესე ეოველი“, „ესე ოცდაოთხი წიგნი წარსცეს“, „ამან ჰტოლემეოს წარავლინნა და შეკრიბნა წიგნნი ეოველთა ნათესავთანი“ და სხვა.

ზმნები

ზმნისწინები, როგორც წესი, გამარტივებული არ არის: „ალი განირინებოდა ეოველთაგან მბრძოლთა მისთაჲ“, „მოჰამედ... შთაწვა გუამებსა მას შორის“, „შთამოვების წელითრღუნასა“, „ვინც ჰირველად შთავარდის“, „არავინ სენსა რახმე ბოროტსა შთააგდო“, „უფროსდა განამლიერის და აღავსის ეოველითა მხიარულებითა“, „მახვილითვე თკსითა წარკუეთა თავი“, „აღიტაცა ეტლითა ცეცხლისაჲთა ზეცად“, „ანგელოზმანვე უფლისამან აღმართა“, „ანგელოზმანვე უფლისამან აღამღვრიკს... საბანელი“, „ვინც ჰირველად შთავარდის, განიკურნის“,

„ამკედრებულნი ფარშამანგსა სამოთხით განიხადნესო“, „განწმიდნა იგი წინასწარმეტყველად“, „რომელი გამოითარგმანების“, „აღვიდა ზეცადო“, „წარმოიღო ნახევარი იგი ვაშლისა“, „რაჲ იგი მცირედ განიშორის“, „განიეცეს სჯული მათი“, „ამიერითგან მხილებისა მიმართ აღვიდეთ ბოროტად მოციქულებისა მისისა“, „მათ თავნი თჳსნი შთასთხინეს წარსაწყმედელსა“, „განტეხა და მისცა იგი წიდათა მისთა მოწაფეთა“...

სახელ ზმნებში: „იხილვნეს ცანი განკმულნი და სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი მის ზედა“, „მიუძღუანა ... საკურთხეველიცა, ოქროსა აღმზადებული და აღმკული ფრიად ასოცისა საწონელისა“ და სხვა.

არის გამონაკლისიც, ზმნისწინი გამარტივებულია: აღ→ა: „ძე ქურივისა მკუდარ ა ე დ გ ი ნ ა“, „ა ჰ კ ი დ ა ოდვსმე ვირსა მრავალდღე ნაშრომი იგი მისი“.„ხოლო ალის გ ა - ე ხ ა რ ნ ე ს “.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველად იხმარებოდა „ზმნისწინთა ორი წევილი, რომლებიც ახალ ქართულს აღარ გადმოჰყოლია. ესენია უკუნ-უკმო და წიაღწიაღმო“ [7]. ბაგრატთან არის მხოლოდ წიაღ: „ისრაჱლნი წიაღ-კდეს ულტოლველად“, „უკეთუ ღმერთი არს, წიაღვიდეს იმიერ!“

პირის ნიშნები: მრავლობითი რიცხვის ობიექტური წყობის პირველი პირის ნიშანი, როგორც მიღებული იყო ძველ ქართულში, აქაც არის გუ: „წმიდაჲ „სახარებაჲ“ ჰირველად სასწაულად ქორწილსა შინა ღჳნოდ შეცვალებასა წყლისასა ბ უ - ა უ წ ე ე ბ ს“

არქაული ზმნა: თანამედროვე სიტყვა „არის“ ყველგან წარმოდგენილია ძველქართულისამებრ – „არს“, ხოლო აქაიქ გამოხატულია „ა“ ასოთი: „იხილავს შ ჯ ა ბ რ ა ი ლს მთავარანგელოზსა, რომელ ა რ ს გაბრიელ“. „უფალი შ ე ნ თ ა ნ -

[7] ივანე იმნაიშვილი, ვახტანგ იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწილი I, მაინის ფრანკფურტი, 1996, გვ. 5.

ა ძლიერი მალითა!“, „ნიავ წურილსა მახ შ ი ნ – ა უფალი“ და სხვა.

დონიანი ენებითი:

„რომელსა ჰრწმენეს... ც ხ ო ვ ნ დ ეს“.

ნარიანი ენებითი: „ცნა რად ესე ცოლმან მისმან, შ ე წ უ ხ ნ ა ფრიად“, „გ ა ნ წ მ ი დ ნ ა იგი წინახწარმეტყველად“, „ნუ დ ა ს დ უ მ ნ ე ბ ი, ნუცა დ ა მ შ კ დ ნ ე ბ ი, ღმერთო“.

ნარიანი პირდაპირი ობიექტი ზმნაში მეორე და მესამე სერიებში ძველქართულისებურად აღინიშნება მრავლობითის „ნ“ ნიშნით: „ა კ უ რ თ ხ – ნ – ა ათორმეტნი იგი მამათა მთავარნი, ძენი თჳსნი და თქუა“, „მ ო ს რ – ნ – ეს სჯანი მოჰამედისნი“, „ფარაოეთნი მეკჳპტელნი დ ა ა ნ თ ქ – ნ – ა მეწამულსა“, „მათ თავნი თჳსნი შ თ ა ხ თ ხ ი – ნ – ეს წარსაწყმედელსა“, „ი ხ ი ლ ვ – ნ – ეს ცანი განკმულნი“, „წიგნნი მათ ეოველთანი სიტჳთა ებრაელებრითა ა ღ ი წ ე რ – ნ – ეს“, „ჰტოლემეოს წ ა რ ა ვ ლ ი ნ – ნ – ა და შ ე კ რ ი ბ – ნ – ა წიგნნი“, „მათ... წ ა რ ს ც – ნ – ეს წიგნნი იგი“, „უფალმან...გ ა მ ო კ ა ღ – ნ – ა იგინი სამთხისა მისგან“, „მ ო ა ვ ლ ი ნ – ნ – ა მონანი მისნი მოქმედთა მათ.. და შ ე ი ჰ ე რ – ნ – ეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი“, „აჳკაროზ შ ე მ უ ს რ – ნ – ა კერპნი თჳსნი“, „ი ხ ი ლ ვ – ნ – ეს ცანი განკმულნი და სული ღმრთისაჲ“, „მრავალჯის უცხონი მოთხრობანი ი ჰ ო ვ ნ – ენ, რომელნი არა შ ე გ ჳ ა ნ დ – ენ წმიდათა წინასწარმეტყველთა წიგნებთ“ და მრავალი სხვა.

უღლება

ბაგრატი ამ მხრივ იცავს ძველ ქართულში მიღებულ ნორმებს და რაიმე თავისებურებას არ ავლენს.

აწმყო:

„იხილავს შჯაბრაილს მთავარანგელოზსა ... და ვერ უძლებს კილვასა მისსა და ქუეყანად დ ა ე კ უ ც თ ე ბ – ი – ს“, „ანგელოზი იგი ეოველთა წინაწარმეტყველთა მ ი ი ვ ლ ი ნ ე ბ –

ი-ს-ო“, „შთამოვევებ-ი-ს წელითრღუნასა და გოდლის წილ დაამტკიცებს ... აღზრდასა ორთა მართუკთა“, „არა ითქუმ-ი-ს სამად თუალად, არამედ – ერთად“, „ვინც ჰირველად შთაჯარდ-ი-ს, განიკურნ-ი-ს“, „არცა ერთი წიგნთა მათგანი იჰოებ-ი-ს თქუენ შორის“, „უქად-ი-ს უმარს და კუალად უქად-ი-ს ოსმანს“, „უოველთაუე წინაწარმეტეუელად უწოდ-ს და ეგრეთღა მოვალ-ს შობასა ზედა და აღზრდასა მოჰამედისასა“, „ხოლო და-და-თუ სამითა სახითა იცნობებ-ი-ს“, „არცა ერთი წიგნთა მათგანი იჰოებ-ი-ს თქუენ შორის“, . და სხვა.

მრავლობითი:

„მის წიგნისა მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჯანიანად უწოდ-ენ“, „ალის იმამად უწოდ-ენ“, „ვითარცა გონება და სიტეუაჲ და სული არა ითქუმ-ი-ან სამად ცხოველად, არამედ – ერთად; და ვითარცა ძირი და რტო და ფურცელი არა ითქუმ-ი-ან სამად ხედ, არამედ – ერთად და ვითარცა წუარო და მისგან მდინარე და მერე მისგან ტბაჲ არა ითქუმ-ი-ან სამად ბუნებად, არამედ ერთად; და ვითარცა ცისკარი და განთიადი და ნათელი არა ითქუმ-ი-ან სამად მართლიად, არამედ – ერთად, რამეთუ მისგან იშუნ-ი-ან და ერთ ბუნებაჲ არიან“, „ესე ოცდაოთხი წიგნი წარსცეს..., რამეთუ რომელნიმე ურთიერთარს მიეთვლე-ი-ან და კუალად წიგნად აღირაცხკ-ან“. და სხვა.

აწმყოს ხოლმეობითი:

მხოლობითი რიცხვი: „და ვალ-ნ რაჲ იგი ვაჭრობად იერუსალემს და ეოველთა მათ ადგილთა არაბეთისათა, ისწავებ-ნ და ეძიებ-ნ ეოველთუან სწავლულთა... სჯულსა“, „იეო მოჰამედ სენითა შავნაღვლიანობისათა ვნებული და დასცემ-ნ მას ჰაემანსა თჳსსა“. „მონაზონი ვინმე ... ჰოვა მან ... და მას ეზრახებ-ი-ნ მარადის“, „ნუ იეოფ-ი-ნ!“ და სხვა.

მრავლობითი რიცხვი: „და ვითარცა ცეცხლმან რაჲ მოწუნის მაღნარნი და ვითარცა ალმან, რომელმან შეწუნიხ მთანი..., ჰრცხუჲნოდ-ედ და შეძრწუნდ-ედ უკუნითი უკუნისამდე და სირცხვლეულ იქმნ-ედ და წარწუმდენ!“ (7r), „შეეღნ-ედ მღუდელნი და მსახურებასა მას და შესაწირავსა ღუნისახა და ჰურისახა აღასრულებ-ედ“.

უწყვეტლის ხოლმეობითი:

„არცა იძლე-ოდ-იხ ბრძოლასა შინა“ და სხვა.

მეორე ხოლმეობითი:

„უმრავლესთა ბრძოლათა შინა იძლი-ი-ხ, ვიდრე არა ესიძა მას ალი“, „ოდეს ერმაღა იეო იესუ, ხახუდა მფრინველთა თიკისათა, შთაბერ-ი-ხ სული და განხოველნ-ი-ხ იგინიო“, „რაჲ იგი მცირედ განიმორ-ი-ს, უქად-ი-ს უმარს და კულავდ უქად-იხ ოსმანს“. „ჴძმეს კორცსა ცხენისახა და აქლემისახა, რომელ ძუალიცა მისი შემუხრ-ი-ან და ტკნითურთ გამოსწოვ-ი-ან“, „რაჲ სიტეცად გამოახვ-ი-ან ჰირველთა თარგმანთა, იყივე დააკლ-ი-ან მეოთხეცა, დ რომელი დახძინიან, მათცა იყივე დახძინ-ი-ან“ და სხვა.

წყვეტილი: „უკუეთუ გრქუახ, ვითარმედ: რომელსა ენახა ზედა ითარგმან-ედ წიენნი იგი ებრაულნი? – შენ მიუგე მას – ბერძულსა!“, „რაჲთამცა ხთქუ, ვითარმედ მტეუარ არს ღმერთი“, „რომელმან მოგეც შენ ნახეცარი ესე კაცსახა“. და სხვა.

ცნობილია, რომ უწყვეტლისა და წყვეტილის მესამე პირში, სადაც ახალქართულში არის -ნენ, ძველად იყო -ეხ. ასეცაა ბაგრატთანაც: „მეფენი და მღუდელნი მთავან განმოვიდ-ოდ-ედ და დიდ-დიდნი წინაწარმეტყუელნი“, „ისმაჲლტელნი განმოვიდ-ოდ-ედ და იეჳნ-ედ ეოველნი ქრთაქნად მცხიბლნი, მტაცებელნი, მეშფოთენი, მჭაბუკნი და ეოველდღე უჭოგნარნი“, „არცა ჴამ-დ-ედ კორცსა ღორისახა და ირემ თეუანიხცემ-დ-ედ კელით ქმნილსა რაჲსმე“,

„ყოველნი ნათესავნი მიდრკ-ეს უღმრთოებისა მიმართ და უზორვი-დ-ეს ეშმაკთა“, „იხილვ-ნ-ეს ცანი განკაშულნი და სული ღმრთისად“ და სხვა.

მეორე ბრძანებითი: უფალო, „მოიხედ-ე-ნ კმასა ლოცვისა ჩემისასა, ღაღადებასა ჩემსა შენდამი!“ „ევ-ენ იგინი, ვითარცა მადიამი“, „სირცხვილულ იქმნედ და წარწედ-ე-ნ!“ „გარნა გვრწმენ-ი-ნ მამა, ძე, რომელი იშვა მისგან“, „ხოლო უკუეთუ არა იჰოვნ-ე-ნ სრულებით, ვითარ გურწმენეს?“ და სხვა.

მეორე კაუშირებითი: „აჰა, ქალწული მიუდგ-ე-ს და შვ-ე-ს ძე და სხვა.

პირველი თურმეობითი: „არცა წინაწარმეტყველთა მიერ გჳსწავ-ი-ე-ს“, „ქრისტეს სახარებისა მიერ გჳრწმუნებ-ი-ე-ს და სჯული წმიდათა მოციქულთა მიერ დაგჳმტკიცები-ე-ს“, „რამეთუ კაცი სარ და გიეოფ-ი-ე-ს თავი შენი ღმერთ“, „თქუენ დღითი-დღედ ეგე ნათლისღებად აღმოცელად ცოდვათა თქუენთა გიჰურ-ი-ე-ს“ და სხვა.

რთული ზმნები და სახელზმნები: „სიტკს-გება ქრისტიანეთა მიერ“, „კაცობრივი იგი ბუნებად თავს-იდებდა ჰურიათა მიერსა ბასრობასა“. „რადთამცა გარეშეიწერებოდა ღმერთი“, „არცა გარეშეიწერების საზღვარი ღმრთაებისა კაცობრივისა მიერ ბუნებისა“, „კაცობრივი იგი ბუნებად თავს-იდებდა ჰურიათა მიერსა ბასრობასა“, „გულისკმაეო იესუ“, „მოიგლინა და ნუგეშინისცა მარიამს“, „რომელთა პელეგეს ღმრთაებისა მიებად“, „უფალო, ღაღადევაე შენდამი, ისმინე ჩემი!“, „რომელმან სახელ იდვა ეფრემ მცირე“.

„მონაზონი ვინმე ნესტორიანი ჰოვა მან ექსორციაქმნილი წვალებისათჳს მისისა ქუეყანასა“, „ღმერთი ჩუენი, ცეცხლ-შემწუელ ურწმუნოთა, მარადის ცოცხალი

ერთა არს წმიდაჲ სამებაჲ განუყოფელი“, „ტაბლა მეო-ფელი მანანასი“ და სხვა.

სიტყვა „თაყვანისცა“ წარმოდგენილია უმეტესად ერთი ს-თი, აქა-იქ – ორი ს-თი: თ(ა)ყ(უ)ანის-სცა“.

ზმნიზედა: ბაგრატთან დასტურდება ძველ ქართულში გავრცელებული ზმნიზედები: „რომელნი არასადა სმენილ არიან“, „მოსე ესრეთ იტეკს და მოჰამედ – ეგრეთ“, „განუყოფელი, ვითარცა მზე და ნათელი და მცხინვარება“, „კუალად მანცა ახლად გჳთარგმნა მწერალთა მიერ განრეუნილნი ოველნი წიგნნი“, „იგინი ერთითა მით ცუდითა წიგნითა ... დაამტკიცებენ სჯულსა მათსა“, „და აღუშენა მუნ საკურთხეველი უფლისა“ და სხვა.

თანდებულები. არაფერს ვამბობთ მარტივ თანდებულებზე: მი-, მო-, -გან, -თჳს, რითაცა და სხვებზე, რომლებიც ახალ ქართულშიც ამავე სახით არის წარმოდგენილი. აღვნიშნავთ მხოლოდ იმათ, რომლებიც ძველქართულში გვაქვს, ხოლო ახ-ალში გამარტივებულია: „იხილვნეს... სული ღმრთისაჲ, გარ-დამომავალი მის ზედა“, „ერთსა სიტეუასა ზედა იპოვნეს თარგმანებული იგი“, „ისერებდეს ტაბლასა ზედა მეფისასა“, „რომელთა თანა იეო ანგელოზი“, „მიუძღუანა ებისტოლესა თანა საკურთხეველიცა“, „და მიუძღუანა ებისტოლესა თანა საკურთხეველიცა“, „ნათესაჲთა მომართ მოსრულ არს ქრის-ტე“, „ბრძოლათა შინა იძლიის“, „არცა იძლეოდის ბრძოლასა შინა“, „სახმილსა შინა ეჩუენა ანგელოზი“, „შეაუენა ორ-ორი თჳთოსა ხენაკსა შინა“, „არა ერთსა ტაძარსა შინა ერთგზის წელიწადსა აღვასრულებთ მას“, „ეკლესიასა შინა წმიდათა მღუდელთა მიერ... მოჳღებთ ნაკურთხევსა წუალსა“, „აწ წიგნი ეგე წინაწარმეტეველთანი თკიერ შურისა და ორგულებისა მომიძღუანენით“ და სხვა.

ცალკე უნდა აღინიშნოს წიაღ, რომელიც ახალ ქართულში აღარ გვხვდება: „ვითარცა მიიწია წიაღ მდინარისა“.

კავშირები. აქაც უყურადღებოდ ვტოვებთ ახალ ქართულში შემორჩენილ კავშირებს (და, არამედ, რომელსა, რომლისა, ხოლო...), რომლებიც ამ ტექსტში მოიპოვება. ვუთითებთ, რაც ძველქართულია: ანუ (=ან): „რომელმან მოკლას ქრისტიანე, ანუ მოიკლას მის მიერ, ორთავე მიზეზითა ცხოვნდეს“, „თუ რაჲ სჯული მოცა მოსეს, ანუ რაჲსა ჰქადაგებდეს წინაწარმეტყველნი, ანუ ვითარ ქრისტე, გინა ქრისტიანობაჲ, ამას ყოველსავე უმეცარ იყვნეს“, „უცნობოდ მეოფობისა მქონებელ არს, ვითარცა ჭურჭელი რამე საცხე, გინა რკინა, ანუ ქვა და სხუაჲ“, „და-ღა-თუ სამითა სახითა იცნობების, გარნა არა ეთქუმის მას სამი მზე, არამედ ერთი“, „გარნა სახელი ხისა მის არა აუწყა“. „მოჰამედ მზაკუარებისა მანქანებითა დააჯერა, ვითარმედ ჩუენებით იხილავს შჯაბრაილს“, „მონაზონმან დააჯერა და გულსავე ეო, ვითარმედ ჭეშმარიტად ეგრეთ არსო“, „ესე უღმრთო მოჰამედ ქადაგებს, ვითარმედ *იხმაელ შეწირაო*, რამეთუ ნათესაჲ მისი არს“, „უკუეთუ გრქუას, ვითარმედ: შენ რომლითა წიგნითა მოუთხრობ, რამეთუ წარმართი ხარ“. „და უჰირატეს ყოველისავე ამცნო მათ, რაჲთა ღჳნოსა არვინ მორწმუნეთა მისთაგან სუმიდეს“, „იწეო ბრძოლად ..., რაჲთამცა არწმუნა მათ ცრუ წინაწარმეტყუელებაჲ იგი თჳსი“, „აღ-რა-ჳიდა ზეცადო, სტეორცა ისარი, რაჲთამცა მოკლა ღმერთი და თჳთ ღმერთ იქმნაო“, „ებრძანა ... ღმრთისა მიერ აბრაჰამს, რაჲთამცა არა აღერია ნათესაჲ მისი წარმართთა“, „აღივსნეს შურითა და სდევნიდეს მას ჰურიანი, რაჲთამცა მოკლეს იგი“, „და აღუშენა მუნ საკურთხეველი უფლისა, რომელი-იგი ეჩუენა მას“. „რაჟამს გამოვიდოდა იგი ქუეყანით ეგჳპტით, რამეთუ ფარაოეთნი მეგჳპტენი დაანთქნა მეწამულსა“, „რაჟამს ეწეუნეს, იძლია მოჰამედ“. „რამეთუ ესრეთ ალი განირინებოდა ეოველთაგან მბრძოლთა მისთაჲ, და იგი იტეოდა, ვითარმედ ანგელოზი იგი არს ჩემთანა“, „მოჰამედ იწეო სახელის დებად..., რამეთუ ჰირველ მუსტაფა“, „ამან უღმრთომან მოჰამედ აღაწერინაცა

წიგნი რადმე ასულით სიძეთა თკსთა – ალის და უსმანს, რა-მეთუ თკთ არა უწეოდა წერილი", „რადოდენ სთნდა ღმერთსა, ანუ შემძლებელ იყო ბუნება კაცისა, რომელი-იგი შემოქმედი არს ანგელოზთა და არა რად უჯერო შეემთხჳა მას". „მოჰამედ იწყო სახელის დებად, რომელ არს რჩეული ღმრთისად". „აღიჯურნეს და მოვიდეს, სადა-იგი იუნეს ჰურია-ნი", „მაშინ გამოვიდა მოჰამედ, სადა-იგი დაფა-რულ იყო, და მიეგებოდა ალის". „უკუეთუ ღმრთისგან სიტეუად არა შობილ არს..., ვისითა ბრძანებითა შეიქმნეს ცანი და ქუეანად", „უკეთუ ფსალმუნი ზეცით მოსრულ არს, უსმინოს რადსა იგი იტეკს ... ამათ ისმაიტელთათჳს", „უკეთუ ზეცით მოსრული არს ფსალმუნი, ... რად წამებად იჰოების მოჰამედისა ფსალმუნსა შინა, ანუ „შე-საქმესა", ანუ სახარებასა ეოვლად სადაცა", „რამეთუ ჯერ არს მორწმუნისა ჩემისა, რადთა ორი ესე დაფარული ეჰერას სჯული და ანუ თუ ვინ არს", „უკეთუ იუნენ უკურნებელ, ვეღტოდეთცა, რადთა არა მოვიღოთ უძ-ლურებისაგან მათისა", „უკეთუ გრქუას, ვითარმედ, რადსათჳს განკორციელდა ქრისტე ანუ ვისსა მომართ მოიელინა? – შენ მიუგე მას", „მოგუცა ჩუნცა წიდათა მამა-თა მიერ აიაზმა და არა ეგრეთ, ვითარმცა თქუენ, რა-დთამცა თკს თკსად ვიკურთხეედით წელისა". და მრავალი სხვა.

ნაწილაკები. არც აქ ვაქცევთ ყურადღებას იმ ნა-წილაკებს, რომლებიც ძველსა და ახალ ქართულში ერთნაირია: არა, არათუ, ნუ, ცა, ვე, ღა, ო და სხვა.

როგორც ძველ ქართულშია, აქაც გვაქვს კითხვითი ნაწილაკი „ა": „გრწამს-ა მოსე, დიდი იგი წინაწარ-მეტეუელი?", „გრწამს-ა წიგნი «თავრათი», რომელ არს «დაბადებად»?", „დაუკლავთ-ა მათ ძეთა და ასულთა ჩუენთა..., რომელ არს ბომონი?", „წიგნი მისი უკითხავს-ა, რამეთუ ეოველსა წერილსა უმეცარ იყო, ანუ ნათესავთაგანი არს-ა ისრაჱლთა?"

ასევე გვაქვს კითხვითი ნაწილაკი მე. ჯერ მე და შემდეგ ა: „უკუეთუ გიეგარ-მე-ა, დაუტევე კერპის მსახურებად“ (15v).

მე-ს აქვს განუსაზღვრელობის შინაარსიც: „რომელთა-მე ეწოდა მავალი, რომელთა-მე – ჯაფარი, რომელთა-მე – ნავი, რომელთა-მე – შაკჰი, რომელთა-მე – მალიქი, რომელთა-მე – ჰბალი და რომელთა-მე – თაშბალი“

„იგი“=„ც“-ს: „რომელი-იგი ერთითა ტეორცნითა ქვისათა“, „რომელი-იგი განმზადებულ არს“, „შემდგომად საულისა, რომელმან-იგი თავი მოიკლა მახვილითა“, „სისხლმან ქრისტესმან, რომელმან-იგი სულითა საუკუნოდ თავი თჳსი შეწირა..., განწმიდნეს გონებანი“, „მივიდა ნაჯაფს, სადა-იგი მოიკლა მოუასისა მიერ“.

მოქმედია „მცა“ ნაწილაკი: „სტეორცა ისარი, რაჲთა-მცა მოკლა ღმერთი“, „სდევნიდეს მას ჰურიანი, რაჲთა-მცა მოკლეს იგიო“, „ამცნო მათ, რაჲთა-მცა არა ჯამეს ხუარბალი“, „ვითარ-მცა დაუტევნით ... ჭეშმარიტებითა სავსენი მოთხრობანი“, „ესე ეოვლადვე არა ეგების, რაჲთა-მცა სთქუ, ვითარმედ მტეუარ არს ღმერთი“, „მამასა თქუენსა სწადოდა, რაჲთა-მცა იხილა დღე ესე ჩემი“, „მოაელინა... მხატვარი, რაჲთა-მცა გამოწერა ხატი იესუსი“. და სხვა.

შორისდებულები: ზურაბ სარჯველაძე წერს: „ძველ ქართულში შორისდებული მეტად იშვიათია. დასტურდება მ(ოჰ), ვაი, ვაშა“[7]. ბაგრატი დინჯი მთხრობელია, მაგრამ აქაიქ თავის ემოციებს მკვეთრად გამოხატავს და იყენებს ისეთ შორისდებულებსაც, რაც ახალ ქართულშიც მოიპოვება.

ძველი მ, ანუ „ოჰ (ჰოე)“, ზოგჯერ მარტოდ წერია, ზოგჯერ კი „ი“ ასო დაერთვის: „განიხილეთ, მი, მორწმუნენო!“, „მი, კადნიერებასა უღთოსა მოჰამედისაჲ!“, „გეევნით ჩუენ, მ,

[7] ძველი ქართული ენა, გვ. 162.

ისრაჱლნო!“, „უწეოდე, მ, სარკინოზო, რამეთუ ჳენაკი იგი, რომელი დაასხა ღმერთმან, სამოთხე არს!“

მეორე: „იგინი ერთითა მით ცუდითა წიგნითა და მოჰვენებულითა ტუჳილითა დაამტკიცებენ სჯულსა მათსა და სარწმუნოებასა. ეჰა, სიბოროტესა ნათესაჳისა ჩუენისასა!“

შორისდებულის ფუნქციას ასრულებს დადასტურებითი ნაწილაკები: „აჰა, ესერა ჩუენ ქრისტიანეთა შორის ესოდენთა ჯუმარიტთა წინაწარმეტყუელთა წიგნები“, „აჰა, ამით სიტყჳთა ჩანს, რამეთუ აღესრულა წინაწარმეტყუელება და დაებეჭდა“, „ანუ არა ძალუც ღმერთსა შეცჳალებაჲ ნათლისა ბნელად და ბნელისა ნათლად? ჰე, ძალუც!“

ჰარონომაზია: „მისგან სიკუდილითა მოკუდიო“ და სხვა. მწერალი აქ რაიმე თავისებურებას არ იჩენს. იმეორებს არსებულ შტამპებს.

დასასრულ, ერთხელ კიდევ უნდა შევნიშნოთ (ზემორე აქა-იქ გვქონდა საუბარი): A-ში არის პარალელური ფორმები: წინადაცჳეთილებაჲ და წინადაცუეთილებაჲ, ურთიერთას და ურთიერთარს, ანგელოსი და ანგელოზი, ჰტოლემეოს და ჰტოლემეოზ და მისთანები, მაგრამ მათი გათანაბრებისაგან თავს ვიკავებთ, თუმცა ზოგიერთი ნუსხა ამის საშუალებას იძლევა.

ლექსიკონი[1]

ა

ა – არის („უფალი შ ე ნ თ ა ნ – ა ძლიერი ძალითა“, „რ ო მ ე ლ – ა შაჰბანს შინა“).

ა –კითხვითი ნაწილაკი („მოჰამედ იხილა ქრისტე ანუ წ ი გ ნ ი მისი უ კ ი თ ხ ა ვ ს –ა?“).

აგო („კუალად ა გ ო ნებროთს და ირწმუნა“) – მიაგო, მისცა.

ავლენდა („მკელობელთა ა ვ ლ ე ნ დ ა“) – სიარულის, მოძრაობის შესაძლებლობას აძლევდა, ატარებდა.

აზნაური („არა დაიმკვდროს ძემან მკუელისამან ძისა თანა ა ზ ნ ა უ რ ი ს ა“) – წარჩინებული, დიდებული (იგულისხმება, ისაკი აბრაამს კანონიერი ცოლის, სარასაგან, ჰყავდა, ისმაილი – მხევლისაგან).

აიაზმა („მოგუეცა ... მამათა მიერ ა ი ა ზ მ ა“) – ნაკურთხი წყალი.

---

[1] ვიყენებთ სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს, ნიკო და დავით ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი ს, ილია ა ბ უ ლ ა ძ ი ს ლექსიკონების წიგნებს, ძველქართულ დაბეჭდილ თხზულებებზე დართულ ივანე ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს და სხვათა მიერ შედგენილ ლექსიკონებს. აგრეთვე ზემოთ დასახელებულ „ისლამის ენციკლოპედიურ ცნობარს“. ამ უკანასკნელით არ დავკმაყოფილდით და არაბული და სპარსული სიტყვების განმარტებისას პირადად ვესაუბრე ცნობილ აღმოსაელეთმცოდნეებს – არაბისტ გოჩა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ს ა და ირანისტ ნომადი ბ ა რ თ ა ი ა ს, რომელთაც გულითადი და თავაზიანი კონსულტაციისათვის უღრმეს მადლობას ვუხდი. მათ გამირკვიეს, რომ თხზულებაში ნახმარი უცხოური სიტყვები და გამოთქმები უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება არც არაბულსა და არც სპარსულს. ამიტომ ლექსიკონში ტექსტისეული განმარტებით დავკმაყოფილდით, ხოლო ზოგი მათგანი განუმარტავად წარმოვადგინეთ.

ალი ალი იბნ აბი ტალიბი, მეოთხე და უკანასკნელი მართლმორწმუნე ხალიფა, მოციქულ მუჰამადის ბიძაშვილი და სიძე. თვალსაზრისი – „*ალი არს ღმერთი*“ შიიტურია.

ალაჰ სამედ („ხოლო თქუენ იტყჳით: ა ლ ა ჰ ს ა მ - ე დ “)

ალაჲ უსამედ – ბაგრატისავე განმარტებით: ღმერთი მყარი არის („ა ლ ა ჲ უ ს ა მ ე დ, რომელი გადმოითარგმანების – ღმერთი მყარი არსო“).

არს – არის.

ასწავებდა („რომელთა ა ს წ ა ვ ე ბ დ ა“) – ასწავლიდა.

აუფლო („რადთა მიეწრითგან არავინ ა უ ფ ლ ო“) – აუფროსო.

აფროდიტე („ვისსა კერჴსა თაყუანისუცემ არტემისსა... ა ფ რ ო დ ი ტ ე ს ა ანუ არმაზისსა“) – ბერძნული მითოლოგიისეული სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი.

აფროდიტი („სამთა ვარსკულავთა, ვითარცა ითქჳან მზე და მთოვარე და ა ფ რ ო დ ი ტ ი“) – მნათობი, პლანეტა ბერძნულად, ლათინურად – ვენუსი, ქართულად – ცისკარი, მთიები[2].

აქუნდა – ჰქონდა.

აღვიდეთ („მხილებისა მიმართ ა ღ ვ ი დ ე თ“) ავიდეთ, საკითხს დავუბრუნდეთ.

აჰმად – რჩეული, ძალიან კარგი, ქებული.

აჰმაყ, ამაყ (არაბული *აჰმაყ*) – სულელი.

ბ

ბასრობა („ხოლო ს ა ბ ა ხ რ ო ბ ე ლ ს ა და საიცხელსა...“) – დაცინვა, აგდება.

ბაყლი („ბ ა ყ ლ თ ა ...ჯერ არს განრეცხა“) – მწვირი, ჩირქი, ჭუჭყი.

---

[2] ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ეარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 86-87.

ბევრი („შეკრიბნა წიგნნი... ოთხი ბევრი და ოთხი ათასი“) – მრავალი.

ბეჭედი („იგი არს ბეჭედი ყოვლისა წინაწარმეტყველებისა“) – ბეჭედდასმული, ნაღდი, უცილობელი.

ბომონი („უზორავთ მათ..., რომელ არს ბომონი“) – კერპი, კერპთა საკურთხეველი.

გ

გამოაძეს („იწყეს ბრძოლად და გამოაძეს ალი“) – გამოაძევეს.

გამოახვიან („რომელი სიტუაჲ გამოახვიან ...იგივე დააკლიან..., რომელი სიტუაჲ გამოახვიან, არად საკმარ იყო“) – ამოიღეს, გამოტოვეს.

გამოწერა („რაჲთამცა გამოწერა სატი“) – გადმოიღოს, დახატოს.

გამოკადნა („გამოკადნა იგინი საბოთხისა მისგან“) – გამოაგდო, გააძევა. **განერა** („განერა ვინმე ისმაიტელთაგანი“), **განარინის** („განარინის ეოველთგან მბრძოლთა“), **განრინება** („ალი განრინებოდა“) – გარიდება, გაშორება, გადარჩენა (ხიფათისაგან).

განსხმა („ეშმაკთა განსხმად“) – გაყრა, განდევნა.

განტევება („მოჰკმედ განუტევა ცხენი თჳსი“) – გაშვება, გაუშვა.

განუცდელ („ქერაბინთა მიერცა განუცდელ არს“) – – გამოუცდელი, გამოცდას, შემოწმებას რომ არ ექვემდებარება.

განქარვა („აღთქმა ჩემი განაქარვა“) – ქარს გატანება, მოშალა, გააქრო.

განწვალებაჲ („რაჲთამცაღა განწვალებაჲ იყო შორის მტერთა“) – განცალკევება, ერთმანეთთან დაშორება.

განხდა, განიხადნეს („სამოთხით განიხადნეს“) – გაყრა, სამოთხიდან გამოაძევეს.

განკმული („რამეთუ იხილეს ცანი განკმულნი“) – გახსნილი, გაღებული

განკორციელება („რადსათვის განკორციელდა ქრისტე“, „განკორციელებისა მისისათჳს“) – ხორცი შეისხა, კაცად, ადამიანად იქცა.

გარემო („იწყო ბრძოლა ყოველთა მათ გარემოთა“) – ირგვლივ, ახლო ადგილები.

გარნა („გარნა არა ეთქმის“, „გარნა გჳრწმენინ მამა, მე, რომელი იშვა მისგან“) – გარდა, მაგრამ, თუ-მცა, მაინც.

გინა – გინდ.

გლახაკი („უპოვარ და გლახაკ ფრიად“) – ღარიბი, ბე-ავი.

გოდოლი („აღაშენა გოდოლი“) – მაღალი და მაგარი ნაგებობა, კოშკი.

გულსავე ჯო („მონაზონმან დააჯერა და გულსავე ყო“) გულში ჩაიდო, მიიღო, დაიმახსოვრა.

დ

დააკუეთა („არავინ სენსა შთააგდო, არცა ვინ დაა-კუეთა“) – დასცა, დააგდო, დაანარცხა.

დაასხა („რომელმან დაასხა ვენახი“) – დარგო, ჩაყარა.

დაბეჭდა („ამას დაბეჭდა ღმერთმან“), დაებეჭდა („წიგნითა მისითა დაებეჭდა“), დაბეჭდული („წარსცნეს წიგნი იგი, რომელსა დაბეჭდულ უწოდა“) – ბეჭედი დაესვა, უეჭველი გახდა.

დაეყოფის („ჰირი დაეყოფის ძალითა ქრისტესითა“) – დადუმდება, გაჩუმდება.

დაკრიბეს („ქვა დაკრიბეს“) – ჩაქოლეს.

დამართებით („წინაწარმეტეულთა დამართებით“) – მიმართებით.

დამარხული („კანდელსა შინა ბროლისასა დამარხულ აქუნდა“) – შენახული.

დამკსნელ („უფროსღა დამკსნელ მშვიდობისა არიან“) – დამრღვევი, ჩამშლელი, მშვიდობის დამცველი არ არიან.

დასდებოდა სახე („რომელსა დასდებოდა სახე მისი“) – მსგავსი სახის, გარეგნობის მქონე.

დასდუმნება („ნუ დასდუმნები!“) – დადუმება, გაჩუმება.

დაფლვა („ჯუარცმისა და დაფლვისა და აღდგომისა“) – დასაფლავება, დამარხვა.

და-ღა-თუ („და-ღა-თუ სამითა სახითა იცნობების“) – და თუღა.

დაცუცთა, დაცუცთილებად („არა დაიცუითოს წინადაცუცთილებისად“, „დაცუცთილებად ასოსა მის“) – იგივეა, რაც წინადაცუცთილება (*ნ*).

დება – *ნ საბელის დება*.

დედათა („არწმუნა ეოველთა დედათა“) – ქალებს.

ე

ეგე – ეს.

ეგო („ღმრთაებისა იგი ბუნებად... ეგო უხილავად“) – არსებობდა.

ემმანოელ („იხილვებოდა ჭეშმარიტი იგი ემმანოელი“) – გამოთქმა: ჩვენთან არის ღმერთი.

ერგასისი – ორმოცდაათი.

ერთბამად („იევნეს ეოველნი ერთბამად მესისხლენი“) – ერთიანად, მთლიანად.

ერჩდეს („იგინი ერჩდეს ეოველსა“) – ემორჩილებოდნენ. შდრ.: ერჩიან („სხუანი არა ერჩიან“).

ექსორია („ექსორია ქმნილი“) – გაძევება, გაგდება, გაძევებული.

ეწყუნეს („რა ჟამს ეწეუნეს, იძლია მოჰამედ“, „ეწეუნეს რა კუალად“) – შეებნენ, შეებრძოლნენ.

ეყოფის („თანა ეეოფის მამაკაცი დედაკაცთა“) – უეცრთდება, კავშირს ამყარებს.

ვ

ვალნ („ვალნ რაჲ იგი ვაჭრობად“) – დადიოდა ხოლმე.

ვითარმედ („ასწავებდა, ვითარმედ...“) – რომ.

ვითარმცა („ვითარმცა ესმა ღმერთსა ძე?“) – როგორ, საიდან.

ზ

ზაბურ – ფსალმუნი.

ზეგარდმო („კმაჲ მაგისა წამებდა ზეგარდმო“) – ზევიდან, ციდან.

ზე-ქუჱ („სიტეუასა ზე-ქუჱ ქცევაჲ დაუწეის“) – ზევიდან ქვევით.

ზორეა („უზორვიდეს ეშმაკთა“) – მსხვერპლის შეწირვა.

ზრახვა, ეზრახებიან („ამას ეზრახებიან მარადის“, „ეგრეთ ზრახვიდა მათ“, „მტერთა შენთა იზრახეს“, „ზრახეს შეთქუმით“) – განზრახვა.

ზუარაკი – შესაწირავი.

თ

თავრათ-ი // თოვრათ-ი – თორა, მუსლიმთა საღვთო წიგნი, მოსეს ხუთწიგნეული.

თამბალი – ზარმაცი?

თესლი („უცხო თესლთა მიმართ თანამბრძოლ ექმნა“) – შთამომავლობა, ტომი.

თჳნიერ („თ ჳ ნ ი ე რ მისსა შეუძლებელ არს ცხორებად“, „წიგნი ეგე... თ ჳ ნ ი ე რ შურისა“, „სრულ კაც იქმნა თ ჳ ნ ი ე რ ... ცოდვისა“) – გარდა, გარეშე.

თჳსი – თავისი.

თნება („რაჲდენ ს თ ნ დ ა ღმერთსა“, „არა თუ სისხლი ებრაული ს თ ნ ა ჲ ს ღმერთსა“) – ესათნოებოდა, სათნოდ, კეთილად, სასიამოვნოდ მიაჩნდა.

ი

იბლის-ი (ბერძნული) – ეშმაკი, სატანა.

იდრის-ი – ყურანის პერსონაჟი, წინასწარმეტყველი და წმინდანი.

იკდიმონ („შ ე - ხ ო ლ ო თ უ - ი კ დ ი მ ო ნ ძისაგან ჩემისა“) – ხოლო თუ მოკლულ იქნენ ჩემი ძისაგან.

იმამი – წინამდგომელი, ლოცვის წარმმართველი, სასულიერო ხელმძღვანელი და მუსლიმური თემის მეთაური, შიიტების მიხედვით, ხალიფა.

ინა („ი ნ ი თ კელსა იღებჳდენ“) – საღებავი მცენარე.

ინჯილ-ი – სახარება, ზოგჯერ მთელი ახალი აღთქმა.

ისა როჰალა –ბაგრატისავე განმარტებით: იესუ, წარმოვლენილი ღმრთისა.

ისა რუჰულალ – ბაგრატისავე განმარტებით: იესუ სული ღმრთისა.

ისერებოდეს („ი ს ე რ ე ბ ო დ ე ს ტაბლასა ზედა“) – ვახშმობდნენ.

ისმაიტელი – ისმაილის შთამომავალი, მაჰმადიანები.

იურვოდა – *ნ ურვა.*

იქცევისა („მაკჳილი ი ქ ც ე ვ ი ს ა დაცვად“, „მაკჳილმან ი ქ ც ე ვ ი ს ა მ ა ნ“) – მბრუნავი, მოტრიალე, მახვილის, ხანჯლის ტრიალი.

იყოფინ –*ნ ნუ იყოფინ.*

კ

კანდელი – ზეთის სანთელი, ჭრაქი.

კიდობანი („კ ი დ ო ბ ა ნ ი იგი სჯულისა“) – ზანდუკი, აქ სჯულის სათავსი.

კიცხვა („საბასრობელთა და ს ა კ ი ც ხ ე ლ თ ა ...“) – დაცინვით ლანძღვა.

კლიტეთ-მპყრობელი გასაღების მქონე.

კრეტსაბმელი ფარდა.

ლ

ლტოლვა, სალტოლველისა იელტოდა – გაქცევა.

მ

მავალი – მრავლობითი *„მაგალი“* სიტყვისა. 1. მორწმუნე მუსლიმის *მფარველი, ქომაგი;* 2. *მეუფე, უფალი,* უპირ-ველესად ასეთია ალაჰი.

მალემსრბოლი („მოაგლინა მ ა ლ ე მ ს რ ბ ო ლ ი და მხატვარი“) – შიკრიკი, მოციქული.

მალიქი – აბუ აბდ ალაჰ მალიქ ბ. ანას ალ-აჰსაბი (713-795) – მალიქიტების საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის დამაარსებელი.

მანანა („მოგზაური და ტაბლამყოფელი მ ა ნ ა ნ ა ს ი“) საჭმელი, ძღვენი.

მანქან, მანქანებით („საქმით ღონიერ და მ ა ნ ქ ა ნ“, „მზაკუარებისა მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი თ ა“) – ხერხი, ფანდი, ეშმაკობა.

მართუე – ბარტყი.

მეათერთმეტე – მეთერთმეტე

მეცნიერი („სიტუა ... მეცნიერისა კაცისა“) – მცოდნე.

მეწამული („მ ე წ ა მ უ ლ ეო იგი სისხლითა“) – წითელი ფერი.

მთოვარე – მთვარე.

მიდგომა – დაორსულება.

მიერითგან („მიერითგან იწყო ბრძოლად“) – იქიდან, მას შემდეგ.

მიიქუა („ვიდრემდის მ ი ი ქ უ ა იგი მკლავთა შენთა“) – აიყვანა, მიიყრდნო.

მიიწია („მ ი ი წ ი ა ვიდრე ფარდისა მის“) – მივიდა, მიაღწია.

მისთანანი („იძლია მოჰამედ და მ ი ს თ ა ნ ა ნ ი“) – მასთან მყოფნი.

მკელობელი – კოჭლი.

მიტევეს („არა მ ი ტ ე ვ ე ს მე ჰურიათა“) – მიმიღეს, შემიწყნარეს, შემინდეს.

მოაქუნდა („მ ო ა ქ უ ნ დ ა ... ნახევარი ვაშლისა“) – მოჰქონდა.

მოკერბით („მ ო კ ე რ ბ ი თ და ისმინეთ“) – მოგროვდით, თავი მოიყარეთ.

მოკუდინება („ტეორცნითა ქვითა მ ო ა კ უ დ ი ნ ა“) – მოკვლა.

მოლავები („მ ო ლ ა ვ ე ბ მ ა აღმოხოცა“) – მოულავი – მოლები, მოლებმა ამოშალეს. მოლა ბატონი, მბრძანებელი, მუსლიმური რიტუალის მცოდნე, რელიგიური სკოლის მასწავლებელი.

მოსოფლიოთა („მ ო ს ო ფ ლ ი ო თ ა უფალთა იტყოდაო“) – ცისა და ქვეყნის.

მოსრნა („მ ო ი ს რ ნ ე ს სჯანი მოჰამედისანი“) – ამოწყვიტა, ამოხოცვა.

მოსწკჳდნეს („რომელნიმე მ ო ს წ ყ კ დ ნ ე ს“) – ამოწყვიტეს.

მოტყინარე („დაალგინა მუნ ქერაბინი მ ო ტ ყ ი ნ ა რ ე“) – ანთებული, მოკაშკაშე, მოელვარე.

მოქენე („ ხელოვნებისა მ ო ქ ე ნ ე“) – მქონე, შემძლებელი, ოსტატობის მქონე.

მოქმედი („აღაშენა გოდოლი და მისცა იგი საქმედ მ ო ქ მ ე დ თ ა“, „მონანი მ ო ქ მ ე დ თ ა“, „ქუეყნის მოქმედი“) – მკეთებელი, ხელოსანი, მიწის მუშაკი.

მოძღრება – მოძღვრება, სწავლება.

მოწამე („მოციქულთა და მოწამეთა") – მოწმე, დამადასტურებელი, წამებული, ქრისტიანობისათვის თავდადებული.

მრჩობლი („ნახეყვარი ვაშლისა... მოიღეს რაჲ მრჩობლი იგი შეაწყუცს", „მრჩობლთა წყაროთა...") – ორმაგი, ორივე, წყვილი.

მუნ – იქ; მუნით –იქიდან.

მუნ ქუცსვე („მუნ ქუცსვე მოვიდა სული წმიდაჲ") – მაშინვე, მყისვე.

მუსაფი – ყურანის სინონიმი.

მუსულმან – ვინც თავი გადადო, მიენდო ისლამს, ალაჰის მორჩილი. სიტყვასიტყვით *„მშვიდობის მყოფელი"*.

მცხინვარება („განუუოფელი, ვითარცა მზე და ნათელი და მცხინვარება") – მცხუნვარება, სითბო.

მწყიოთ („მოხსენებითა მწყიოთ") – მწყევლოთ.

მხოლოდ შობილი („არა რიდოს მხოლოდ შობილსა მისსა") – ერთადერთი შვილი.

ნ

ნავი

ნათესავი („მსახურებდა... თჳსსა ნათესავსა", „არა აღერია ნათესავი მისი წარმართთა") – შთამომავლობა, მოდგმა.

ნაჯის (არაბ.) – შებილწული.

ნესტორიანი („ვინმე ნესტორიანი ჰოჳა") – მწვალებლად შერაცხილი ნესტორის მიმდევარი.

ნუ იყოფინ – ნუ მოხდება, ასე ნუ იქცევი, ღმერთმა ნუ ქნას!

ო

ოდეს, ოდესმე („მათ ჟამთა აღიჭურა ოდესმე მოჰამედ") – როცა, როდესაც ერთხელ.

ოდენ („მოჰამედ მხოლოდ ო დ ე ნ იცნობდა ღმერთსა“) – მარტო, მხოლოდ ის.

ოტება გაქცევა, იოტნეს („იოტნეს ჰურიანი“) – გაიქცნენ.

პ

პაემანი („ დასცემენ მას ჰ ა ე მ ა ნ ს ა თკსსა“) – შეთანხმებული, დათქმული დრო.

პროვატიკი („საბანელი იგი ჰ რ ო ვ ა ტ ი კ ი ს ა“) – ზვარაკად შესაწირავი ცხვრის განსაბანი.

პროტატი („ოდეს მთაწმიდას ჰ რ ო ტ ა ტ ი ს ღმრთისმშობლის მონასტერი“) – პორტაიტი, კარიბჭე (მთავარი კარი), მოდის პორტაიტის ღმრთისმშობლის ხატიდან.

რ

რადთამცა – რათა.

რადთურთით („არა თაუუანისცეს... ხელითქმნილსა ეოვლად რ ა დ თ უ რ თ ი თ“) – სრულიად, მთლიანად.

რამეთუ („რ ა მ ე თ უ თკთ არა უწეოდა“) – რადგანაც, ვინაიდან.

რადსა, რადსათკს – რატომ.

რადღამე („საკიცხელთა... მისთათკს რ ა დ ღ ა მ ე ვსთქვათ“) – რალა, რაიმე.

ს

სადა-იგი – სადაც.

სალხინე(/ო)ბელი („რომელი ალხინებდა/აგრილებდა ს ა ლ ხ ი ნ ე ბ ე ლ ს ა მას“) – განსაწმედელი, საკურთხეველი.

სამე („ღმერთმანი ს ა მ ე ხართ“) – სადმე.

სარკინოზი – მაჰმადიანი.

სასაკმევლე („ს ა ს ა კ მ ე ვ ლ ე ოქროსა“) – საკმევლის (სურნელოვანი მცენარის) ასანთები ჭურჭელი, საცეცხლური.

სასუფეველი („სასუფეველი ღმრთისაჲ“) – ღვთის, ანგელოზებისა და წმინდანების ადგილი, სამოთხე,

საუკუნე („უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“) – დასაბამი, ყველაზე ადრე.

საუფლო („დაიდვა საუფლოსა მას ჰირსა“, „წმიდაჲ იგი საუფლო“) – უფლისა, ქრისტესი.

საშუებელი („გამოკადნა იგინი სამოთხისა მისგან, საშუებელისა საქმედ“) – განსაცხრომელი, მოსალხენი.

საცნაური („არცა ყოველი საცნაურ არს“) – გამოსაცნობი, რაც გამოიცნობა.

საწონელი („ასოციისა საწონელისა ტალანტისა“) – წონა.

სახელის დება („იწყო სახელის დებად“, „სახელ-სდვა წიგნსა მას ყურან“) – სახელის დარქმევა, სახელი უწოდა,სახელის მითვისება, განთქმა.

საკმილი („ვითარცა საკმილი სამთა ერმათა“) – შესაწვავი, დასაწვავი.

სერობა („სასუმელი შემდგომად სერობისა“) – ვახშმობა.

სიტკს-გება – პასუხის გაცემა.

სიძვა – ბოზობა.

სოფელი – ქვეყანა.

სპა – ჯარი.

სრბა („ათორმეტთა სრბათა მთოვართაგანი“) – მსვლელობა გადაადგილება.

სტევა („შემზადებულ იყო სტევისაგან აქლემისა“) – თმა, ბეწვი, ბალანი.

სუფევა („პორცითა აღდგომად ვართ... სუფევასა მისსა“) – მეუფება, მეფობა.

სჯული – რჯული, სარწმუნოება.

ტ

ტაბლა – სუფრა (მაგიდა).

ტაბლამყოფელი („ტ ა ბ ლ ა მ ე ო ფ ე ლ ი მანანასი“) – მანანით სუფრის გამშლელი, მანანის სუფრაზე დამდები.

ტაკუკი – მომცრო თასისებური ჭურჭელი.

ტალანტი საწონელი („ასოცისა საწონელისა ტ ა ლ ა ნ ტ ი ს ა“) – ოქროს ან ვერცხლის წონითი ერთეული.

უ

უზეშთაესი („გმობად უ ზ ე შ თ ა ე ს ი ეოვლისა გმობისა“) – უმაღლესი.

უკუც („ჟამთა უ კ უ ც ჰერაკლე მეფისათა“) – უკვე, მაშინ.

უკუც თუ („უ კ უ ც თ უ გრქვას/გკითხოს...“) – თუ კი, როცა.

უპოვარი („უ ჰ ო ვ ა რ და გლახაკ ფრიად“, „მჰარავნი და ეოველთავე უ ჰ ო ვ ა რ ნ ი“, „დაეფარა მას შინა უ ჰ ო ვ ა რ ე ბ ი ს ა თ ჳს გზისა სალტოლველისა“, „განრეცხა სამოსელთა უ ჰ ო ვ ა რ ე ბ ი ს ა თ ჲ ი ს“) – არაფრის მქონე, ღატაკი, მიუსაფარი.

უტევებთ („არავის... მლოცველთა უ ტ ე ე ბ თ ჯოჯოხეთად“) – გავატარებთ, შევუშვებთ.

უქადის („უ ქ ა დ ი ს უმარს და კუალად უ ქ ა დ ი ს ოსმანს“) – დაჰპირდა.

უცალოება („ჳერ უძლოს... უ ც ა ლ ო ე ბ ი ს ა თ ჲ ი ს“) – მოუცლელობა.

უწოდა („აბრაჰამ ... შეწირა რად, უ წ ო დ ა ანგელოზიან“) – მოუწოდა.

უწყის, უწყოდა – იცის, იცოდა.

უჯერო – ურიგო, უღირსი, შეუფერებელი.

უძლები („სიძვასა უ ძ ღ ე ბ ე ბ ი თ“) – გაუმაძღარი, დაუკმაყოფილებელი.

ფ

ფარაოეთნი – ფარაონის თანმხლებნი.

ფარშამანგი – ფარშავანგი.
ფაშკუნძი – ფასკუნჯი.
ფურყანი –ყურანი.

ქ

ქალამლა (ქალამ ალაჰ) ყურანი. ქალამ ალაჰის სიტყვა.
ქერაბინი („ქ ე რ ა ბ ი ნ თ ა მიერცა განუცდელ არს", „დაადგინა მუნ ქ ე რ ა ბ ი ნ ი მოტეინარე", „დაიცვან ქ ე რ ა ბ ი ნ მ ა ნ") – ანგელოზი.
ქუეყანა – მიწა, დედამიწა. „ქუეყნად დაეკუეთებიხ" – მიწაზე ვარდება, ენარცხება.

ყ

ყურანი – მუსლიმთა საღმრთო წიგნი.
ყუსლ-ი – წყლით „განსაწმედელი" განბანვის მუსლიმური წესი.

შ

შაკჰი
შავნაღვლიანობით ვნებული – ბნედით, გულისყრით დაავადებული.
შაჰბან-ი – მუსლიმური კალენდრით ზაფხულის ბუნიობა, რომლის წინა და მომდევნო დღეებში სხვადასხვა რიტუალი სრულდებოდა.
შეაწყუეს – შეაწყვილეს, ერთმანეთს მიადეს.
შეეძერწნეს – შეუერთდა, ერთმანეთს დაემთხვა.
შემუსრა („შ ე მ უ ს რ ა კალამი იგი") – გატეხა, დაამტვრია.
შესწავება („შ ე ს წ ა ვ ე ბ ა საკმარ არს") – შესწავლა.
შეურაცხება – შეურაცხყოფა.
შთასთხინეს („თავნი თჳსნი შ თ ა ს თ ხ ი ნ ე ს წარსაწყმედელსა") – ჩააგდეს, ჩაყარეს.

ჩ

ჩინებული („ჰკითხეს მათ მთავართა და ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა, „კაცნი წინასწარმეტყველნი და ჩ ი ნ ე ბ უ ლ ნ ი“) – გამოჩენილი, წარჩინებული.

ძ

ძალთა მთავარი („შეეწია მას ძ ა ლ თ ა მ თ ა ვ ა რ ი“) – ანგელოზთა დასის უფროსი.

ძელთ ხურო – დურგალი.

ძმაცვიდეს („ვრსა შენსა ზედა ძ მ ა ც ვ ი დ ე ს წაკვით“) – ეორგულებოდეს.

წ

წარმოიჩინა („მოჰამედ წ ა რ მ ო ი ჩ ი ნ ა და სახელ იდვა“) – წარმოდგა, გამოგვეცხადა.

წარწყმედა („მოჰამედ წ ა რ წ ე მ დ ა“) – დაკარგვა, დაღუპვა.

წარკდა („ფილოსოფოსთაცა წ ა რ კ დ ა“) – მივიდა,იახლა.

წერილი – წერა.

წინაგანწყობაჲ („წ ი ნ ა გ ა ნ წ ყ ო ბ ა ჲ მართლისაჲ სარწმუნოებისა“) – წინა ბრძოლა, გალაშქრება.

წინადაცუცთა, წინადაცუცთილება – მაჰმადიანთა და ებრაელთა წესი – ჩუჩის მოჭრა.

წიაღ, წიაღი („მიიწია წ ი ა ღ მდინარისა“, „რომელი იყო წ ი ა ღ თ ა მამისათაო“) – კალთა, უბე.

წიაღვიდეს („წ ი ა ღ ვ ი დ ე ს იმიერ“) – გადავიდეს იმ მხარეს.

წული („წ უ ლ მ ა ნ, რომელმან არ დაიცვითოს“) – საერთდ, შვილი, შობილი, აქ ვაჟიშვილი.

ც

ცოლ ეყო – ცოლად გაუხდა.

ცხოველი („იცნობდა ღმერთსა ც ხ ო ვ ე ლ ს ა“) ცოცხალი, უკვდავი; განაცხოველის („ფრინველთა... შთაბერის სული და გ ა ნ ა ც ხ ო ვ ე ლ ნ ი ს“) – გააცოცხლა.

ცხოვარი ცხვარი.

ცხოვნდეს, ცხოვნდებოდეს („ორიეე მიზეზითა ც ხ ო ვ ნ დ ე ს “, „და ც ხ ო ვ ნ დ ე ბ ო დ ი ს აქლემებითა ვაჭრობით“) – ცოცხლობდა, ცხოვრობდა.

ცხორება („არა ჰგვანდეს ც ხ ო რ ე ბ ა ს ა მისსა“) – სიცოცხლე, არ ეგონა, თუ ცოცხალი იყო.

ჯ

ჯაფარი – ჯა'ფარ ბ. მუჰამად აბუ აბდალლაჰ ას სადიკი (VIII ს.), შიიტთა მეექვსე იმამი, შიიტური საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის – ჯაფარიტთა მიმართულების დამაარსებელი.

ჯმნა („ვ ი ჯ მ ე ნ ი თ ეშმაკისაგან“) – გაქცევა, გაშორება.

ხ

ხალენი („ერთითა ხ ა ლ ე ნ ი თ ა იეოფოდა“) – წამოსასხამი, ჩასაცმელი.

ხატი („გადმოეწერა ხ ა ტ ი იესუსი“) – სახე, გამოსახულება, ნახატი.

ხუარბალი – ხორბალი.

პ

კელოვნება, კელოვნებითა („კ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს მოქნე“, „კ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ა კაცთათა შეშზადებული“, „კ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ა კაცთათა აღშენებულ არს“) – ხელოსნობა, ოსტატობა.

პელყო („ვინადთგან პ ე ლ ე ო და ვერ შეუძლო“) საქმეს ხელი მოჰკიდა, დაიწყო.

ჰ

ჰბალი
ჰრქუა – უთხრა.

კომპიუტერში ამ ტექსტის შეყვანას რომ მოვრჩი და, იმ იმედით, ოდესმე მისი გამოცემის საშუალება გამოჩნდებოდა, ის იყო, დისკეტისა და ამონაბეჭდის უჯრაში შენახვას ვაპირებდი, სრულიად მოულოდნელად გავიგე: *საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის* მიერ დაარსებული სრულიად *საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია* კონკურსის შედეგად, ნომინაციით „ლიტერატურის ისტორია", 5 000 ლარი რგებია ჩემს 2009 წელს გამოცემულ წიგნს „*იაკობ შემოქმედელი*"[8].

მკითხველმა მინდა იცოდეს, ავტორებს ამ პრემიაზე თავიანთი ნაშრომების წარდგენა თვითონვე შეუძლიათ[9]. მაგ-

---

[8] ამ წიგნის გამოცემა, ისე როგორც ადრე მისი ნაწილების გამოქვეყნება, ძალიან გამიჭირდა. 2000 წლისათვის წიგნი სატამბოდ გამზადებული უკვე მქონდა. დახმარება ვის არა ვთხოვე. რადგან იაკობი, გვარად დუმბაძე, გურიიდან გახლდათ, უპირველესად ამ გვარის შეძლებულ წარმომადგენლებსა და გურულ ბიზნესმენებს მივმართე. ცხადია, მისთვის, როგორც დიდი სასულიერო პირისათვის, უწინარესად საქართველოს საპატრიარქოს უნდა ეპატრონა, რომელსაც საკუთარი გამომცემლობა აქვს. მივმართე *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდსაც*. სათანადო პროექტი და წიგნის სარჩევი წარვუდგინე, თანაც, ვაცნობე, რომ წიგნი დასრულებული და გამოსაცემად მზად იყო, მაგრამ წელზე მეტი ისე გავიდა (და შემდეგაც, რაც წიგნი დაიბეჭდა), მისთვის ყურადღება არვის მიუქცევია. ვხედავდი და ახლაც ღრმად ვარ დარწმუნებული, მისი არსებობა ჩვენი სასიქადულო კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორისათვის არვის უცნობებია. მომერიდა და იგი პირადად ვერ შევაწუხე.

[9] საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, ამ კონკურსში გაიმარჯვეს აგრეთვე ლიტერატურის ინსტიტუტიდან ირმა რატიანის მიერ გაძევებულმა დიდად ნიჭიერმა, გამოჩენილმა და, რაც მთავარია, შემოქმედებითი ძალღონით აღსავსე მოღვაწეებმა: პირველი ხარისხის პრემია მიიღო პოეტმა მანანა ჩიტიშვილმა, რო-

რამ, იმის გამო, რომ ამჟამად საქართველოში ფულისათვის დაუნდობელი ბრძოლები მიმდინარეობს, გრანტების, პრმიებისა და სხვა, მეტადრე ფულადი, ჯილდოების მიღება, როგორც წესი, ბინძური ჩაწყობების შედეგად ხდება, ამიტომ ჩემი წიგნებიდან რომელიმეს ამ პრემიაზე წარდგენა ერთი წუთითაც არ მიფიქრია. ეს საქმე დაჟინებითა და შეუპოვრობით შეასრულა წიგნის რედაქტორმა მურმან თავდიშვილმა (ახლა ამას უღრმესი მადლობით აღვნიშნავ).

რა თქმა უნდა, ამ დიდი და მნიშვნელოვანი საქველმოქმედო საქმისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ კონგრესისა და პრემიის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, ცნობილ მეცენატსა და ქველმოქმედს, ალექსანდრე ებრალიძეს, კონგრესის საქართველოს ფილიალის დირექტორს, კომისიის აღმასრულებელ მდივანს, ნანა ჯაფარიძე-ჭყოიძეს, რეცენზენტებსა და კომისიის წევრებს.

მიუხედავად იმისა, რომ საშინელ სიდუხჭირეში ვარ, ამ პრემიის დანარჩენი ფულიც მთლიანად, ყოველი თეთრი, რამ-

---

მელსაც გამოცემული აქვს ლექსების რვა კრებული, მიღებული აქვს ექვსი სხვადასხვა ლიტერატურული პრემია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. მისი ლექსები თარგმნილია იტალიურ, ინგლისურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. 2003 წელს *ამერიკის ბიოგრაფიის უნივერსიტეტმა* შეიტანა კრებულში *„თანამედროვე ეპოქის ცნობილი ადამიანები“* და სხვა.

ლიტერატურული და სამეცნიერო საზოგადოებისადმი წარდგენა არც სოსო სიგუას სჭირდება, მაგრამ ზოგიერთ რამეს მაინც ჩამოვთვლი: რედაქტორია საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურული ორგანოს *„მწერლის გაზეთისა“*, ავტორია ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული 26 წიგნისა და 500-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიისა. მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო, ივანე მაჩაბლისა და გერონტი ქიქოძის სახელობის ლიტერატურული პრემიები და სხვა. დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია მიეცა ნომინაციაში *„მწერალი და ისტორია“*, – კონსტანტინე გამსახურდიაზე დაბეჭდილი ოთხი წიგნისათვის *„მარტვილი და ალამდარი“*.

დენსაც კი გაწვდება, ჩემი ნაშრომების გამოცემას მოვახმარ[10] (მათ შორის იგულისხმება კომპიუტერის შეძენაც).

ბოლოს ერთი შენიშვნაც: ამ პრემიას სამთავრობო მედიაში დიდი გნიასი მოჰყვა, მაგრამ ამაზე სხვა დროს მოგახსენებთ.

20. 02. 2011.

[10] ფართო მკითხველთა საზოგადოებას არ ეცოდინება, რომ ახლა პრემიები იბეგრება და სახელმწიფოს მიაქვს მისი მეხუთედი ნაწილი, 20 პროცენტი, ანუ 5 000 ლარიდან – 1 000 ლარი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ, „*ჩარეცხილი*“ მეცნიერები, თვიურად იმაზე ნაკლებ თანხას (აკადემიურ სტიპენდიასა თუ პენსიას) ვღებულობთ, ვიდრე საპატიმროებში მოთავსებულ ქურდებს, კაცის მკვლელებსა და სხვადასხვა რეციდივისტ ებს აძლევენ.

მთლიანი წიგნის

პ ი რ თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

(გარდა თხზულების ტექსტისა)

ა

აბდალ მელიქი 98.

აბელ (ბიბლ.) 7.

აბრაჰამი, აბრაამი, იბრაჰიმი 47–48, 58, 60–61, 67, 69, 71, 75– 777, 79, 85, 90, 98, 122, 129, 131, 202–205.

აგარ (ბიბლ.) 67, 76.

აბრაჰამი ქართლის კათალიკოსი 22.

აბუ აბდ ალაჰ მალიქ ბ. ანას ალ–აჰსაბი 225.

აბუკურა თეოდორე *ნ თეოდორე აბუკურა.*

აბულაძე ილია 13, 27, 99, 115, 124.

აბულაძე იუსტინე 14.

აგარი 205.

ადამი 47, 50, 58, 65, 70, 73, 77, 85, 89–94, 204–206, 218.

ავგაროზი/ავგაროსი (ედესიის მთავარი) 99–100, 203, 209.

ავ–გიორგი 16, 29–30, 32–37.

აიუბა *ნ იობი.*

ალასანია გიული 25.

ალაჰი, ალლაჰი, ალახი, **Аллах** 60–62, 66–70, 72–75, 78–79, 225.

ალექსანდრე მაკედონელი 131

ალექსანდრე (ბაგრატ ბატონიშვილის ძე) 18, 41

ალექსანდრე (კახეთის მეფე, ავ–გიორგის მამა) 29, 30.

ალექსანდრე (კოსტანტინე II–ის ძე) 17.

ალექსანდრე II (იმერეთის მეფე) 29, 37.

ალი (მოჰამედის სიძე) 45, 47, 49, 53, 86, 197–198, 203, 205, 211, 214.

ალი იბნ აბი ტალიბი 219.

ამად *ნ მოჰამედი.*

ამალეკი 205.

ამირშუმლი ბაღდადელი 98.

ანას ალ–აჰსაბ 225.

ანდრეა იერუსალიმელი 115.

არმაზი 219.

არონი, ჰარონი 133

არსენი (ნინოწმინდელი) 50, 80, 102–104, 107.

არტემი 219.

არჩილ (ბაგრატ ბატონიშვილის ძე) 17–19, 24, 26–27, 38–39, 41.
არჩილ II (მეფე-პოეტი) 20, 44.
ანტონ პირველი კათალიკოსი 20.
ასდათარი (კონსტანტინე II-ის ასული) 17.
ასერი 205.
აფროდიტე 219.
ახმად *ნ მოჰამედ.*
აშოთან (ბაგრატ ბატონიშვილის ძე) 17–20, 24–26, 38–39, 41.
აჰმად *ნ მოჰამედ.*
აჰმედ *ნ. მოჰამედ*
აჰმაყ *ნ მოჰამედ*

ბ

ბაგრატ ბატონიშვილი, მუხრანბატონი, ბარნაბა 2, 10–46, 47–48, 51–56, 63–64, 66–68, 73, 75–77, 81, 83–84, 87–89, 91–92, 94, 97, 99, 101–102, 104–108, 111–113–117, 120, 123–125, 128–129, 132–133, 185, 200, 203–204, 207.
ბაგრატ III (ალექსანდრე II-ს ძე, იმერეთის მეფე) 30, 36, 38.
ბაგრატ ვახტანგის ძე 26.
ბაგრატიონები 44.
ბარამიძე ალექსანდრე 14–15, 18, 44, 129.
ბართაია ნომადი 218.
ბარნაბა *ნ ბაგრატ ბატონიშვილი.*
ბასილ წილკნელი 13.
ბაქრაძე ა. 126.
ბაჰირა (ქრისტიანი ბერი) 56.
ბენიამენი 205.
ბერძენიშვილი ნიკო 40.
ბერძნიშვილი მამისა 40.
ბიჭიკაშვილი სოსო 18, 28
ბრეგაძე თამარ 13, 17, 27, 116, 120, 126–127, 132.

გ

გაბიძაშვილი ენრიკო 29, 99.
გაბრიელ (მთავარანგელოზი), შუკაბრაილ 46, 49–50, 57–58, 64, 73, 83, 89–90, 118, 122, 129, 186, 203, 208.
გადი 205.
გედეონი 202, 205.
გერასიმე *ნ გიორგი IX*
გერიტიშვილი დავით 30
გიორგი (წმინდა), ჯირჯი 84–85.
გიორგი მთაწმინდელი 50, 103–106, 108, 110, 112–113, 189, 205.
გიორგი (კახეთის მეფის ლეონის ძე) 25.

გიორგი II (იმერეთის მეფე) 27–28.
გიუნაშვილი ელგუჯა 101
გოგუაძე ნარგიზა 99
გიორგი IX (კოსტანტინე II–ის ძე, ქართლის მეფე) 12, 16–17,20, 22–23, 27, 38–4.
გიორგი XI (ქართლის მეფე) 16, 44.
გორგასალი (ბაგრატ ბატონიშვილის ძის, ალექსანდრეს, ძე) 41.
გრიგოლი (არხიმანდრიტი) 125.
გრიგოლ ღმრთისმეტყველი 51, 104.
გულდაფარ (ბაგრატ ბატონიშვილის ძე?) 18.
გუჩუა ვ. 28.

დ

დაანი 205.
დავითი (ბიბლ.), დაუდი (ყურანი) 58, 63, 66–67, 71, 73, 119, 186, 205.
დავითი (ტბელი) 50, 102–104, 107, 111–113
დავითი („დავით და კოსტანტინეს წამება“) 81, 98
დავით აღმაშენებელი 2–3, 80, 103–106, 110, 235–236.
დავითი (ლუარსაბ I–ის ძე) 40–41
დავით X (კოსტანტინე II–ის ძე, ქართლის მეფე), დამიანე 12, 17, 20, 22–23, 27, 29–30, 33–39.
დათიაშვილი ლეილა 80.
დამიანე *ნ დავით X.*
დანიელი, დანიილი (ბიბლ.) 118, 133
დარეჯანი (სულხან–საბა ორბელიანის პირველი ცოლი) 20.
დარჩია ბორის 8, 87
დაუდი *ნ დავითი* (ბიბლ.)
დედისიმედი (ბაგრატ ბატონიშვილის ასული, ქაიხოსრო II ათაბაგის მეუღლე) 19–20, 24.
დიმიტრი კოსტანტინე II–ის ძე 17, 20, 22.
დიმიტრი (ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილი) 41
დოლაქიძე მ. 99.
დუმბაძე იაკობ ნ *იაკობ შემოქმედელი.*

ე

ებრალიძე ალექსანდრე 236.
ეგნატაშვილი ბერი 18–19, 29, 31–32, 34–36
ედრისი *ნ იდრისი.*
ევა (ბიბლ.) 47, 50, 65, 85, 89, 91–92, 203, 206.
ეზეკია 197.

ელბაქიძე მაკა 4–5.
ელენე (ბაგრატ ბატონიშვილის მეუღლე) 20.
ელენე (ქაიხოსრო II ათაბაგის ასული) 20.
ელია (ბიბლ.), იეჰია 85.
ენუქიძე თინა 27, 120, 133.
ეპიფანე კვიპრელი 115.
ერეკლე, ჰერეკლე (ბაგრატ ბატონიშვილის ძე) 17–18, 24, 27, 38–39.
ერეკლე (ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილი, არჩილის ძე) 26.
ეფთვიმე მთაწმინდელი, ექვთიმე ათონელი 50, 101, 103–107, 199.
ეფრემ მცირე 50, 103–104, 106–107, 110–111, 112, 116, 212.

ვ

ვაშალომიძე იოანე 115, 198.
ვაჩნაძე ნიკოლოზ 117.
ვახტანგი (კონსტანტინე II–ის ძე) 17.
ვახტანგი (ბაგრატ ბატონიშვილის ძე) 16–19, 24, 26, 30–39, 41.
ვახტანგი (იმერეთის მეფის ალექსანდრე II–ის ძე) 37.
ვახტანგ V (შაჰნავაზი) 16, 20, 44.
ვახტანგ მეექვსე 45.
ვახუშტი ბატონიშვილი, ბაგრატიონი 17–18, 20, 29–34, 37–38, 99.

ზ

ზაალი (შაჰ-ნამე) 14.
ზაქარია (ბიბლ.) 72.
ზაბულონი 205.
ზაქარია (კალიგრაფი) 13.

თ

თადეოზი (მოციქული) 99.
თავდიშვილი მურმან 2, 9, 235.
თამარი, თეკლა (კოსტატინე II–ის მეუღლე, ბაგრატ ბატონიშვილის დედა) 17, 22–23, 27.
თამარი (ლუარსაბ I–ის მეუღლე) 40.
თამარი (ქაიხოსრო II ათაბაგის ასული) 20.
თარა (აბრაჰამის მამა) 147.
თაყაიშვილი ექვთიმე 16, 20–21, 23, 26–28.
თეკლა *ნ თამარი თეკლა.*
თეიმურაზი (ვახტანგ ბაგრატის ძის ძე) 16, 18.
თეიმურაზ პირველი 20.
თეოდორა (ბაგრატ ბატონიშვილის ქალიშვილი) 20
თეოდორე აბუკურა 80

თეოფანე (ხუცეს-მონაზონი) 133.
თოდუა მაგალი 81.
თუალშუენიერი (ქაიხოსრო II ათაბაგის ქალიშვილი) 20.

ი

იაკობი (ბიბლ.), იაკუბ (ყურანი) 60-61, 71, 84, 122, 186, 203.
იაკობ შემოქმედელი 3, 16, 45, 52, 54, 97, 105-106, 109, 111, 113, 185, 235.
იასე (პოეტი) 81-82.
იაჰია *ნ იოანე.*
იბრაჰიმი *ნ აბრაჰამი.*
იდრისი, ედრისი 72, 85, 119
იესო, იესუ ქრისტე, ისა, ისე, ისო 32, 38, 48, 50, 58, 69, 62-63, 66-70, 72-74, 77, 79, 81-85, 100, 121, 122, 186, 188, 196-197, 199, 203-205, 211, 205, 214.
იესიან-ლავითიან-სოლომონიან ბაგრატიონი 20.
იეჰია *ნ ელია.*
ივანე (ქაიხოსრო II ათაბაგის შვილი) 20.
ივანისძე მახარებელი (მცხეთის ქადაგი) 22.
იზაქარი 205.
ილია (წინასწარმეტყველი) 67, 205.
ილია მეორე (პატრიარქ-კათოლიკოსი) 235.
იმნაიშვილი ვახტანგ 8, 208.
იმნაიშვილი ივანე 8, 95, 208, 218.
იმრანი (მარიამ ღმრთისმშობლის მამა) 69-70.
ინგოროყვა პავლე 14.
იოაკიმ მაწყვერელი 120.
იოანე (ბიბლ.), იაჰია (ყურანი) 50, 72, 74, 102, 186.
იოანე (ნათლისმცემელი) 58, 199.
იოანე (გადამწერი) 128.
იოანე (დეკანოზიშვილი) 126.
იოანე ბატონიშვილი 134
იოანე დამასკელი 51, 104, 131.
იოანე ოქროპირი 115.
იობი (ბიბლ.), აიუბა (ყურანი) 72.
იოთან (ბაგრატ ბატონიშვილის ძე?) 18.
იონათან (ბაგრატ ბატონიშვილის ძე) 18.
იორდანე (მწერალი-მწიგნობარი) 40.
იოსებ 186.
იოსებ (ძელით ხურო) 73.
იოსელიანი პლატონ 112, 128-129
ისა *ნ იესო ქრისტე.*

ისაია 205.
ისე *ნ იესო ქრისტე.*
ისო *ნ იესო ქრისტე.*
ისაია (ბიბლ.), შაია 85.
ისაკი, *ისხაკ, ისჰაკ* 48, 60-61, 67, 71, 84, 122, 186, 203-204-205.
ისმაელი, ისმაილი, ისრაელი, ისრაილი 45, 48, 60-61, 67, 72, 76, 78, 84, 97-98, 120, 133, 203-204, 214.
ისრაელი *ნ ისმაელ.*
ისხაკ *ნ ისაკი.*
ისჰაკ *ნ ისაკი.*

კ

კავილაძე რუსუდან 21.
კაკაბაძე სარგის 15, 22-23, 41.
კალანდარიშვილი ელისო 4.
კარგარეთელი სვიმონ 120.
კასიანე რომისანი 104.
კასრაძე ნადია 13, 27, 120, 123-124, 127, 133.
კახაბრიშვილი ციალა 116.
კეკელიძე კორნელი 11-12, 14-15, 21, 80, 106-107, 125.
კვაჭანტირაძე მანანა 4.
კვირილე *ნ კონსტანტინე II.*
კიკნაძე გულნაზი 99.
კლდიაშვილი დ. 28.
კლიმიაშვილი აკ. 31.
კონსტანტინე მუხრანბატონი 10.
კოსტანტინე („დავით და კოსტანტინეს წამება") 81, 98.
კონსტანტინე, კოსტანტინე II დიმიტრის ძე, კვირილე (ქართლის მეფე) 12-15, 18, 20-23, 27, 32, 41, 43.
კოსტანტინე (თეიმურაზ ბაგრატის ძის ძე) 18
კოსტანტინე (ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილი,ალექსანდრეს ძე) 41.
კრაჩკოვსკი იგნატი, **Крачковский И. Ю.** 59.
Крымский А. 94.
კუდავა ბუბა 9.
კუცია კარლო 59.

ლ

ლევანი, ლეონი (ავ-გიორგის ძე, კახეთის მეფე) 25, 36-38.
ლევი 199.
ლეონიძე გიორგი 20.
ლობჟანიძე გიორგი 55-56, 59.
ლოთი (ბიბლ.), ლუთი 71.
ლოლაშვილი ივანე 11, 15, 42, 54, 80, 106-109.
ლომიძე გაგა 4.
ლომიძე თამარ 4.
ლომიძე დოდო 17.

ლუარსაბ I (ქართლის მეფე) 38–42.
ლუთი *ნ. ლოთი.*
ლუკა 59, 102.

მ

მათე 50, 102, 119, 131, 187, 205.
მამაცაშვილი მაია 21, 29.
მამია I გურიელი 37–38.
მანუჩარი (ქაიხოსრო II–ის შვილი) 20.
მარიამი (ღვთისმშობელი) 62, 67–74, 78–79, 90, 118, 187, 199.
მარი ნიკო, **Марр Н. Я.** 11, 21, 52–53, 104–107, 109, 110–112, 126, 133.
მარკოზი 50, 102, 205.
მაჩაბელი ივანე 236.
მაჭავარიანი მუხრან 33.
მაჰმადი *ნ მოჰამედი*.
მგალობლიშვილი თ. 116
მელქისედეკ II (კოსტანტინე II–ის ძე, ქართლის კათალიკოსი) 17, 23, 27, 40–41.
მენაბდე დარეჯან 4.
მენაბდე ლევან 14, 17, 27.
მეტრეველი ელენე 14, 17, 27, 114–116, 120, 126.
მეტრეველი მეგი 59.
მეფარიშვილი ლუბა 129.
მზეჭაბუკი (ქაიხოსრო II ათაბაგის შვილი) 20.
მირიანაშვილი პეტრე 59.
მიქაელი, მიხაილი (მთავარანგელოზი) 83, 122, 139
მოსე (ბიბლ.), მუსე (ურანი) 48, 50, 58, 60–63, 65–67, 70–71, 73, 75–77, 81, 85, 91–92, 110, 119, 123, 203, 205, 214.
მოჰამედი, მუჰამედი, მოამედ, მაჰმადი, მუხამედი, აჰმედ, ახმად 45–50, 53–54, 56, 62–64, 66, 69, 73, 81–84, 86– 92, 97–98, 106, 108, 111, 113, 118–119, 121–122, 128–129,185, 198, 202–203, 205, 209, 214, 218.
მური 58.
მურვან ყრუ 98–99.
მუსე *ნ მოსე*
მუსტაფა *ნ მოჰამედი.*
მუხრანბატონები 26.
მჩხეტიძე მანოელ (ხონელი ეპისკოპოსი) 39.

ნ

ნანობაშვილი მარიამ 94–95.
ნაომი *ნ რევაზოვი სტეფანე*
ნებროთი 47, 85, 89, 205, 218.
ნეკტარი კონსტანტინეპოლელი 115.

ნესტორიანი 46–47, 121.
ნეფთალიმი 205.
ნინიძე დავით 18, 28.
ნინიძე მაია 4.
ნოე (ბიბლ.), ნუჰა (ყურანი) 58, 69, 71, 77, 79.
ნოზაძე ვიქტორ 219.
ნუჰა *ნ ნოე.*

ო

ოდიშელი ჯუმბერ 16, 34, 40.
ოზაირ (ალაჰის ძე) 79.
ონიანი შერმადინ 28.
ორბელიანი სულხან საბა 20
ორბელიშვილი 20.
ოსმანი, უსმანი 47, 49, 210–211.

პ

პეტრე 187, 205.
პტოლემე, პტოლემეოზ, პტოლემეოს 49, 108–109, 203, 205, 207, 209.

ჟ

ჟორდანია თედო 22–23

რ

რაშაზი (ბაგრატ ბატონიშვილის შვილიშვილი) 41.
რატიანი ირმა 4–6, 235.
რაფაელ (მთავარანგელოზი) 83, 203.
რევაზოვი დავითი 124.
რევაზოვი სტეფანე (ყოფილი ნაომ) 124.
რევაზოვი შიო 124.
რობოამი (ბიბლ.) 73.
რუბენი 205.
რუსთველი შოთა 3, 7, 14–15.

ს

საბა (საბას ლავრა) 120
საბა თუხარელი 50, 103–104, 110, 116.
საბაშვილი სერაპიონ სოგრატის ძე 14, 15, 42.
სამფსონ 188.
სალტიკოვ-შჩედრინი 134.
სანიკიძე გიორგი 59
სარა (ბიბლ.) 48, 204.
სარჯველაძე ზურაბ 204, 215.
საული (ბიბლ.) 73, 205.
სეითი (ბიბლ.) 77.
სვანიძე მიხეილ 59
სვიმონ (ლუარსაბ I-ის ძე) 25, 40–41.
სკმონ, სკმეონ 188, 199.
სიგუა სოსო 236.
სილაგაძე აპოლონ 60–61, 68, 70, 74–75, 78, 93
სილოგავა ვალერი 20
სირაძე რევაზ 3–6

სოლომონი (ბიბლ.) 58, 71, 73.
სტეფანე (სანანოის ძე) 50, 103–105, 109, 11–113.
სტეფანე (იერომონახი) 125.
სტეფანოზი 99.
სულავა ნესტან 6.
სურგულაძე მზია 28.

ტ

ტაბლიაშვილი პეტრე 18

უ

უმარი 49, 210–211.
უსმანი *ნ ოსმანი.*

ფ

ფანიაშვილები 21.
ფანიაშვილი აღბუღა 21.
ფანიაშვილიკახაბერ 21.
ფანიაშვილი ნუგზარ 21.
ფანიაშვილი სეფედავლე 21.
ფანიაშვილი ჩუბინი 21.
ფატმან (მოჰამედის ასული) 46, 203.
ფახრიშვილი ანდრონიკე 23.
ფირი, ფირირი 54, 85.

ქ

ქავთარია მიხეილ 14, 17, 20, 116.
ქავთარის ძე 23.
ქაიხოსრო II (ყვარყვარე ათაბაგის ძე) 19–20.
ქაცარავა მამუკა 8.
ქაჯაია ლამარა 14.
ქეთევან დედოფალი (აშოთანის ასული, თეიმურაზ I-ის დედა) 19–20.
ქიქოძე გერონტი 236.
ქრისტე *ნ. იესო ქრისტე.*
ქუთათელაძე ლილი 13–14, 17–18, 27, 116, 120, 123–124, 127, 133.
ქურციკიძე ციალა 99, 99.

ღ

ღამბაშიძე ანა 29.

ყ

ყაუხჩიშვილი სიმონ 18, 98–99.
ყაფლანიშვილი 20
ყვარყვარე ათაბაგი (ქაიხოსრო II-ის მამა) 19.
ყვარყვარე (ქაიხოსრო II-ის ძე) 20.

შ

შავერდი (სულთანი) 25.
შაია *ნ იშაია.*
შანიძე აკაკი 14, 197, 204.
შანიძე მზექალა 126.
შარაბიძე თამარ 4.
შარაძე გურამ 16.

შარაშიძე ქრისტინე 24. 26–27, 115, 117, 120, 125.
შპრენგერი 57–58.
შჯაბრაილი 208–209.

ჩ

ჩიტიშვილი მანანა 235.
ჩიქოვანი იური 18, 28.
ჩოლოყაშვილი, ჩოლაყაშვილი გარსევან 26–37.
ჩოლოყაშვილი რუსუდან 4.
ჩუბინაშვილი დავით 218.
ჩუბინაშვილი ნიკო 218.
ჩხიკვაძე ნესტან 101.

ც

ცაგარეიშვილი ე. 28

ჭ

ჭანკიევი ც. 14.
ჭიჭინაძე ზაქარია 12, 21, 132.
ჭყოიძე *ნ ჯაფარიძე-ჭყოიძე ნანა.*

ხ

ხადიჯა ბინდ ხუვაილდი 56, 58
ხიდურელი ზ. 32
ხინთიბიძე აკაკი 4–5
ხინთიბიძე ელგუჯა 3–4

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 16–17.
ჯანაშია სიმონ 123.
ჯანდიერი გ. 28.
ჯაფარიძე გოჩა 59, 80, 218.
ჯაფარიძე-ჭყოიძე ნანა 236.
ჯა´ფარ ბ. მუჰამად აბდალლაჰ ას სადიკი 232.
ჯირჯი *ნ გიორგი* (წმინდა).
ჯღამაია ც. 116.

ჰ

ჰარონი *ნ არონი.*
ჰერაკლე (VIII საუკუნის ბიზანტიის იმპერატორი) 45, 67, 120, 127–129, 134, 203.
ჰერეკლე *ნ ერეკლე* (ბაგრატ ბატონიშვილის ძე).

Boris Darchia

BAGRAT BATONISHVILI

(In Georgian)

Tbilisi, 2011

The creative works and life of Bagrat Batonishvili (Princ) (Mukhranbatoni-Principal of Mukhrani) - founder of Mukhranbatoni branch of Bagrationi Royal family of Kartli and feudal principality of Mukhranbatons, Georgian writer and statesman of first half of XVI century, is monographically researched in the book. His work has not ever been published until today and this is the first time of its publication.

ბორის ღარჩია
წიგნების სია

1. **ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით**, თბ, „მეცნიერება“, 1975, 207 გვ.

გამოხმაურება: [მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი], ისევ ვეფხისტყაოსანი, გაზ. „სახალხო განათლება“, 16.03. 1977, №22, გვ. 2. ანოტაცია დაიბეჭდა ფრანგულ ჟურნალში: „Bedi Kartlisa“, ტ. XXXV, 1977, გვ. 295, 6.

2. **ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა**, თბ. „მეცნიერება“, 1986, 247 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, მეფე პოეზიის კარებთან, გაზ. „თბილისი“, 22 ნოემბერი, 1988, № 268, გვ. 5; ლევან მ ე ნ ა ბ დ ე, სოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ (მაცნე, ელს, 1990, № 4, გვ. 154-160); დიტო ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე, პასუხად ჩემს კეთილმოსურნეებს, ანუ ეის ეკუთვნის აფორიზმი: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ავად ზრდილი“, გაზ. „ასავალ-დასავალი“, 5-11 ნოემბერი, 2007, № 45, გვ. 15.

3. **ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო**, თბ., „მეცნიერება“, 1988, 440 გვ.

გამოხმაურება: მურმან თ ა ვ დ ი შ ვ ი ლ ი, მეფე პოეზიის კარებთან, გაზ. „თბილისი“, 22 ნოემბერი, 1988, № 268, გვ. 5; მ ი ს ი ვ ე, ფსევდონიმით: მირიან რ ო ხ ა ძ ე, ვახტანგ მეექვსის პოეტური სამყარო, ჟურ, „სკოლა და ცხოვრება“, 1989, № 1, გვ. 75; თამაზ ფ ო ფ ხ ა ძ ე, კვლევის საგანია ვახტანგ მეექვსის პოეზია, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17. 11. 1989, № 46, გვ. 6; ლევან მ ე ნ ა ბ დ ე, სოლიდური მონოგრაფია ვახტანგ მეექვსის პოეზიის შესახებ (მაცნე, ელს, 1990, № 4, გვ. 154-160); გივი მ ი ქ ა ძ ე, ვახტანგ IV-ის ერთი ტაეპის გაგებისათვის, გაზ. „სიტყუაჲ“, მაისი-ივნისი, 1998, № 6, გვ. 7.

4. **უვიცობის, პლაგიატობისა და განუკითხაობის წინააღმდეგ რუსთველოლოგიაში** – თბ., „უნივერსალი“, 2008, 330 გვ.

გამოხმაურება: წიგნი რუსთველოლოგიაში შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ – გაზ. „მწერლის გაზეთი“, 1–15 თებერვალი, 2009, № 1, გვ. 16.

5. იაკობ შემოქმედელი – მონოგრაფია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2009, 575 გვ.

გამოხმაურება: მურმან თავდიშვილი, ფილოლოგიური მეცნიერების სირცხვილი და ახალი სენსაციური აღმოჩენა, „მწერლის გაზეთი“, 16 ივნისი – 30 ივნისი, 2009, № 10, გვ. 14. მისივე: დიდი როქი ქართულ ლიტერატურაში, თბ., გამომცემლობა „ჰარმონია“, 2010, გვ. 128.

6. რუსთველოლოგიური გამოკვლევები, I, თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010, 580 გვ.

გამოხმაურება: მკრმან თავდიშვილი, წმინდანის სისხლზე წმინდა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 ივნისი, 2011, № 100, გვ. 11.

7. ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ) – წინამდებარე წიგნი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა 3
პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი. ბაბრატის ცხოვრება და მოღვაწეობა 11
ბიოგრაფიული მასალები..... 11
ბაგრატის ნაშრომის ლიტერატურულ-ისტორიული და რელიგიური საკითხები..... 44
ბაგრატის ზოგიერთი წყარო ..... .91
ბიბლიოგრაფიული ცნობები..... 102

მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი. ხელნაწერები და ტექსტი.....114
ხელნაწერები და მათი ლიტერები..... ..... .114
ტექსტი 137

მ ე ს ა მ ე ნ ა წ ი ლ ი. ტექსტთან დაკავშირებული საკითხები.....185
ქარაგმები..... 186
ტექსტის საკუთარ, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი..... 189
მცირეოდენი გრამატიკული მიმოხილვა.....195
ლექსიკონი 218

ბ ო ლ ო ს ი ტ ყ ვ ა 235
მთლიანი წიგნის პ ი რ თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი (გარდა ტექსტისა) 238
მოკლე ანოტაცია ინგლისურ ენაზე.....248
დამატება. ბორის დარჩიას წიგნების სია 249

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge